ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის

# მაცნე

675-15/2
1990

ეკონომიკისა და
სამართლის
სერია

1. 1990

ეროვნული
ბიბლიოთეკა

„საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მაცნე",
ეკონომიკისა და სამართლის სერია, 1990 № 1

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მაცნე

ИЗВЕСТИЯ АКАДЕМИИ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР

# ეკონომიკისა და სამართლის სერია

# СЕРИЯ ЭКОНОМИКИ И ПРАВА

ჟურნალი დაარსებულია 1980 წელს
**Журнал основан в 1980 году**
გამოდის 3 თვეში ერთხელ
**Выходит раз в 3 месяца**

1. 1990

გამომცემლობა „მეცნიერება" • თბილისი
**ИЗДАТЕЛЬСТВО «МЕЦНИЕРЕБА» ТБИЛИСИ**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

**ს ა რ ე დ ა ქ ც ი ო კ ო ლ ე გ ი ა:** ა. გუნია (რედაქტორი) ო. გამყრელიძე, მ. გველესიანი, გ. თოდუა, თ. ლილუაშვილი, გ. ნადარეიშვილი, ი. ფუტკარაძე თ. შავგულიძე (რედაქტორის მოადგილე), თ. ჩიკვაიძე (რედაქტორის მოადგილე), ლ. ჩიქავა.

პასუხისმგებელი მდივანი ა. შენგელია

**Р Е Д А К Ц И О Н Н А Я К О Л Л Е Г И Я:** Гуния А. Л. (редактор), Гамкрелидзе О. К., Гвелесиани М. И., Тодуа Г. С., Лилуашвили Т. С., Надареишвили Г. Н., Путкарадзе Я. В., Чикава Л. Л., Чикваидзе Т. Н., (зам. редактора), Шавгулидзе Т. Г. (зам. редактора).

Ответственный секретарь А. Л. Шенгелия

© „საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მაცნე“, ეკონომიკის და სამართლის სერია, 1990, № 1.

---

რ ე დ ა ქ ც ი ი ს მ ი ს ა მ ა რ თ ი: თბილისი, 380007, მახარაძის ქ. № 14
Адрес редакции: Тбилиси, 380007, ул. Махарадзе, 14
ტელეფონი 93-22-60 телефон

---

გადაეცა წარმოებას 18.1.90; ხელმოწერილია დასაბეჭდად 20.03.90; შეკვ. № 132; ანაწყობის ზომა 7×12; ქაღალდის ზომა 70×108 1/16; მაღალი ბეჭდვა; ნაბეჭდი თაბახი 10.92; სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 7,72; საღ-გატარება 11,42; უე 03555 ტირაჟი 1250;
ფასი 85 კაპ.

*

გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Издательство «Мецниереба», Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

*

საქართველოს სსრ მეცნ. აკადემიის სტამბა, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Типография АН Грузинской ССР, Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# შინაარსი

## ეკონომიკა


საქართველოს ეკონომიკური დამოუკიდებლობისათვის . . . . 5

**ლ. ჯოხაძე,** საწარმოო კოლექტივის ეკონომიკური ინტერესები მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის პირობებში . . . . . . . . . . 11

**ნ. ბერიძე,** სამეურნეო ანგარიში და მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის პრობლემები 20

**დ. თოდრაძე,** რესპუბლიკის სამრეწველო-ტერიტორიული სისტემის განვითარების ზოგიერთი საკითხი . . . . . . . 27

**მ. ლოლობერიძე, რ. გოცირიძე, ო. რუხაძე, ზ. ჩინჩალაძე,** სახალხომეურნეობრივი პროექტების კომპლექსურ-ეკოლოგიური ექსპერტიზა . . . 39

**ე. წიკლაური,** ოჯახური იჯარა — მისი არსი და გამოყენების ეკონომიკური ეფექტიანობა . . . . . . . . . . 43

**ვ. ნაკაიძე, ჯ. ხავთასი,** საწარმოს მუშაობის ეკონომიკური ეფექტიანობის კრიტერიუმის შესახებ . . . . . . . 50

**ა. ბრეგვაძე, მ. ხარბედია,** საქართველოს ნავთობის მრეწველობა ომისშემდგომ აღდგენით პერიოდში (1946-1950 წწ.) . . . . . . . 58

**ა. პავლიაშვილი,** პარტნიორთა კონტროლის გაძლიერება პროდუქციის ხარისხზე მათი ეკონომიკური კავშირის ოპტიმიზაციის უმნიშვნელოვანესი პირობაა . 69

**გ. სტეფანიშვილი,** ლითონდამმუშავებელი მრეწველობის განვითარება საბჭოთამდელ საქართველოში . . . . . . . . 78

**გ. ბრეგვაძე,** პურის ცხობის წარმოება რევოლუციამდელ საქართველოში . . 83


## სამართალი


**გ. სოსელია,** ილია ჭავჭავაძე ადგილობრივი მმართველობის ორგანიზაციის შესახებ 97

**გ. ნაჭყებია,** სისხლის სამართლის მეცნიერების საგნის პრობლემა როგორც მეტათეორიული პრობლემა . . . . . . 105

ეროვნული ბიბლიოთეკა

# СОДЕРЖАНИЕ

## ЭКОНОМИКА


К экономической независимости Грузии . . . . . . . . . . . 5

**А. Д. Джохадзе.** Экономические интересы производственных коллективов в условиях научно-технического прогресса . . . . . . . 11

**Т. А. Беридзе.** Хозрасчетные отношения и проблемы НТП . . . . . 20

**Д. Н. Тодрадзе.** Некоторые вопросы развития промышленно-территориальной системы Грузии . . . . . . . . . . . . . 27

**М. И. Гогоберидзе, Р. Р. Гоциридзе, О. Л. Рухадзе, З. Р. Чинчаладзе.** Комплексная экологическая экспертиза народнохозяйственных проектов . 39

**К. М. Циклаури.** Семейный подряд: сущность и экономическая эффективность его использования . . . . . . . . . 43

**Г. Г. Накаидзе, Д. Ш. Хавтаси.** О критерии экономической эффективности работы предприятия . . . . . . . . . . . . 50

**А. И. Брегвадзе, М. Р. Харбедия.** Нефтяная промышленность Грузинской ССР в послевоенный восстановительный период (1946—1950 гг.) . . . 58

**А. Павлиашвили.** Усиление контроля партнерствующих сторон над качеством товаров — важнейшее условие оптимизации их экономических связей 69

**Г. А. Степанишвили.** Развитие металлообрабатывающей промышленности в досоветской Грузии . . . . . . . . . . . . . 78

**Г. А. Брегвадзе.** Хлебопекарное производство в дореволюционной Грузии . . 83


## ПРАВО


**Г. К. Соселия.** Илья Чавчавадзе об организации местного управления . 97

**Г. И. Начкебия.** Проблема предмета науки уголовного права . . . . 105

ეროვნული ბიბლიოთეკა

# რესპუბლიკის ეკონომიკური დამოუკიდებლობისათვის

## („მრგვალი მაგიდა")

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტში 1989 წლის 18 მაისს სწავლულ ეკონომისტთა და პრაქტიკოს სამეურნეო ხელმძღვანელთა მონაწილეობით ჩატარდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკურ პრობლემათა სამეცნიერო-საკოორდინაციო საბჭოს მორიგი სხდომა, რომელზეც განხილულ იქნა საწარმოების საკავშირო დაქვემდებარების მიზანშეწონილობის საკითხი. მის მუშაობაში მონაწილეობდნენ საბჭოს თავმჯდომარე, ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის დირექტორი, აკადემიკოსი ა. გუნია, ამავე ინსტიტუტის დირექტორის მოადგილეები: სამეცნიერო დარგში ე. მ. დ. პროფ. ლ. ჩიქავა, ე მ. კ, თ. ჩიკვაიძე, განყოფილებათა გამგეები ე. მ. კ. მ. გველესიანი, ე. მ. კ. დ. დიასამიძე, ე. მ. კ. ა. სულაბერიძე, ლაბორატორიის გამგე ე. მ. კ. ვ. ბურდული, ე. მ. კ. ი. რუბინშტეინი, თსუ კათედრის გამგეები ე. მ. დ. პროფ. გ. ადეიშვილი, ე. მ. კ. მ. გოცირიძე; ე. მ. დ. პროფ. ვ. ახალაია, ე. მ, დ, პროფ, გ. თოდუა, ე. მ. დ. პროფ. ო. სალარეიშვილი, ინსტიტუტის მთავარი მეცნიერთანამშრომელი ე. მ. დ. ვლ. პაპავა, დოც. ე. მ. კ. ს. სოსელია, ინსტიტუტის წამყვანი მეცნიერთანამშრომლები: ე. მ. კ. რ. აბესაძე, უ. სამადაშვილი, ე. მ. კ. კ. ნიჟარაძე, რ. ხარბედია, მეცნიერთანამშრომელი მ. მუჩიაშვილი. სხდომის მუშაობაში აქტიური მონაწილეობა მიიღეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მრეწველობის განყოფილების გამგის პირველმა მოადგილემ კ. ლეჟავამ და უფროსმა რეფერენტმა შ. ნადირაძემ, საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის სათბობ-ენერგეტიკული და მანქანათმშენებლობის განყოფილებათა გამგეებმა გ. ცაგარელმა და ლ. თურმანიძემ, სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „ელმავალმშენებლის" დირექტორმა ზ. ჩივაძემ, საწარმოო გაერთიანება „ელექტროაპარატის" გენერალურმა დირექტორმა გ. გზირიშვილმა, ამავე საწარმოს მთავარმა ინჟინერმა ა. ბერიძემ, სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „ანალიზხელსაწყოს" გენერალურმა დირექტორმა ზ. ყრუაშვილმა, ქარხანა „ელექტროიზოლიტის" დირექტორმა ჟ. ტყავაძემ, გაერთიანება „მიონის" ქარხნის დირექტორმა გ. ჩომახიძემ, სამეცნიერო-საწარმოო გაერთინება „ელვას" გენერალური დირექტორის მოადგილემ ი. ლებანიძემ, ამავე საწარმოს მთავარმა ბუღალტერმა მ. ხაჩიძემ, რუსთავის ქარხანა „ავტოვაზაგრეგატი ხალიბის" დირექტორმა ვ. ზავრაშვილმა, „საქნავთობის" გენერალური დირექტორის მოადგილემ ნ. ჩიქოვანმა და შრომისა და ხელფასის განყოფილების გამგემ ო. თეთვაძემ, ფოთის გემთმშენებელი ქარხნის დირექტორის მოადგილემ თ. გუგუშვილმა, ლითონკონსტრუქციების ექსპერიმენტული ქარხნის დირექტორმა ა. ლოლუამ, საწარმოო გაერთიანება „საქნავთობის" გეოლოგიური განყოფილების უფროსმა ა. თაყაიშვილმა, საწარმოო გაერთიანება „საქგეოლოგიის" საწარმოო-ტექნიკური განყოფილების უფროსმა რ. ნინუამ, ქარხანა გაზოაპარატის დირექტორმა თ. გოგნაძემ, ბათუმის ტრანსფორმატორების ქარხნის მთავარმა ინჟინერმა

19608

საქ. სსრ კ. მარქსის
სახ. სახ. რესპუბ.
ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა



გ. ვერულიძემ, მინისტრთა საბჭოსთან არსებული ადგილობრივი კურორტების საქართველოს რესპუბლიკური გაერთიანება „საქკურორტის“ საფინანსო-ეკონომიკური განყოფილების უფროსმა ე. მორგოშიამ, „სამთოქიმიის“ გენერალური დირექტორის მოადგილემ ს. ქოქუამ, საწარმოო გაერთიანება „თეთრონის“ დირექტორის მოადგილემ ა. ჩიჩუამ, ჟურნალ „საქართველოს კომუნისტის“ განყოფილების გამგემ გ. თოფურიამ.

გაფართოებული სხდომის მუშაობა გახსნა აკადემიკოსმა ა. გუნიამ. აღნიშნა, რომ ასეთი ხასიათის შეხვედრები დღეისათვის განსაკუთრებულ აქტუალობას იძენს. რესპუბლიკის თვითმმართველობასა და თვითანაზღაურებაზე გადასვლის პირობებში მნიშვნელოვანია რესპუბლიკის ტერიტორიაზე გაადგილებული საკავშირო საწარმოთა დაქვემდებარების პრობლემა, ასევე სსრ კავშირისა და რესპუბლიკის ბიუჯეტებთან მათი ურთიერთობის მექანიზმის ზუსტი განსაზღვრა, რადგან ასეთი ტიპის საწარმოთა ხვედრითი წილი რესპუბლიკის მრეწველობის მთლიან პროდუქციაში განსაზღვრულია. აღნიშნა, რომ ამ საკითხთან დაკავშირებით პრესაში გამოთქმულია სხვადასხვა მოსაზრება. თუ რესპუბლიკის სახალხო მეურნეობას განვიხილავთ, როგორც ერთიან სახალხო-სამეურნეო კომპლექსს, მაშინ ლოგიკურია, რომ რესპუბლიკაში გაადგილებული ყველა საწარმო უნდა ექვემდებარებოდეს რესპუბლიკურ მმართველ ორგანოებს. საკითხის ასე დასმა ხომ არ შეუშლის ხელს საკავშირო დაქვემდებარების საწარმოების ნორმალური ფუნქციონირების პროცესს, ათეული წლების განმავლობაში ჩამოყალიბებული აუცილებელი საწარმოო-ეკონომიკური კავშირების შენარჩუნებას? მონაწილეებს ეთხოვათ ამ საკითხებთან დაკავშირებით გამოვთქვათ თავიანთი მოსაზრებები.

ამხ. ზ. ჩივაძემ აღნიშნა, რომ საკითხი მეტად აქტუალურია. მიუხედავად იმისა, რომ მისადმი დაქვემდებარებულ საწარმოს ფართო მასშტაბის კავშირები აქვს სსრ კავშირის 1000-მდე საწარმოსთან, რესპუბლიკურ დაქვემდებარებაში გადასვლა აუცილებლობას წარმოადგენს. დღეისათვის სამინისტროები გვევლინება აუტანელ ბიუროკრატიულ ორგანიზმად, რომელმაც თავისი ყველა ფუნქცია ამოწურა და ფაქტიურად წარმოების ნორმალური წარმართვის შემაფერხებელ ფაქტორად გადაიქცა. კავშირები სხვა რესპუბლიკების საწარმოებთან რესპუბლიკურ დაქვემდებარებაში გადასვლის პირობებში დაემყარება ფართო კოოპერაციას. თანდათან შემცირდება გარე მომწოდებლების რიცხვი და ტექნოლოგიური ციკლი შეიკვრება ძირითადად რესპუბლიკაში. კერძოდ, სერიული წარმოების შემთხვევაში განვითარდება ნებისმიერი მაკომპლექტებელი ნაწარმის შიდა რესპუბლიკური წარმოება, უახლესი მეცნიერულ-ტექნიკური მიღწევების ბაზაზე, ხოლო ცალკეულ ერთეულოვან ნაწარმზე მოთხოვნილების დაკმაყოფილების უზრუნველყოფის მიზნით, შენარჩუნებულ იქნება გარე ეკონომიკური კავშირები, რაც კომერციულ საფუძველს დაემყარება. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ მნიშვნელოვან სრულყოფას საჭიროებს დარგში მოქმედი ფასწარმოქმნის ინსტრუქციები, რომლებიც დაახლოებით 50 წლის წინაა შემუშავებული და ცხადია, არ შეესაბამება თანამედროვე პირობებს.

დაისვა შეკითხვა იმის თაობაზე, თუ თავისუფალი ვაჭრობის პირობებში რამდენად რენტაბელური იქნება გაერთიანების ნაწარმი. დირექტორის აზრით, დროთა განმავლობაში კომერციული თვალი უფრო დაიხვეწება და საწარმოს ხელმძღვანელობაც უფრო შორსმჭვრეტელი გახდება. 5-10 წლით

ეროვნული ბიბლიოთეკა



ადრე იზრუნებს ახალი სახის პროდუქციის წარმოებისათვის საჭირო პირობების მომზადებაზე. საწარმოს უნდა მიეცეს იმის საშუალება, რომ აირჩიოს მისთვის ყველაზე რენტაბელური გზა.

ამხ. კ. ლეჟავამ აღნიშნა, რომ თვითდაფინანსებაზე წარმოების გადასვლისათვის საჭიროა მას მიენიჭოს ფირმის სტატუსი. ასეთ პირობებში საწარმო პასუხისმგებელია როგორც საჭირო ნედლეულის შეძენაზე, ასევე ზედმეტი ნედლეულის გასაღებაზეც. ზედმეტი მასალის გაყიდვა ფირმის შემთხვევაში შეიძლება ±15%-ის ფარგლებში, დასავლეთში არსებული პრაქტიკის მსგავსად. ეს საწარმოს ეკონომიკური სახსრების ვარირების საშუალებას იძლევა. ზედმეტმა გეგმაზომიერებამ და რეგლამენტირებამ საწარმოს ხელმძღვანელობას დამოუკიდებელი აზროვნების საშუალება მოუსპო. შემდეგ მომხსენებელი შეეხო რუსთავის მეტალურგიული ქარხნის თავისებურებებს. აღნიშნა, რომ ქარხანა იძლევა უნიკალური სახის მილებს და სხვა მნიშვნელოვან პროდუქციას. საჭირო ნედლეულის 30-35%-ს (ღირებულებით გამოსახულებაში) კი ქარხანა ღებულობს სხვა რესპუბლიკებიდან. თუ მას არ ექნება ფირმის უფლებები, საწარმო სადღაც აუცილებლად წაიფორხილებს, დღეისათვის უკვე დაწყებულია რუსთავის მეტალურგიული ქარხნის რეკონსტრუქცია და დამთავრების შემდეგ ის თითქმის მთლიანად გამორიცხავს სხვა რესპუბლიკებიდან ნედლეულის შემოტანას. ამასთანავე, ადგილობრივი წარმოების ნედლეული უკეთესი ხარისხის იქნება. აღნიშნული პროგრამის განხორციელება გამოიწვევს სამრეწველო-საწარმოო პერსონალის რიცხოვნობის შემცირებას — დაახლოებით 28%-ით, საჭირო იქნება მცირე რაოდენობის ნაწარმის შემოტანა. გაუჭირდება დამოუკიდებელი ფუნქციონირება ჭიათურის მანქანების გაერთიანებას, საჭირო იქნება ხე-ტყის შემოტანა, რომელიც საერთაშორისო ბაზარზე გაცილებით მეტად ფასობს, ვიდრე მანგანუმი. აღნიშნა, რომ 120 წლის განმავლობაში ადგილი ქონდა მის უკიდურესად გაუმართლებელ ექსპლუატაციას. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ზესტაფონის ფეროშენადნობის ქარხანა არის უნიკალური წარმოება საქართველოში. ის უზრუნველყოფს საკავშირო ფოლადის წარმოებას. 60 მლნ. მანეთის რაოდენობით. ასეთი ტიპის ქარხანა ევროპაში არ არის, არის მხოლოდ ამერიკაში. ქარხანას სსრკ-ში 1 ტ. პროდუქციაში უხდიან 300 მანეთს, ამავე რაოდენობის პროდუქცია საზღვარგარეთ ღირს 600 დოლარი. საბაზრო ვაჭრობა უკეთეს პირობებში ჩააყენებს ქარხანას. ამასთანავე, უნდა აღმოიფხვრას არარაციონალური კავშირები, კერძოდ, იმავე სახის ნედლეულის შემოტანა სხვა ქვეყნებიდან. აღინიშნა, რომ ციან მარილებს ევროპაში საერთოდ აღარ აწარმოებენ. მასზე კი დიდი მოთხოვნილებაა. სწორედ ეს პროდუქცია აძლევს რუსთავის ქარხანას ვალუტას. მაგრამ რუსთავის ქარხანამაც შეიძლება იმუშაოს მხოლოდ მაღალი კოოპერაციის პირობებში, ფირმის უფლებებით, საერთოდ, დამოუკიდებელი სახელმწიფოს პირობებში არც ოქროს მადნეულის და არც სხვა სახის მადნეულის გატანა არ არის ეფექტური. საერთაშორისო ბაზარზე უნდა გავიდეს მზა პროდუქცია.

დარგობრივი მოწყვეტილობის უარყოფითი შედეგების აღმოსაფხვრელად მიზანშეწონილია გათვალისწინებულ იქნას საზღვარგარეთის გამოცდილება კონცერნების შექმნის თვალსაზრისით.

საბოლოოდ მომხსენებელმა დაასკვნა, რომ დამოუკიდებლობაზე გადასასვლელად საჭიროა მძიმე მრეწველობის ყველა საწარმომ ჩაატაროს წი-

ეროვნული ბიბლიოთეკა



ნაწარი სამუშაოები. ასეთი გადასვლა კი საერთოდ პროგრესული აქტი იქნება.

ამხ. გ. გზირიშვილის აზრით, საწარმოების თვითდაფინანსებასა და თვითანაზღაურებაზე მუშაობის პირობებში უკეთესია საკავშირო დაქვემდებარების საწარმოების გადასვლა რესპუბლიკურში. ზოგიერთი სახის მასალაზე საკავშირო ლიმიტი, რომელიც ეძლეოდა სამინისტროს, ახლა უნდა განაწილდეს რესპუბლიკებზე. აღინიშნა, რომ სრულყოფას მოითხოვს ფასწარმოქმნის მექანიზმი. საწარმოს უნდა ჰქონდეს სახელშეკრულებო ფასის დაწესების და არახელსაყრელი პროდუქციის წარმოების მოხსნის უფლება. დამოუკიდებლობის შემთხვევაში ქარხნის პროდუქციის რეალიზაცია გარანტირებულია, წარმოებულ პროდუქციაზე არის საკავშირო ლიმიტები, ასევე დადებულია ხანგრძლივი ხელშეკრულებები, ქარხანაში წარმოებული პროდუქცია კონკურენტუნარიანია.

ამხ. ზ. ყრუაშვილმა აღნიშნა, რომ საწარმო თვითანაზღაურების პრინციპებზე მუშაობს. დღეისათვის მნიშვნელოვანი ზომის მშენებლობების მიმდინარეობის გამო საწარმოს რჩება მოგების 90%, 8% მიდის საკავშირო ბიუჯეტებში, 2% სამინისტროში. საწარმო ინტეგრაციული კავშირების ფართო მასშტაბებით ხასიათდება. წარმოებული პროდუქციის რეალიზაცია თითქმის მთლიანად ხდება რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ. საწარმოს მონოპოლიური მდგომარეობა უკავია სსრკ-ში და ერთადერთია. აკმაყოფილებს წარმოებული პროდუქციით მოთხოვნილების 30%-ს. **აღინიშნა, რომ** პირდაპირი შეკვეთების პირობებში სხვა საწარმოები აღარ აწვდიან ქარხანას ფონდირებულ ნაწარმს ან ზრდიან მასზე ფასებს. ამ პროცესების მოგვარება მოითხოვს საბაზრო მექანიზმს, რომელიც მოახდენს ფასების რეგულირებას.

ამხ. გ. ცაგარელმა აღნიშნა, რომ რესპუბლიკის სათბობ-ენერგეტიკული კომპლექსი აწარმოებს 100-120 მლნ. მან. პროდუქციას. აქედან 80% მიდის საკავშირო ფონდში. დღეს მიმდინარეობს 250 მლნ. მანეთის ღირებულების საწარმოების მშენებლობა. აქედან 80 მლნ მანეთი მოდის საკუთარ სახსრებზე. ამ მშენებლობის დამოუკიდებელი განხორციელება გაგვიჭირდება. ამიტომ სათბობ-ენერგეტიკული კომპლექსის რესპუბლიკურ დაქვემდებარებაზე გადმოსვლა მძიმე ტვირთად დააწვება რესპუბლიკის ბიუჯეტს.

ამხ. ლ. თურმანიძემ ილაპარაკა თუ რა მდგომარეობაშია დღეს რესპუბლიკის მანქანათმშენებლობის კომპლექსი. რა ათვლის სისტემაში გვექნება ხვალ საქმე, უცნობია. მანქანათმშენებლობის საწარმოებს (დაახლოებით 60 საწარმო) ფართო კავშირები აქვთ სხვა რესპუბლიკებთან. რესპუბლიკაში შეიკვრება ეკონომიკური კავშირების მხოლოდ მცირე ნაწილი. აღინიშნა, რომ საქართველოს მანქანათმშენებლობის დარგობრივი სტრუქტურა არ შეესაბამება რესპუბლიკის მოთხოვნილებებს. ამასთან, საკავშირო სპეციალიზაციის დარგების ნაწილი, მაგალითად, „ხელსაწყოთმშენებლობა“ შედარებით უკეთეს პირობებშია, აქ წარმოდგენილია მაღალი დონის საწარმოო და სამეცნიერო პოტენციალი. ამიტომ მას შეეძლება ფუნქციონირება უფრო მძიმე პირობებშიც. მძიმე მდგომარეობაშია რესპუბლიკის საავტომობილო მრეწველობა. საკავშირო საწარმოების უმრავლესობა რთულ ფინანსურ მდგომარეობაშია. ალბათ მათი ნაწილი საჭიროა გაკოტრდეს კიდეც. ცალმხრივად პასუხის გაცემა რესპუბლიკურ დაქვემდებარებაში გადასვლის საკითხზე შეუძლებელია.

ეროვნული ბიბლიოთეკა



მეცნიერ ეკონომისტთა მონაწილეობით შესაძლოა შედგეს განვითარების შესაძლო ვარიანტები და შეფასდეს თითოეული, მომხსენებლის აზრით, ასეთი სახის შეხვედრები ხშირი უნდა იყოს. სასურველია მას ინსტიტუტი ჩაუდგეს სათავეში.

დოც. ე. მ. კ. ს. სოსელიას აზრით, საჭიროა მომავალში მანქანათმშენებლობის პროდუქციის სტრუქტურის შეცვლა, რესპუბლიკის მოთხოვნილებებისა და ინტერესების მხედველობაში მიღებით. ხელოვნურად შექმნილი სტრუქტურა საჭიროებს გარდაქმნას, ასევე რატომ უნდა იყოს მონოპოლიური წარმოება? მანქანათმშენებლობის სტრუქტურაში უნდა ამაღლდეს პროგრესული დარგების ხვედრითი წილი.

აკად. ა. გუნიას აზრით, ჩვენი ეკონომიკის თავისებურებანი განსაზღვრავენ მრეწველობის დარგობრივ სტრუქტურას. ამიტომ მანქანათმშენებლობა უნდა განვითარდეს რესპუბლიკის საჭიროების მიხედვით, რომლებიც უნდა მიჩნეულ იქნას პრიორიტეტულ მიმართულებად. „საქსოფლმანქანამ“ და „კვების მრეწველობის მანქანათმშენებლობამ“ სრულად უნდა დააკმაყოფილოს რესპუბლიკის მოთხოვნები. ამასთან, პირველ რიგში რესპუბლიკის მოთხოვნილებების დაკმაყოფილების საკითხი არ გამორიცხავს სხვა რესპუბლიკისათვის ჩვენთვის ეფექტური პროდუქციის გამოშვებას.

პროფ. გ. ადეიშვილმა აღნიშნა, რომ დღეისათვის საკითხი ისმება ასე: გაუქმდეს დღეისათვის არსებული დაგეგმვის სისტემა და ეკონომიკა განვითარდეს საბაზრო ურთიერთობების საფუძველზე. როდესაც ლაპარაკია საკავშირო საწარმოების გადმოსვლაზე რესპუბლიკის განმგებლობაში, ბუნებრივია, ეს უკავშირდება რესპუბლიკის ეკონომიკურ დამოუკიდებლობას. არის თუ არა ეს შესაძლებელი და რა დროა ამისათვის საჭირო? საბაზრო ეკონომიკის პირობებში მეურნეობის ჩაკეტვა შეუძლებელია, რადგან ინტეგრაციული კავშირები არის ძალიან ღრმა. გადასვლის დასაბუთება უწინარეს ყოვლისა უნდა მოხდეს საბაზრო ფასების კონიუნქტურის გათვალისწინებით. ჩვენი ფასწარმოქმნის სისტემა მოშლილია და მის საფუძველზე დადებითი ან უარყოფითი პასუხის გაცემა დაუსაბუთებელია, საჭიროა ფასწარმოქმნის სისტემის ძირეული რეფორმა. მეორე პრობლემა—საბაზრო ურთიერთობებით წარმოების განვითარება უსათუოდ გამოიწვევს მთელი რიგი საწარმოების გაკოტრებას. საბაზრო მექანიზმის მოქმედებას ზღუდავს სახელმწიფო შეკვეთები, ამიტომ საჭიროა მათი შეკვეცა, რაც შეეხება კითხვას იმის შესახებ, არსებობს თუ არა ეკონომიკის გარდაქმნის რაიმე მოდელი, აღინიშნა, რომ რეგიონალური გარდაქმნის მოდელის შექმნა რთულია, არსებით გარდაქმნას მოითხოვს მიდგომა ქვეყნის მასშტაბით, რის შემდეგაც გარდაქმნის მოდელის შექმნა მოხდება რესპუბლიკებშიც. ცალკე კი იზოლირებულად რაიმე არსებითი ხასიათის შედეგის მიღება შეუძლებელია. ახალ მექანიზმზე გადასვლისათვის საჭიროა დრო და მაქსიმალური მუშაობით შესაბამისი საფუძვლების შექმნა.

ამხ. ე. ძორგოშიამ აღნიშნა, რომ აუცილებელია რესპუბლიკურ დაქვემდებარებაში გადავიდეს საქკურორტთან ერთად საკავშირო საკურორტო მეურნეობაც, რომელიც განლაგებულია რესპუბლიკის ტერიტორიაზე. ეს დარგები მისი აზრით, რენტაბელური იქნება, ამავე დროს ეს რესპუბლიკას დამატებითი ვალუტის გამომუშავების საშუალებას მისცემს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ამხ. ვ. ზავრაშვილის აზრით, ასეთი შეხვედრები აუცილებელია, მაგრამ ანალოგიური შეხვედრები მეტ შედეგებს მოგვცემს, თუკი მეცნიერ-ეკონომისტთა მიერ შემოთავაზებული იქნება თეორიული პროგრამა ან მისი ცალკეული დებულებები მაინც. რა მდგომარეობაში ვართ დღეს და რა უნდა გაკეთდეს? საჭიროა შეიქმნას დამოუკიდებლობის მიღწევის კონცეფცია. აქ კომპლექსურად მოცემული უნდა იყოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე გაადგილებული ყველა საწარმოს განვითარების გზები.

დოც. ს. სოსელიამ აღნიშნა, რომ სკკპ XXVII ყრილობაზე და XIX პარტიულ კონფერენციაზე მიხეილ გორბაჩოვის მიერ ხაზგასმით ითქვა, რომ ჩვენ ვიმყოფებით წინაკრიზისულ მდგომარეობაში. ჩვენი აზრით, ამის გამომწვევი ძირითადი მიზეზია ის, რომ საკუთრება (საერთო-სახალხო) არის ყველას საკუთრება და ამასთან-არავისი. რაც შეეხება ეკონომიკურ დამოუკიდებლობაზე გადასვლის მოდელს, ის გამოქვეყნებულია. მიმდინარეობს ამ პროექტის საყოველთაო განხილვა. ჩვენი აზრით, არასწორია ფორმულირება „ძლიერი ცენტრი—ძლიერი რესპუბლიკა“. თუ ლაპარაკია ეკონომიკის სამეურნეო დამოუკიდებლობაზე და მას გამოაცლი ძირითად დარგებს, მაშინ ასეთი გადასვლა არ არის სასარგებლო რესპუბლიკისათვის. პროექტში არაფერი წერია რესპუბლიკის ეკონომიკისათვის მეტად მნიშვნელოვან დარგზე—ჩაის მრეწველობაზე. ე. მ. კ. ს. სოსელიამ წამოაყენა წინადადება ინსტიტუტმა დასვას საქართველოს, როგორც ეკონომიკური რაიონის ცალკე გამოყოფის საკითხი. რადგან ჩვენი რესპუბლიკა არის ქვეყანა და არა რეგიონი. ამას აქვს როგორც პოლიტიკური, ისე ეკონომიკური და სოციალური მნიშვნელობა. ჩვენი რესპუბლიკის ცალკე ეკონომიკურ რაიონად გამოყოფის შემთხვევაში რესპუბლიკა ცალკე შევა გეგმებში, მისთვის დამოუკიდებლად გამოიყოფა რესურსები, ცალკე განხორციელდება დაგეგმვა. ასევე საჭიროა დაისვას საკითხი მთელი საკურორტო მეურნეობის რესპუბლიკის განმგებლობაში გადმოსვლის შესახებ. პრინციპი, ყველა წამგებიანი საწარმო და დარგი იყო რესპუბლიკური და მომგებიანი—საკავშირო, არასწორია. ასეთი სახის რესპუბლიკური სამეურნეო დამოუკიდებლობა ფიქციაა.

„საქნავთობის“ წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ დღეისათვის დარგი მზად არ არის საკავშირო დაქვემდებარებიდან რესპუბლიკურში გამოსვლისათვის.

სხდომის შედეგები შეაჯამა აკადემიკოსმა ა. გუნიამ. მან აღნიშნა, რომ ინსტიტუტში მუშავდება რესპუბლიკური სამეურნეოანგარიშიანობის ორი მოდელი. მოსაზრებები ნაწილობრივ გამოქვეყნდა პრესაში ეს საკითხები მოითხოვს ღრმა შესწავლას. მიუხედავად ამისა, დღეიდანვე საჭიროა პრაქტიკული ღონისძიებების გატარება, რაც ხელს შეუწყობს რესპუბლიკის გადასვლას სრულ სამეურნეო ანგარიშზე.

ᲛᲐᲠᲘᲜᲔ ᲛᲣᲩᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ლევან ჯოხაძე

# საწარმოო კოლექტივის ეკონომიკური ინტერესები მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის პირობებში

მეცნიერულ-ტექნიკური საქმიანობა წარმოადგენს თანამედროვე საზოგადოებრივი წარმოების შემადგენელ ნაწილს, მოწოდებულია შეასრულოს გადამწყვეტი როლი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარების სტრატეგიის რეალიზაციაში. ამიტომ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მართვის სრულყოფა განხილული უნდა იქნეს სამეურნეო მექანიზმის გარდაქმნის საერთო სისტემაში. თუმცა ამ პროცესის შინაარსის სპეციფიურობა განაპირობებს თეორიული და პრაქტიკული ხასიათის პრობლემებს. აღნიშნულის გაუთვალისწინებლობამ სამეურნეო მექანიზმის გარდაქმნის საერთო ფონზე გამოიწვია უარყოფითი მოვლენები პირველ რიგში თვით მტპ მართვის საქმეში.

როგორც პრაქტიკა ცხადყოფს, საწარმოთა სრულ სამეურნეო ანგარიშზე, თვითანაზღაურებაზე და თვითდაფინანსებაზე გადასვლის მიზნით გატარებულმა ღონისძიებებმა ვერ უზრუნველყვეს წინა პლანზე წამოწეული წინააღმდეგობის გადაჭრა ერთის მხრივ ბიუროკრატიული ანგარების ინტერესებს და მეორეს მხრივ ეკონომიკური და სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის სტიმულებს შორის. ვერ მოხერხდა საწარმოთა თვითმმართველობისა და პასუხისმგებლობის ამაღლების ეკონომიკური მექანიზმის შექმნა.

მართალია გატარებული ან უახლოეს მომავალში გათვალისწინებული ღონისძიებები გარდაქმნიან საწარმოთა ურთიერთობებს მართვის სახელმწიფო ორგანოებთან და პარტნიორ საწარმოებთან, უქმნიან საწარმოს პირობებს სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის დანერგვისა და ეფექტიანობის ამაღლებისათვის, მაგრამ ვერ უზრუნველყოფენ ქმედით შინაგან სტიმულებს ამ პირობების გამოყენებაში. მათში ჯეროვნად არაა გათვალისწინებული ის ეკონომიკური ურთიერთობა და ინტერესები, რომელიც არსებობს საწარმოს, შიგნით.

მარქსისტული მოძღვრების თანახმად ადამიანთა ნებისყოფას განსაზღვრავს მისი ინტერესები. ინტერესებს აქტიურს ხდის არა ადამიანის ნებასურვილი, არამედ პირიქით, თვით ინტერესების ობიექტური ხასიათი — ის რომ, ადამიანთა ცხოვრების რეალური პროცესები გამოიხატება ინტერესებით და მათში გადაჭრას პოულობს წინააღმდეგობები ცალკეულ მოთხოვნილებებს შორის, განაპირობებს ადამიანის ნების აქტივობას. მაშასადამე ინტერესები წარმოგვიდგება საზოგადოებრივი განვითარების მამოძრავებელ ძალ-

ეროვნული ბიბლიოთეკა



თა ფუნქციის როლში და ატარებენ ობიექტურ ხასიათს. ამიტომ თუ მტპ მართვის გარდაქმნის მიზნით გატარებული ღონისძიებები გვევლინებიან ეკონომიკური სტიმულირების ფორმით, თავიანთი ბუნებით ობიექტური და მატერიალურია, ახდენენ ეკონომიკურ ინტერესებზე უშუალო ზემოქმედებას ან მოიცავენ მათ, მოძრაობაში მოჰყავთ მისი მატარებელი ე. ი. ეკონომიკურ ინტერესთა სუბიექტები, მაშინ სახეზე გვაქვს ბაზისურ, წარმოებით ურთიერთობათა ცვლილება.

საკითხის ამგვარად დაყენება საშუალებას გვაძლევს:

ეკონომიკური ინტერესების აქტივიზაციის გზით, საწარმოო ძალების შემდგომი განვითარების, მტპ დაჩქარების მიზნით, ვსრულყოთ სოციალისტური წარმოებითი ურთიერთობები;

მივცეს ობიექტური ახსნა სოციალური და ეკონომიკური განვითარების დამამუხრუჭებელ ფაქტორებს, გამოვარკვიოთ ეკონომიკური ინტერესების გათიშვისა და ჩახშობის მიზეზები;

შევქმნათ სოციალისტურ საწყისებზე ეკონომიკური, მეცნიერულ-ტექნიკური, სოციალური პროგრესის მძლავრი სტიმულები.

ინტერესების არსის გახსნის შესაძლებლობას იძლევა ინტერესების ობიექტურობის აღიარება. აღიარება იმისა, რომ სუბიექტზე გარემო პირობების, ცხოვრების რეალური პროცესების ზემოქმედებაბადებს მასში ასევე ობიექტური ხასიათის მოთხოვნებს, ხოლო მოთხოვნილებები თავის მხრივ წარმოადგენენ ინტერესების არსებობის საფუძველს და არასრულად აისახებიან მათში. ინტერესი არსებობს ცალკეული მოთხოვნილების მეშვეობით, წარმოადგენს ცალკეული მოთხოვნილების ურთიერთქმედების თავისებურ ტოლქმედს. ყოველი ცალკეული მოთხოვნილება ასე თუ ისე წარმოადგენს ინტერესს. ყოველი ინტერესში არის რაღაც ნაწილი მოთხოვნილებისა, ყოველი ინტერესი მხოლოდ დაახლოებით მოიცავს ყველა მოთხოვნილებას. მოთხოვნილებები არ არსებობენ სხვაგვარად თუ არა იმ კავშირში, რომელსაც ინტერესისკენ მივყავართ. ინტერესი არსებობს მხოლოდ ცალკეული მოთხოვნილებების გზით, ამიტომაც იგი აკავშირებს ამ მოთხოვნილებების მატარებელ ადამიანებს და წარმოადგენს საზოგადოების განვითარების შინაგან იმპულსს. ასეთ მიმართებაში მყოფი ინტერესები და მოთხოვნილებები ვითარდებიან საკუთარი შინაგანი კანონზომიერების მიხედვით, რაც განაპირობებს მათი ერთიანობა-დაპირისპირების ხასიათსა და გამოვლენის ფორმებს.

პრაქტიკა ცხადყოფს, რომ დაპირისპირება ინტერესებსა და მოთხოვნილებებს შორის შრომის საზოგადოებრივი დანაწილების შემდგომი გაღრმავების, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის პირობებში იწვევს ისეთ უარყოფით, არასასურველ პროცესებს, როგორიცაა ცალკეულ ადამიანებს, ადამიანთა ჯგუფებს შორის ანტაგონისტური თუ არაანტაგონისტური დაპირისპირება, წარმოების გადაქცევა მხოლოდ წარმოებისათვის და აქედან გამომდინარე მთელი რიგი ნეგატიური მოვლენებისა (ბიუროკრატიზმი, კორუფცია, მიწერა, წვრილმანი დატაცება, წარმოების დაბალი კულტურა) რომლებიც არსებობენ დღეს სამრეწველო საწარმოთა ფუნქციონირების პროცესში, კერძოდ საწარმოში მუშაკთა უმეტესი ნაწილი თავიანთი მოთხოვნილებების დაკმაყოფილების მიზნით ავლენს კერძო ინტერესს-მაღალი ხელფასის მიღებისათვის ყო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ველთვის ცდილობს აწარმოოს რაც შეიძლება მეტი დეტალი (ნაკეთობა) მიუხედავად იმისა ამ დეტალების (ნაკეთობების) რაოდენობა და ხარისხი აკმაყოფილებს თუ არა მათზე არსებულ რეალურ მოთხოვნილებებს. თუ ამ პროცესს განვავრცობთ ყველა საწარმოთა და დარგების დონეზე, აღმოჩნდება, რომ ყოველი საწარმო, დარგი აწარმოებს პროდუქციას ისეთი სახით, რომელიც ვერ უზრუნველყოფს ადამიანთა მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას. თუმცა ასეთი სახის პროდუქციის გამოყენება (სულ უფრო დიდი მასშტაბით) ხდება მხოლოდ საწარმოების შიგნით აღნიშნული პროცესის კვლავწარმოების მიზნით. ადგილი აქვს პროდუქციის წარმოებას ისევ პროდუქციის საწარმოებლად, რაც საბოლოო ჯამში ასევე იწვევს თვით ამ პროცესის მონაწილეთა მოთხოვნილებების დაუკმაყოფილებას. ე. ი. მათი საკუთარი მოთხოვნილებები დაპირისპირებაში აღმოჩნდა, ინტერესების რეალიზაციის ფორმასთან. მაშასადამე, გაჩნდა დაუკმაყოფილებელი მოთხოვნილებები, გაიზარდა გაუსაღებელი, დაუმთავრებელი და მზა პროდუქციის მარაგები.

მუშაკთა მეორე ნაწილი ე. წ. ჩინოვნიკ-ბიუროკრატები, რომლებიც არ მონაწილეობენ პროდუქციის უშუალო შექმნის პროცესში, რომლებმაც კერძო ინტერესებიდან, მექრთამეობის, კარიერისტული მისწრაფებიდან გამომდინარე ნებით თუ უნებლიეთ ითავეს ამ პროცესების ხელმძღვანელობა და ემყარებიან მას. ხელს უწყობენ და უკვე საკუთარ საფუძველზე აღრმავებენ მოთხოვნილებების დაუკმაყოფილებლობის და ინტერესების ჩახშობის პროცესებს. მაშასადამე თავიანთი ინტერესებით ისინი გამოდიან სხვა დანარჩენი ადამიანების ინტერესებთან დაპირისპირებაში. ჯერ კიდევ კაპიტალიზმის პირობებში კ. მარქსმა და ფ. ენგელსმა დაასაბუთეს, რომ „სანამ ადამიანები იმყოფებიან სტიქიურად ჩამოყალიბებულ საზოგადოებაში, სანამ მაშასადამე არსებობს გათიშვა კერძო და საერთო ინტერესებს შორის, სანამ მოქმედების დანაწილება ხდება არა ნებაყოფლობით, არამედ სტიქიურად, ადამიანის საკუთარი ქმედება იქცევა მისთვის უცხო, მისდამი დაპირისპირებულ ძალად, რომელიც ჩაგრავს მას, ნაცვლად იმისა, რომ იგი ამ ძალაზე ბატონობდეს“[1].

წარმოების ეფექტიანობის ამაღლება, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების საფუძველზე, პირველ რიგში გულისხმობს აღნიშნული ნეგატიური მოვლენების დაძლევას, საწარმოო კოლექტივის, მისი ცალკეული მუშაკის ინტერესების პირდაპირ დაკავშირებას მასთან კოოპერირებაში მყოფი პარტნიორის (მომხმარებლის) მოთხოვნილებებთან და აქედან გამომდინარე კი შესაბამისად საკუთარი მოთხოვნილებების, ინტერესების რეალიზაცია და პირიქით, როდესაც მიმწოდებელი საწარმო გვევლინება მომხმარებლის როლში. მხოლოდ ასეთ საფუძველზეა შესაძლებელი გეგმაზომიერების, სამეურნეო ანგარიშის, (საწარმოთა თვითმმართველობისა და პასუხისმგებლობის ერთიან დინამიკურ მექანიზმებად შეკავშირება.

მაშასადამე, სამეურნეო მექანიზმის სრულყოფის მარადიულ ობიექტს წარმოადგენს ინტერესსა და მოთხოვნილებებს შორის ერთიანობის აღდგენა, მოთხოვნილებების და ინტერესების დაპირისპირების დაძლევა, ე. ი. არ არსებობს ინტერესები მოთხოვნილების გარეშე და პირიქით. ისინი იმყოფებიან დიალექტიკურ კავშირში. მხოლოდ შემეცნების საშუალებით, აბსტრა-

---

[1] კ. მარქსი, ფ. ენგელსი, რჩეული ნაწერები, ტ. I, თბ., 1975, გვ. 31.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქციის გზით, გამოვყოფთ ერთს მეორისაგან, მაგრამ გამოვყოფთ იმისათვის, რომ შემდეგ დავადგინოთ მათი კავშირი რომლებიც წარმოიქმნებიან სხვადასხვა ფაქტორთა ზემოქმედებით, განსაზღვრავენ თითოეული მათგანის განვითარების კანონზომიერებას.

ზოგად ასპექტში მოთხოვნილებები წარმოადგენენ, საზოგადოებრივი ცხოვრების პირობების, ადამიანთა თვისებების შენარჩუნებასა და გაფართოებაზე ზემოქმედების ობიექტური აუცილებლობის გამოხატულებას.

საზოგადოებრივი ცხოვრების პირობების მატერიალურ და სულიერ მხარეებად დაყოფა საშუალებას იძლევა მოთხოვნილებები შესაბამისად დავაჯგუფოთ მატერიალური და სულიერი ხასიათის მოთხოვნილებებად, რომლებსაც ხშირად თავდაპირველ მოთხოვნილებებსაც უწოდებენ და ახასიათებენ ადამიანის ფსიქოფიზიოლოგიურ, ბიოლოგიურ თავისებურებებს. აღნიშნული თავდაპირველი მოთხოვნილებები — მოთხოვნილებები საერთოდ, მისი შემდგომი ჩამოყალიბების, მოხმარების ობიექტის დადგენის შედეგად ყოველთვის იძენს კონკრეტულ ხასიათს. მოხმარების ობიექტის მიხედვით, სხვადასხვა სახის მატერიალურ დოვლათზე, წარმოების საშუალებებზე, სულიერ არამატერიალურ, სოციალურ და სხვა ფასეულობებზე მოთხოვნილებების სახეს. ხოლო, რამდენადაც აღნიშნული ობიექტები მნიშვნელოვანწილად იქმნება წარმოების პროცესში, ამიტომ შეიძლება დავასკვნათ, რომ კონკრეტულ მოთხოვნილებებს წარმოშობს წარმოება, რაც ოდნავადაც არ ამცირებს ადამიანის ფსიქოფიზიოლოგიური თვისებების როლს მოთხოვნილებათა ჩამოყალიბებაში. მოთხოვნილებები, თავის მხრივ, ზემოქმედებს წარმოებაზე. ამ ურთიერთობაში განმსაზღვრელი წარმოებაა. როგორც უკვე ითქვა, მოთხოვნილება ყოველთვის არის რაიმეზე, ამა თუ იმ საგანზე მოთხოვნილება. მოთხოვნილება არ არსებობს საგნის გარეშე. იგი საგნის მოხმარების პროცესში აღმოცენდება. მოხმარებისათვის საგანს კი წარმოება ქმნის. წარმოება ამბობს კ. მარქსი — ქმნის მასალას, როგორც გარეგნულ საგანს მოხმარებისათვის; მოხმარება ქმნის მოთხოვნილებას, როგორც შინაგან საგანს, როგორც მიზანს წარმოებისათვის. როგორიცაა წარმოების განვითარების დონე, საზოგადოების ეკონომიკური წყობა, ისეთივეა მოცემულ საზოგადოებაში მცხოვრები ადამიანთა მოთხოვნილება. მტპ პირობებში, საწარმოო ძალთა შემდგომი განვითარების შედეგად, მოთხოვნილების ობიექტი გახდა ახალი ცოდნისა და ტექნიკის შექმნა და ათვისება, წარმოების მეცნიერული და ტექნიკური ინფორმაციით უზრუნველყოფა, სამუშაო ძალის კვალიფიკაციისა და შრომის ორგანიზაციის თვისობრივი განვითარების პროცესი, რაც მიგვანიშნებს მოთხოვნილებების დონის ამაღლებაზე, მისი სტრუქტურის ცვლილებებზე. ამასთან მატერიალური მოთხოვნილებები (მოთხოვნილებები მატერიალურ დოვლათზე, ნივთებზე), რომლებიც გამოხატავენ საწარმოო ძალათა განვითარების გარკვეულ დონეს რეალურ ცხოვრებაში, ყოველთვის წარმოდგებიან ეკონომიკური მოთხოვნილებათა სახით, იმდენად რამდენადაც ადამიანები თავიანთი მატერიალური და სულიერი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად შედიან განსაზღვრულ წარმოებით ურთიერთობათა სისტემაში. მაშასადამე, ეკონომიკური მოთხოვნილებები წარმოადგენენ იმ მოთხოვნილებებს, რომლებიც ყალიბდებიან ადამიანებს შორის მოთხოვნილებების ობიექტების წარმოებისა და განაწილების პროცესში. მაშასადამე, ეკონომიკური მოთხოვნილებები უშუალოდ დაკავშირებულია ეკონომიკურ ურთიერთობებთან და

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოხატავს მათ. ამასთან საზოგადოებრივი წარმოების პროცესი იწვევს არა მარტო ადამიანის მოთხოვნილებების დონის ამაღლებას, არამედ განსაზღვრავს ამ მოთხოვნილებათა ხასიათს, გამომდინარე სუბიექტის იმ ადგილიდან და როლიდან, რომელიც მას უჭირავს ეკონომიკურ ურთიერთობათა სისტემაში. კერძოდ კი წარმოების საშუალებებისადმი მისი დამოკიდებულებით.

ეკონომიკური მოთხოვნილებების ჩამოყალიბების პროცესს თან სდევს ეკონომიკური ინტერესების ჩამოყალიბების პროცესი. ეკონომიკური მოთხოვნილებები განსაზღვრავენ წარმოების მიზანს და წარმოადგენენ ადამიანთა შრომითი საქმიანობისადმი მისწრაფების მატერიალურ საფუძველს, განაპირობებენ ეკონომიკურ ინტერესთა შინაარსს. ეკონომიკური ინტერესები კი განსაზღვრავენ წარმოების განვითარების, ადამიანთა მოქმედების მიმართულებას. იმ ობიექტურ ფორმებსა და პროცესებს, რომელთა რეალიზაცია გამოიწვევენ მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას, დასახული მიზნის განხორციელებას. გარკვეული აზრით შეიძლება ითქვას რომ მოთხოვნილებების ცვლილებების (მოძრაობის) შესაბამისად იცვლება ინტერესები, ადამიანთა მოთხოვნილებების დაკმაყოფილების წესი. ამასთან ეკონომიკური მოთხოვნილებებისაგან განსხვავებით, რომლებიც არსებობენ ცალკეულ საგნებზე და გამოხატავენ მასთან დაკავშირებულ ცალკეულ ურთიერთობებს, ეკონომიკური ინტერესები აერთიანებენ ამ მოთხოვნილებებს და გამოხატავენ მთელ იმ ეკონომიკურ ურთიერთობებს, რომელშიც მონაწილეობს ადამიანი. ეკონომიკური ურთიერთობები, რომელიც გამოხატავს ადამიანებს შორის ურთიერთობას ადამიანის, კოლექტივის, საზოგადოების ინტერესებში აისახება პერსონიფიცირებული ფორმის სახით და ვლინდება ადამიანის ქცევაში, მაგრამ ინტერესების თვითნებური შეცვლა მათი მატარებელი სუბიექტების მიერ შეუძლებელია. ეს არ ნიშნავს ინტერესების გაიგივებას წარმოებით ურთიერთობებთან ან მათი ობიექტურობის უგულებელყოფას. სუბიექტის ინტერესის შეცვლა მოცემულ წარმოებით ურთიერთობათა სისტემის, საწარმოო ძალთა განვითარების არსებული დონის პირობებში შესაძლებელია მხოლოდ სუბიექტის, კოლექტივის სოციალური მდგომარეობის შეცვლის შედეგად. ინტერესთა ასეთი სპეციფიურობა, ის რომ მოთხოვნილებებისაგან განსხვავებით იგი უფრო დაკავშირებულია და დამოკიდებულია საკუთრებაზე როგორც ეკონომიკურ ურთიერთობათა ერთობლიობაზე, რომელიც ვითარდება საკუთარი შინაგანი კანონზომიერებით, უკვე თავიდანვე განსაზღვრავს იმის შესაძლებლობას, რომ ინტერესებმა ყოველთვის ვერ უზრუნველყონ ცალკეულ მოთხოვნილებებს შორის წინააღმდეგობის გადაჭრა (დაკმაყოფილება), მათი ტოლქმედის ფუნქციის შესრულება და გამოიწვიონ კომფლიქტური სიტუაცია, საზოგადოებრივი განვითარების ტემპის შენელება. მითუმეტეს ეკონომიკური სტიმულირების ფორმის სახით ეკონომიკური ინტერესების არასწორი რეალიზაციის, მათი ობიექტურობის უგულებელყოფის შედეგად, რაც ხშირ შემთხვევაში წარმოებს „კეთილი“ მოსაზრებით, მაგრამ მოკლებულია ობიექტურობას. აღნიშნული წინააღმდეგობის გადაჭრა სამეურნეო მექანიზმის მნიშვნელოვანი ფუნქციაა.

ჩვენი აზრით, ეკონომიკური მოთხოვნილებებისა და ინტერესების ასეთი გაგება საშუალებას იძლევა ობიექტურად შევაფასოთ ეკონომიკაში შექმნილი ვითარება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საწარმოს მუშაკთა მიმდინარე ხასიათის მოთხოვნილებები, ხელფასის, პრემიის, საზოგადოებრივი მოხმარების ფონდის ფორმით დაკავშირებულია აუცილებელი პროდუქტის მიღებასთან.

რაც შეეხება პერსპექტიულ მოთხოვნილებებს, რომელიც დროის გარკვეულ მომენტში დიალექტიკურად გადადის მიმდინარე ხასიათის მოთხოვნილებებში ისინი დაკავშირებულია გაფართოებული კვლავწარმოების პირობებზე, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებაზე. მხედველობაში გვაქვს ის გარემოება, რომ ადამიანის მოქმედება ერთის მხრივ ბევრადაა დამოკიდებული დროის ფაქტორზე, რომლის ზემოქმედებითაც ხშირად ხდება ობიექტურ ღირებულებათა სუბიექტური გადაფასება და შესაბამისად იცვლება მათი მოტივაციური მნიშვნელობაც. ადამიანები ყოველთვის როდი მიისწრაფიან ისეთი აქტივობისაკენ, რომლის შედეგადაც უფრო სრულად დაკმაყოფილდება მათი მოთხოვნილებები მომავალში, არამედ ისეთი აქტივობისაკენ, რომელიც შესაძლებლობას იძლევა თუმცა ნაწილობრივ, მაგრამ რაც შეიძლება უმოკლეს დროში დაიკმაყოფილონ მოთხოვნილება, ამიტომ თუ როგორი იქნება ობიექტური ღირებულებით განსაზღვრული შორეული მიზნის მქონე ქცევის, ინტერესების რეალიზაციის შესაძლებლობანი ამა თუ იმ კონკრეტულ შემთხვევაში, ეს ბევრადა დამოკიდებული იმ დროზე, რომელიც წარმოების აქტსა და მოხმარების აქტს ერთმანეთს აშორებს და რომლითაც დაკმაყოფილების მომენტია გაშუალებული. დღეს დროის ამ ინტერვალის შემცირება მხოლოდ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებული დანერგვის. მისი სტიმულირების მაღალეფექტური ფორმების გამოყენებითაა შესაძლებელი. მეორე მნიშვნელოვანი მომენტია წარმოების მუშაკთა ფუნქციონალური როლი ინტენსიური ტიპის გაფართოებულ კვლავწარმოებაში. საკუთრების ანონიმური ხასიათი, ის გარემოება, რომ მუშაკთა ფუნქცია წარმოებაში დაქირავებული შრომის მსგავსად მხოლოდ შრომის ანაზღაურების ფონდისა და მასთან დაკავშირებული ფაქტორებით შემოიფარგლება ე. ი. მათი საწარმოო ინტერესები არ მოიცავენ პერსპექტიული ხასიათის მოთხოვნილებებს, მაშასადამე საწარმოო კოლექტივის წევრები არ არიან დაინტერესებული მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დანერგვით. რაც განაპირობებს, ერთის მხრივ, მტპ ღონისძიებების ადმინისტრაციული, არაეკონომიკური იძულების მეთოდების გამოყენების აუცილებლობას. მეორე მხრივ, მათი ნების მიუხედავად, როგორც საკუთარი ასევე მართვის სახელმწიფო ორგანოების მიერ, ამ ღონისძიებებისათვის გამოყოფილი ფულადი და მატერიალური რესურსების მიმდინარე ხასიათის მოთხოვნილებებისადმი დამორჩილებას — შრომის ანაზღაურების გადიდებული ფორმის სახით, ინტერესების ცალმხრივი მიმართულებიდან გამომდინარე. ეს ის შემთხვევაა, როცა მუშაკთა ხელფასი აღარ ასტიმულირებს მტპ დანერგვას, ხოლო დროის გარკვეული პერიოდის შემდეგ, როდესაც მოხდება პერსპექტიული ხასიათის მოთხოვნილებების დიალექტიკური გადასვლა მიმდინარე ხასიათის მოთხოვნილებებში, რომლის დასაკმაყოფილებლად წარმოება უკვე ფაქტიურად მოუმზადებელია, კოლექტივის ნების მიუხედავად წარმოიქმნება სხვის კმაყოფაზე ყოფნის განწყობილება, დისბალანსი შრომის ნაყოფიერებასა და ხელფასს შორის, დაძაბულობა სამომხმარებლო ბაზარზე. ასევე ეკონომიკური ინტერესების შეუთავსებლობის, ინტერესთა ცალმხრივობით გამოწვეული ეკონომიკური შედეგებია საწარმოთა ფონდების ფიზიკური და მორალური ცვეთის ზრდა, სა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

წარმოთა უმეტესი ნაწილის წამგებიანობა და დაბალრენტაბელობა, წარმოების განსაზოგადოებისა და შრომის საზოგადოებრივი დანაწილების დაბალი დონე, ხელით შრომის მაღალი ხვედრითი წილი. სამმართველო აპარატის მრავალწლიან მცდელობას მონოპოლიზაციის, დირექტიული დაგეგმვით და ფასწარმოქმნით, ლიმიტირებით, უსასყიდლო დაფინანსების, ხელფასის გათანაბრებისა და სხვა მეთოდების გამოყენებით, საწარმოები გამოსულიყვნენ კრიზისული მდგომარეობიდან და მიეღწიათ დასახული ეკონომიკური თუ პოლიტიკური ხასიათის მიზნებისათვის, რაიმე დადებითი შედეგი არ მოჰყოლია. მდგომარეობას ართულებს ის გარემოებაც, რომ შექმნილია გარკვეული ბიუროკრატიული სისტემა მძლავრი სოციალური ინსტიტუტებით. სამეურნეო პრაქტიკაში მძლავრად აქვს ფეხი მოკიდებული გამოუმუშავებელი ფულის გადახდას, რომელიც კონკრეტულად არაა დაკავშირებული წარმოების საბოლოო შედეგებთან თუმცა საერთოდ კი ჰპოულობს ასახვას საზოგადოებრივი წარმოების დაბალ ეფექტურობაში. თუ შევადარებთ დროის მოცემულ მომენტში მიღებული გამოუმშავებელ ფულად თანხას ან მისი მიღების შესაძლებლობებს, მტპ დანერგვით მისაღებ ფულად თანხას ან მტპ დანერგვის შესაძლებლობებს, ასევე გავითვალისწინებთ ორივე სახის ფულადი თანხის განაწილებისა და გადანაწილების მექანიზმს კოლექტივის ცალკეულ წევრებს შორის, ნათელი გახდება თუ რამდენად აქტიურადაა მიმართული საწარმოს მუშაკთა ქმედება მტპ სინამდვილეში დანერგვისაკენ — მათი ცხოვრების ხვალინდელი დღისათვის. გამოუმუშავებელი ფულის გადახდის მექანიზმში მძლავრ სტიმულად მიწერა გვევლინება.

ჩვენი აზრით, მიწერად უნდა მივიჩნიოთ ყველა სახის ის მოქმედება, რომელიც საწარმოში არსებული სხვადასხვა სახის კანონების, წესებისა და ნორმატივების დარღვევის საფუძველზე საშუალებას იძლევა მიღებული იქნას იმაზე მეტი, რასაც ნორმატიული აქტები ითვალისწინებენ, მიუხედავად იმისა, ცალკეული მუშაკის წარმოებაში მდგომარეობიდან და ადგილიდან გამომდინარე, რამდენად საფუძვლიანია აღნიშნული მოქმედების მოტივები და მიზეზები. მიწერის გამომწვევ ძირითად პირობას წარმოადგენს, როგორც ცალკეულ საწარმოში ასევე საწარმოთა შორის, მიმწოდებელსა და მომხმარებელს შორის ეკონომიკური ურთიერთკონტროლისა და პასუხისმგებლობის, სიახლეთა დანერგვის ისეთი მექანიზმის უქონლობა, რომელიც დაკავშირებული იქნებოდა სოციალისტური საკუთრების პროგრესული ფორმის გამოყენებასთან და შეესაბამებოდა წარმოების განვითარების კონკრეტულ-ისტორიულ პირობებს. მოქმედი მექანიზმი ჯერ ერთი არ იძლევა მომხმარებლისა და მიმწოდებლის მიერ მიღებული საერთო ეფექტის, მათ შორის სამართლიანი გადანაწილების საშუალებას, ხოლო მწარმოებელსა და მომხმარებელს შორის ურთიერთობის რეგულირება, მესამე გარეშე პირის (მართვის ყველა დონის ორგანოები) ჩათვლით გარკვეული ფარგლების მიღმა ვერ უზრუნველყოფს წამოჭრილი პრობლემების გადაწყვეტას და არ იძლევა იმის გარანტიას, რომ მწარმოებელსა და მომხმარებელს შორის ურთიერთობა მათგან დამოუკიდებლად სამართლიანად (ექვივალენტური გაცვლით) გადაწყდება. ყოველი გაერთიანება, საწარმო, საამქრო, უბანი და მისი ცალკეული მუშაკი მოკლებულია რა შრომის შედეგების მიხედვით განაწილების რეალურ გარანტიას, ბადებს მათში მიდრეკილებას არავის არ მისცენ მიწერის გამოყენების შესაძლებლობა, რაც დაკავშირებულია იმის მუდმივ შიშთან, რომ ვიღაც სხვა ეცდება

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიწერის შესაძლებლობის გამოყენებას. აქედან პირდაპირ გამომდინარეობს არასამართლიანი სურვილი თვითონ შეძლონ სხვაზე მეტი მიწერის გაკეთება, ე. ი. წარმოებს მიწერაზე შეჯიბრება (კონკურენცია), დაპირისპირება — ყველა ყველას წინააღმდეგ. შრომის პროცესისადმი ასეთი დამოკიდებულების მასიური ხასიათის შედეგად ზარალდება მთელი საზოგადოება, მაშასადამე მისი ყველა წევრი. გარკვეული პერიოდის შემდეგ ცხოვრების პირობების გაუარესებამ კიდევ უფრო გაამწვავა მდგომარეობა და მიწერა შეიძლება ითქვას ცალკეულ კოლექტივში და ნაწილობრივ მის გარეთაც საყოველთაო სოლიდარობის პოზიციაში აღმოჩნდა (ურთიერთ დახმარება მიწერაში სხვის, უცნობის წინააღმდეგ), თუმცა უკმაყოფილების გრძნობა მისადმი ასევე საყოველთაოა. შექმნილ ვითარებაში წარმოების მოცულობის რაოდენობრივი ზრდა; რომელიც ბევრ შემთხვევაში არ შეესაბამება საწარმოთა სიმძლავრეს და კოლექტივის ინტერესებს, კიდევ უფრო აქტიურს ხდის „მიწერის" ტენდენციას, რომელიც მთელი მრავალფეროვნებით აისახება კოლექტივის ყოველდღიურ ცხოვრებაში.

საამქროში მიწერა წარმოებს ფაქტიურად დამზადებული დეტალის რაოდენობის ცალკეულ ოპერაციებზე დამუშავების ფიქტიური გაზრდით, რასაც ხშირად მომდევნო ოპერაციებზე დეტალის დაწუნებით ამართლებენ. ასეთი შემთხვევები ძირითადად მოდის იმ ტექნოლოგიურ ოპერაციაზე, რომელზეც შრომის ანაზღაურების ნორმა სხვებთან შედარებით დიდია. მთლიან დეტალზე მიწერა ძირითადად წარმოებს თვის ბოლოს მისი რაოდენობის ხელოვნური გაზრდით, რის შედეგადაც შესრულებული სამუშაოს მოცულობა საგრძნობლად მატულობს, ამ ფაქტს კი მასალების არარითმული მიწოდებით ამართლებენ. აქვე უნდა შევნიშნოთ ისიც, რომ თუ ხელფასის ზედმეტი მიღებისათვის ადგილი აქვს ცალკეულ ტექნოლოგიურ ოპერაციაზე დეტალების რაოდენობის ხელოვნური ზრდის ფაქტს, მასალების ზედმეტი რაოდენობის მითვისებისათვის კი, პირიქით, მათ შემცირებას. ეს რაც შეეხება გამოსაშვები პროდუქციის მაკომპლექტებელ დეტალებზე მიწერის პროცესს.

მიწერის შემდგომი ეტაპი ესაა უკვე მზა პროდუქციაზე მიწერა, რომელიც წარმოებს უკვე ამწყობ საამქროებში. სადაც გარდა იმისა, რომ თითქმის მეორდება დამამზადებელი საამქროს მიწერის მეთოდი, ძირითადად მიწერა წარმოებს მზა პროდუქციაზე, როგორც მუშათა ხელფასის უწყისის, ასევე მზა პროდუქციის ჩაბარების უწყისის ფიქტიური გაზრდით ან კიდევ თვით მზა პროდუქციის საწყობის მიერ. გააჩნია თუ ვისი ინიციატივით ხდება მიწერა.

მიწერის მესამე ეტაპი შეიძლება ითქვას ესაა რეალიზირებულ პროდუქციაზე მიწერა, როდესაც ხდება მისი ფიქტიური ზრდა დაბრუნებული უხარისხო პროდუქციის სხვა მომხმარებლისათვის ხელახლა გაგზავნა ან კიდევ ყალბი დოკუმენტების — უსაქონლო ანგარიშების გაფორმება, რის შედეგადაც ხელოვნურად იზრდება საწარმოს დებიტორული დავალიანება. ეს დოკუმენტები საწარმოს საინჟინრო და ეკონომიკურ სამსახურში მოხვედრის შემდეგ იძენენ რეალურ ძალას. აქვე უნდა შევნიშნოთ ის გარემოება, რომ შეიძლება ადგილი ჰქონდეს მიწერას ხელფასზე ან მასალაზე, მაგრამ გადახარჯვა თვითღირებულების ამ მუხლებში არ გამოჩნდეს, რადგანაც ზედმეტი ხელფასი ან მასალის არაოფიციალური (დაფარული) რეზერვი უკვე დროის გარკვეული პერიოდის განმავლობაში შექმნილია და განაგრძობს ზრდას, ხოლო იმ შემთხე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვაში, როდესაც ადგილი აქვს მიწერას მზა პროდუქციაზე და მიწერა არ კეთდება მისი თვითღირებულების შესაბამის მუხლზე. ადგილი აქვს საერთო თვითღირებულების ფაქტიურ შემცირებას მიწერით ნაჩვენები პროდუქციის საერთო გამოშვებაში. ხდება პროდუქციის რენტაბელობის დონის ხელოვნური აწევა.

მიწერას ახორციელებენ აგრეთვე დამხმარე საამქროები: საიარაღო, სარემონტო-მექანიკური, კაპიტალური მშენებლობის და სხვა საამქროები. მიწერა წარმოებს ტექნოლოგიური პროცესების დარღვევისა და გამოტოვების გზით, ახალი ტექნიკის ღონისძიებების ფიქტიური დანერგვით. რის შედეგადაც ხდება წარმოების განვითარების ფონდის განიავება, მის ხარჯზე კი ანაზღაურების ფონდის ხელოვნური გაზრდა. ერთი სიტყვით მიწერის განხორციელების შესაძლებლობას ყველგან მაქსიმალურად იყენებენ.

ასეთ პირობებში თითქმის შეუძლებელია გადავწყვიტოთ ახალი პროდუქციის, ტექნიკისა და ტექნოლოგიის დანერგვის პროცესში წამოჭრილი ეკონომიკური, ტექნიკური და ორგანიზაციული ხასიათის პრობლემები, ხარჯვითი სამეურნეო მექანიზმი, გამოუმუშავებელი ფულის გადახდის პრაქტიკა, მიწერის ძირითადი წყაროს — მოძველებული ტექნიკისა და ტექნოლოგიის წინააღმდეგობა.

საწარმოთა სრულ სამეურნეო ანგარიშზე, თვითანაზღაურებაზე და თვითდაფინანსებაზე გადასვლა ავტომატურად არ ხსნის ამ პრობლემებს. პირიქით იქმნება ამ ორი მექანიზმის შერწყმისა და მოდიფიკაციის შესაძლებლობა.

Л. Д. ДЖОХАДЗЕ

# ЭКОНОМИЧЕСКИЕ ИНТЕРЕСЫ ПРОИЗВОДСТВЕННЫХ КОЛЛЕКТИВОВ В УСЛОВИЯХ НАУЧНО-ТЕХНИЧЕСКОГО ПРОГРЕССА

Резюме

В статье раскрываются содержание и особенности формирования интересов производственных коллективов, их роль в ускорении научно-технического прогресса. Дан характер взаимоотношений экономических интересов и потребностей. Анализируются причины возникновения таких негативных явлений как приписка, выплата незаработанных денег.

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტის მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის პრობლემების განყოფილებამ

ეროვნული ბიბლიოთეკა

Т. А. БЕРИДЗЕ

# ХОЗРАСЧЕТНЫЕ ОТНОШЕНИЯ И ПРОБЛЕМЫ НТП

Одной из проблем процесса реформирования нашей экономики является предвидение (прогноз) последствий тех или иных нововведений в экономику. Существование этой проблемы есть результат отсутствия в нашем хозяйственном механизме очень важного звена: в системе принятия решений нет элемента оценки возможных их последствий. Так, например, глава нашего правительства среди наиболее существенных причин сложившегося положения в экономике называет плохо продуманные последствия массового перехода на хозрасчет, принятие несовершенного Закона о социалистическом предприятии и еще более несовершенного Закона о кооперации, недоучет конкретной экономической среды, в которой будут работать предприятия[1].

Одним из таких последствий является торможение (мягко говоря) научно-технического прогресса (НТП). Более остро по этому поводу высказался академик Л. И. Абалкин. Анализируя первые итоги реформы, он подчеркнул, что «не наблюдается улучшения качества продукции, замер на мертвой точке технический прогресс»[2]. А между тем новые условия экономического соревнования двух систем возникли в связи с современной научно-технической революцией (НТР), открывающей возможность для всесторонней интенсификации и качественного повышения эффективности общественного производства. Новые условия требуют принципиально более высокого **качества хозяйствования,** которые становится на современном этапе все более важным и особым объектом экономического соревнования двух систем.

Главным содержанием НТП на предприятии является перманентное обновление технологической базы оборудования, коренная реконструкция предприятий. Это соответствует требованию новой редакции Программы КПСС: осуществить новую техническую реконструкцию народного хозяйства.

Западные страны начали в широких масштабах структурную перестройку экономики с упором на ресурсосбережение, использование новейшей техники и технологии. А у нас НТП затормозился главным образом вследствие невосприимчивости народного хозяйства к нововведениям. Даже валютные средства от экспорта нефти и других сырьевых ресурсов были использованы не на модернизацию производственного аппарата, а на текущие цели[3]. На начало 1989 года из 880 закупленных за рубежом и вступивших в силу лицензий не начато производ-

---

[1] См.: «Литературная газета», 13 сентября 1989 года, № 37; «Известия» 3 октября.

[2] «Известия», 22 сентября 1989 года, № 266.

[3] Материалы Пленума ЦК КПСС 25 — 26 июля 1987 г. М., 1987, с. 40.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ство по 205. Из них по 185 плановые сроки не истекли, по 20 — сроки освоения прошли, но продукция не выпускается[4].

В мировой практике наблюдается резкое ускорение обновления активной части технологического оборудования. Физически это оборудование не изношено. Это оборудование изношено морально: оно не соответствует современному уровню технологии. У нас сроки обновления оборудования больше. Норматив - 10 — 11 лет, практически - 20. Мы эксплуатируем давно устаревшее и физически, и морально — в буквальном смысле слова разорительное для страны оборудование. На конец 1988 года удельный вес оборудования в возрасте 20 лет и старше составил 11,1 процента[5]. А между тем, на январском (1987 года) Пленуме ЦК КПСС отмечалось, что главный замысел нашей стратегии — соединить достижения НТР с плановой экономикой.

Чтобы определить причины, сдерживающие освоение современной НТР, следует прежде всего рассмотреть методологическую сторону проблемы, ибо без этого невозможно управлять процессом ускоренного развертывания НТР. Задача, очевидно, состоит в том, чтобы выявить движущие силы НТР, определить содержание интереса (точнее, носителя этого интереса), приводящего механизм нововведений в действие, дать характеристику сформировавшейся экономической среды. Наиболее сложная задача заключается в том, чтобы механизм разрешения противоречий НТР был органически вмонтирован в хозяйственный механизм, в каждый его элемент.

В связи с этим возникает ряд вопросов: какова внутренняя логика управления НТП в условиях социализма? Возможно ли оно (т. е. управление НТП) в строго локализованных рамках предприятий? Кто будет инноватором в создаваемой экономической среде?

Проблема управления вообще, НТП в частности, в действительности есть лишь иная постановка вопроса централизма и самостоятельности в социалистическом хозяйствовании. Речь по существу идет об определении агента НТП, инноватора. Границы централизма и самостоятельности хозяйственных звеньев в осуществлении производственной (соответственно и инновационной) деятельности объективны и определяются природой производственных отношений. Есть определенный блок вопросов, который может быть решен только в централизованном порядке (так, например, определение общей стратегии развития, соблюдение пропорций, структуры, сбалансированности в народном хозяйстве, проведение единой научно - технической политики и т. д.)[6].

---

4 «Известия», 9 октября 1989 года, № 283.

5 Там же.

6 Ряд этих вопросов признано решать в централизованном порядке и в капиталистическом хозяйстве. Так, например, известный американский экономист Василий Леонтьев считает, что научно - техническим прогрессом должно заниматься государство (см.: Коммунист, 1987, № 12. С. 125—126). Есть попытки регулирования в капстранах даже структурных сдвигов. В этой связи С. С. Шаталин и Е. Т. Гайдар писали: «Ссылки на то, что ускорение структурных сдвигов в советской экономике невозможно из-за отсутствия рынка капитала и соответствующих автоматических регуляторов, несостоятельны. Капиталистические страны (имеется в виду Япония — Т. Б.) именно в этой области активно используют государственное регулирование» (Шаталин С. С., Гайдар Е. Т., Экономическая реформа: причины, направления, проблемы, М., 1989, с. 15).

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ
ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ



Все это особенно важно видеть с точки зрения хозяйственного расчета как необходимого, но в то же время противоречивого метода хозяйствования. Существует множество версий хозрасчета (от чисто рыночного до централизованно управляемого), приводящих к различным социально-экономическим последствиям. Хозрасчет-это товарно-денежный механизм, и его стихийный характер при тех или иных соотношениях планового начала и автономного выбора решений способен избавить экономику от одних болезней и ввергнуть ее в другие осложнения.

Чисто рыночный вариант хозрасчета, пропагандируемый иной раз без всякой оглядки, означал бы отказ от централизованного управления НТП, а в условиях хронического дефицита это приведет к тому, что экономическое соревнование между производителями развернулось бы не в сфере НТП, а в области ценообразования, по линии монопольного соглашения о цене. Неизбежно возникающий на этой основе диктат вступающих в сговор крупных производителей над потребителями превратил бы в чистую формальность т. н. «суверенитет потребителя», его возможность воздействовать на производителя. Возникла бы монополизация хозяйственной жизни на новом витке ее развития. Произошла бы замена ведомственного монополизма рыночным.

Даже и в случае ликвидации дефицита нет никаких гарантий переключения рыночного экономического соревнования в сферу НТП. Как показывает исторический опыт (в том числе и самый современный) функционирования рыночного хозяйства, и в таких условиях наибольший успех по критерию прибыли обеспечивает стратегия, рассчитанная на косметические модернизации уже освоенных изделий и обогащение рекламы. Инновационная же стратегия, то есть стратегия собственно НТП в этих условиях имеет гораздо меньше шансов на успех[7].

Вся история рыночного экономического соревнования знает только одну форму быстрого технического прогресса — форму капиталистического хозяйственного цикла с его периодически повторяющимися волнами обновления техники на основе периодического массового морального износа основного капитала. В условиях же социализма такой механизм, как известно, отсутствует, и никаких оснований рассчитывать на появление иного, специфически социалистического рыночного механизма, выполняющего аналогичную функцию, предлагаемые сегодня концепции не дают, да и не могут дать. К этому необходимо добавить то, что вообще перенесение центра тяжести в решении проблем НТП, интенсификации и эффективности на уровень предприятия несовместимо с реализацией единой технической политики в общехозяйственном масштабе[8] оставило бы открытым вопрос: кто же будет осуществлять отбор вариантов технического прогресса, очередность (ввиду невозможности одновременного перевооружения во всех отраслях) технологического обновления? Такой перенос привел бы к весьма своеобразной сбалансированности производства и потребностей — не столько за счет улучшения воспроизводственной структуры народного

[7] См. об этом, например, Pearce J. A., Selecting Among Alternative Grand Strategies. California Management Review. Berckeley, 1982, 24, № 3, p. 23—31; California Management Review, 1983. № 1, с 59.

[8] Опыт СФРЮ, на наш взгляд, убедительно показал, что гипертрофия функций предприятий в инвестиционной (и инновационной) сфере может подорвать централизованное управление экономикой, парализовать возможности проведения эффективной структурной политики.

ეროვნული ბიბლიოთეკა



хозяйства, сколько за счет гибкости ценовых параметров[9]. При этом неизбежны потери и растраты ресурсов, связанные с незатухающими колебаниями спроса и предложения, с установлением пропорциональности лишь «задним числом», через диспропорциональность. Даже если предположить, что будет существовать противодействие тенденции к «подсосу» ресурсов и их разбазариванию, то возникает новый тип потерь — искусственное «придерживание» дефицитной продукции с целью поддержания высокой цены, застойные диспропорции (в частности, недогрузка производственных мощностей, гипертрофия производства предметов роскоши при фактическом недостатке тех или иных предметов массового потребления на основе «отсечения» растущими ценами части необходимых потребностей значительного слоя общества). Есть опасность возникновения тенденции к бюрократизации внутри предприятия, связанная с тем, что ориентация не на долгосрочный план (перспективу), а на сиюминутную, рыночную конъюнктуру требует постоянного принятия управленческих решений, субъектами которых могут быть почти исключительно администрация, а не трудовой коллектив. Текущая рыночная информация явно недостаточна для принятия обоснованных инвестиционных решений.

Варианты перестройки механизма управления НТП на чисто рыночной основе бесперспективны в плане обеспечения устойчиво более высоких темпов НТП и интенсификации производства по сравнению с наиболее развитыми капиталистическими странами. Это и понятно, так как, используя рыночный механизм, функционирующий и на Западе, эти варианты ослабляют его действие ограничениями, накладываемыми общественной собственностью, недопущением безработицы, невозможностью неограниченного личного обогащения и банкротства, то есть наиболее сильных в условиях частной собственности стимулов.

Самостоятельное осуществление техпрогресса наталкивается на необходимость преодоления информационного барьера. Определение конкретных направлений технического совершенствования требует знаний о мировых тенденциях в нем, о существующем его уровне, о новых «задумках» науки и т. п. Для постоянного наблюдения за этим каждое предприятие не может содержать (что само по себе накладно) собственный научный центр, да для этого нет в стране и такого количества специалистов.

Следует видеть, что хозрасчет вообще имеет свою область применения, он не призван решать задачи долговременные, стратегические. Есть ленинское понимание хозрасчета. В замечаниях, сделанных в плане статьи «Коммерческая постановка дела», подчеркивается, что предприятие окупаться должно. Стоимость прибавочного продукта, по Ленину, должна аккумулироваться и использоваться на содержание государства. Преприятие должно функционировать самостоятельно, но лишь относительно самостоятельно, т. е. в рамках и госзаказа, и контрольных цифр, и экономических нормативов, аккумулируя прибавочный продукт и отчисляя часть его на общенародные нужды. Решая проблему соотношения централизма и самостоятельности предприятия во всех звеньях хозяйственного механизма — и в планировании, и в

---

[9] Довольно метко охарактеризовал такие действия предприятий и кооперативов академик С. С. Шаталин, назвав это «пещерным эгоизмом» (См.: «Литературная газета», 11 октября 1989 г.).

ეროვნული ბიბლიოთეკა

стимулировании, и в хозрасчетной деятельности, и в ценообразовании — необходимо находить оптимальную комбинацию.

На январской встрече (1989 г.) с деятелями науки и культуры М. С. Горбачев отметил: «Предприятие, которое так или иначе втягивается в модернизацию и освоение новой продукции, новой технологии, оказывается в более сложном положении в экономическом плане»[10]. Такое положение есть прямое следствие действующей в настоящее время в народном хозяйстве формы хозяйственного расчета, ориентированной на краткосрочные, текущие экономические интересы, а значит, и стимулирующей предприятия и их работников на текущую производственную деятельность[11]. Освоение же научно-технических достижений находится в русле долговременных, перспективных интересов и целей предприятия, поэтому объективно требует совершенно иной формы хозяйственного расчета. Оно должно иметь стратегическую долговременную направленность и быть ориентировано на постоянное обновление выпускаемой продукции на основе достижений НТР. Совсем не обязательно, что увеличение свободы ведет к росту эффективности. Необходимо найти систему, которая побудила бы производителей пользоваться ею и выпускать товар повышенного спроса, не наращивая издержек.

Инновационные процессы реализуют именно перспективные интересы, причем как предприятия, так и народного хозяйства в целом. В данном случае они совпадают. В народном хозяйстве новая техника необходима для технического перевооружения, обновления, технологического базиса и поэтому является непременным условием долговременного экономического роста. Для предприятия инновационная деятельность также более важна, ибо в дальнейшем, когда достигаются проектные показатели, по мере расширения объема реализации предприятие начинает получать прибыль. Стабильным этот процесс становится только на пятый — шестой год после начала освоения. Однако процесс освоения научно-технических достижений требует от предприятия дополнительных финансовых, трудовых, материальных и других затрат. Таким образом, достижения НТР проявляются в будущем и для предприятия, и для общества как результат затрат, сделанных в прошлом[12]. Такой разрыв во времени между затратами на освоение новой техники и результатами от ее реализации и порождает противоречия между текущими экономическими интересами предприятия и их долговременными интересами. Особенно они обостряются сейчас, когда предприятия переходят на полный хозрасчет и самофинансирование. Невыгодность освоения новой техники ляжет тяжким бременем на экономику предприятия.

Подлинный хозрасчет (в отличие от коммерческого и других его разновидностей), будучи плановым методом хозяйствования, обеспечивает эффективность текущих результатов хозяйствования (текущее регулирование), экономию затрат на производство продукции. Хозрас-

---

10 «Правда», 1989, 8 января.

11 Предприятие, переходящее на хозрасчет, исходя из соображений текущей выгодности, нередко идет на сокращение работников в основном за счет инженерного персонала, что само по себе ведет к технологическому отставанию.

12 Сегодня все признают справедливым сокращение производственных капитальных вложений. Но это означает, что мы изначально закладываем в программу отставание технической сферы.

ეროვნული ბიბლიოთეკა



четная самостоятельность представляет собой синтез рыночной самостоятельности и плановой инициативы на основе последней. Однако хозрасчет сам по себе не обеспечивает и не может обеспечивать активное экономическое воздействие общества на развитие структуры потребностей, на движение имущественной дифференциации общества и социальной структуры производства. Он не может сам по себе обеспечить и концентрацию ресурсов для эффективной инновационной политики. Для эффективной реализации такой политики требуется не просто вмешательсвто государства в экономику на договорных началах со звеньями хозяйства, а именно функционирование его как общенародного экономического центра, как субъекта общенародного хозяйствования. Предвосхищаю вопрос: а не приведет ли это к всесилию бюрократии на новом витке истории развития общества? В связи с этим подчеркнем, что вряд ли имеет смысл говорить о ликвидации бюрократии в больших организациях. Задача заключается в том, чтобы заставить эту бюрократию работать на достижение целей· И здесь свою лепту должны вносить как формализованные. так и неформализованные структуры общества. Речь идет о демократизации хозяйственной жизни, уходе от технократических структур, обеспечении хозяйственного народовластия как универсального принципа управления. На предприятии, объединяющем сотни людей, важно уйти от сугубо технократических представлений о будущем. Люди нуждаются в видении того, кто будет v власти, как сложится их судьба в организации, каким будет вознаграждение. Формирование видения — это нечто большее, чем традиционное рациональное планирование. Оно включает в себя целостное представление об организации, ценностях, политических отношениях и т. п. Видение будущего обладает мощной мотивирующей силой, оно выходит за рамки локализованных звеньев хозяйствования[13]. Людям необходимо чувство цели, отсутствие которого может привести к снижению энтузиазма и ослаблению сплоченности персонала, следствием чего станет провал замыслов. Кстати, японские менеджеры, понимая важность развития чувства общей цели, стремятся к тому, чтобы каждый работник четко уяснил собственную ответственность за выживание и успех своей кампании (и не только своей). Большая же проблема американского бизнеса проистекает из его растущего нарциссизма и убежденности, что каждый должен искать выгоды для себя за счет других.

Внутренняя логика развития инвестиционной сферы предопределяет ограниченный характер расширения хозяйственной самостоятельности предприятий. В современных условиях, при высоком уровне концентрации производства и решающем влиянии НТП на экономическое развитие ставка на чисто рыночные регуляторы по меньшей мере недальновидна. Эта ориентация блокирует эффективное решение задач структурной политики, не обеспечивает поддержание сбалансированности в народном хозяйстве, ведет к усилению дифференциации отраслей и регионов, социальным конфликтам.

---

[13] Не случайно известный американский экономист П. Самуэльсон. анализируя экономическую роль государства, подчеркивает, что «человек сегодня, по-видимому, уже не руководствуется тем соображением, что «лучше всего регулирует то государство, которое меньше всего регулирует» (П. Самуэльсон, Экономика, Вводный курс, М.: 1964. С. 188).

ეროვნული ბიბლიოთეკა



Таким образом, первоочередная функция планирования и управления НТП — обоснование и проведение фундаментальных и прикладных исследований, а также разработок по приоритетным направлениям НТП, которые не могут быть выполнены на средства хозрасчетных предприятий и организаций и **не входят в систему их экономических интересов** (в силу высокой степени неопределенности в соотношении затрат и результатов), но в то же время обеспечивают значительное повышение эффективности общественного производства. Экономической границей реализации данной функции является способность хозрасчетных предприятий и организаций самостоятельно финансировать разработку и внедрение новшеств.

Представлена Отделом воспроизводства и экономической эффективности капитальных вложений Института экономики АН Грузинской ССР

ეროვნული
ბიბლიოთეკა

„მაცნე“, ეკონომიკისა და სამართლის სერია, 1990, № 1

დავით თოდრაძე

# რესპუბლიკის სამრეწველო-ტერიტორიული სისტემის განვითარების ზოგიერთი საკითხი

ჩვენი ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებასთან დაკავშირებით სკკპ XXVII ყრილობაზე დასახული ამოცანების გადაწყვეტა საზოგადოებრივი წარმოების ინტენსიფიკაციასთან ერთად მოითხოვს მისი ტერიტორიული ორგანიზაციის სრულყოფასაც.

სახალხო მეურნეობის დაგეგმვისადმი ამგვარ მიდგომას საფუძვლად უდევს მარქსისტულ-ლენინური თეორიის ცნობილი დებულება შრომის ტერიტორიული დანაწილების შესახებ, რომელიც მარქსმა განსაზღვრა, როგორც წარმოების ცალკეული დარგების მიმაგრება ქვეყნის გარკვეული რაიონებისადმი[1].

ოპტიმალური დარგობრივი და ტერიტორიული პროპორციების დადგენა ყოველი რეგიონის ეკონომიკური და სოციალური განვითარების არსებითი ფაქტორია[2].

როგორც ცნობილია, სახალხო მეურნეობის წამყვან დარგს წარმოადგენს მრეწველობა, ამიტომ საწარმოო ძალების ტერიტორიულ სტრუქტურას, სახალხო მეურნეობრივი კომპლექსის სპეციფიკას, მნიშვნელოვნად განსაზღვრავს სამრეწველო-ტერიტორიული სისტემა.

სამრეწველო-ტერიტორიული სისტემების შესწავლა დღეს განსაკუთრებით აქტუალურია. მათში მიმდინარეობს მრავალი რთული, პროცესი, ძლიერდება წარმოების კონცენტრაცია და სპეციალიზაცია, იცვლება მრეწველობის დარგობრივი სტრუქტურა, მოწინავე მეცნიერებატევადი დარგების განვითარების საფუძველზე იზრდება არალითონტევადი წარმოებებისა და მომსახურების სფეროს ხვედრითი წილი და სხვა. შესაბამისად იზრდება ინტერესი სამრეწველო-ტერიტორიული სისტემის მართვისა და დაგეგმვის საკითხებისადმი. აუცილებელი ხდება მათი განვითარების კომპლექსური გეგმების შემუშავება. სადღეისოდ მეტად მნიშვნელოვანია მოკავშირე რესპუბლიკების სამრეწველო-ტერიტორიული სისტემების ფუნქციონირების შესწავლა.

მოკავშირე რესპუბლიკის სამრეწველო-ტერიტორიული სისტემა წარმოადგენს მრეწველობის დარგებისა და საწარმოების რთულ შერწყმას, რომელიც ვითარდება მრეწველობის გაადგილების საერთო კანონების საფუძველზე, ადგილობრივი ბუნებრივ-ეკონომიკური რესურსების გარკვეული სტრუქტურის არსებობის და ნაციონალურ-პოლიტიკური ფაქტორის გათვალისწინებით.

---

[1] Маркс К. Энгельс Ф. Сочинения, т. 23, с. 366.

[2] ა. გუნია. მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ეკონომიკური პრობლემები საქართველოში. თბ. „მეცნიერება“ 1983. გვ. 325.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



საქართველოს სამრეწველო-ტერიტორიული სისტემის ფუნქციონირების შესწავლას დიდი მნიშვნელობა აქვს საქართველოს სსრ კომპარტიის XXVII ყრილობაზე წამოყენებული საწარმოო ძალების განლაგების ვრცელი პროგრამის განხორციელებისათვის[3].

საქართველოს სამრეწველო კომპლექსი აერთიანებს მრავალი დარგის საწარმოებს, რომელთა ეფექტიანი ფუნქციონირებისათვის მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის სხვადასხვა ღონისძიებების გატარებასთან ერთად აუცილებელია მათი ისეთი ტერიტორიული განლაგება, რომლის დროსაც ეს საწარმოები უზრუნველყოფილი იქნებიან შრომითი რესურსებით, შრომის საგნებითა და საშუალებებით, ტრანსპორტით მინიმუმამდე დაიყვანება არარაციონალური გადაზიდვები, დაცული იქნება ეკოლოგიური ნორმები. ყველა ამ პირობათა უზრუნველყოფა კი ცალკეული კონკრეტული ღონისძიებების გატარებას მოითხოვს. პრობლემის გადაწყვეტა შესაძლებელი ხდება მხოლოდ კომპლექსური მიდგომის საფუძველზე.

რესპუბლიკის სამრეწველო-ტერიტორიული სისტემის თანამედროვე მდგომარეობა მნიშვნელოვან გაუმჯობესებას საჭიროებს. ამას აქვს გარკვეული სუბიექტური და ობიექტური მიზეზები. სუბიექტურ ფაქტორად უნდა ჩაითვალოს ის გარემოება, რომ მრეწველობის ტერიტორიული განლაგების საკითხებს სათანადო ყურადღება არ ექცეოდა ძირითადი გეგმისწინა და აქედან გამომდინარე საგეგმო დოკუმენტების შედგენის დროს. სამრეწველო-ტერიტორიული სისტემა არ განიხილებოდა როგორც ერთიანი, მთლიანი ორგანიზმი. მეურნეობრივად რთულად ასათვისებელი ვრცელი მთიანი მასივების არსებობა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ობიექტური ფაქტორია რომელიც უარყოფითად ზემოქმედებს მრეწველობის ტერიტორიულ სტრუქტურაზე.

საზოგადოდ რესპუბლიკის სამრეწველო-ტერიტორიული სისტემის განვითარების სპეციფიკას განსაზღვრავს მისი ფორმირების ბუნებრივი და სოციალურ-ეკონომიკური წანამძღვარები.

საქართველოს სამრეწველო-ტერიტორიული სისტემის ჩამოყალიბებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს ბუნებრივი პირობების თავისებურებანი, ამიტომ მათი სწორი შეფასება აუცილებელია რესპუბლიკაში მიმდინარე სამეურნეო პროცესების შესასწავლად.

როგორც აღვნიშნეთ, მთიანი რელიეფი უარყოფითად მოქმედებს საქართველოს მრეწველობის ტერიტორიულ სტრუქტურაზე, მიუხედავად ამისა მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის განვითარების თანამედროვე მაღალი დონე ურთულესი რეგიონების სამეურნეო ათვისების საშულებას იძლევა.

მეორე მხრივ, რესპუბლიკის ბუნებრივ პირობებთანაა დაკავშირებული მოპოვებითი მრეწველობის განვითარებისათვის საჭირო მრავალფეროვანი ნედლეულის არსებობა.

უნიკალურმა ნიადაგურ-კლიმატურმა პირობებმა განაპირობა სასოფლო-სამეურნეო კულტურების მრავალფეროვნება, რაც კვებისა და მსუბუქი მრეწველობის ფართოდ განვითარების შესაძლებლობებს ქმნის.

რესპუბლიკაში უზარმაზარი ჰიდროენერგორესურსების არსებობა გამოწვეულია მთიანი რელიეფისა და უხვი ატმოსფერული ნალექების შერწყმით.

გარკვეული სამრეწველო მნიშვნელობა აქვს სათბობ-ენერგეტიკულ

---

3 საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობა. თბ. 1986. გვ. 34.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რესურსებს (ტყიბულისა და ტყვარჩელის ქვანახშირი, სამგორი-პატარძეულის ნავთობის საბადო) და ტყის რესურსებს. რესპუბლიკის ენერგორესურსების პერსპექტიული წყაროა მზისა და ქარის ენერგიის გამოყენება.

სამრეწველო-ტერიტორიული სისტემის ფორმირებაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება სოციალურ-ეკონომიკურ წანამძღვრებს, რომელთაგან ძირითადია:

— ისტორიული წანამძღვარები,

— ეკონომიკურ-გეოგრაფიული მდებარეობა,

განსახლების სისტემა,

— ინფრასტრუქტურა.

საქართველოში სამრეწველო წარმოების განვითარებას აქვს ღრმა ისტორიული ფესვები, რომლებიც ჯერ კიდევ ფეოდალურამდელ ხანაში ჩაისახა და საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციების ცვლილებებთან ერთად მნიშვნელოვან პროგრესულ ძვრებს განიცდიდა.

რესპუბლიკას აქვს მეტად ხელსაყრელი ეკონომიკურ-გეოგრაფიული მდებარეობა მრეწველობის განვითარებისათვის. ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორია შავი ზღვისპირა მდებარეობა, რაც საზღვაო ტრანსპორტის, თევზის მრეწველობის, საექსპორტო პროდუქციის გამოშვების, ზღვით შემოტანილი ნედლეულის გადამუშავების, ზღვისპირეთის რეკრეაციულ-სამრეწველო კომპლექსის განვითარების საფუძველია.

ფრიად ხელსაყრელია საქართველოს სატრანსპორტო-გეოგრაფიული მდებარეობაც.

სამრეწველო-ტერიტორიულ სისტემასა და განსახლების სისტემას შორის მჭიდრო ურთიერთგანმაპირობებელი კავშირებია. ჩვენი რესპუბლიკის განსახლების სისტემა მეტად თავისებური ხასიათისაა. 75,6 კაცი 1 კვ/კმ-ზე[4] საშუალო სიმჭიდროვის დროს, ეს მაჩვენებელი ძლიერ ვარირებს რესპუბლიკის სხვადასხვა რეგიონების მიხედვით, რაც მრეწველობის ტერიტორიულ სტრუქტურაზეც აისახება.

საქართველოსათვის დამახასიათებელია მნიშვნელოვანი რაოდენობის, მაღალი კვალიფიკაციისა და ზოგადი განათლების მქონე შრომითი რესურსები.

ინფრასტრუქტურის განვითარების მხრივ საქართველო შეიძლება ჩაითვალოს საშუალოდ განვითარებული საწარმოო და სოციალური ინფრასტრუქტურის მქონე რესპუბლიკად.

საბოლოოდ შეიძლება ითქვას, რომ რესპუბლიკაში არსებობს მრეწველობის განვითარებისათვის საჭირო გარკვეული ფაქტორების ხელსაყრელი შეთანაწყობა, რომელთა ბაზაზეც ყალიბდება სამრეწველო-ტერიტორიული სისტემა.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ საქართველოში ფართოდ გაიშალა სამრეწველო წარმოება. მიუხედავად ამისა, სადღეისოდ რესპუბლიკისათვის დამახასიათებელია მკვეთრი არათანაბარზომიერება მრეწველობის განლაგებაში. ამის გამო ცალკეული ბუნებრივ-ეკონომიკური ზონების ინდუსტრიული განვითარების დონეებში შეიმჩნევა არსებითი განსხვავებანი. რესპუბლიკის მთლიანი სამრეწველო პროდუქციის თითქმის 70%-ს[5] აწარმო-

---

[4] Грузия в цифрах в 1986 г. Тб., „Сабчота Сакартвело", 1987 г. с. 4.

[5] Схема развития и размещения производительных сил ГССР, Тб., 1988, с. 572, табл. 7.1.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ებს ინდუსტრიული ხასიათის ორი ბუნებრივ-ეკონომიკური ზონა — ცენტრალური აღმოსავლეთის და ცენტრალური დასავლეთის. ამ დროს ცალკეული ბუნებრივ-ეკონომიკური ზონები (სამხრეთის, აღმოსავლეთის, დასავლეთის.) ინარჩუნებენ ძირითადად სასოფლო-სამეურნეო ხასიათს.

მართალია, ზოგიერთი ზონის არასაკმარისი ინდუსტრიული პროფილი გარკვეულ წილად კომპენსირდება სასოფლო-სამეურნეო წარმოების მაღალი ხვედრითი წილით, მაგრამ საერთო ეკონომიკური განვითარებით ისინი ან საშუალო რესპუბლიკურ დონეზე არიან ან მნიშვნელოვნად ჩამორჩებიან მას.

საქართველოს სამრეწველო-ტერიტორიული სისტემის თავისებურებას წარმოადგენს ინდუსტრიული წარმოების თავმოყრა ცენტრალური აღმოსავლეთის ბუნებრივ-ეკონომიკურ ზონაში, მდინარე მტკვრის ხეობაში. აქ გამოკვეთილია ინდუსტრიული შეჯგუფება თბილის-რუსთავის სამრეწველო კვანძის სახით — ერთადერთი რაიონი რესპუბლიკაში, რომელიც მკვეთრად გამოხატულ ინდუსტრიულ ხასიათს ატარებს. მართალია, უკანასკნელ ხუთწლედში ქ. თბილისში წარმოებული სამრეწველო პროდუქციის ხვედრითი წილი რესპუბლიკის მრეწველობის პროდუქციაში შემცირდა (1980 წლის 31%-დან 1985 წლის 30%-მდე)[6]. რაც დადებით მოვლენად უნდა ჩაითვალოს, მაგრამ ქალაქ რუსთავსა და ამ რაიონის სხვა ინდუსტრიულ ცენტრებში მრეწველობის განვითარებამ გამოიწვია მდინარე მტკვრის ხეობაში სამრეწველო წარმოების შემდგომი კონცენტრაცია.

საბჭოთა ხელისუფლების წლებში დასავლეთ საქართველოში განვითარდა სამრეწველო საწარმოთა მშენებლობა. ეს იყო ნაკარნახევი არა მარტო მრეწველობის დარგების მიახლოების საჭიროებით სანედლეულო ბაზასთან, არამედ რესპუბლიკის ტერიტორიაზე მათი განლაგების გამოთანაბრების აუცილებლობით. მიუხედავად ამისა ჯერ კიდევ ვერ მოხერხდა მრეწველობის მიზიდვის გადალახვა უკვე ჩამოყალიბებული, თბილისის ტერიტორიულ-საწარმოო კომპლექსისაკენ.

თბილისი რესპუბლიკის მთავარი ქალაქია. აქ, როგორც დედაქალაქში თავმოყრილია რესპუბლიკის ყველა ცენტრალური და დარგობრივი ხელმძღვანელი ორგანოები. ქალაქის შედარებით მცირე ტერიტორიაზე კონცენტრირებულია სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგის კვალიფიცირებულ მუშაკთა უზარმაზარი რესურსები, უმაღლესი და სპეციალური სასწავლებლების მაღალკვალიფიცირებული სამეცნიერო-კოლექტივები, წამყვანი სამრეწველო საწარმოების, დარგობრივი სამეცნიერო-კვლევითი და ტექნოლოგიური ინსტიტუტების, საკონსტრუქტორო და საპროექტო ორგანიზაციების, ფუნდამენტურ კვლევაში ჩართული ლაბორატორიების მჭიდრო თავმოყრა ქმნის შესანიშნავ პირობებს მეცნიერებისა და წარმოების უშუალო შეკავშირებისაკენ.

სამინისტროებისა და უწყებების ხელმძღვანელებს გააჩნიათ საუკეთესო შესაძლებლობანი იმისათვის, რომ მეცნიერებისა და ტექნიკის უკანასკნელი მიღწევები დანერგონ თბილისისა და მიმდებარე ტერიტორიების საწარმოებში, ხოლო გამოცდის შემდეგ გაავრცელონ მთელი რესპუბლიკის მასშტაბით.

მაშასადამე დედაქალაქის თავისებურებათა გამო, თბილისში იქმნება და რეალიზაციას პოულობს წარმოების ეფექტიანობისა და მუშაობის ხარისხის ამაღლების ყველაზე ხელსაყრელი პირობები. სწორედ ამიტომ, ყველა სამი-

[6] Народное хозяйство города Тбилиси в 1985 году, Тб. 1986, с. 27.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნისტრო და უწყება ცდილობს მაქსიმალურად გააფართოვოს არსებული, ან ააშენოს ახალი საწარმო-დაწესებულებანი ქალაქის ტერიტორიაზე[7].

ამ პროცესს ხელს უწყობს კიდევ ერთი მნიშვნელოვანი გარემოება. საქმე ისაა, რომ თბილისი დიდი ქალაქია, რომელსაც გააჩნია მაღალგანვითარებული საქალაქო მეურნეობა, ამიტომ ამგვარ ბაზაზე ახალი საწარმოების შექმნა შედარებით იაფი ჯდება. როცა საწარმო ან ორგანიზაცია შენდება „ცარიელ“ ადგილას, დარგი დიდ თანხას გამოყოფს ახალი საცხოვრებელი ფონდის, საინჟინრო კომუნიკაციების, საზოგადოებრივი ტრანსპორტის, სკოლების, კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურების ქსელის, საზოგადოებრივი კვების, მაღაზიების და სხვა დაწესებულებების შესაქმნელად. თბილისში კი ეს ყველაფერი უკვე არის. ამგვარად, იქმნება შთაბეჭდილება, თითქოს ყველაფერი ამის შესაქმნელად დამატებითი ხარჯები არ მოითხოვება და თბილისში ახალი სიმძლავრეებისა და ახალი ორგანიზაციების შექმნისას მრეწველობის დარგობრივი ხელმძღვანელი ორგანოები იღებენ ეგრეთ წოდებულ აგლომერაციის ეფექტს. ისინი თითქოს უფასოდ სარგებლობენ იმით რაც უკვე არსებობს და სახსრებს მხოლოდ სამრეწველო მშენებლობაზე ხარჯავენ.

ამ საკითხში მათი ინტერესები არ ემთხვევა თბილისის რაიონის ერთიანი სახალხომეურნეობრივი კომპლექსის ინტერესებს, რადგან ეს ყველაფერი მთელი სახალხო მეურნეობის პოზიციებიდან გამომდინარე სულ სხვაგვარად გვესახება: თბილისში თავისუფალი შრომითი რესურსები არ არის. ახალი სამუშაო ადგილის შექმნით სამინისტრო იძულებულია მოიზიდოს დამატებითი მუშახელი. ამასთან, იმდენად, რამდენადაც ქალაქში არსებული ტერიტორიები თითქმის მთლიანად დაკავებულია, აუცილებლობით გამოწვეული საქალაქო მეურნეობის განვითარება ხდება ქალაქის ცენტრისა და შრომის ადგილებისაგან სულ უფრო და უფრო მოშორებით. კომუნიკაციები „იწელება“, მათი სიმძლავრეები (წყალგამტარების დიამეტრები, სატრანსპორტო მაგისტრალების სიგანე) გამუდმებით უნდა იზრდებოდეს, მწვავდება ეკოლოგიური პრობლემები.

ყველაფერი ამის შედეგია ის, რომ საბოლოო ჯამში თბილისში ახალი სამუშაო ადგილის შესაქმნელად საჭიროა მეტი სახალხომეურნეობრივი დანახარჯები, ვიდრე შედარებით მცირე დასახლებულ პუნქტში.

რესპუბლიკის სამრეწველო-ტერიტორიული სისტემის განვითარების ამგვარი ტენდენციები, რომლებიც არ შეესაბამება მრეწველობის რაციონალური ტერიტორიული განლაგების პრინციპებს, მნიშვნელოვნად იყო დამახასიათებელი ეგრეთ წოდებული უძრაობის პერიოდისათვის, რამაც სამრეწველო-ტერიტორიული სისტემის დეფორმაციამდე მიგვიყვანა.

საქართველოს ცენტრალური აღმოსავლეთის და ცენტრალური დასავლეთის ბუნებრივ-ეკონომიკურ ზონებში მრეწველობა წარმოდგენილია მოწინავე, უმნიშვნელოვანესი დარგებით, რაც ამ რეგიონის შედარებით უფრო მაღალ ეკონომიკურ განვითარებაში აისახება. (მრეწველობის ხვედრითი წონა მათ მიერ წარმოებულ ეროვნულ შემოსავალში 2-3-ჯერ აღემატება სოფლის მეურნეობის შესაბამის მაჩვენებელს[8]. დასავლეთის, აღმოსავლეთის და აფ-

[7] Б и т у н о в В. В. Отрасль и территория. М., 1987, с. 149.

[8] ე. კ ო ბ ა ხ ი ძ ე. სსრ კავშირისა და საქართველოს ტერიტორიულ-საწარმოო კომპლექსები. თბ., „განათლება“, 1988 წ. გვ. 637.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხაზეთის ბუნებრივ-ეკონომიკურ ზონებში მრეწველობის ძირითად ნაწილს წარმოადგენს სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის გადამამუშავებელი დარგები. სამხრეთის და სამხრეთ ოსეთის ბუნებრივ-ეკონომიკურ ზონებში მრეწველობა საერთოდ სუსტადაა წარმოდგენილი. აგრარულ ხასიათს ატარებს აჭარის ბუნებრივ-ეკონომიკური ზონაც, მაგრამ მისი მრეწველობის განვითარების დონეს მნიშვნელოვნად სწევს მაღლა ინდუსტრიული ცენტრის — ბათუმის არსებობა.

რესპუბლიკის სამრეწველო კომპლექსი აერთიანებს მრავალი დარგის საწარმოებს, რის გამოც დიდი ყურადღება უნდა მიექცეს კომპლექსის შიგნით კანონზომიერად წარმოქმნილი დარგობრივი და ტერიტორიული პროპორციების შესწავლას.

ცალკეული დარგების პროდუქციის ხვედრითი წილი მრეწველობის მთლიან პროდუქციაში:[9]

მთელი მრეწველობა — 100%

ელექტროენერგეტიკა — 2,0%

სათბობი მრეწველობა — 2,0%

ქიმიური და ნავთობქიმიური მრეწველობა — 3,8%

მანქანათმშენებლობა და ლითონდამუშავება — 14,3%

ხის დამამუშავებელი და ცელულოზა-ქაღალდის მრეწველობა — 4,0%

საშენ მასალათა მრეწველობა — 5,6%

მსუბუქი მრეწველობა — 21,0%

კვების მრეწველობა — 37,6%

ფქვილ-ბურღულეულის და კომბინირებული საკვების მრეწველობა — 2,9%

როგორც ვხედავთ, საქართველოს მრეწველობის სტრუქტურაში ჭარბობს მსუბუქი და კვების ინდუსტრიის ხვედრითი წილი, რაც მეტყველებს, როგორც ამ დარგების განვითარების მაღალ დონეზე, ასევე რესპუბლიკის არასაკმარისი ინდუსტრიულ პროფილზე. ამის გამო საქართველოს მრეწველობის დარგობრივი სტრუქტურის ცვლილება, მძიმე მრეწველობის დარგების ხვედრითი წილის გაზრდის გზით დარგთაშორისი პროპორციების ოპტიმიზაციის აუცილებელ პირობას წარმოადგენს.

რესპუბლიკის მთლიან სამრეწველო პროდუქციაში უდიდესი წილი კვების მრეწველობაზე მოდის. (37,6%). კვების მრეწველობის უმნიშვნელოვანესი ცენტრებია: აღმოსავლეთის (ღვინის მრეწველობის ძირითადი რაიონები — გურჯაანი, თელავი, სიღნაღი, საგარეჯო.), დასავლეთის (სუბტროპიკული კულტურების გადამამუშავებელი დარგები, თამბაქოს მრეწველობა), აგრეთვე ცენტრალური დასავლეთის, ცენტრალური აღმოსავლეთის, სამხრეთის და სამხრეთ ოსეთის ბუნებრივ-ეკონომიკური ზონები (ხილ-ბოსტნეული კულტურების კონსერვების წარმოება.).

საქართველოს სსრ-ში წარმოებული სახალხო მოხმარების საქონლის მთლიან მოცულობაში განმსაზღვრელი როლი აქვს მსუბუქი მრეწველობის პროდუქციას. იგი შეადგენს მრეწველობის მთლიანი პროდუქციის 21%.

[9] Народное хозяйство ГССР в 1985 году. Тб., „Сабчота Сакартвело", 1986 г. с. 46.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მსუბუქი მრეწველობის საწარმოების განლაგება უკავშირდება რესპუბლიკის ძირითად ინდუსტრიულ რაიონებსა და ცენტრებს.

შედარებით თანაბრადაა განაწილებული რესპუბლიკის ტერიტორიაზე საშენ მასალათა მრეწველობის საწარმოები და უმეტეს შემთხვევაში სანედლეულო ბაზებს ემთხვევა.

ხე-ტყის დამამუშავებელი და ცელულოზა-ქაღალდის მრეწველობა კარგადაა განვითარებული დასავლეთის, აღმოსავლეთის (ახმეტა), აფხაზეთისა და სამხრეთ-ოსეთის ბუნებრივ-ეკონომიკურ ზონებში.

უკანასკნელ წლებში ფართოდ ვითარდება ქიმიური მრეწველობა. შენდება ახალი საწარმოები რუსთავში, ქუთაისში, ხონში, თბილისში.

შავი მეტალურგიის საწარმოები განლაგებულია რუსთავში, ზესტაფონსა და ჭიათურაში. ფერადი მეტალურგიის უმნიშვნელოვანესი საწარმოები მდებარეობს კვაისასა და კაზრეთში.

რესპუბლიკის მეტალურგიული კომპლექსი საჭიროებს თვისებრივად ახალი ტექნოლოგიური პროცესების დანერგვას, ტერიტორიული და ქვედარგობრივი პროპორციების ოპტიმალურ შეთანაწყობას.

საქართველოს სათბობ-ენერგეტიკული კომპლექსი სადღეისოდ საკმაოდ რთულ მდგომარეობაშია. ტყიბულისა და ტყვარჩელის საბადოებში მოპოვებული მადანი რესპუბლიკას არ აკმაყოფილებს, სამრეწველო მნიშვნელობის ნავთობის საბადოები დღეს პრაქტიკულად არ გაგვაჩნია. საქართველოს ელექტრობალანსი დადებითია[10].

მანქანათმშენებლობა ინდუსტრიალიზაციის დონის განმსაზღვრელი ფაქტორია სამწუხაროდ მრეწველობის ასეთი მნიშვნელოვანი დარგის პროდუქციის ხვედრითი წილი რესპუბლიკის მრეწველობის მთლიან პროდუქციაში 14,3%-ს არ აღემატება.

მანქანათმშენებლობის საწარმოები ძალზე არათანაბარზომიერადაა განლაგებული რესპუბლიკის ტერიტორიაზე. მათი მნიშვნელოვანი ნაწილი განაწილებულია ცენტრალური აღმოსავლეთის ბუნებრივ-ეკონომიკურ ზონაში. განსაკუთრებით კარგადაა განვითარებული მანქანათმშენებლობა თბილისის საქალაქო სამრეწველო კომპლექსში. მეორე ადგილზეა ცენტრალური დასავლეთის ბუნებრივ-ეკონომიკური ზონა, კერძოდ ქალაქი ქუთაისი. დასავლეთის ბუნებრივ-ეკონომიკურ ზონაში აღსანიშნავია ქალაქი ფოთი (გემთმშენებლობა) და ლანჩხუთი (ხელსაწყოთმშენებლობა). აჭარის მანქანათმშენებლობის ცენტრია ბათუმი. რესპუბლიკის დანარჩენ ტერიტორიაზე მოქმედებს მანქანათმშენებლობის მთავარ საწარმოთა ფილიალები, რომელთა წარმოების მასშტაბები უმნიშვნელოა.

საქართველოს ტერიტორიაზე მრეწველობის არათანაბარი განლაგების სურათს ართულებს აგრეთვე ის გარემოებაც, რომ ბუნებრივ-ეკონომიკური ზონების ინდუსტრიული განვითარების დონეებს შორის მკვეთრად გამოხატულ განსხვავებებთან ერთად არსებობს ამ ზონების შიგნით მრეწველობის განლაგების არათანაბარზომიერება.

ინდუსტრიულად ყველაზე განვითარებულ ცენტრალური აღმოსავლეთის ბუნებრივ ეკონომიკურ ზონაშიც კი, არსებობს ვრცელი ტერიტორიები, (აღ-

---

[10] ე. კობახიძე. სსრ კავშირისა და საქართველოს ტერიტორიულ-საწარმოო კომპლექსები. თბ. „განათლება“ 1988 წ. გვ. 50.

3. „მაცნე“, ეკონომიკისა და სამართლის სერია, 1990, № 1.

ეროვნული ბიბლიოთეკა



მოსავლეთ კავკასიონი, ქვემო ქართლი.), რომლებიც პრაქტიკულად მოკლებულია მსხვილ გადამამუშავებელ მრეწველობას.

რესპუბლიკის სამრეწველო-ტერიტორიული სისტემის ერთ-ერთ თავისებურებას წარმოადგენს არსებითი დისპროპორცია მრეწველობის განლაგებასა და სარესურსო სანედლეულო ბაზას შორის. აღმოსავლეთ საქართველოში იწარმოება რესპუბლიკის მთლიანი სამრეწველო პროდუქციის 3/5 ნაწილი. დაგეგმილი ღონისძიებების შედეგად ეს მაჩვენებელი 2005 წლამდე კიდევ უფრო გაიზრდება. (1). ამ დროს რესურსების ძირითადი ნაწილი კონცენტრირებულია დასავლეთ საქართველოში.

მიუხედავად იმისა, რომ ბოლო წლებში განხორციელდა რესპუბლიკის ავტონომიური ფორმირებების, ქალაქებისა და რაიონების სახალხომეურნეობრივი განვითარების დონის გამოთანაბრების ღონისძიებანი, ეკონომიკური და სოციალური განვითარების დონისათვის შექმნილი ტერიტორიული პროპორციები შემდგომ გაუმჯობესებას საჭიროებს. განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს მრეწველობის არათანაბარი განლაგება. სამრეწველო წარმოების სიმჭიდროვისა (პროდუქციის გამოშვება ტერიტორიის ერთეულზე) და საშუალოდ ერთ სულ მცხოვრებზე წარმოებული სამრეწველო პროდუქციის შეფარდება რესპუბლიკის ცალკეული ბუნებრივ-ეკონომიკური ზონების მიხედვით შეადგენს შესაბამისად ერთს ცხრასთან და ერთს 2,7-თან.

ხუთ შედარებით დიდ ქალაქში კონცენტრირებულია რესპუბლიკის სამრეწველო პოტენციალის ნახევარზე მეტი. მთიანი რაიონები ხასიათდება არასაკმარისი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონით, რაც უარყოფით გავლენას ახდენს ადგილობრივი მოსახლეობის შრომით მოწყობასა და ბუნებრივი რესურსების გამოყენების დონეზე[12].

საქართველოს სამრეწველო-ტერიტორიულ სისტემაში წარმოქმნილი ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად მიმართული ღონისძიებანი უნდა ისახებოდეს 2005 წლამდე პერიოდისათვის საქართველოს სსრ საწარმოო ძალთა განვითარებისა და განლაგების სქემაში. სქემის ძირითად დებულებებში აღნიშნულია, რომ სქემით გათვალისწინებულია რესპუბლიკის ტერიტორიაზე მრეწველობის უფრო თანაბარზომიერი განლაგება. ახალი სამრეწველო საწარმოების მშენებლობა უმთავრესად ნავარაუდევია მცირე და საშუალო ქალაქებში, სადაც არის ჭარბი შრომითი რესურსები, წყლისა დ ენერგომომარეგების მყარი წყაროები, ხელსაყრელი სატრანსპორტო პირობები. მთის რაიონების სამეურნეო აქტივიზაციის მიზნით სქემით გათვალისწინებულია მათი უპირატესი ინდუსტრიული განვითარება.

1990-2005 წლებისათვის საქართველოს სსრ საწარმოო ძალთა განვითარებისა და განლაგების სქემაში მოცემულია ამ პერიოდისათვის დაგეგმილი უმნიშვნელოვანესი ახალმშენებლობების ცხრილი. როგორც ცნობილია მძიმე მრეწველობა და პირველ რიგში მანქანათმშენებლობა განსაზღვრავს ამა თუ იმ რეგიონის ინდუსტრიული განვითარების დონეს. სამწუხაროდ ცხრილიდან ჩანს, რომ მანქანათმშენებლობის ახალ საწარმოთა განლაგებაში ფაქტიურად არ ხდება არსებითი ცვლილებები. ისინი კვლავ უკავშირდება უკვე ჩამოყა-

---

11 2005 წლამდე პერიოდისათვის საქართველოს სსრ საწარმოო ძალების განვითარებისა და განლაგების სქემის ძირითადი დებულებები. გაზ. „კომუნისტი" 11/X. 1989 წ.

12 იქვე.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ლიბებულ ინდუსტრიულ ცენტრებს. (თბილისი, რუსთავი, ქუთაისი, სამტრედია, ბათუმი, თბილისი-რუსთავის სამრეწველო კვანძი და სხვა.). თითქმის ასეთივე მდგომარეობაა მრეწველობის სხვა დარგების საწარმოთა განლაგებაში შეიმჩნევა კვლავ იმ რაიონებისაკენ მიზიდვის ტენდენცია, სადაც ამ დარგებს უპირატესი განვითარება ჰქონდათ. მართალია ცალკეული რაიონების სპეციალიზაციის გაღრმავება სამრეწველო-ტერიტორიული სისტემის განვითარების აუცილებელი პირობაა, მაგრამ იგი უნდა ხდებოდეს ამ რაიონების კომპლექსურ განვითარებასთან ერთად. მრეწველობის ტერიტორიული დაგეგმვისადმი ამგვარი მიდგომა ვერ უზრუნველყოფს ზემოთ არაერთხელ აღნიშნულ იმ უმნიშვნელოვანეს პირობას, რაც შიდარესპუბლიკური რეგიონების ინდუსტრიული განვითარების დონის გამოთანაბრებაში მდგომარეობს. დასახული ღონისძიებების განხორციელების შედეგად კვლავ გაიზრდება წარმოების კონცენტრაცია ცენტრალური აღმოსავლეთისა და ცენტრალური დასავლეთის ბუნებრივ-ეკონომიკურ ზონებში, სხვა ზონების სუსტი ინდუსტრიული დონის შენარჩუნების დროს. ამ გარემოების დამადასტურებელია ზემოხსენებულ სქემაში მოყვანილი „მრეწველობის ტერიტორიული სტრუქტურის გაუმჯობესების“ ცხრილი. (572 გვ).

დასახული ღონისძიებების განხორციელების შედეგად 1990 წლიდან 2005 წლამდე ცენტრალური აღმოსავლეთის ბუნებრივ-ეკონომიკურ ზონაში წარმოებული სამრეწველო პროდუქციის ხვედრითი წილი რესპუბლიკის მრეწველობის მთლიან პროდუქციაში გაიზრდება 1,13%-ით და გახდება 49,28%. იგივე მაჩვენებელი აღნიშნულ პერიოდში უმნიშვნელოდ გაიზრდება სამხრეთის, (0,79%-ით), სამხრეთ ოსეთის (0,21%-ით), ცენტრალური დასავლეთის (0,01%-ით) და აფხაზეთის (0,62%-ით) ბუნებრივ ეკონომიკურ ზონებში და შესაბამისად გახდება — 2,34%,—1,47%—18,21—6,34%.

ხვედრითი წილი რესპუბლიკის მრეწველობის მთლიან პროდუქციაში პირიქით შემცირდა აღმოსავლეთის, დასავლეთის და აჭარის ბუნებრივ-ეკონომიკურ ზონებში და შესაბამისად გახდება—7,84%—9,08%—5,43%.

როგორც დავინახეთ, რესპუბლიკაში 15 წლის მანძილზე დასახული ღონისძიებები, რომლებიც მიმართულია სამრეწველო-ტერიტორიული სისტემის სრულყოფისაკენ, ვერ უზრუნველყოფს ცალკეული რაიონების განვითარებაში შედარებითი უთანაბრობის შერბილებას, რაც აღნიშნულია 2005 წლამდე პერიოდისათვის საქართველოს სსრ საწარმოო ძალების განვითარებისა და განლაგების სქემის ძირითად დებულებებში. ამის გამო კვლავ გადაუწყვეტელი რჩება რესპუბლიკის ცალკეული რეგიონების მოსახლეობის მატერიალურ-კულტურული დონის ამაღლების საკითხი.

დიდ ქალაქებში, (კერძოდ თბილისში) სამრეწველო წარმოების კონცენტრაცია ართულებს მრავალ მნიშვნელოვან პრობლემას, სატრანსპორტოს ეკოლოგიურს, და სხვა.

სადღეისოდ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის განვითარების დონე იძლევა რესპუბლიკის სამრეწველო-ტერიტორიული სისტემის სრულყოფასთან დაკავშირებული ყველა ამოცანის თანდათანობითი გადაწყვეტის შესაძლებლობას.

დიდი ქალაქების ფუნქციონალური სტრუქტურის ტრანსფორმაცია, არა მარტო მისი მრავალი სპეციფიური პრობლემის გადაჭრის საშუალებას იძლევა (დაგეგმვითი ორგანიზაციის სრულყოფა, გარემოს გაუმჯობესება.). არამედ გა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზრდის მის წვლილს მცირე ქალაქების აქტივიზაციაში, რასაც შეიძლება აგრეთვე კომპენსირებული განვითარების პრინციპი ვუწოდოთ. ამის შესაბამისად მსხვილ ქალაქებში ახალი სამრეწველო ობიექტის შექმნა, თუ ეს დაკავშირებულია მნიშვნელოვან საერთო სახალხომეურნეობრივ მოთხოვნებთან, უნდა ხორციელდებოდეს ამ ქალაქებიდან უფრო დაბალი რანგის ცენტრებში არამაღალურბანიზირებული გარემოს მომთხოვნი ობიექტების, მაგალითად სერიული მასიური პროდუქციის გამომშვები საწარმოების გატანასთან ერთად.

მაგალითად ქ. მინსკის სამრეწველო სტრუქტურის ფორმირებაში შეიძლება სამი ეტაპის გამოყოფა. პირველი ხასიათდება საავტომობილო და სატრაქტორო მრეწველობის განვითარებით. მეორე — ჩარხმშენებლობის განვითარებით, მესამე — ხელსაწყოთმშენებლობით, ელექტრო და რადიოტექნიკით, და აგრეთვე ელექტრონიკით. მეორე ეტაპზე გადასვლის შემდეგ დაისვა საკითხი ქალაქიდან ავტოსატრანსპორტო მრეწველობის თანდათანობით გატანაზე, უფრო სწორად ამ დარგის განვითარებაზე ბელორუსიის სხვა ქალაქებში განლაგებულ ფილიალებსა და ქარხნებში. მესამე ეტაპის დადგომა ამ გზისკენვე უბიძგებს მინსკის ჩარხმშენებლობასაც[13].

სამწუხაროდ, საქართველოში ამგვარი ღონისძიებანი არ ხორციელდება მოთხოვნათა შესაბამისად.

თანამედროვე დიდი ქალაქების ზემოქმედების ზონაში, საწარმოო ობიექტების გადაადგილების მასშტაბები ჯერ ვერ უზრუნველყოფს უმსხვილესი ქალაქების ზრდის საკმარის შეზღუდვას. სამრეწველო საწარმოთა გაადგილების პროცესი აგლომერაციის ტერიტორიაზე მოიცავს მსხვილი ქალაქების სამრეწველო საწარმოთა საერთო მოცულობის დაახლოების 3—6%[14].

როგორც ლენინი აღნიშნავდა, „საზოგადოდ შრომის დანაწილებასთან უშუალოდ დაკავშირებულია... შრომის ტერიტორიული დანაწილება, ცალკეული რაიონების სპეციალიზაცია ერთი პროდუქტის, ზოგჯერ ერთი ხარისხის პროდუქტის, ან კიდევ პროდუქტის განსაკუთრებული ნაწილის წარმოებაში."[15] საქართველოს სამრეწველო-ტერიტორიული სისტემის განვითარებისათვის უდიდესი მნიშვნელობა უნდა მიექცეს შიდარესპუბლიკური რეგიონების სპეციალიზაციის გაღრმავებას, რადგან ხშირ შემთხვევაში ეს დარგები რესპუბლიკის კომპლექსური განვითარების დარგებს წარმოადგენს. თუ რაიონის სპეციალიზაცია მისი სახალხომეურნეობრივი ფუნქციაა, რაიონის კომპლექსურობა ამ სახალხომეურნეობრივი ფუნქციის ხარისხიანი ანუ ეფექტური შესრულების მთავარი პირობაა[16]. რესპუბლიკის მრეწველობის კომპლექსური განვითარება საშუალებას მოგვცემს განვიხილოთ რესპუბლიკის სამრეწველო-ტერიტორიული სისტემა როგორც ერთიანი კომპაქტური ორგანიზმი.

უნდა აღინიშნოს, რომ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი მრეწველობის ტერიტორიული განვითარების უზარმაზარ შესაძლებლობებს ქმნის. აფართოებს ტერიტორიული კონცენტრაციის საშუალებებს მის სხვადასხვა ფორმებ-

---

[13] Лаппо Г. М. Города на пути в будущее, М., 1987 г. с. 98.

[14] Бочаров Ю. П. Город и производство, М., 1980 г. с. 27.

[15] ვ. ი. ლენინი. თხზულებათა სრული კრებული. ტ. 3. გვ, 507,

[16] Алаев Э. Б. Эффективность комплексного развития экономического района, М., 1985 г. с. 29.

[17] Бочаров Ю. П. Город и производство, М. 1980 г. с. 22.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ში (ცენტრალიზაცია, აგლომერაცია), შლის კონცენტრაციის ფარგლებს იქ სადაც გარემო მდგომარეობის გაუარესება ხდება, სანედლეულო ბაზისა და გადამამუშავებელი მრეწველობის ერთმანეთისაგან მოწყვეტის ან დაახლოების საშუალებას იძლევა.

მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი, რომლის კერასაც წარმოადგენს მსხვილი ქალაქები, თვითონვე გვევლინება ამ ქალაქების განვითარებაში წარმოქმნილი „ვიწრო ადგილების" გადალახვის საშუალებად. მაგალითად ტერიტორიის დეფიციტის გადალახვა ხდება ვერტიკალური განვითარების საშუალებით — უფრო ენერგიული მაღლივი შენობები, მიწისქვეშა არეების ათვისება, ადრე გამოუდეგარად მიჩნეული მიწების გამოყენება[17].

ტრანსპორტის პრობლემა წყდება არსებულის გამუდმებული სრულყოფითა და ახალი ფორმების განვითარებით, ტვირთზიდვის რაციონალიზაციით. ამ უკანასკნელს ხელს უწყობს მასალატევადობის შემცირება, სამრეწველო წარმოების სტრუქტურის შეცვლა. ენერგომომარაგება გვარდება ერთიანი ენერგეტიკულ და გაზმომარაგებს სისტემის შექმნით, ატომური ელექტროცენტრალების მშენებლობით.

გარემოს მდგომარეობის გაუმჯობესებისაკენ მიმართული ღონისძიებებია:

— სახალხომეურნეობრივი კომპლექსის სტრუქტურული ცვლილებები, რომლის ერთ-ერთი შედეგია დაბალი მავნებლობის მქონე საწარმოების ხვედრითი წილის ზრდა.

— უფრო სრულყოფილ ტექნოლოგიებზე, უპირველეს ყოვლისა უნარჩენო ტექნოლოგიებზე გადასვლა.

— გაწმენდის მეთოდების გაუმჯობესება.

— ეკოლოგიური ინდუსტრიის საწარმოთა კომპლექსის შექმნა, რომელიც ორიენტირებულია ნარჩენის გადამუშავებაზე[18].

მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიმართულების ღონისძიებათა სტრუქტურის განსაზღვრის დროს უპირატესობა მათ შორის ისეთებს უნდა მივანიჭოთ, რომლებიც უფრო ეფექტიანია მოცემულ დარგში, მოცემულ რეგიონში[19].

ინდუსტრიულად მაღალგანვითარებული ტერიტორიების, კერძოდ მსხვილი ქალაქების ზრდის რეგულირების დღეისათვის არსებული ისეთი ადმინისტრაციული ზომები, როგორიცაა ახალი სამრეწველო მშენებლობების აკრძალვა და სხვა ტერიტორიიდან მოსული მუშახელის ამ ქალაქში ჩაწერის უფლების შეზღუდვა არაეფექტურია, რადგან ეს აკრძალვები სისტემატურად ირღვევა: „გამონაკლისის სახით" მაინც ხშირად დაიშვება მუშაკთა გარკვეული კონტიგენტის ჩაწერა და ასევე ახალი სამრეწველო ობიექტების მშენებლობა.

სადღეისოდ ყველაზე ეფექტურია ეკონომიკური ზომები,—გადასახადების დაკისრება საწარმო-ორგანიზაციებისათვის, რაც მოხმარდება საქალაქო მეურნეობის განვითარებასა და გარემოს გაუმჯობესებას.

გარკვეული შედეგი ექნებოდა აგრეთვე უწყებებისათვის არსებითი შეღავათების მიცემას მცირე ქალაქებსა და სუსტად განვითარებულ ინდუსტრიულ რაიონებში სამრეწველო საწარმოთა მშენებლობისას.

---

18 Лаппо Г. М. Города на пути в будущее, М., 1987 г. с. 99.

19 თ. ჩიკვაიძე. მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ეკონომიკური ეფექტიანობა საქართველოს სსრ მრეწველობაში. „მეცნიერება". თბ. 1985. გვ. 44.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ყველა ჩამოთვლილი პრობლემები კომპლექსურად უნდა იყოს განხილული რესპუბლიკის სამრეწველო-ტერიტორიული სტრუქტურის გაუმჯობესების საკითხის გადაწყვეტის დროს.

სამწუხაროდ ამ საკითხებს სათანადო ყურადღება არ დაეთმო საქართველოს სსრ-ს მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის კომპლექსურ პროგრამებში 1986-2005 და აგრეთვე 1991-2020 პერიოდებისათვის, რის გამოც სათანადო ასახვა ვერ პოვა რესპუბლიკის საწარმოო ძალთა განვითარებისა და განლაგების სქემაში 1991-2005 წლების პერიოდისათვის.

ამ დროის რესპუბლიკის სამრეწველო კომპლექსი გამუდმებით ვითარდება და რთულდება. ამასთან კავშირში შესაბამისად რთულდება სამრეწველო-ტერიტორიულ სისტემაში უკვე არსებულ პრობლემათა გადაწყვეტა. ამიტომ რესპუბლიკის სამრეწველო-ტერიტორიული სისტემის სტრუქტურის გაუმჯობესება საფუძვლიანად და კარდინალურად უნდა დაიწყოს დღესვე, რადგან შემდგომში ეს უფრო დიდ სირთულეებთან იქნება დაკავშირებული. მიზანშეწონილად მიგვაჩნია მიზნობრივი კომპლექსური პროგრამის შემუშავება, რომელიც კერძოდ იქნება მიმართული აღნიშნული პრობლემის გადაჭრისაკენ.

საწარმოო ძალთა განვითარებისა და განლაგების სქემა წარმოადგენს ეკონომიკური ზრდის ფაქტორების გეგმისწინა მეცნიერულ გამოკვლევას და წინ უძღვის ეკონომიკური და სოციალური განვითარების კონცეფციის ძირითადი მიმართულებებისა და ხუთწლიანი გეგმების შემუშავებას. ჩვენი აზრით, ამ სქემაში მეტი ყურადღება უნდა დათმობოდა მრეწველობის ტერიტორიული ორგანიზაციის გაუმჯობესებისაკენ მიმართულ ღონისძიებებს და მიგვაჩნია, რომ ისინი გათვალისწინებული უნდა იქნას ხანგრძლივი პერიოდისათვის შემუშავებულ საგეგმო დოკუმენტებში.

რესპუბლიკის ეკონომიკური და სოციალური განვითარების ძირითადი მიმართულებების განსაზღვრისას მხედველობიდან არ უნდა გამოგვრჩეს სახალხო მეურნეობის არც ერთი რგოლი, უნდა მივაღწიოთ მის ყოველმხრივ განვითარებას. ეს განსაკუთრებით საჭიროა ახლა, როცა ხდება რესპუბლიკის თანდათანობით გადასვლა სამეურნეო ანგარიშისა და თვითდაფინანსების პრინციპებზე.

Д. Н. ТОДРАДЗЕ

## НЕКОТОРЫЕ ВОПРОСЫ РАЗВИТИЯ ПРОМЫШЛЕННО-ТЕРРИТОРИАЛЬНОЙ СИСТЕМЫ ГРУЗИИ

Промышленно-территориальная система значительно определяет территориальную структуру производительных сил, специфику народнохозяйственного комплекса. Поэтому изучение путей повышения экономической эффективности, ее функционирования является чрезвычайно важной задачей. В работе описаны природные и социально-экономические предпосылки формирования промышленно-территориальной системы Грузинской ССР. Рассмотрено современное положение промышленно-территориальной системы Грузинской ССР. Выделены субъективные и объективные причины, повлекшие за собой деформацию промышленно-территориальной системы Грузинской ССР. Даны некоторые рекомендации практико-теоретического характера, способствующие развитию промышленно-территориальной системы Грузинской ССР.

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტის მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ეკონომიკური პრობლემების განყოფილებამ.

„მაცნე“, ეკონომიკისა და სამართლის სერია, 1990, № 1

ეროვნული ბიბლიოთეკა

М. И. ГОГОБЕРИДЗЕ, Р. Р. ГОЦИРИДЗЕ,
О. Л. РУХАДЗЕ, З. Р. ЧИНЧАЛАДЗЕ

# КОМПЛЕКСНАЯ ЭКОЛОГИЧЕСКАЯ ЭКСПЕРТИЗА* НАРОДНОХОЗЯЙСТВЕННЫХ ПРОЕКТОВ

На современном этапе развития общества, в условиях усиленного воздействия научно-технической революции на биосферу, при разработке схем расположения отраслей хозяйства и производственных сил, новой техники, технологии, и т. д., а также проектов строительства (реконструкции) тех предприятий и объектов, которые влияют на состояние среды и природных ресурсов, необходимость проведения экологической экспертизы не вызывает сомнения.

С учетом возрастающей социальной активности всех слоев населения, заинтересованных в улучшении состояния природной среды, рациональном использовании природных богатств, эту экспертизу необходимо проводить, привлекая широкую общественность. Такая экспертиза дает возможность сократить или даже полностью устранить экологические и другие просчеты, которые могут быть допущены при бесконтрольной разработке и реализации того или иного проекта.

В арсенале науки и техники в настоящее время имеются многие средства для целенаправленного преобразования природы, хотя это связано с издержками, но задача, которая стоит сегодня перед человечеством, заключается в том, чтобы перед осуществлением хозяйственных проектов найти наиболее оптимальное и экологически устойчивое решение, т. е. при минимальных издержках, не ухудшая биокосной системы, получить требуемые народнохозяйственный и социально-нравственный эффекты от планируемого мероприятия.

Нельзя забывать также, что когда расходы на охрану окружающей среды при осуществлении хозяйственных проектов вызывают некоторое снижение темпов роста национального дохода, своевременно проведенные природоохранные мероприятия в конечном счете приводят к повышению общественного благосостояния. И, что самое главное, в таком случае можно избежать крупных расходов на элиминацию последствий антропогенных воздействий.

Цель комплексной экологической экспертизы, которая, как правило, должна проводиться на начальной стадии проектирования, заключается в достижении сбалансированного равновесия между технико-экономическим ростом и обеспечением сохранности природных условий.

Комплексная экологическая экспертиза является обязательной для всех министерств и ведомств, преприятий и организаций, а также граждан, чья деятельность представляет опасность для состояния окру-

---

* В данном случае понятие «экологическая экспертиза» понимается не в тривиальном смысле, а шире, включая в себя рассмотрение вопросов экономических, социально-экономических, санитарно-гигиенических, вопросов безопасности людей, общественного мнения и т. д.

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

жающей среды, которая в зависимости от значения объекта, объема его предполагаемого вредного воздействия должна проводиться органами экологического контроля на ведомственном, межведомственном и региональном уровнях.

Проведение такой экологической экспертизы до последнего времени было связано с большими трудностями и часто носило формальный характер. Причин здесь много, но все-таки можно выделить основные.

Во-первых, результаты воздействия проектируемого объекта на окружающую среду в большинстве случаев недостаточно ясны, исходные данные в основном носят вероятностный характер, причинно-следственные связи во многих экологических «сюжетах» очень сложны и т. д.

Во-первых, довольно долгое время бытовало «ошибочное мнение, что подобные задачи могут решать только «специалисты-экологи». Но, как показала жизнь, современная экология с ее широким диапазоном деятельности представляет собой новый этап в развитии всех наук. Отныне прогресс в решении этих проблем может быть достигнут только объединенными усилиями специалистов разных областей знания.

И, что самое главное, в результате вышеотмеченного, отсутствовала элементарная методология проведения комплексной экологической экспертизы хозяйственных проектов. Более того, хотя в настоящее время при экспертизе различных проблем (технических, экономических, природоохранных, социальных и т. д.), связанных с тем или иным проектом, принимают участие довольно авторитетные научно-исследовательские организации или специалисты, но в их заключениях предусмотрены и защищены лишь интересы отдельных проблем, которые в большинстве случаев противоречивы (например, экономические и природоохранные проблемы). В результате происходит искусственное объединение отмеченных экспертиз и принятие решения с позиции заинтересованности заказчика, правительственных учреждений или организаций, т. е. лица, принимающего решения (ЛПР). При этом, как показывает практика последных лет, в подавляющем большинстве случаев точки зрения ЛПР и общества сильно отличаются, не говоря уже о тех негативных последствиях, которые сопровождают такие решения.

Поскольку взаимодействие того или иного решения с внешним окружением носит конфликтный характер, и осуществление этого решения преследует выполнение большого числа самых разнообразных противоречивых и не взаимозаменяемых целей, необходимо при проведении комплексной экологической экспертизы их «примирение», т. е. отыскание какого-то научно обоснованного компромиссного решения.

В этой связи нами разработана методология проведения комплексной экологической экспертизы при рассмотрении хозяйственных проектов. В основе этой методологии лежит использование принципов многоцелевой оптимизации (диалоговые процедуры «человек — ЭВМ», игровые критерии, экспертные оценки и т. д.). Предложенная методология позволяет раскрыть существо самой проблемы, подробно рассмотреть факторы (экономические, социально-экономические и др.), наиболее существенно влияющие на применяемые решения, возможные последствия в результате осуществления объекта, факторы риска и т. д.

Для проведения комплексной экологической экспертизы приглашаются группы высококвалифицированных специалистов-экспертов (экономии, биологии, геологии, сейсмологии, социологии, медицины, психологии и т. д.), а также заказчики, проектировщики, строители и представители общественности. В первом туре экспертная комисия ус-

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

танавливает все экзогенные факторы ($x_i$), как субъективного, так и объективного происхождения (входящие в укрупненные группы факторов: окружающая среда, экономические, социально-экономические, здоровья и безопасности населения, общественное мнение), связанные с реализацией рассматриваемого объекта. При обсуждении этих факторов решается вопрос их включения в процедуру исследования. Для каждого из них устанавливается шкала и пределы их изменений, а также взаимная связь между ними.

Следует отметить, что все факторы условно можно разделить на две группы: первая, оцениваемая количественно (естественная шкала), и вторая, которая не поддается количественному учету (искусственная шкала). Например, к первой группе относятся затраты на необходимые мероприятия по безопасности, эффективности и надежности предполагаемого объекта, капиталовложения и т. п., а ко второй — эстетическое влияние объекта, социальные удобства или неудобства, психологические факторы, вызванные страхом перед обеъктом и т. п.

Экспертная комиссия, рассматривая факторы, осуществляет их ранжирование. При этом используются такие методы экспертных оценок, как метод «мозгового штурма» («мозговой атаки»), метод Дельфи и т. д.

Факторы по характеру их проявления условно подразделяются на две группы с положительным и отрицательным эффектом.

Для одновременного учета в целевой функции рассматриваемых факторов, имеющих различную размерность, необходимо их сведение к единой ситеме оценок с учетом весовых коэффициентов ($K_i$).

При этом во втором туре экспертизы группы экспертов производят оценку весовых коэффициентов исследуемых факторов при помощи установления ценностных соотношений между ними и определяют одномерные функции полезности отделных факторов $a_i = f(x_i)$.

На основе анализа зависимостей между факторами устанавливается вид целевой функции (аддитивная или мультипликативная), который в последующем проверяется и подлежит корректировке путем анализа чувствительности, что обеспечивает получение достоверных результатов.

Процедура решения вышеупомянутых этапов поставленной задачи является логическим и в какой-то степени творческим процессом, однако большая часть данной работы поддается формализации и реализуется в диалоговом режиме «человек — машина».

Предложенную методологию можно применить при комплексной экологической экспертизе любых хозяйственных проектов: перспективных и годовых государственных планов; территориальных комплексных схем; размещения и строительства производственно-хозяйственных объектов; планировки и застройки городов и других населенных пунктов и т. д.

Одновременно методологию можно использовать для оптимизации доминирующих параметров объектов на первой стадии проектирования. Для потверждения сказанного ниже приводится пример установления оптимальной высоты арочной плотины ($H_{опт}$) в пределах от 0 до 200 м.

Некоторые исходные данные и результаты исследования даются в таблице и на рисунке. Анализ результатов показывает, что с учетом рассматриваемых факторов оптимальная высота плотины составляет $H_{опт} = 150$ м.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## РАССМАТРИВАЕМЫЕ ФАКТОРЫ И ДИАПАЗОН ИХ ИЗМЕНЕНИЙ

| ФАКТОРЫ | Единица измерения | | |
|---|---|---|---|
| Среднегодовая выработка электроэнергии | млн кВт. ч | 0 | 1660 |
| Приведенные затраты ГЭС | млн руб. | 0 | 60 |
| Аварийный резерв в энергесистеме | балл | 0 | 5 |
| Улучшение водоснабжения и ирригации | балл | 0 | 4 |
| Регулирование стока | балл | 0 | 3 |
| Благоустройство рекреационных зон | балл | 0 | 3 |
| Применение снятого плодородного слоя почвы | га | 0 | 120 |
| Санитарно - гигиенические, эпидемиологические и паразитологические | балл | 0 | 3 |
| Биологические (изменение флоры, фауны и т. д.) | балл | 0 | 8 |
| Социально - экономические (миграция населения, потери культурных и исторических памятников и т. д.) | балл | 0 | 8 |
| Геолого - геоморфологические | балл | 0 | 8 |
| Гидрогеологические | балл | 0 | 6 |
| Ущерб при возможном разрушении плотины | млн руб. | 0 | 120 |

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტის მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ეკონომიკური პრობლემების განყოფილებამ.

Примечание: факторы, измеряющиеся с помощью искусственных шкал (балл) оценивались вероятностными методами.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ქეთევან წიკლაური

# ოჯახური იჯარა—მისი არსი და გამოყენების ეკონომიკური ეფექტიანობა

მეურნეობათა ეკონომიკური დონის ამაღლება დამოკიდებულია შიდა სამეურნეო ანგარიშის დანერგვასა და მის თანმიმდევრულ განხორციელებაზე, ბრიგადული, ოჯახური და ინდივიდუალური ანუ პირადი იჯარის დანერგვაზე. შრომის ორგანიზაციის ეს ფორმები საშუალებას გვაძლევს საგრძნობლად გააუმჯობესოთ მეურნეობათა ეკონომიკური მდგომარეობა, გავზარდოთ შრომის ნაყოფიერება და სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოება, რაც მართვისა და მეურნეობრიობის მექანიზმის სისტემის სრულყოფაზე, სოფლად სოციალური პირობების გარდაქმნაზე და ადამიანის ფაქტორის გააქტიურებაზე გადასვლას გულისხმობს.

ოჯახური იჯარა შრომის ორგანიზაციის ისეთი ფორმაა, რომლის დროსაც ხდება ოჯახის ყველა შრომისუნარიანი წევრის, მოზარდის, პენსიონერის ჩაბმა საზოგადოებრივ საქმიანობაში, ე. ი. შრომითი რესურსების, ადგილობრივი ბუნებრივ-ეკონომიკური პირობების, არსებული რეზერვების მაქსიმალური გამოყენება, პროდუქციის წარმოების ზრდა პროდუქტიულობისა და მოსავლიანობის გადიდებით, ერთეულ პროდუქციაზე ფულად-მატერიალური, დანახარჯების შემცირება, მატერიალურ-ფინანსური რესურსების ეფექტიანი გამოყენება სრული სამეურნეო ანგარიშის დანერგვით ადგილისა და დროის კონკრეტულ პირობებში.

ოჯახური იჯარა ბრიგადული იჯარის მსგავსად ინერგება იქ, სადაც უფრო ხელმისაწვდომი და ეფექტიანი იქნება. იჯარა შეიძლება ყველგან დაინერგოს, მაგრამ მაღალმთიან რაიონებს უფრო მიესადაგება მისი დანერგვა, სადაც ბუნებრივი პირობები უფრო მკაცრია, მიმოსვლა გაძნელებულია და ფაქტიურად მოწყვეტილნი არიან ცენტრიდან. სამუშაოთა მეტი ნაწილი ხელით სრულდება, ნაკვეთები დანაწევრებულია, მთაგორიანია, დაბალია მექანიზაციის გამოყენების დონე და სხვა.

ოჯახური იჯარის საშუალებით შესაძლებლობა იქმნება ადგილზე იქნეს დამაგრებული და დასაქმებული მთის მოსახლეობა, მისი მეშვეობით მაღლდება შრომის დისციპლინა, რაც ხელს უწყობს ერთის მხრივ სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების ზრდას, მისი თვითღირებულების შემცირებას, მეურნეობათა ეკონომიკური დონის ამაღლებას და მეორეს მხრივ იჯარის ყველა წევრის ჩაბმას შრომის პროცესში, მათ გააქტიურებას და ოჯახის შემოსავლის მნიშვნელოვან მატებას. მაშასადამე, ოჯახური იჯარა ორმხრივ სასარგებლო, ხელსაყრელი და შრომის ნაყოფიერების გაზრდის უმნიშვნელოვანესი რეზერვია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოჯახური იჯარის საფუძველია ის, რომ იჯარაში ჩართული ოჯახი, კისრულობს ვალდებულებას მეურნეობიდან მიიღოს პირუტყვის გარკვეული რაოდენობა ან მიწის ნაკვეთი, ან ორივე ერთად, აწარმოოს ხარისხიანი პროდუქცია ტექნოლოგიური რუქით გათვალისწინებულ ვადებში და მეურნეობას ჩააბაროს ნატურით, ხოლო მეურნეობა ვალდებულია მოიჯარე ოჯახს შეუქმნას შრომის ნორმალური პირობები, დააკმაყოფილოს მატერიალური საშუალებებით, შეუფერხებლად გამოუყოს ოჯახის საწარმოო დავალებიდან გამომდინარე საკვები სახეების მიხედვით, განახორციელოს ზოოვეტერინალური მომსახურება და შრომა აუნაზღაუროს წარმოებული პროდუქციის ხარისხისა და რაოდენობის მიხედვით, შესაბამისი თანრიგის სატარიფო შეფასების საფუძველზე.

ყოველივე ეს გაფორმებულია ხელშეკრულებით, ხელშეკრულების ერთი ცალი რჩება ოჯახს, ხოლო მეორე ცალი მეურნეობას, რომელიც ორმხრივ ვალდებულებას ითვალისწინებს და დამოწმებულია მეურნეობისა და სასოფლო საბჭოს აღმასკომის ორი ბეჭდით.

ამის შემდეგ მას უკვე კანონის ძალა აქვს და ორივე მხარე მატერიალურად პასუხისმგებელია მის შესრულებაზე. მისი მოქმედების ვადაა 1-3 და არა უმეტეს 5 წელი.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემია დიდ ღონისძიებებს ატარებს მაღალმთიანი რაიონების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების კომპლექსური შესწავლისათვის. ამ მიზნით ხშირად გვიწევს ექსპედიციები და მივლინება მთიან რაიონებში. ჩვენი საკვლევი ობიექტების ეკონომიკური ანალიზიდან და დაკვირვებიდან გამომდინარე ეხლანდელ ვითარებაში მიზანშეწონილად მიგვაჩნია სოფლის მეურნეობის პროდუქციის საწარმოებლად ბუნებრივ-ეკონომიკური პირობების უკეთ გამოყენება ოჯახური იჯარის გზით, რაც წარმოშობს მეურნეობის მუშაკთა დაინტერესების ამაღლებას, მოსახლეობის მიგრაციის შემცირების პირობებს, ვინაიდან ოჯახის წევრთა შრომითი საქმიანობა და შემოსავალი ოჯახური იჯარის პირობებში განისაზღვრება ოჯახში წარმოებული და სახელმწიფოსათვის მიყიდული პროდუქციით.

ოჯახური იჯარა ჩვენს რესპუბლიკაში ჩამოყალიბდა სხვადასხვა სახით:

1.—ოჯახური იჯარა, როგორც ბრიგადის შემადგენელი ელემენტი და მისი გეგმის ნაწილის შემსრულებელი.

II. ოჯახურ-ინდივიდუალური, როდესაც ბრიგადის გეგმა შესასრულებლად დანაწილებულია ცალკეულ ინდივიდებზე, ეს ინდივიდები ბრიგადის შემადგენელი ელემენტებია და ამ ბრიგადის გეგმის მთლიანად შემსრულებელნი.

III. ოჯახურ-ბრიგადული, როდესაც იჯარა მოიცავს მთლიანად ბრიგადის გეგმას შესასრულებლად და მეურნეობისათვის ეს დარგი დამხმარეა. იჯარა აქ გვესახება როგორც ბრიგადის, ასევე ამ დარგის გეგმის მთლიანად შემსრულებელი.

IV. ოჯახურ-მეურნეობრივი, როდესაც ოჯახურ იჯარაზეა მთლიანად მეურნეობა, მეურნეობის გეგმის შესრულება ხდება მუშათა ოჯახებში წარმოებული პროდუქციით.

დიდი მნიშვნელობისაა ოჯახური იჯარა და დიდი დადებითი მხარეც აქვს, მას, რადგან თითოეული ეს სახე ყალიბდება მეურნეობებში მისი საჭიროებისამებრ და დიდად ხელსაყრელია, როგორც მოიჯარე ოჯახებისათვის ისე საზოგადოებრივი მეურნეობებისათვის. განვიხილოთ თითოეული ცალ-ცალკე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## 1. ოჯახური იჯარა, როგორც ბრიგადის შემადგენელი ელემენტი და მისი გეგმის ნაწილის შემსრულებელი.

ასეთი იჯარა დანერგილია ახალციხის რაიონის, აწყურის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი მერძეველობა-მეხილეობის საბჭოთა მეურნეობაში ივანე გელაშვილისა და რაჟდენ კაპანაძის ოჯახთან, (მეხილეობაში); დუშეთის რაიონის დუშეთის მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობაში არჩილ ლაგაზაშვილის ოჯახთან (მეღორეობა) და ჭართლის მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობაში ციხელაშვილების ოჯახთან (მეცხვარეობა).

მაგალითად, ივანე გელაშვილის მოიჯარე ოჯახმა 1986 წლისათვის გაპიროვნებული 1,55 ჰექტარი ხილის ბაღიდან გეგმით გათვალისწინებული 8350 კილოგრამის ნაცვლად აწარმოა 38615 კილოგრამი ვაშლი ანუ ერთ ჰექტარზე 54 ცენტნერის ნაცვლად მოიწია 249,13 ცენტნერი და გეგმიურ მოსავლიანობას გადააჭარბა 4,6-ჯერ. თანახმად ხელშეკრულებისა მეურნეობას დარჩა 27657 კილოგრამი, ხოლო მოიჯარე ოჯახის 10958 კილოგრამი ვაშლი, საიდანაც 56 პროცენტი ანუ 6190 კილოგრამი ოჯახზე გაიცა ნატურით, ხოლო 4768 კილოგრამი ანუ 44 პროცენტი აუნაზღაურდა ღირებულებით.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ მეურნეობამ მომავალი წლის მოსავლის საგარანტიოდ დაიტოვა ოჯახის პრემიიდან გეგმური მოსავლის 50%, ანუ 4175 კილოგრამი, რომელიც ოჯახს ჩაეთვალა საბოლოო ანგარიშსწორებისას, მომავალი წლის გეგმის შესრულების ანგარიშში.

აწყურის მეურნეობაში ასეთივე იჯარა მოქმედებს რაჟდენ კაპანაძის ოჯახთან. მათ გაფორმებული აქვთ 38 ჰექტარზე ვაშლის ნაკვეთი. გეგმიური 171 000 კგ-ის ნაცვლად მოიწიეს და მეურნეობას ჩააბარეს 340337 კგ. ვაშლი ანუ ორჯერ მეტი გეგმიურზე.

საბჭოთა მეურნეობას ეკუთვნის ყოველი ჰექტარიდან 45 ცენტნერი ვაშლი და ზეგეგმიური მოსავლის 50 პროცენტი.

1. გეგმიური შემოსავალი 171000 კგ, ზეგეგმიური მოსავლის 50%-ი, (340337 კგ—171000 კგ=169 337 კგ×50%)=84668 კგ, გარდა ამისა ხელშეკრულების პირველ წელს მომდევნო 1987 წლის გეგმიური მოსავლის შესრულების საგარანტიოდ მეურნეობამ ავანსად დაიტოვა მუშის კუთვნილი პრემიიდან გეგმიური მოსავლის 25%-ი ანუ 42 750 კგ, რომელიც ჩაეთვალა მომდევნო წელში გეგმის შესრულების ანგარიშში (საბოლოო ანგარიშსწორებისას) ე. ი. სულ მეურნეობას დარჩა 298418 კგ, ხოლო მოიჯარე ოჯახზე გაიცა 41919 კგ, საიდანაც 12000 კგ ანუ 28,6% გაიცა ნატურით, ხოლო 29919 კგ ანუ 71,4% ღირებულებით ფაქტიურად ამონაგები თანხიდან 1 ცენტნერის საშუალო სარეალიზაციო ფასით.

საბოლოო ანგარიშსწორება მოიჯარე ოჯახთან მოხდა ხელშეკრულების დადებიდან ორი წლის შემდეგ.

მოიჯარე ოჯახებს გარდა ხილისა ხელშეკრულება გაფორმებული აქვს კარტოფილსა და ბოსტნეულზე (კიტრი, კომბოსტო, პამიდორი).

II. ახალციხის რაიონში მსგავსად სხვა **მთიანი რაიონებისა ძირითადად, ინდივიდუალური ანუ პირადი იჯარა არის დანერგილი, როგორც ბრიგადის გეგმის მთლიანად შემსრულებელი და მისი შემადგენელი ელემენტი.**

მაგალითად, ვალეს ფილიპე მახარაძის სახელობის კოლმეურნეობაში, განსხვავებით აწყურის საბჭოთა მეურნეობისაგან, კარტოფილის მოსავლის

ეროვნული ბიბლიოთეკა



გეგმა 1 ჰა-ზე შეადგენს 142 ცენტნერს, როგორც რაიონის საშუალო დონეა, ზეგეგმიური პროცენტის გაანგარიშებაც განსხვავებულია. № 10 ბრიგადაში ინდივიდებს შორის კარტოფილის მოსავლიანობა მერყეობს 1 ჰა-ზე 194-327 ცენტნერამდე. გეგმა ითვალისწინებს 1 ჰა-ზე 145 ცენტნერს. გეგმა გადაჭარბებით შესრულდა ინდივიდებში მინიმუმ 49 ცენტნერით და მაქსიმუმი 182 ცენტნერით. ბრიგადის საშუალო მოსავლიანობამ შეადგინა 243 ცენტნერი ანუ გეგმასთან შედარებით ყოველ ჰექტარზე წარმოებულია 92 ცენტნერით მეტი[1].

ანალიზიდან გამომდინარე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ იჯარა საოცარ შესაძლებლობებს სახავს მემცენარეობაში, ლამის ერთი და იგივე მიწის ნაკვეთზე, იმავე ბრიგადაში, იმავე რაოდენობის საშუალებით, მაგრამ საქმისადმი სხვადასხვაგვარი მიდგომით აღწევენ სრულიად სხვა შედეგებს, დიდად განსხვავებულია მოსავლიანობა და სწორედ მოსავლიანობის ამაღლებით აღწევენ პროდუქციის წარმოების ზრდას. გამოდის, რომ იჯარა ამკვიდრებს ახალ ეკონომიკურ ურთიერთობებს. იგი ამაღლებს ადამიანის ღირსებას, ავითარებს ბატონ-პატრონის გრძნობას, სახავს სასურსათო პრობლემის გადაჭრის, ქვეყანაში სურსათის სიუხვის შექმნის უმოკლეს გზას.

ოჯახური და პირადი ანუ ინდივიდუალური იჯარის დამახასიათებელი ის არის, რომ მათი შრომის ანაზღაურება ოჯახს და პიროვნებას ეძლევა სატარიფო შეფასებებით. პრემია გაიცემა ინდივიდუალური გეგმის შესრულების გადაჭარბების შემთხვევაში. ამ დროს შრომითი მონაწილეობის კოეფიციენტის გამოყენება აღარ არის საჭირო.

**III. ოჯახურ-ბრიგადული. როდესაც იჯარა მოიცავს მთლიანად ბრიგადის გეგმას შესასრულებლად და ეს ბრიგადა ხელმძღვანელობს მეურნეობის დამხმარე დარგს.**

ასეთი იჯარა დანერგილია დუშეთის რაიონის არაგვისპირის მეხილეობა-მევენახეობის საბჭოთა მეურნეობაში ფარნაოზ უნდილაშვილის ოჯახთან, მეღორეობაში, მეღორეობა მეურნეობის დამხმარე დარგია. რაც იმას ნიშნავს, რომ მეღორეობას სოფლის მეურნეობის პროდუქციის რეალიზაციიდან ამონაგებში 7,2, ხოლო მეცხოველეობის პროდუქციის რეალიზაციიდან ამონაგებში 17%-უკავია. ე. ი. მეურნეობის დამხმარე დარგია მეღორეობა და გადაცემული აქვს მთლიანად ფარნაოზ უნდილაშვილის ოჯახს.

1988 წლის მონაცემებით, ოჯახმა აწარმოვა გეგმური 38640 მანეთის მაგიერ 48208 მანეთის პროდუქცია და გეგმა შესრულა 126%-ით, 1 ცენტნერი წონამეტის თვითღირებულება გეგმური 289 მანეთის ნაცვლად დაუჯდა 247 მანეთი ანუ წონამატის წარმოება გაიაფდა 42 მანეთით, რამაც საგრძნობლად შეამცირა პროდუქციის წარმოებაზე დანახარჯები. მაგალითად 1987 წლის მონაცემებით თვითღირებულების 81 მანეთით შემცირებამ გამოიწვია 12150 მანეთით დანახარჯების ეკონომია, ხოლო მის წინა წელს შესაბამისად 1%-ით თვითღირებულების შემცირებამ გამოიწვია 450 მანეთით დანახარჯების ეკონომია[2].

---

1 ქ. წიკლაური, „ოჯახური იჯარა და მისი მნიშვნელობა“, ახალციხის რაიონი. გაზ. „წითელი დროშა“, 1987 წ. 11 აგვისტო,

2 ქ. წიკლაური „ოჯახური იჯარა დუშეთის რაიონის საზოგადოებრივ მეურნეობებში“, გაზ. „კომუნიზმის გზა“, 1987 წ. 29 ოქტომბერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა



1988 წელში პროდუქციის წარმოება-ჩაბარებისათვის ოჯახურმა ბრიგადამ თავისი შრომის საფასურში მიიღო 12659 მანეთი.

ოჯახურ ბრიგადას 1989 წლის გეგმით საწარმოებელი აქვს 49450 მანეთის პროდუქცია. ამ გეგმის შესასრულებლად გათვალისწინებულია 31800 მანეთის დანახარჯი, ე. ი. (49450-31800)-17650. ამ თანხის 15% უდრის 2647 მანეთს. ეს თანხა რჩება მეურნეობას და დანარჩენ 15 003 მანეთს მიიღებს ფარნაოზ უნდილაშვილის ოჯახი გეგმის შესრულების შემთხვევაში.

**IV. ოჯახური მეურნეობრივია იჯარა, როდესაც მთლიანად მეურნეობა გადასულია ოჯახურ იჯარაზე და მეურნეობის გეგმის შესრულება ხდება მუშათა ოჯახებში გაადგილებული პირუტყვიდან წარმოებული პროდუქციით.**

1983 წლიდან ოჯახურ-მეურნეობრივი იჯარის მეთოდით მუშაობდა მესტიის რაიონის იფარისა და უშგულის საბჭოთა მეურნეობები. ამჟამად ასეთი იჯარა გავრცელდა მთლიანად მესტიისა და ლენტეხის რაიონებში. ჩვენი კვლევიდან გამომდინარე მიგვაჩნია, რომ ასეთი იჯარა დაინერგოს ყველა მთიანი რაიონის ძნელად მისადგომ საზოგადოებრივ მეურნეობებში. მაგალითად დუშეთის რაიონის ხადას, მლეთის, გუდამყრის, მთიულეთის და ფშავის მეურნეობებში.

იფარის მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობაში ოჯახური იჯარის კვლევისათვის შევისწავლეთ და გავაანალიზოთ 10 მოწინავე ოჯახის პროდუქციის წარმოების გეგმის შესრულება, საიდანაც აღმოჩნდა რომ:

1. ოჯახები იჯარაში ერთიანდებიან თავისი საკუთარი პირუტყვით საზოგადოებრივთან ერთად ე. ი. გეგმა ეძლევათ, როგორც თავის საკუთარ პირუტყვზე, ასევე მეურნეობიდან მიმაგრებულზე — 1 სულ მსხვილფეხა რქოსან პირუტყვზე 50-53 კგ-ის წონამატის და ერთ ძროხაზე 70 კგ სულგუნის ყველის წარმოებისა და სახელმწიფოზე ჩაბარებისა.

2. პროდუქციის რეალიზაციის ამონაგებიდან უკავდებათ 5% აპარატის შესანახ ხარჯად.

3. ვინც პენსიაზე გადის ყველას ერთნაირად ენიშნება 50 მანეთი პენსია.

4. კაცდღეები ეწერებათ წარმოებული და ჩაბარებული პროდუქციის რაოდენობის მიხედვით. მაგალითად: 1 ც რძის მიყიდვისათვის 4,7 კაცდღე, 1 ც მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის წონამატის წარმოებაზე 17,2 და 1 ც ღორის წონამატისათვის 13,2 კაცდღე.

5. დანახარჯების გეგმა არ ეძლევათ, თვითღირებულებ არ იანგარიშება. მიუხედავად მიღებული შედეგებისა ჩვენს ქვეყანაში ჯერ მაინც ნელი ტემპით ინერგება მეურნეობრიობის ეს ახალი ფორმები. ჩვენს რესპუბლიკაშიც შრომის ორგანიზაციის საიჯარო ფორმების დანერგვის შედეგები უაღრესად არადამაკმაყოფილებელია. 1988 წლის პირველ ნახევარში იჯარაზე გადასვლა ჩვენი კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მხოლოდ 26,5 პროცენტმა შეძლო. დღეისათვის იჯარის სახით მუშავდება სახნავის მხოლოდ 4,7 პროცენტი. იჯარით უვლიან მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის 9,8% და ღორის 4,4%.

ამ მდგომარეობიდან გამოსასვლელად საჭიროა ყოველი ღონის ხმარება, რათა შრომის ორგანიზაციის ეს ახალი ფორმები რაც შეიძლება სწრაფი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტემპით დაინერგოს სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში. უფრო სრულყოფილად უნდა შემუშავდეს ოჯახური იჯარის ახალი ფორმების ძირითადი პრინციპების და დანერგვის ორგანიზაცია მეურნეობის ბუნებრივ-ეკონომიკური პირობების გათვალისწინებით.

— განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს სახელშეკრულებო ვალდებულებათა დროულ შემუშავებასა და შესრულებას. იჯარა ორგანიზებული უნდა იქნეს მხოლოდ სამეურნეო ანგარიშის საფუძველზე:

— რესპუბლიკის მაღალმთიანი რაიონების კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს უფლება უნდა მიეცეს ოჯახური იჯარით მომუშავეებს ხელფასის სატარიფო ფონდის დანამატები განსაზღვრონ თავიანთი შეხედულებისამებრ:

— დაბალნაყოფიერ მიწებზე სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოყვანისას მოიჯარე ოჯახებს მიეცეს ზეგეგმური პროდუქციის 50% და ზოგიერთ შემთხვევაში კი მთლიანადაც.

მთიან პირობებში მეცხოველეობის პროდუქციის მწარმოებელ ოჯახებს უფლება მიეცეთ მათ მიერ წარმოებული პროდუქციის 30% გაყიდონ პირადად.

მაღალმთიან რაიონებში ადგილზევე აგონ სასაკლაოები, რათა პირუტყვის დაკვლა ადგილზე მოხდეს. ეს გამორიცხავს პირუტყვის ტრნსპორტირების ცოცხალი წონის დანაკარგს, ამასთან დაიზოგება სატრანსპორტო ხარჯები.

— კარგი იქნება მთიან რაიონებში კომბინირებული საკვების ცენტრალიზებული წესით შემოზიდვა, ვინაიდან მეურნეობები თავიანთი ტრანსპორტით ვერ უზრუნველყოფენ საკვების დროულ შემოზიდვას და შესაბამისად მოსახლეობაც დროულად ვერ იღებს კომბინირებულ საკვებს, ყურადღება უნდა მიექცეს სასოფლო-სამეურნეო სავარგულების ოპტიმალურ განაწილებას, რათა თითოეულ ოჯახს სათიბ-საძოვარი ახლოს და მოხერხებულად ჰქონდეს,

უშგულის საბჭოთა მეურნეობების მაგალითზე სასურველია მეურნეობებში შემოღებული იქნეს ჩაბარებულ პროდუქციაზე 20%-ი დანამატის გაცემა მაღალმთიან ზონაში მუშაობისათვის.

საჭიროა შესასყიდი ფასების გადასინჯვა. საქმე ის არის, რომ სოფლის მეურნეობის პროდუქტების სახელმწიფო ფასები სანახევროდაც არ შეესაბამება გაწეულ შრომას, განსაკუთრებით მთის რეგიონებში მომუშავეთათვის, სადაც შრომის მძიმე პირობებია. მატერიალური დაინტერესება ყველაზე დიდი სტიმულია მოსახლეობის მთაში დასამკვიდრებელ-შესანარჩუნებლად. საჭიროა სათანადო ყურადღება მიექცეს მცირე მექანიზაციის საშუალებების დამზადება-გამოშვებასა და მოიჯარე ოჯახების უზრუნველყოფას ამ საშუალებებით. ხელის ტრაქტორი თავისუფლად ცვლის 10-15 კაცის შრომას და თუ მაღალმთიანი რეგიონების მოიჯარეებს ცეკავშირი გამოუყოფს საჭირო რაოდენობის ტექნიკას, ამით დიდად შეუწყობს ხელს საქმის წინ წაწევას.

სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში ახალმა აგრარულმა პოლიტიკამ მტკიცე სამართლებრივი საფუძველი უნდა ჰპოვოს, რათა კოლმეურნეებს, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა საწარმოთა მუშაკებს, კოოპერატორებს, მოიჯარეებს, აგროსამრეწველო კომპლექსის ყველა მშრომელს სწამდეთ ახალი პოლიტიკის სტაბილური და ხანგრძლივი ხასიათი. ეს ახალი აგრარული ფორმირებანი უნდა დაემყაროს მტკიცე სამართლებრივ, ნორმატიულ საფუძვლებს: განმტკიცდეს მიწისა და სხვა ბუნებრივი რესურსების რაციონა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლური გამოყენებისათვის ზრუნვა, მოიჯარეთა უფლებების დაცვა, სოფლის სოციალურ-კულტურული ბაზის განვითარება. ამ საკითხების წარმატებით გადაჭრა ხელს შეუწყობს მოსახლეობის სურსათით მომარაგების გაუმჯობესებას.

К. М. ЦИКЛАУРИ

## СЕМЕЙНЫЙ ПОДРЯД: СУЩНОСТЬ И ЭКОНОМИЧЕСКАЯ ЭФФЕКТИВНОСТЬ ЕГО ИСПОЛЬЗОВАНИЯ

Резюме

В статье рассмотрены вопросы сущности и форм семейного подряда, проанализирована экономическая эффективность семейного подряда, его влияние на рост доходов общественных и личных подсобных хозяйств. Охарактеризованы арендные формы по двум направлениям сельского хозяйства — растениеводству и животноводству на конкретных примерах.

В работе даны предложения по рациональному использованию трудовых ресурсов в условиях семейного подряда.

წარმოადგინა საქართველოს სსრ ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის სამართლის აგროსამრეწველო კომპლექსის ეკონომიკური პრობლემების განყოფილებამ

ეროვნული ბიბლიოთეკა



გურამ ნაკაიძე, ჯუანშერ ხავთასი

# საწარმოს მუშაობის ეკონომიკური ეფექტიანობის კრიტერიუმის შესახებ

საწარმოს საქმიანობის ეკონომიკური ეფექტიანობის სწორად განსაზღვრას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება სრულ სამეურნეო ანგარიშზე გადასვლის და თვითდაფინანსების პირობებში. ეკონომიკური ეფექტიანობის კრიტერიუმის განსაზღვრის პრობლემასთან დაკავშირებით გამოქვეყნებულია რიგი სამეცნიერო გამოკვლევებისა. მიუხედავად ამისა ამ საკითხზე დღემდე არ არსებობს საყოველთაოდ გაზიარებული ერთიანი აზრი და ალბათ ამიტომ არ არის აღიარებული ზოგადი კრიტერიუმები, რომლებიც პრაქტიკულ საქმიანობაში გამოიყენება.

როცა ისმება ამოცანა ამა თუ იმ საწარმოს ეკონომიკური ეფექტიანობის განსაზღვრის შესახებ ბუნებრივია, რომ პასუხი უნდა ვეძებოთ სახმარი ღირებულების შექმნაში მონაწილე ფაქტორების (შრომის, შრომის საგნების, შრომის საშუალებებისა და სხვ.) მიერ შეტანილი წვლილის და მათი გამოყენების დონის შეფასებაში.

დახარჯული შრომა ხასიათდება შექმნილი პროდუქციის შრომატევადობით

$$T = \frac{L}{P},$$

სადაც P არის წელიწადში შექმნილი პროდუქციის მოცულობა (სასაქონლო პროდუქცია, წმინდა პროდუქცია და სხვა), ხოლო L — ამავე პერიოდში დახარჯული შრომის რაოდენობაა (მუშაკთა საშუალო რიცხვი, ან სათანადო ხელფასის ფონდი).

შრომის საგნების დანახარჯი ხასიათდება მასალატევადობით

$$R = \frac{C}{P},$$

სადაც C არის წლის განმავლობაში დახარჯული მასალების ღირებულება. რაც შეეხება შრომის საშუალებებს იგი ხასიათდება ფონდუკუგებით

$$\Phi = \frac{P}{F},$$

სადაც F არის ძირითადი საწარმოო ფონდების საშუალო წლიური ღირებულება.

მიღებულია, რომ რაც უფრო მცირეა შრომატევადობა და მასალატევადობა და რაც უფრო დიდია ფონდუკუგება მით უფრო ეფექტურად მუშაობს

ეროვნული ბიბლიოთეკა

საწარმო. ამიტომ თუ დავეყრდნობით ამ ცნობილ დებულებას და შევადგენთ გამოსახულებას

$$K^1 = \frac{\Phi}{T \cdot R} = \frac{P^3}{F \cdot C \cdot L}. \tag{1}$$

მივიღებთ, რომ რაც უფრო მეტია სიდიდე K′ მით უფრო ეფექტიანია წარმოების პროცესი. თუ (I) გამოსახულებიდან ამოვიღებთ კუბურ ფესვს, მივიღებთ:

$$K = \left(\frac{P}{F}\right)^{1/3} \cdot \left(\frac{P}{C}\right)^{1/3} \cdot \left(\frac{P}{L}\right)^{1/3}. \tag{2}$$

მიგვაჩნია, რომ სიდიდე K გამოდგება საწარმოო პროცესის ეფექტიანობის კრიტერიუმად. ეკონომიკურ ლიტერატურაში გამოქვეყნებულ კრიტერიუმებთან შედარებით იგი მოხერხებული და იოლია პრაქტიკული გათვლებისათვის, ეყრდნობა ცნობილ, ადვილად მოსაპოვებელ ინფორმაციას, შესაძლებელია როგორც ღირებულებითი, ისე ნატურალური მაჩვენებლების გამოყენება და სხვა. იგი საკმაოდ ზუსტია როცა ხდება ერთი და იგივე საწარმოს ეფექტიანობის შედარება დროის სხვადასხვა მომენტისათვის, პროდუქციის უცვლელი ნომენკლატურის დროს. K კრიტერიუმის ილუსტრაციის მიზნით ჩვენს მიერ ჩატარდა გათვლები რესპუბლიკის ექვსი საწარმოსათვის. შედეგები წარმოდგენილია № 1 ცხრილში.

როგორც ცხრილი № 1-დან ჩანს თბილისის მაუდ-კამვოლის კომბინატში 1980-1985 წლებში წარმოების ეფექტიანობა არ შეცვლილა, ხოლო ზესტაფონის ფეროშენადნობის ქარხანაში — შემცირდა კიდეც. დანარჩენ საწარმოებში ეფექტურობა გაიზარდა მეტნაკლებად. ეფექტიანობის შედარებით დიდი ნამატი ახასიათებთ სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება «ანალიზხელსაწყოს» — 0,36 (15%) და საწარმოო გაერთიანება «ქიმბოჭკოს» — 0,34 (20%).

უფრო ღრმა და დეტალური ანალიზისათვის საჭიროა მივმართოთ ეფექტიანობის კერძო კრიტერიუმებს:

$$K_F = \left(\frac{P}{F}\right)^{1/3}, \quad K_C = \left(\frac{P}{C}\right)^{1/3}, \quad K_L = \left(\frac{P}{L}\right)^{1/3},$$ რომლებიც

ფაქტიურად წარმოადგენენ იმის მაჩვენებლებს თუ როგორი ეფექტიანობით გამოიყენება ძირითადი საწარმოო ფონდები F, მასალები C და შრომა L. საერთო ეფექტურობა K ცხადია ტოლი იქნება მათი ნამრავლისა:

$$K = K_F \cdot K_C \cdot K_L$$

ცხრილში № 2 ზემოთ განხილული საწარმოებისათვის წარმოდგენილია $K_F$,$K_C$,$K_L$ კრიტერიუმების მნიშვნელობები და სხვა მაჩვენებლების შეფარდებითი ნაზრდები. როგორც ამ ცხრილიდან ჩანს, ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანაში ძირითადი საწარმოო ფონდების ღირებულება F 1980-1985 წლებში გაიზარდა $\Delta F=70{,}8\%$, მაგრამ გაუარესდა ამ ფონდების გამოყენების ეფექტიანობა $\Delta F=-8{,}7\%$ და ალბათ ეს უნდა მივიჩნიოთ იმის მიზეზად, რომ აქ საერთო ეფექტურობა გაუარესდა $\Delta K=-4\%$. ასევე თბილისის მაუდ-კამვოლის კომბინატშიც $K_F$-ს შემცირება $\Delta K_F=-3{,}1\%$ უნდა მივიჩნიოთ მიზეზად იმისა, რომ აქ არ გაუმჯობესდა მიღწეული საერთო ეფექტი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცხრილი 1

წარმოების ეკონომიკური ეფექტურობის კოეფიციენტების მნიშვნელობები

| | სასაქონლო პროდუქცია P ათ. მან. | | ძირითადი საწარმოო ფონდების ღირებულება F ათ. მან. | | მატერიალური დანახარჯები C ათ. მან. | | სსპ ხელფასის ფონდი L ათ. მან. | | K | | ΔK | ΔK % |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | 1980 წ. | 1985 წ. | 1980 წ. | 1985 წ. | 1980 წ. | 1985 წ. | 1980 წ. | 1985 წ. | 1980 წ. | 1985 წ. | | |
| ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანა | 100200 | 136495 | 76100 | 136044 | 88096 | 121371 | 8480 | 9883 | 2,60 | 2,50 | —0,10 | —4 |
| საწარმოო გაერთიანება „ქიმბოჭკო" | 45150 | 75090 | 72830 | 110813 | 34720 | 52308 | 7187 | 8297 | 1,72 | 2,06 | 0,34 | 20 |
| საწარმოო გაერთიანება „ელექტროაპარატი" | 50325 | 67508 | 31471 | 39129 | 31705 | 36629 | 10514 | 12542 | 2,30 | 2,58 | 0,28 | 12 |
| თბილისის საწარმოო გაერთიანება „ჩარხმშენებელი" | 35846 | 46505 | 34512 | 40961 | 16955 | 22671 | 7576 | 8761 | 2,18 | 2,31 | 0,13 | 6 |
| სამეცნიერო საწარმოო გაერთიანება „ანალიზხელსაწყო" | 14763 | 22623 | 9431 | 13366 | 5555 | 7547 | 4131 | 5089 | 2,46 | 2,82 | 0,36 | 15 |
| თბილისის მაუდ-კამვოლის კომბინატი | 91821 | 120774 | 29090 | 27634 | 91738 | 114772 | 4353 | 5446 | 4,66 | 4,66 | 0,00 | 0 |

ეროვნული
ბიბლიოთეკა

წარმოების ეკონომიკური ეფექტურობის კერძო კრიტერიუმების მაჩვენებლები

| | $K_F$ | | $K_C$ | | $K_L$ | | K | | $\Delta K_F$ | $\Delta K_C$ | $\Delta K_L$ | $\Delta K$ | $\Delta P$ | $\Delta F$ | $\Delta C$ | $\Delta L$ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | 1980 წ. | 1985 წ. | 1980 წ. | 1985 წ. | 1980 წ. | 1985 წ. | 1980 წ. | 1985 წ. | % | % | % | % | % | % | % | % |
| ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანა | 1.096 | 1,001 | 1,044 | 1,040 | 2,276 | 2,397 | 2,60 | 2,50 | – 8,7 | –0,4 | 5,3 | –4,0 | 36,2 | 70,8 | 37,8 | 16,5 |
| საწარმოო გაერთიანება „ქიმბოჭკო“ | 0,353 | 0,878 | 1,091 | 1,128 | 1,844 | 2,082 | 1,72 | 2,06 | 2,9 | 4,9 | 12,9 | 20 | 66,3 | 52,2 | 50,7 | 15,4 |
| საწარმოო გაერთიანება „ელექტროაპარატი“ | 1,169 | 1,200 | 1,166 | 1,226 | 1,684 | 1,752 | 2,30 | 2,58 | 2.6 | 3,4 | 4.0 | 12 | 34,3 | 24,3 | 15,5 | 19.3 |
| თბილისის საწარმოო გაერთიანება „ჩარხმშენებელი“ | 1.013 | 1,043 | 1,283 | 1,270 | 1,678 | 1,743 | 2.18 | 2,31 | 3,0 | 4,6 | 3,9 | 6 | 29,7 | 18,7 | 33,7 | 15,6 |
| სამეცნიერო საწარმოო გაერთიანება „ანალიზხელსაწყო“ | 1,161 | 1,192 | 1,385 | 1,441 | 1,528 | 1,643 | 2,46 | 2,82 | 2,7 | 4,0 | 7,5 | 15 | 53,2 | 41,7 | 35,9 | 23,8 |
| თბილისის მაუდ-კამვოლის კომბინატი | 1,687 | 1,534 | 1,000 | 1,017 | 2,760 | 2,807 | 4,66 | 4,66 | –3,1 | 1,7 | 1,7 | 0 | 31,5 | 44,8 | 25,1 | 25,1 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

ანობის დონე. საწარმოო გაერთიანება „ქიმბოჭკოში“ საერთო ეფექტიანობა გაიზარდა $\Delta K=20\%$, მაგრამ ფონდების გამოყენების ეფექტიანობა სხვა საწარმოებთან შედარებით უარესია $K_F=0{,}878$ და წარმატება მიღწეულია შრომითი რესურსების გამოყენების ეფექტურობის გაზრდით $\Delta K_L=12{,}9\%$. რაც შეეხება სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება «ანალიზხელსაწყო» საერთო ეფექტიანობის გაზრდა $\Delta K=15\%$ მიღწეულია ყველა ფაქტორების ეფექტიანობის დაახლოებით თანაბარი გაუმჯობესებით.

ამგვარად, წარმოდგენილი ცხრილები საშუალებას იძლევიან ცალკეულ საწარმოთათვის განისაზღვროს ეკონომიკური ეფექტიანობა და მისი ცვლილება დროის მიხედვით. უფრო ზოგადი და ვრცელი ანალიზისათვის საჭირო იქნება განხილული საწარმოები ერთმანეთს შედარდეს.

როგორც გაანგარიშებიდან ირკვევა, ყველა საწარმოთათვის $K_F<K_L$ ესე იგი ყველგან უკეთესად გამოიყენება შრომითი რესურსები ვიდრე ძირითადი საწარმოო ფონდები. გარდა ამისა, არ მჟღავნდება რაიმე კანონზომიერება ეფექტიანობის აბსოლუტურ მნიშვნელობასა და მის ფარდობით ნაზარდს შორის. მაგალითად, მიუხედავად იმისა, რომ თბილისის მაუდ-კამვოლის კომბინატის ეკონომიური ეფექტიანობა წლების მანძილზე არ შეცვლილა $\Delta K=0$, ეფექტიანობის კოეფიციენტის აბსოლუტური მნიშვნელობა ყველაზე მაღალია.

სხვადასხვა დარგის საწარმოთა ეკონომიკური მაჩვენებლების შედარება ფრთხილ და დასაბუთებულ მიდგომას მოითხოვს, რადგან ისინი განსხვავდებიან გარდა საწარმოო ფაქტორების სიდიდისა, თვით ამ ფაქტორების მნიშვნელოვნებითაც. ამიტომ საწარმოო პროცესები, იმისდა მიხედვით თუ რომელი ფაქტორია მნიშვნელოვანი, კლასიფიცირებული არიან როგორც «კაპიტალდომინირებადი», «მასალადომინირებადი» და «შრომადომინირებადი».* თავისთავად იგულისხმება, რომ მხოლოდ იმ საწარმოების შედარებაა დასაშვები, რომლებიც ერთი და იმავე კლასს ეკუთვნიან. ეს რა თქმა უნდა გარკვეულ შეზღუდვებს ჰქმნის და ბუნებრივია, რომ ზოგადობის მიღწევის მიზნით სასურველია ეკონომიკური ეფექტიანობის კრიტერიუმის ფორმულა (2) შეიცავდეს ფაქტორების მნიშვნელობათა მახასიათებელ პარამეტრებს და ამით უზრუნველყოფდეს ნებისმიერ საწარმოთათვის K კრიტერიუმის შედარებადობას, ესე იგი უნივერსალობას. ამ მიზნით გამოსახულება (2) შესაძლებელია გადავწეროთ შემდეგნაირად:

$$K=\left(\frac{P}{F}\right)^{\alpha}\cdot\left(\frac{P}{C}\right)^{\beta}\cdot\left(\frac{P}{L}\right)^{\gamma} \qquad (3)$$

სადაც

$$\alpha,\ \beta,\ \gamma\geqslant 0, \qquad \alpha+\beta+\gamma=1$$

$\alpha$, $\beta$, $\gamma$ ახასიათებენ მოცემულ საწარმოო პროცესში მოქმედი ფაქტორების ძირითადი საწარმოო ფონდების F დახარჯული მასალების C და შრომის L მნიშვნელობას. ამგვარად ეფექტიანობის კრიტერიუმის K შედარებადობის უზრუნველყოფა დაიყვანება პარამეტრების $\alpha$, $\beta$, $\gamma$ განსაზღვრაზე.

---

* იხ. მონოგრაფია: Эйлон С., Голд Б., Сезао Ю. Система показателей эффективности производства, М., 1980 г. с. 55. საბჭოთა ლიტერატურაში მიღებულია შესაბამისად შემდეგი ტერმინები: „ფონდოტევადი“, „მასალატევადი“ და „შრომატევადი“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიღებულ, (3) გამოსახულებაში ძნელი არაა ვიცნოთ სხვაგვარად ჩაწერილი სამი არგუმენტის საწარმოო ფუნქცია:

$$P = K \cdot F^{\alpha} C \cdot^{\beta} \cdot L^{\gamma},$$

რომელშიც K არის ეფექტიანობის კოეფიციენტი და ასახავს სამეცნიერო—ტექნიკური პროგრესის ზეგავლენას საწარმოო პროცესზე, ხოლო პარამეტრები **α,β,γ** არიან შექმნილი პროდუქციის P ელასტიურობანი ფონდების, მასალების და შრომის მიმართ. რამდენადაც საწარმოო პროცესის ეფექტიანობა ახასიათებს სახმარი ღირებულების შექმნას და არა ღირებულების ფორმირების პროცესს, გამოსახულება (3) და საერთოდ საწარმოო ფუნქციის აპარატის გამოყენება სავსებით კორექტულად მიგვაჩნია. ასე რომ α, **β**, X γ პარამეტრების რიცხობრივი მნიშვნელობები შესაძლებელია ავიღოთ ლიტერატურული წყაროებიდან, ან განვსაზღვროთ იმავე მეთოდებით, როგორც ეს მიღებულია საწარმოო ფუნქციების გამოკვლევებში. სრული განუზღვრელობის პირობებში შესაძლებელია მოვიშველიოთ თეორიული მოსაზრებანი, ან მივმართოთ ექსპერტულ მეთოდებს.

თუ (3) ფორმულაში შემავალი ცვლადების მცირე ნაზარდებს შესაბამისად აღვნიშნავთ dK, dP, dF, dC, dL მაშინ, ამ ცვლადების შეფარდებითი ნაზრდები ასე წარმოდგება:

$$\frac{dK}{K} = \frac{dP}{P} - \alpha \frac{dF}{F} - \beta \frac{dC}{C} - \gamma \frac{dL}{L}.$$

ამავე ცვლადების ნაზრდები პროცენტებში შეიძლება გამოისახოს შემდეგნაირად[

$$\Delta K\% = \Delta P\% - \alpha \Delta F\% - \beta \Delta C\% - \gamma \Delta L\%. \qquad (4)$$

ეს ფორმულები საშუალებას იძლევიან ფაქტორების ცვლილებები უშუალოდ დაუკავშირდეს ეფექტიანობის ცვლილებას.

როცა ადგილი აქვს ეკონომიკური ობიექტის მხოლოდ ექსტენსიურ განვითარებას, ესე იგი ისეთ შემთხვევას, როცა ფაქტორების რაღაც p-ჯერ ზრდას თან მოსდევს პროდუქციის ზუსტად p-ჯერ გაზრდა, ასეთ შემთხვევაში როგორც ეს (3) ფორმულიდან ჩანს $\Delta K = 0$, რაც ნიშნავს, რომ ეფექტიანობა ამ შემთხვევაში არ იზრდება. ამგვარად, K კრიტერიუმის ზრდა საწარმოს ინტენსიური განვითარების მაჩვენებელია. თავისთავად $\Delta K = 0$ არ ნიშნავს, რომ ადგილი აქვს ექსტენსიურ განვითარებას ყველა ფაქტორის მიმართ. შესაძლებელია, რომ ზოგი ფაქტორის გამოყენება გაუმჯობესდება და ზოგის კი გაუარესდება.

K ფუნქციის ელასტიურობა მისი არგუმენტების მიმართ შემდეგნაირად გამოისახება:

$$\frac{dK}{dP} \cdot \frac{P}{K} = 1; \quad \frac{dK}{dF} \cdot \frac{F}{K} = -\alpha; \quad \frac{dK}{dC} \cdot \frac{C}{K} = -\beta; \quad \frac{dK}{dL} \cdot \frac{L}{K} = -\gamma \qquad (5)$$

ამგვარად, K კრიტერიუმის ელასტიურობა ფაქტორების მიმართ არის საწარმოო ფუნქციაში პროდუქციის ელასტიურობა ამავე ფაქტორების მიმართ აღებული შებრუნებული ნიშნით. როცა ჩვენ გვაინტერესებს ამა თუ იმ ფაქტორის როლი საწარმოს ეკონომიკური ეფექტიანობის ფორმირების პროცესში, თანახმად (5) ფორმულისა, რაც უფრო მცირეა აბსოლუტურად **α,β,γ** სიდიდეები, მით უფრო მეტია შესაბამისი ფაქტორების როლი საწარმოს ეფექ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტიანობაში. მეორე მხრივ, რესურსების ეკონომია ზრდის ეფექტიანობას და ეს ზრდა მით უფრო მნიშვნელოვანია რაც უფრო ნაკლებ ეფექტიანადაა გამოყენებული მოცემული რესურსი ფაქტიურად, ანუ დიდია **α,β,γ**. ორივე ეს დასკვნა ნათლად ჩანს (4) გამოსახულებიდანაც.

ეკონომიკური ეფექტიანობის განსაზღვრის მეთოდი, რომელიც ამ შრომაშია წარმოდგენილი, რამდენიმე თვალსაზრისით არის საყურადღებო. ჯერ ერთი, საზოგადოდ ცნობილია, რომ ყოველგვარი გათვლები, რომლებიც ეკონომიკურ მაჩვენებლებზე წარმოებს, როცა ეს უკანასკნელი ღირებულებით ერთეულებში არიან გამოხატულნი, ყველა იმ შეცდომებს შეიცავენ, რომლებიც ახასიათებს ფასწარმოქმნის არსებულ მეთოდს. ამიტომ სასურველია, როცა ეს მოსახერხებელია, ეკონომიკური გათვლები ვაწარმოოთ ნატურალურ მაჩვენებლებზე. ამ მხრივ ფორმულები (2) და (3) არავითარ დაბრკოლებას არ ქმნიან და მათში შემავალი სიდიდეები ნებისმიერ ერთეულებში შეიძლება გამოისახოს. ამ თვალსაზრისით გარკვეულ ინტერესს იწვევს K სიდიდის გამოხატვა ერგბიტებში*, რადგან ენერგოინფორმაციულ მაჩვენებელს ახასიათებს ნატურალურ მაჩვენებელთა სიზუსტე და ამავე დროს ღირებულებით მაჩვენებელთა თვისებაც, შედარებადობის უზრუნველყოფა.

ეფექტიანობის განსაზღვრის მეთოდის სრულყოფის მეორე მიმართულებას წარმოადგენს — საწარმოო ფაქტორების რიცხვის გაზრდა, დამატებითი ფაქტორების მოზიდვა. ფორმულა (3) შეიძლება დაიწეროს ფაქტორების ნებისმიერი რიცხვისთვის. იგი ზოგადი სახით ასე წარმოდგება.

$$K = \left(\frac{P}{X_1}\right)^{\alpha_1} \cdot \left(\frac{P}{X_2}\right)^{\alpha_2} \cdots \left(\frac{P}{X_n}\right)^{\alpha_n}$$

სადაც $X_i, i=\overline{1,n}$ საწარმოო ფაქტორებია, რომელთა საერთო რიცხვი არის n, ხოლო რიცხვები $\alpha_i$, $i=\overline{1,n}$ არიან წარმოებული პროდუქციის P ელასტიურობანი შესაბამის Xi ფაქტორების მიმართ. ამასთან

$$a_i \geqslant 0 \quad \text{და} \quad \sum_{i=1}^{n} a_i = 1$$

ცხადია, რაც უფრო დიდია განხილული, გამოკვლეული ფაქტორების რიცხვი n მით უფრო ღრმა და დეტალური ანალიზის საშუალება იქმნება. ამ მიზნით ძირითადი ფონდები შეიძლება გაიყოს პასიურ და აქტიურ ნაწილებად, მასალები — შეძენილ და ადგილობრივ დამზადებულად, შრომა — მმართველ და მწარმოებლად და ა. შ. ყოველი კონკრეტული ამოცანის გადაწყვეტის დროს შეიძლება შეირჩეს ის ფაქტორები, რომლებიც უფრო არსებითად ახასიათებენ სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის გავლენას საწარმოო პროცესზე.

ხშირად, საწარმოო სიტუაციის შეცვლის გამო საჭირო ხდება სათანადო გადაწყვეტილების მიღება ისე, რომ წარმოების ეფექტიანობა არ გაუარესდეს. ეკონომიური სიტუაციის შეცვლის მრავალი მიზეზი არსებობს: ფასების ცვლილება რესურსებზე და გამოშვებულ პროდუქციაზე, გამოშვებული პროდუქციის ნომენკლატურის ან სტრუქტურის შეცვლა, ტექნიკურ-ორგანიზაც-

* იხ. Х а в т а с и Дж. Ш. Проблема описания технологического процесса и измерения его экономических показателей. Мацне. АН Грузинской ССР, Серия эконимики и права, 1986, I, с. 51.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ულ ღონისძიებათა ჩატარების აუცილებლობა და სხვა. შრომაში წარმოდგენილი ფორმულები საშუალებას იძლევიან ყოველი საწარმო სიახლე დავუკავშიროთ ეფექტიანობის შესაძლო ცვლილებას და შევარჩიოთ საუკეთესო გადაწყვეტილება. წარმოების წინაშე შეიძლება დაისვას საგეგმო ამოცანა პერსპექტიულ პერიოდში საწარმო ფაქტორების — შრომის ნაყოფიერების გაზრდის, მასალატევადობის შემცირების, ფონდუკუგების გაუმჯობესებისა. როგორი უნდა იყოს გამოსაშვები პროდუქციის მოცულობა ასეთ პირობებში, ისე რომ საწარმოს ეფექტიანობა არ გაუარესდეს? ფორმულა (4) ამ და მსგავსი ამოცანების ამოხსნილ იოლ საშუალებას იძლევა.

ამრიგად, გარდა ძირითადი ამოცანისა — განისაზღვროს საწარმოს ეკონომიკური ეფექტიანობა, შესაძლებელია გამოკვლეულ იქნეს ცალკეული ფაქტორის გავლენა ეფექტიანობაზე, გაირკვეს სადაა სუსტი ადგილი, რომელი ღონისძიებაა უპირველესად ჩასატარებელი, როგორ უნდა შედგეს ეფექტიანობის ამაღლების გეგმა და ა. შ. ამასთან ეს ანალიზი ტარდება ცნობილ და ადვილად მოსაპოვებელ ინფორმაციაზე და საკმაოდ იოლი და საიმედო აპარატით. ჩვენი აზრით, შემოთავაზებული წარმოების მუშაობის ეკონომიკური ეფექტიანობის განსაზღვრის მეთოდი სასარგებლო იქნება სამეურნეო და საგეგმო ორგანიზაციებში მომუშავე სპეციალისტებისათვის პრაქტიკულ მუშაობაში.

Г. Г. НАКАИДЗЕ, Дж. Ш. ХАВТАСИ

## О КРИТЕРИИ ЭКОНОМИЧЕСКОЙ ЭФФЕКТИВНОСТИ РАБОТЫ ПРЕДПРИЯТИЯ

Резюме

Предложен критерий эффективности функционирования предприятия в виде произведения фондоотдачи, производительности труда и продуктивности предприятия. Сделаны некоторые обобщения в смысле привлечения любого количества производственных факторов и повышения точности расчетов. Проведены расчеты и анализ для шести предприятий Грузинской ССР.

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტის მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ეკონომიკური პრობლემების განყოფილებამ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ალექსანდრე ბრეგვაძე, მარიეტა ხარბედია,

# საქართველოს ნავთობის მრეწველობა ომისშემდგომ აღდგენით პერიოდში (1946-1950 წწ.)

დიდი სამამულო ომის დამთავრების შემდეგ საბჭოთა ქვეყანა დაუბრუნდა მშვიდობიან ცხოვრებას. საბჭოთა ხალხი შეუდგა ომის შედეგების ლიკვიდაციასა და სახალხო მეურნეობის შემდგომ განვითარებას.

ქვეყნის ცხოვრების გადაყვანა მშვიდობიან რელსებზე დაკავშირებული იყო მთელ რიგ სიძნელეებთან. მიუხედავად ამისა, საბჭოთა კავშირმა კაპიტალისტურ ქვეყნებთან განსხვავებით უფრო ადვილად დასძლია ეს სიძნელეები. ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის აღდგენისა და შემდგომი განვითარების მეოთხე ხუთწლიანი გეგმა, რომელიც განიხილა და მიიღო სსრ კავშირის უმაღლესმა საბჭომ (1946 წ. მარტი), უწინარესად ითვალისწინებდა მძიმე მრეწველობის და ტრანსპორტის აღდგენას და შემდგომ განვითარებას, ამის გარეშე შეუძლებელი იყო სახალხო მეურნეობის ყველა დარგის აღმავლობა. პარტიისა და საბჭოთა მთავრობის დასახულ ამოცანათა შუქზე დიდი როლის შესრულება ეკისრებოდა ნავთობისა და გაზის მრეწველობას. ხუთწლიანი გეგმა ითვალისწინებდა ნავთობის მრეწველობის აღდგენა-განვითარებას იმ ვარაუდით, რომ 1949 წლისათვის მიღწეული უნდა ყოფილიყო ნავთობის მოპოვების ომამდელი დონე, ხოლო 1950 წლისათვის მიეღწიათ მის მნიშვნელოვან გადაჭარბებას[1].

გეგმაში დასახული იყო ნავთობის მრეწველობის განვითარება ჩვენი ქვეყნის, როგორც აღმოსავლეთ (ურალი, ბაშკირეთი, ვოლგისპირეთი, სახალინი, თურქმენეთის სსრ, უზბეკეთის სსრ, ყაზახეთის სსრ) ასევე დასავლეთისა (უკრაინის სსრ) და კავკასიის რაიონებში (ბაქო, გროზნო, და კრასნოდარი).

ნავთობის მოპოვების გადიდების უზრუნველყოფისათვის გათვალისწინებული იქნა გეოლოგიური საძიებო მუშაობის ფართო გაშლა. განსაკუთრებული ადგილი ეთმობოდა ახალი პროგრესული ტექნიკისა და მაღალწარმოებრივი მოწყობილობების დანერგვის საკითხებს. ამასთან ერთად მნიშვნელოვნად უნდა გაუმჯობესებულიყო ნავთობის ნედლეულის გადამუშავების ტექნოლოგია და პროდუქციის ხარისხი. თუ რა დიდი მუშაობა უნდა განხორციელებულიყო ნავთობის მოპოვების გადიდების მიმართულებით ეს ჩანს იმითაც, რომ მასზე გაღებული კაპიტალდაბანდება შეადგენდა 8785 მლნ. მანეთს[2].

საქართველოს სსრ ნავთობის მრეწველობას, როგორც ეს მეოთხე ხუთწლედის გეგმაშია აღნიშნული ქვეყნისათვის უნდა მიეცა 110 ათასი ტონა ნავთობი[3], ე. ი. ორჯერ მეტი ვიდრე 1943 წელს, როდესაც ნავთის მოპო-

---

[1] კანონი სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების 1946-1950 წლების ხუთწლიანი გეგმის შესახებ, თბ., 1946, გვ.

[2] Л и с и ч к и н С. М. Очерки развития нефтедобывающей промышленности СССР, М., 1958, с. 130.

[3] იქვე, გვ. 87,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვებამ თავის ისტორიაში პირველად მიაღწია მაქსიმუმს. ამრიგად, მეოთხე ხუთწლედში საქართველოში უნდა გადაწყვეტილიყო ე. წ. „დიდი ნავთობის“ პრობლემა.

მეოთხე ხუთწლედის დასახული ამოცანების წარმატებით განხორციელებისათვის უწინარეს ყოვლისა საჭირო იყო მრეწველობის ამ დარგის მთლიანი გადაიარაღება, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ისეთ დონეზე განმტკიცება, რომ მას შესძლებოდა ნავთობის მოქმედი ჭაბურღილების მაქსიმალური გამოყენება და საძიებო-საექსპლოატაციო ბურღვის ახალი პროგრესული ტექნიკით უზრუნველყოფა. იმასთან დაკავშირებით, რომ ნავთობის მოპოვების ძირითად რაიონში — მირზაანსა და პატარა შირაქში მოქმედი ჭაბურღილების დებიტი არ იძლეოდა დიდი რაოდენობის ნავთობს, პირველი რიგის ამოცანად ამ ეტაპზე დასახული იქნა ნავთობის ახალი რაიონების გამოვლენა და მის ხარჯზე ნავთობის მოპოვების გადიდება. ამიტომ დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა გეოლოგიურ-საძიებო და საძიებო-საექსპლოატაციო ბურღვის გაფართოებას.

ჯერ კიდევ დიდი სამამულო ომი არ იყო დამთავრებული, რომ საქართველოში, ისე როგორც სსრ კავშირის სხვა რაიონებში განახლდა ნავთობის მოპოვების გეოლოგიურ-საძიებო მუშაობა. სუფსისა და ნორიოს გარდა ნავთობის საძიებო ბურღვა დაიწყო გრომის, მლაშის-ხევისა და კავთისხევის მიდამოებში.

ნავთობის გეოლოგიური ძიების სწორი მეცნიერული მიმართულების შემუშავებისათვის შეიქმნა საქართველოს გეოფიზიკური ექსპედიცია (1941 წ. მაისი), რომელსაც დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა საქართველოში გეოფიზიკური გამოკვლევების გეგმაზომიერი ხასიათის მიცემისათვის.

საქართველოში ნავთობის მოპოვების გადიდება, როდესაც ჯერ კიდევ არ იყო გამოვლენილი დიდი პერსპექტიული ნავთობის მომცემი რაიონი, მოითხოვდა, დიდ კაპიტალურ დაბანდებას და მისი ათვისების მაღალ ეფექტურობას. საქართველოს ნავთობის მრეწველობა, როგორც ასიგნების თვალსაზრისით, ისე მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების მხრივ არ იყო იმ დონეზე უზრუნველყოფილი, რომ დასახული ამოცანის შესაბამისად ფართოდ გაშლილიყო კომპლექსური მუშაობა ნავთობის მოპოვების მკვეთრად გადიდებისათვის. ამის შედეგად ბურღვის საერთო მეტრაჟში საგრძნობლად დაიკლო საძიებო და საექსპლოატაციო ბურღვამ, რასაც მოჰყვა ნავთობის საექსპლოატაციო მომქმედი ფონდის ახალი ჭაბურღილებით შეუვსებლობა. ამასთან ერთად ნავთობის მოპოვებას ახასიათებდა მთელი რიგი ორგანიზებული თუ ტექნიკური ხასიათის ნაკლოვანებები, რაც დიდ გავლენას ახდენდა ნავთობის ძიებისა და მოპოვების ძირითად ეკონომიკურ მაჩვენებლებზე და მასთან დაკავშირებით გეგმური დავალებების შესრულებაზე. დიდი სიძნელეები ხვდებოდა აგრეთვე დეფიციტური მასალების მომარაგების მხრივაც. ცენტრალიზებული ფონდები, რომლებიც უნდა მიეღოთ სხვადასხვა საუწყებო ორგანიზაციებიდან ან ყოვნდებოდა მათი გამოგზავნა ან გამოგზავნილს არ იღებდნენ თავის დროზე. მთელ რიგ შემთხვევაში პირველ კვარტალში მისაღებ მასალას იღებდნენ წლის დამლევს და უფრო მოგვიანებითაც. სარეწავები განიცდიდნენ საბურღი მოწყობილობების და სათადარიგო ნაწილების ნაკლებობას. არ იღებდნენ საკმარისი რაოდენობის სხვადასხვა დანიშნულების საბურღავ მილებს, ბურღსატეხებს, საქაჩავებს, დანადგარებს, ამწეებს, ძრა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვებს, ხე-ტყეს, საბურღავებსა და სხვა მრავალი დასახელების აღჭურვილობას. ამასთან ერთად მწვავედ იგრძნობოდა ელექტროენერგეტიკის ნაკლებობა, რადგან ვერ მოხერხდა ელექტროსადგურების ამოქმედება მირზაანსა და კავთისხევში.

განსაკუთრებით დაეცა ამწეების მწარმოებლურობა, მოცვდა სავალი მექანიზმები, რაც უარყოფით გავლენას ახდენდა ამწეების პარკის გამოყენების კოეფიციენტზე. დიდი იყო ჭაბურღილების მოცდენა ორგანიზაციული ხასიათის გამოც (რემონტის გაჭიანურება, ბურღვის რეჟიმის დარღვევა, დაბალი შრომის დისციპლინა, ბრიგადების დაბალი კვალიფიკაცია და სხვ.). მასთან ერთად დიდდება ავარიული შემთხვევები და მის ლიკვიდაციაზე დახარჯული დრო[4]. ეს ნაკლოვანებები, უნდა ვიფიქროთ, გამოწვეული იყო იმითაც, რომ ხუთწლედის მანძილზე ფართოდ გაიშალა მუშაობა ჩვენი ქვეყნის უფრო მნიშვნელოვანი პერსპექტიული ნავთობსაბადოთა რაიონების სამრეწველო ათვისებისათვის, ამიტომ იმ რაიონებიდან, სადაც არ იყო განსაზღვრული ნავთობის მოპოვების გადიდების პერსპექტივა, გათვალისწინებული ფინანსური და მატერიალური სახსრები გადასროლილი იქნა ახალ უფრო მნიშვნელოვან პერსპექტიულ რაიონებში ნავთობის მრეწველობის ინტენსიური განვითარებისათვის[5]. შექმნილმა ვითარებამ შეაფერხა საქართველოში ნავთობის საძიებო ბურღვა.

სულ 1946-1950 წლების მანძილზე გათხრის მეტრაჟი შეადგენდა 137 170 მეტრს, მათ შორის საძიებო ბურღვა — 106730 მეტრს. 1946-1950 წელს ბურღვის მეტრაჟი მნიშვნელოვნად აღემატება 1946 და 1947 წლების ერთად აღებულს. ამ წლების მანძილზე გაითხარა 406 ჭაბურღილი, რომელთა საშუალო სიღრმე 326 მეტრს შეადგენდა. რაც შეეხება ბურღვის სიჩქარეს იგი საშუალოდ შეადგენდა 206,5 მეტრს (ერთი დაზგა-თვე).

საქართველოში ერთი მეტრის ბურღვა გაცილებით მეტი ჯდებოდა ვიდრე სსრ კავშირის სხვა რომელიმე ნავთობმომპოვებელ რაიონში. ბურღვის დარგში სახსრების გადახარჯვა ბუნებრივია იწვევდა ზარალს, მაგალითად, 1946 წელს იგი შეადგენდა 764 ათას მანეთს, ხოლო 1950 წელს 5811 ათას მანეთს[6].

ისეთ ძირითად ნავთობმომპოვებელ რაიონში, როგორსაც წარმოადგენდა მირზაანის სარეწავები, საექსპლუატაციო ბურღვა 1946-1947 წლების მანძილზე არ წარმოებდა, მხოლოდ 1948 წელს განახლდა აქ საექსპლოატაციო ბურღვა[7], იმავე წელს გაითხარა 7 ჭაბურღილი, 1949 წელს — 10, 1950 წელს — 5—6. საძიებო ჭაბურღილი გაითხარა 1947 წელს მხოლოდ სამი, ხოლო მომდევნო წლიდან შეწყდა საძიებო ბურღვა. საკითხისადმი ასეთი მიდგომა ნახულობდა გამართლებას იმ მოტივით, რომ მირზაანის ექსპლოატაციაში მყოფი ჭაბურღილები მცირედებიტიანი იყო.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა ჯერ კიდევ 1948 წლის ივნისში შეისწავლა „საქნავთის“ ტრესტის ნაკლოვანებები და დასახა კონკრეტული ღონისძიებები, სადაც გამახვილებული იქნა ყურადღება სა-

4 მლისფპა, ფონდი 14, ანაწ. 6, საქ. 136, ფურც. 59,

5 Лисичкин С. М. დასახ. ნაშრომი, გვ. 190.

6 მლისფპა, ფონდი 14, ანაწ. 6, საქ. 136, ფურც. 60.

7 „საქნავთის“ ტრესტის საუწყებო არქივი. არქივი 25, საქ. 55, ფურც. 13, არქივი 74, საქ. 55, ფურც. 24.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ძიებო და საექსპლოატაციო ბურღვის გადიდების, ბურღვის წარმოების და გეოლოგიურ-საძიებო მუშაობისას ახალი პროგრესული მეთოდების და ტექნიკის გამოყენების, ბურღვის მეტრაჟის თვითღირებულების შემცირების საკითხები, განსაკუთრებით მიექცა ყურადღება მირზაანისა და ნორიოს ნავთობსარეწავეებში ნავთობის მოპოვების გადიდებას[8].

1950 წელს საძიებო ბურღვის შედეგად მიღებულ იქნა დიდი ეფექტი. ნორიო-მარტყოფის ჭაბურღილიდან იფეთქა წმინდა ნავთობმა. პირველი 30 დღის მანძილზე მიღებული იქნა 1375,8 ტონა ნავთობი, რამაც საგრძნობლად შეუწყო ხელი ნავთობის მოპოვების გეგმური დავალების გადაჭარბებით შესრულებას.

1950 წელს ჭაბურღილების საექსპლოატაციო ფონდი შეადგენდა 213. 1946 წელთან შედარებით საექსპლოატაციო ჭაბურღილების ფონდი გადიდდა მხოლოდ 21 ერთეულით; რაც შეეხება უმოქმედო ფონდს იგი მნიშვნელოვნად კლებულობს, რადგან ძნელდებოდა კონსერვაციაში მყოფი ჭაბურღილების აღდგენა. მაგრამ ამ მხრივ 1950 წლისათვის უკეთესი მაჩვენებლებია მოპოვებული. უმოქმედო ჭაბურღილების აღდგენის გეგმა შესრულდა 124,7%-ით, ხოლო ახალი ჭაბურღილებიდან ნავთობის ამოღების 295,7%-ით. ეს მიღწეული იქნა ახალი ტექნიკის გამოყენებისა და საძიებო ბურღვის მოპოვებული შედეგებით (ნორიო-მარტყოფის რაიონში მიკვლეული ნავთობი).

ჭაბურღილების ექსპლოატაციის დაბალი კოეფიციენტის გამო ჭაბურღილები იყო ნაკლები ეფექტურობის. მირზაანის სარეწავეებზე ნავთობის მოპოვება დღე-ღამეში შეადგენდა (ტონობით): 1946 წ. — 73,1, 1947 წ. — 71,4, 1948 წ. — 71,4 1949 წ. — 77,8, 1950 წ. (9 თვე) — 79,0. მოტანილი მონაცემებიდან ჩანს, რომ საექსპლუატაციო ბურღვის შესუსტებამ და შემდეგ მისი თითქმის მთლიანად შეწყვეტამ 1945-1947 წწ. გამოიწვია (1947 წ.) ყველაზე დაბალი სადღეღამისო მოპოვება (71,4 ტონა).

„საქნავთის“ ტრესტის ძირითად და დამხმარე საწარმოებში კადრების შევსება მიმდინარეობდა უმთავრესად თვით საწარმოების მიერ მუშახელის დაქირავების გზით. 1946-1947 წლების მანძილზე სარეწავეებზე სამუშაოდ იგზავნებოდა აგრეთვე ქალაქისა და სოფლის მოსახლეობა ორგანიზაციული გაწვევითაც. მაგრამ მუშახელის შევსების ეს ფორმა გაუქმებული იქნა 1948 წლიდან. რესპუბლიკის ნავთობის მრეწველობის კვალიფიციური მუშათა კადრის შევსების საქმეში მნიშვნელოვანი წვლილი შეჰქონდათ საქარხნო-საფაბრიკო სკოლებს, სახელოსნო სასწავლებლებს და სპეციალურ ტექნიკუმებს, ასე მაგალითად, 1947 წელს სარეწავეებზე სამუშაოდ გაიგზავნა 24 ახალგაზრდა მუშა, რომლებსაც დამთავრებული ჰქონდათ იზბერგის (დაღესტნის ასსრ) საქარხნო-საფაბრიკო სასწავლებელი. ბევრი ახალგაზრდა მუშა, რომელიც სპეციალობას დაეუფლა თბილისის სახელოსნო სასწავლებელში და ნავთობის ტექნიკუმში, წავიდა ბურღვის, ნავთობის მოპოვების და გადამმუშავებელ დარგებში სამუშაოდ. გარდა ამისა საწარმოებში ყოველთვის დიდ ყურადღებას უთმობდნენ მუშათა კადრების მომზადების და გადამზადების საქმეს.

1946-1950 წლების მანძილზე „საქნავთის“ ტრესტის საწარმოები ძირითადად უზრუნველყოფილი იყვნენ კვალიფიციური მუშათა კადრებით, მაგ-

---

8 მლისფპა, ფონდი 14, ანაწ. 6, საქ. 136, ფურც. 59—63.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რამ შეიმჩნევა მაინც კადრების დიდი მოძრაობა, ასე მაგალითად, 1946 წ. სამუშაოდან წავიდა1199 კაცი, მოვიდა 1620 კაცი, 1948 წ. წავიდა 679 კაცი, მოვიდა 729 კაცი. მართალია აქ მხედველობაშია მისაღები ის გარემოება, რომ თითქმის მუშახელის 40-50% ტოვებდა მუშაობას დავალებულ სამუშაოთა დასრულების შემდეგ (გეოლოგიურ-საძიებო და ძიებითი პარტიების მუშები, ხე-ტყის დამზადების, მშენებლობის, ტექნიკური მომარაგების მუშები და სხვ.).

საწარმოებიდან მუშათა წასვლის მიზეზების ანალიზი გვიჩვენებს, რომ სამუშაოთა დამთავრების გარდა წასულთა რაოდენობა დიდია საცხოვრებელი ადგილის გამოცვლით, ავადმყოფობით, თვითნებურად წასვლით და სხვ. შეიმჩნევა აგრეთვე შრომის დისციპლინის დარღვევის დიდი რაოდენობაც, მაგალითად, 1946 წელს იგი შეადგენდა 428, ხოლო 1947 წელს 398 შემთხვევას.

შექმნილი პირობები კარნახობდნენ მუშათა კადრების სწავლების ფართო ქსელის შექმნას და სწორ ორგანიზაციულ-მეთოდოლოგიურ ღონისძიებების გატარებას. ამ მხრივ დიდ მუშაობას ეწეოდნენ საწარმოებთან შექმნილი კომისიები, რომლებსაც ევალებოდათ განესაზღვრათ თუ რომელი მუშა სწავლების რა ფორმაში უნდა ჩაბმულიყო.

სწავლების ქსელის შექმნას საგრძნობლად აბრკოლებდა საწარმოო ობიექტების და სამუშაო უბნების გაბნეულობა, არ ჰყავდათ საკმარისი რაოდენობის მაღალი კვალიფიკაციის ლექტორები და მასწავლებლები, არ გააჩნდათ ქართულ ენაზე სახელმძღვანელო ლიტერატურა და სხვ. ამ ნაკლოვანებების გამოსწორების მიზნით 1947 წელს „საქნავთის“ ტრესტის საწარმოებში შეირჩა კვალიფიციური მასწავლებლები, საწარმოო სწავლების ინსტრუქტორები და ის პასუხისმგებელი პირები, რომლებსაც ეკისრებოდათ კადრების სწავლების ორგანიზაცია. ასეთი ფართო ღონისძიებების გატარების შედეგად მალე ყველა საწარმო უზრუნველყოფილი შეიქნა სასწავლო მეთოდური სახელმძღვანელოებით, პროგრამებით, სასწავლო გეგმებით, სასწავლო ხელსაწყოებით და სასწავლო ინვენტარით.

1946 წელს „საქნავთის“ საწარმოებში მომზადდა სულ 304 კაცი. 1947 წელს მომზადდა 287 კაცი (გეგმით 250 კაცი), კვალიფიკაცია აიმაღლა 198 კაცმა (გეგმით 170 კაცი), 1948 წელს მომზადდა 138 კაცი (გეგმით 105 კაცი), აიმაღლა კვალიფიკაცია 263 კაცმა (გეგმით 175 კაცი). 1949-1950 წწ. მუშათა კადრების მომზადება და კვალიფიკაციის ამაღლება ძირითადად მიმდინარეობდა მირზაანის სარეწავებში, თბილისის ნავთობგადამამუშავებელ ქარხანაში, ჟანგბადის ქარხანაში და მექანიკურ სახელოსნოში*.

გარდა აღნიშნულისა მომზადდნენ მიწისქვეშა სამუშაოთა და ნავთობის მოპოვების ოპერატორები, სულ 1949 წ. 98 კაცი, ხოლო 1950 წელს 88 კაცი.

აღსანიშნავია ისიც, რომ „საქნავთის“ ტრესტის საწარმოებისათვის კადრების მომზადება ხდებოდა აგრეთვე ჩვენი რესპუბლიკის გარეთაც. მოსკოვში, ბაქოში და გროზნოში სისტემატურად იგზავნებოდნენ მუშები, ოსტატები, ბრიგადირები, ტექნიკოსები, ინჟინრები, ეკონომისტები, როგორც

* 1949 წ. „Главбурнефть“-ის დაქვემდებარებაში გადავიდა წითელწყაროს ბურღვის კანტორა, ნორიოს, კავთისხევის და სუფსის ნავთობების კანტორები, აგრეთვე ძიებითი ბურღვა ფოთში, ბიწმენდში, მოქვში, საჩხერეში და გორში, ამიტომ აქ არის მოტანილი მრეწველობის ამ დარგის კადრების სწავლების მონაცემები.

სპეციალურ კურსებზე კვალიფიკაციის ასამაღლებლად, ისე პრაქტიკის გასავლელად ნავთობის მსხვილ საწარმოებში, მაგალითად, სხვადასხვა ვადით ზემოთდასახელებულ ქალაქებში გაიგზავნენ 1946 წელს 4 კაცი, 1947 წელს 6 კაცი, 1948 წელს 7 კაცი. აზიზბეკოვის სახელობის ნავთობის ინსტიტუტში (ქ. ბაქო) სწავლის გასაგრძელებლად 1946 წელს გაიგზავნა საქართველოს კიროვის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის პირველი კურსის 8 სტუდენტი.

ამავე დროს „საქნავთის“ ტრესტის საწარმოებისათვის სსრ კავშირის სხვა რაიონებიდან იგზავნებოდა ინჟინერთა კადრები, მაგალითად, 1946 წელს 4 ინჟინერი გაიგზავნა „საქნავთის“ ტრესტის საწარმოებში ხელმძღვანელ სამუშაოებზე. ასეთი ღონისძიებების გატარების შედეგად „საქნავთის“ ტრესტის საწარმოები ომისშემდგომ პირველ ხუთწლედში არ განიცდიდნენ კვალიფიციური კადრების ნაკლებობას.

1946-1948 წლების მანძილზე მიუხედავად ნავთობის მოპოვების მოცულობის შემცირებისა, ნავთობის მრეწველობაში ჩაბმული მუშამოსამსახურეთა რაოდენობა იზრდება, რაც ჩანს ქვემოდმოტანილი მონაცემებიდან (იხ. ცხრილი 1).

მოტანილი მონაცემებიდან ჩანს, რომ მუშა-მოსამსახურეთა საერთო რაოდენობა 1946-1948 წლების მანძილზე გაიზარდა 10%-ით.

როგორც დავინახეთ ყველაზე მაღალია მუშათა ზრდა 1948 წელს. ეს გამოწვეულია იმით, რომ საამშლო ომის წლებთან შედარებით თუმცა დაეცლო ნავთობის მოპოვებამ, მაგრამ ფართოვდება ბურღვის დარგის სამუშაოთა მოცულობა და მასში დასაქმებულ მუშათა რაოდენობა.

ცხრილი 1

„საქნავთის“ ტრესტის საწარმოებში ჩაბმულ მუშა-მოსამსახურეთა საშუალო წლიური რაოდენობა 1946—1948 წწ.[9]

| | 1946 წ. | 1947 წ. | 1948 წ. |
|---|---|---|---|
| მუშა-მოსამსახურეთა რაოდენობა სულ | 2702 | 2880 | 2990 |
| მათ შორის: | | | |
| მუშა | 1838 | 2066 | 2145 |
| ინჟინერ-ტექნიკური პერსონალი | 344 | 341 | 381 |
| მოსამსახურე | 251 | 229 | 205 |
| დამხმარე მოსამსახურე პერსონალი | 241 | 228 | 249 |
| მოწაფე | 28 | 16 | 10 |

1949 წელს ნავთობის მრეწველობის ძირითად მრეწველურ-წარმოებრივი პერსონალის საშუალო წლიური რაოდენობა შეადგენდა 621 კაცს, ხოლო 1950 წ. — 641 კაცს.

„საქნავთის“ ტრესტის სამმართველო, პარტიული და პროფკავშირული ორგანიზაციები შეუნელებლად ზრუნავდნენ საწარმოებში სტახანოვური მოძრაობისა და სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაშლისათვის[10].

9 ცხრილი შედგენილია „საქნავთობის“ ტრესტის შესაბამისი წლების ანგარიშგებების საფუძველზე.

10 მლისფპა, ფონდი 14, ანაწ. 6, საქ. 136, ფურც. 60.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



სოციალისტური შეჯიბრებების ხელშეკრულებები იდებოდა როგორც მთლიანად საწარმოების მიხედვით, ისე ცალკეული უბნების, საამქროების, მბურღავთა ბრიგადებისა და ცალკეულ მუშაკთა შორის, რაც უზრუნველყოფდა კოლექტიურ და ინდივიდუალურ შეჯიბრებაში ყველა მუშაკის ჩაბმას, რომელთა შესახებ წარმოდგენას იძლევა შემდეგი მონაცემები (იხ. ცხრილი 2).

ცხრილი 2

მონაცემები სტახანოველების, დამკვრელების და სოციალისტურ შეჯიბრებაში (ინდივიდუალური და კოლექტიური) ჩაბმულ მრეწველურ-წარმოებრივი პერსონალის რაოდენობის შესახებ 1946—1950 წწ.[11].

| | 1946 წ. | 1947 წ. | 1948 წ. | 1949 წ. | 1950 წ. |
|---|---|---|---|---|---|
| მუშათა საერთო რაოდენობა | 1838 | 2066 | 2145 | 241* | 641 |
| სტახანოველთა რაოდენობა | 601 | 682 | 723 | 174 | 240 |
| %-ით მუშათა საერთო რაოდენობასთან | 32,8 | 33,2 | — | 28,0 | — |
| დამკვრელების რაოდენობა | 548 | 561 | 560 | 90 | 208 |
| %-ით მუშათა საერთო რაოდენობასთან | 29,7 | 27,3 | — | 14,4 | — |
| სოც. შეჯიბრში ჩაბმულთა რაოდენობა | 1471 | 1902 | 1881 | 423 | 569 |
| %-ით მუშათა საერთო რაოდენობასთან | 80,3 | 92,4 | 892 | 68,2 | — |

მოტანილი მონაცემებიდან ჩანს, რომ წარმოებრივი პერსონალის მუშათა საერთო რაოდენობის ზრდასთან ერთად იზრდება აგრეთვე სტახანოველთა და დამკვრელთა რაოდენობა, განსაკუთრებით ფართოდ გაიშალა ნოვატორული მოძრაობა 1948 წელს.

1948 წელს სტახანოველთა რაოდენობა 1946 წელთან შედარებით გაიზარდა 18%-ით, დამკვრელებისა 32%-ით, ხოლო სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაბმულთა რაოდენობა 28%-ით. 1949-1950 წწ. მონაცემები თუმცა ეხება მწარმოებელ პერსონალს, მაგრამ მაინც ჩანს, რომ 1949 წელს სტახანოვური მოძრაობა და სოცშეჯიბრება წინა წლებთან შედარებით შენელდა. ასეთი ჩამორჩენა გამოწვეული იყო ზოგიერთ საწარმოთა ხელმძღვანელობის და პროფკავშირული ორგანიზაციების სუსტი მუშაობით. აღსანიშნავია ისიც, რომ საქართველოს მენავთობეები ყოველთვის აქტიურად ებმებოდნენ საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებით ნაკისრი ვალდებულების განაღდებისათვის ბრძოლაში და არა ერთხელ მოუპოვებიათ წარმატებაც.

ყოველწლიურად იზრდება განსახილველად რაციონალიზატორთა შემოსული წინადადებათა რაოდენობა. მათი წარმოებაში დანერგვის შედეგად „საქნავთის" ტრესტი იღებდა საგრძნობ ეკონომიას. ასე მაგალითად, 1946 წელს წარმოებაში დანერგილ 16 რაციონალური წინადადებიდან მიღებულ

[11] ცხრილი შედგენილია „საქნავთობის" ტრესტის შესაბამისი წლების ანგარიშგებათა საფუძველზე.

[12] 1949—1950 წლების მონაცემები ეხება მხოლოდ „საქნავთობის" ტრესტის საწარმოო პერსონალს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იქნა წლიური ეკონომია 144852 მანეთის რაოდენობით. 1947 წელს 19 დანერგილი წინადადებიდან მიღებული იქნა ფაქტიურად 130000 მანეთის ეკონომია. 1948 წელს 37 დანერგილი წინადადებიდან 174000 მანეთი, ხოლო 1950 წელს 30 დანერგილი წინადადებიდან 151000 მანეთის ეკონომია.

სამამულო ომისშემდგომ პირველ ხუთწლედში საქართველოში თუმცა ვერ იქნა მიკვლეული მსხვილი სამრეწველო მნიშვნელობის ნავთობი, მაგრამ ის რის მიღებაც შეიძლებოდა არსებული ჭაბურღილების ფონდიდან (ძველი და ახალი ჭაბურღილები, მოპოვება დამჭერებით) მოპოვებული იყო რესპუბლიკის ნავთობის მრეწველობის მუშაკების შრომითი აქტივობის შედეგად, ისინი ძალღონეს არ იშურებდნენ რაც შეიძლება მეტი ნავთობის მოპოვებისათვის. ნავთობის მოპოვების შესახებ წარმოდგენას იძლევა ცხრილი 3-ის მონაცემები.

ცხრილი 3

ნავთობის მოპოვების დინამიკა 1946—1950 წწ. (ტონობით)[12]

| წლები | მირზაანის სარეწავები | ნორიოს ნავთ. მომპ. საამქრო | სუფსის ნავთ. მომპ. საამქრო | ს უ ლ |
|---|---|---|---|---|
| 1946 | 29789,1 | 563,8 | 30,8 | 30383,2 |
| 1947 | 28534,2 | 2101,1 | 145,4 | 30780,8 |
| 1948 | 28526,3 | 2197,0 | 1683,0 | 32406,3 |
| 1949 | 30445,4 | 1974,0 | 2194,4 | 34614,3 |
| 1950 | 30639,5 | 9218,7 | 3020,6 | 42878,8 |

მოტანილი მონაცემებიდან ჩანს, რომ 1950 წ. ფაქტიურად მოპოვებული ნავთობის მოცულობა მეტია შედარებით 1946 წელთან 41,1%-ით, 1947 წელთან 39,3%-ით, 1948 წელთან 32,3%-ით, ხოლო 1949 წელთან — 23,9%-ით. 1950 წელს მოპოვებული იქნა 1940 წელთან შედარებით 1000 ტონით მეტი, ხოლო 1946 წელთან შედარებით 12495,8 ტონით მეტი ნავთობი. ნავთობის მოპოვების გეგმური დავალება არ შესრულდა 1946 წელს (94,9%) და 1948 წელს (81,0%). ეს გამოწვეული იყო იმით, რომ გეგმა არარეალურად ემყარებოდა არსებული ჭაბურღილების ფონდს და საექსპლოატაციო ბურღვის საკმარის რაოდენობას.

1950 წელს ნავთობის მოპოვების გეგმა მნიშვნელოვანი გადაჭარბებით შესრულდება (126,1%). ამას უმთავრესად ხელი შეუწყო ბურღვის მეტრაჟის გაფართოებამ და დადებითი შედეგის მიღებამ, 1949 წელთან შედარებით დამატებით მოპოვებული იქნა 8264,5 ტონა ნავთობი.

1946—1959 წლების მანძილზე მირზაანის ნავთობსარეწავები წარმოადგენდნენ ძირითად მომპოვებელ რაიონს. მოპოვებული ნავთობის მთლიან მოცულობაში მატულობს ნორიოსა და სუფსის სარეწავების ხვედრითი წონა, მაგრამ ამ მატებას არ ჰქონდა დიდი სამრეწველო მნიშვნელობა.

12 ცხრილი შედგენილია „საქნავთობის“ ტრესტის შესაბამისი წლების ანგარიშგებების საფუძველზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მირზაანისა და ნორიოს ნავთობი იგზავნებოდა გადასამუშავებლად თბილისის (ლილო) ნავთობგადამამუშავებელ ქარხანაში, სუფსისა კი ბათუმის ნავთობგადამამუშავებელ ქარხანაში.

საქართველოს ნავთობის მრეწველობის მუშაკთა შრომითი აქტივობის შედეგად მატულობს მუშათა შრომის მწარმოებლურობა და მასთან დაკავშირებით იზრდება ერთი მუშის საშუალო-წლიური ხელფასიც.

ამ მხრივ კარგი მაჩვენებლებია მიღწეული 1950 წელს, როდესაც ერთი მუშის შრომის ნაყოფიერება შეადგენდა 5625 მანეთს, ანუ გეგმასთან შედარებით 118,2%-ით მეტს, ხოლო ერთი მუშის საშუალო-წლიური ხელფასი 3418 მანეთს ანუ გეგმასთან შედარებით 104,9%-ით მეტს. როგორც დავინახეთ შრომის ნაყოფიერების მაჩვენებელი უფრო მაღალია ვიდრე საშუალო-წლიური ხელფასი.

რაც შეეხება ერთი ტონა ნავთობის თვითღირებულებას იგი მთელი რიგი წლების მანძილზე გეგმურთან შედარებით მაღალია, ეს გამოწვეული იყო კალკულაციის ზოგიერთი მუხლის გადახრით, მაგალითად, ელექტროენერგიასა და სარეწავის საერთო ხარჯების გადიდებით, ჭაბურღილების ამორტიზაციით და სხვა.

ერთი ტონა კომერციული ნავთობის პროდუქციის თვითღირებულებამ მნიშვნელოვნად დაიკლო 1950 წელს და შეადგენდა 439 მან. და 32 კაპ., რაც უმთავრესად გამოწვეული იყო ნავთობის მოპოვების მოცულობის გადიდებით (126,1%). ამ წელს მთლიანად მოპოვებულ 42879,8 ტონა ნავთობიდან 6934 ტონა მიღებული იყო ნავთობის შადრევნიდან.

1959 წელს ნავთობის თვითღირებულების შემცირების გზით „საქნავთის“ ტრესტმა მიიღო 3095 ათასი მანეთის ეკონომია. თუ ნავთობის მოპოვების დარგში დადებითი შედეგებია მიღებული, ბურღვის თვითღირებულების საქმეში ვხვდებით საწინააღმდეგოს. ჩვენს რესპუბლიკაში ერთი მეტრის ბურღვის თვითღირებულება გაცილებით მაღალი იყო ვიდრე საბჭოთა კავშირის სხვა რეგიონებში. მაგალითად, ერთი მეტრი ბურღვის თვითღირებულება ჩვენს რესპუბლიკაში ფაქტიურად შეადგენდა **2045** მან. 37 კაპ. (გეგმით 953 მან. 50 კაპ., იგი გეგმასთან შედარებით მაღალია 214,5%-ით კიდევ უფრო მაღალია ერთი მეტრი საძიებო ბურღვის თვითღირებულება. ფაქტიურად იგი შეადგენდა 2097 მან. 87 კაპ. (გეგმით 966 მან. 20 კაპ.) გეგმასთან შედარებით მეტია 21,5%-ით. ბურღვის თვითღირებულების გადიდების შედეგად ზარალი შეადგენდა 8644 ათას მანეთს.

ამ მხრივ კარგი მაჩვენებლებია მიღწეული 1950 წელს, როდესაც ერთი მუშის შრომის ნაყოფიერება ფაქტიურად შეადგენდა 5625 მანეთს, ანუ გეგმასთან შედარებით 118,2%-ით მეტს, ხოლო ერთი მუშის საშუალო-წლიური ხელფასი შეადგენდა 9418 მანეთს, 104,9%-ით მეტს.

1950 წელს ნავთობის მოპოვების მთლიანი პროდუქცია უდრიდა 14424 ათას მანეთს ანუ გეგმასთან შედარებით 126,1%-ით მეტს, ხოლო საქონლური პროდუქცია 19371 ათას მანეთს ანუ 125,8%-ით მეტს.

1941—1950 წლების მანძილზე სსრ კავშირში სულ გაიბურღა 13484 ათასი მეტრი. ბურღვითი სამუშაოებზე გამოყენებული იქნა 7681 მლნ მანეთი ანუ 33,5% საერთო კაპიტალური დაბანდებიდან, რაც გამოყოფილი იყო სსრ კავშირის ნავთობის მრეწველობისათვის. ამ დროის მანძილზე 1,5-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯერ უფრო მეტი კაპიტალდაბანდება იქნა ბურღვაზე გამოყენებული ვიდრე წინა 23 წლის მანძილზე (1923—1945 წწ.)[13].

საქართველოში 1946—1950 წლების მანძილზე სულ გაიბურღა 137 170 მეტრი, მისი ხვედრითი წონა სსრ კავშირში გაბურღული მეტრაჟის მთლიან მოცულობაში შეადგენდა 1,01%-ს.

„საქნავთობის" ტრესტის ნავთობგამმუშავებელმა საწარმოებმა (მირზაანი, ლილო) გადაამუშავეს ნავთობის ნედლეული (ტონობით):

1946 წ. — 30221,61
1947 წ. — 30165,67
1948 წ. — 28637,63
1949 წ. — 33395,89
1950 წ. — 39183,31

1950 წ. ფაქტიურად გადამუშავებული ნავთობი 1946 წელთან შედარებით 29,7%-ით, 1947 წელთან 29,9%-ით, 1948 წელთან 36,7%-ით, ხოლო 1949 წელთან — 17,3%-ით მეტი იყო.

ჭაბურღილების ბურღვის, ნავთობის მოპოვების და გადამუშავების მრეწველობაზე კაპიტალურ დაბანდებათა მოცულობის გადიდების შედეგად იზრდება აგრეთვე მრეწველურ-წარმოებრივი ძირითადი ფონდების ღირებულება, ასე მაგალითად, 1951 წლის დამლევს იგი შეადგენდა 184419 ათას მანეთს, 1946 წელს 99376 ათას მანეთს. 1946—1959 წწ. მანძილზე ძირითადი ფონდების ღირებულება გაიზარდა 5,4-ჯერ. მოტანილი მონაცემები მეტყველებენ „საქნავთის" ტრესტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განუხრელ ზრდაზე, რომელსაც შეეძლო სამრეწველო ნავთობის მოპოვების შემთხვევაში უფრო მეტი მოცულობის ნავთობის მოპოვება და გადამუშავება, ვიდრე ეს წარმოებდა 1946—1950 წლების მანძილზე.

ნავთობპროდუქტები: ბენზინი, ნავთი, დიზელის საწვავი, სოლიარული ზეთი და მაზუთი ბარდებოდა „გლავნეფტობაზის" საქართველოს განყოფილებას. რესპუბლიკაში წარმოებული ნავთობპროდუქტები მთლიანად ვერ აკმაყოფილებდა ადგილობრივ მოთხოვნილებას, დანარჩენ ნავთობპროდუქტებს იღებდნენ აზერბაიჯანისა და ბათუმის ნავთობგადამმუშავებელი ქარხნებიდან.

მეოთხე ხუთწლედში საქართველოში თუმცა იზრდება ნავთობის მოპოვება, მაგრამ ზრდის ტემპების მიხედვით მნიშვნელოვნად ჩამორჩა მოძმე საბჭოთა რესპუბლიკებში ნავთობის მოპოვებას, საქართველოში ათი წლის მანძილზე ნავთობის მოპოვება გადიდდა სულ 2000 ტონით, ხოლო მოპოვებული ნავთობის მოცულობის მხრივ 9 მოკავშირე რესპუბლიკებს შორის საქართველოს ეკავა მეშვიდე ადგილი[14]. 1950 წელს საქართველოში მოპოვებული ნავთობის მოცულობის ხვედრითი წილი სსრ კავშირში მოპოვებული ნავთობის მთლიან მოცულობაში შეადგენდა 0,9%.

ნავთობის მრეწველობა ზოგიერთი წლის გამოკლებით ითვლებოდა რესპუბლიკის ერთ-ერთ არარენტაბელურ დარგად, მაგალითად, 1946 წელს ნავთობის მრეწველობის მოგება სულ შეადგენდა 300 ათას მანეთს, ხოლო ზარალი 10697 ათას მანეთს[15]. 1950 წელს მაღალი ეკონომიკური მაჩვენებლე-

[13] Лисичкин С. М. Очерки развития нефтеперерабатывающей промышленности СССР, М., 1958, с. 44.

[14] Народное хозяйство СССР, стат. сб., М., 1956, с. 69.

[15] „საქნავთობის" ტრესტის საუწყებო არქივი. არქივი № 21, საქ. 55, ფურ. 11.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბის მიღწევის შედეგად მიღებულმა მოგებამ გადააჭარბა ზარალს, სულ მოგება შეადგენდა 1038 ათას მანეთს, ზარალი 392 ათას მანეთს. ამრიგად საქართველოს ნავთობის მრეწველობამ მიიღო მოგება 642 ათასი მანეთის ოდენობით. მეოთხე ხუთწლედში საქართველოში ჯერ კიდევ ვერ გადაწყდა ნავთობის მოპოვების გადიდების პრობლემა და, მაშასადამე, ვერ განხორციელდა ომისშემდგომ პირველ ხუთწლედში დასახული ამოცანა — ნავთობის მოპოვება გადიდდება 110 ათას ტონამდე.

А. БРЕГВАДЗЕ, М. ХАРБЕДИЯ

## НЕФТЯНАЯ ПРОМЫШЛЕННОСТЬ ГРУЗИНСКОЙ ССР В ПОСЛЕВОЕННЫЙ ВОССТАНОВИТЕЛЬНЫЙ ПЕРИОД (1946—1950)

Резюме

Нефтяная промышленность Грузинской ССР, как об этом указывалось в плане развития народного хозяйства СССР, в четвертой пятилетке должна была дать стране 110 тысяч тонн нефти, т. е. в два раза больше, чем в 1943 году, когда добыча нефти впервые в своей истории достигла максимума. Тем самым в четвертой пятилетке в Грузии должна была решиться так называемая проблема «большой нефти». Но, несмотря на улучшение материально-технической базы, по сравнению с предыдущими годами в Грузии в первой послевоенной пятилетке не осуществилась намеченная задача — увеличить добычу нефти до 110 тысяч тонн.

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტის სოციალისტური ეკონომიკის გამოცდილების განზოგადოებისა და ქართული ეკონომიკური აზრის ისტორიის განყოფილებამ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



**А. ПАВЛИАШВИЛИ**

# УСИЛЕНИЕ КОНТРОЛЯ ПАРТНЕРСТВУЮЩИХ СТОРОН НАД КАЧЕСТВОМ ТОВАРОВ — ВАЖНЕЙШЕЕ УСЛОВИЕ ОПТИМИЗАЦИИ ИХ ЭКОНОМИЧЕСКИХ СВЯЗЕЙ

Проблема повышения качества товаров народного потребления всегда остро стояла в центре внимания нашей партии и государства. Эта проблема подвергалась весьма углубленному обсуждению на XXVII съезде партии, на последующих Пленумах ЦК КПСС за 1986—1988 годы и особенно на XIX Всесоюзной партийной конференции. В высоком качестве товаров непосредственно заинтересованы не только трудящиеся, но также все отрасли общественного производства, ибо в противном случае товары не реализуются, и тем самым тормозится весь процесс расширенного воспроизводства материальных благ. Низкое качество товаров — это не только прямой и катастрофический удар по благосостоянию трудящихся, но также огромный и непоправимый материальный ущерб для советского государства. Ни практика регулярно осуществляемых уценок, ни повсеместно проводимые ярмарки, ни арбитражные строгие санкции, ни грозные акты контролирующих их качество многочисленных государственных и народных инспекций и ничто другое не поправят даже десятой доли этого колоссального материального ущерба. Поэтому не случайно, что наша партия постоянно ищет и реализует самые различные кардинальные меры в борьбе за повышение качества товаров народного потребления.

Одним из таких важных мероприятий является создание в 1986 г. органов системы Госприемки.

За период действия Госприемки, в частности, в нашей республике достигнуты большие успехи в деле борьбы за повышение качества товаров народного потребления. С начала 1988 г. в республике почти все предприятия легкой и пищевой промышленности уже находятся под контролем системы Госприемки. Только за 1987 год со стороны Госприемки приостановлено производство 82 видов продукции на 26-ти предприятиях текстильной, обувной и мебельной промышленности и были обновлены 17 технических условий и ГОСТ-ов на продукции швейной промышленности республики.

В борьбе за повышение качества товаров народного потребления исключительно важную роль ныне сыграло действие Закона о государственном предприятии (объединении), ибо товаропроизводители теперь уже сами вынуждены вести весьма последовательную и скрупулезную борьбу за качество собственной продукции, чтобы укладываться в жесткие рамки самоокупаемости и самофинансирования. В противном случае перед предприятиями нависнет реальная опасность банкротства и краха, тем более, что теперь свою должную роль возымело действие

ეროვნული ბიბლიოთეკა



закона стоимости и рыночная конъюнктура, конъюнктура спроса и предложения.

Большим подспорьем в борьбе за повышение качества товаров народного потребления послужило также свертывание центрального планирования и излишней концентрации всего процесса планирования, взамен которого с начала 1987 года была введена всеобщая система госзаказов для всех товаропроизводителей, в т. ч. по товарам народного потребления. Система госзаказов внедрила достаточно разумную производственную дисциплину и облегчила строгую ответственность перед государством в деле добросовестного и обязательного выполнения полученных от государства заказов по производству соответствующей продукции как по ее объему и ассортименту, так и в особенности, по надлежащему её качеству. Характерно отметить, что после внедрения системы госзаказов значительно сократилось по республике, по сравнению с 1985 годом, число арбитражных конфликтных дел между оптовыми базами и товаропроизводителями, поступающих к ним, в частности по швейным, трикотажным и обувным изделиям. В борьбе за повышение качества товаров народного потребления огромная роль отведена и усилению воздействия партнерствующих сторон при осуществлении ими своих экономических связей между собой. Каждая из партнерствующих сторон (промышленность, оптовые базы и рыночная торговля) имеет свою собственную долю максимальной ответственности в этом важном деле борьбы за повышение качества товаров, а поэтому каждая из них должна принимать самые жесткие меры своего воздействия в этом деле.

Между тем, анализ материалов нашего исследования показывает, что взаимное воздействие партнерствующих сторон в борьбе за качество товаров в нашей республике пока ещё не удовлетворительно, а поэтому не является достаточно активным фактором в деле оптимизации их экономических связей. Так например, скопление неходовых и залежалых непродовольственных товаров по нашей республике только в оптовой торговле системы Минторговли республики возросло более чем на 72%, а именно, с 748,8 млн. рублей на начало 1980 г. до 1294,5 млн. рублей на начало 1986 года, а в государственной и кооперативной розничной торговле оно возросло на 97%, а именно с 353,0 млн. рублей до 695,5 млн. рублей.

О применении штрафных санкций со стороны оптовых организаций республики к промышленности за различные договорные нарушения, в т. ч. и за нарушение качества, даст представление нижеследующая таблица.

Как вытекает из данных таблицы, в общей совокупности 8 оптовых организаций республики если в 1980 году взыскали с промышленности за нарушение качества поступаемых на базы товаров в размере 246,0 тыс. рублей штрафов, пени и неустоев, то в 1986 г. уже взыскали 1074,0 тыс. рублей, т. е. имел место рост более чем в 4,4 раза.

В их числе наибольшую активность в этом деле проявили Грузторгодежда, Грузтекстильторг, Грузгалантерея и Грузобувьторг. Все остальные оптовые торги проявили несколько меньшую активность. Что же касается взыскания штрафов, пени и неустоек с промышленности за недопоставку товаров, как показывают данные, их размеры существенно сократились, а именно с 10048,0 тыс. рублей снизились до 8229,0 тыс. рублей, т. е. имело место снижение на 22%.

Штрафные санкции оптовых организаций Груз. ССР, предъявленные к промышленности республики за 1980 — 1986 годы (в тыс. рубл)

| | Штрафи, пени, неустойки | | Штрафи, пени, неустойки | |
|---|---|---|---|---|
| | За недопоставку товаров | За нарушение качества | За недопоставку товаров | За нарушение качества |
| Грузторгодежда | | | | |
| 1980 | 3658,0 | 130,0 | 540,0 | 16,0 |
| 1986 | 2833,0 | 335,0 | 1434,0 | 24,0 |
| Грузтекстильторг | | | | |
| 1980 | 647,0 | 37,0 | 248,0 | 14,0 |
| 1986 | 1335,0 | 172,0 | 86,0 | — |
| Грузгалантерея | | | | |
| 1980 | 1336,0 | 16,0 | 405,0 | — |
| 1986 | 1000,0 | 275,0 | 555,0 | — |
| Грузобувьторг | | | | |
| 1980 | 1858,0 | 62,0 | 336,0 | — |
| 1986 | 392,0 | 188,0 | 289,0 | 5,0 |
| Грузкульттorг | | | | |
| 1980 | — | — | — | — |
| 1986 | 731,0 | 35,0 | 233,0 | 2,0 |
| Грузхозторг | | | | |
| 1980 | 1946,0 | 1,0 | 895,0 | 2,0 |
| 1986 | 573,0 | 9,0 | 140,0 | 1,0 |
| Грузбакалея | | | | |
| 1980 | 576,0 | — | 513,0 | — |
| 1986 | 1090,0 | 9,0 | 1883,0 | 18,0 |
| Грузмясомаслоторг | | | | |
| 1980 | 27,0 | — | 32,0 | — |
| 1986 | 275,0 | 51,0 | 46,0 | — |
| Всего по 8-ми организациям | | | | |
| 1980 | 10048,0 | 246,0 | 2969,0 | 32,0 |
| 1986 | 8229,0 | 1074,0 | 4666,0 | 50,0 |

На первый взгляд кажется, будто бы оптовые организации за этот период усилили свою борьбу против нарушений качества товаров (штрафы возросли почти в 3 раза). Однако это лишь беглое впечатление, ибо за этот же период скопление залежалых и неходовых товаров в оптовой торговле, как мы видим, возросло на 72,0%. а в розничной торговле — на 97,0%.

Как можно это понять? Штрафы, взысканные с промышленности за нарушение качества, возросли, а в то же время сильно возросли и размеры неходовых и залежалых товаров как в оптовом, так и в розничном звене!

Эти противоречивые данные говорят, по нашему мнению, совершенно о другом, а именно:

— штрафные санкции потеряли свою воздействующую роль и превратились лишь в качество формального перекладывания средств из одного государственного кармана в другой, ибо руководство как баз, так и промышленных предприятий материально за эти нарушения не отвечает;

— партнерствующие стороны меж собой установили взаимоотношения, поскольку безнаказанно для их руководителей проникают в торговую сеть в возрастающих размерах некачественные товары, а само их руководство за эти нарушения не несет никакой материальной ответственности.

Чтобы убедиться в справедливости наших заключений, рассмотрим более подробно, как протекает процесс контроля за качеством поступающих товаров у партнерствующих сторон. Так например, по данным проверки ГРУ Госстандарта Груз. ССР, в 1986 г. во всей промышленности республики из 468 наименований товаров народного потребления, находящихся уже в торговой сети и имеющих высшую катергорию качества (ВКК), были лишены указанного Государственного знака качества (ГЗК) 28 наименований, в том числе по товарам производства предприятий Минместпрома республики из 23 наименований — 16. По данным тех же проверок за 1986 — 1987 годы было приостановлено производство 3-х видов изделий Сухумской галантерейной фабрики (трусы мужские, ГОСТ — 17 — 177 — 84, ремни женские ГОСТ —17 —177—81, брюки мужские ГОСТ — 12 — 4 — 010 — 75); 5-ти видов изделий Кварелского РПК (костюмы мужские ГОСТ — 12 — 4 — 109 и ГОСТ 15 — 007 — 81, халаты женские ГОСТ — 15 — 007 — 81, простыни ГОСТ 15 — 007 — 81, одеяла ГОСТ 15 — 007 — 81); 3-х видов изделий Сухумской мебельной ф-ки (книжный шкаф, письменный стол, диван-кровать ГОСТов 16371—81 и 1989170—80); пианино «Иверия» ГОСТ — 242 — 80 П/О «Музыкинструменты»); 4-х видов изделий Тбилисской галантерейно-трикотажной фабрики (платье женское ГОСТ — 7477 — 82, пальто женское ГОСТ 1775 — 77, покрывало ГОСТ — 345 — 80, шорты спортивные ГОСТ — 7474 — 81); 5 видов изделий Ткварчельского ГПК (шорты ГОСТ — 352 — 81, куртки рабочие ГОСТ — 12 — 4109 — 82, скатерть ГОСТ 21220 — 76, полотенце ГОСТ — 10232 — 77, постельное белье ГОСТ — 17—133—84); 3-х видов изделий Боржомского РПК (сумки летние, скатерть льняная, рукавицы рабочие); 4-х видов изделий Марнеульского УПП (женские халаты ГОСТ — 24760 — 81, скатерти ГОСТ — 6 — 19 — 414 — 84, шторы ГОСТ 352 — ш, женские туфли ГОСТ — 1135 — 78); щетки массажные ГОСТ — 6 — 19 — 257 — 79 Гудаутского УПП, художественные свечи ГОСТ —6—15—402—83 Гегечкорского РПК, настенные коврики ГОСТ — 74 — 83 Кутаисского П-О, мягкие гнутые стулья ГОСТ — 19917 — 85 Цулукидзевского РПК, фартуки ГОСТ — 15 — 007 — 81 Цители-Цкаройского РПК, сорочки мужские ГОСТ — 17 — 310 — 83 Ткварчельского горпромкомбината; 2-х видов изделий Тбилисской трикотажной фабрики (джемпера женские ГОСТ — 7174 — 81, костюмы детские ГОСТ — 207 — 81) и многие другие.

По данным проверки Государственной инспекции по качеству Минторговли Груз. ССР за 1986 — 1987 годы из условных единиц изделий текстильного и галантерейного производства предприятий Минместпрома республики, а также Общества глухих и слепых, находящихся уже в торговой сети, было возвращено производителям: резиновой обуви —

ეროვნული ბიბლიოთეკა

56%, оцинокованной посуды — все 100%, изделий из хрусталя — 100%, изделий из пластмассы — 88%, керамических изделий — 70%, швейных изделий — 94%, игрушек — 100%, фруктовых вод — 44% и т. д.

Этот длинный перечень результатов проверок качества товаров народного потребления принадлежит лишь вышестоящим контролирующим органам. А ведь кроме них товары, поступающие в конечном счете на торговые прилавки, проходили качественную проверку и в Комитете народного контроля, а также и во многочисленных низовых звеньях: ОТК на промышленных предприятиях, качественные проверки на оптовых базах и складах розничных организаций, товароведческий контроль непосредственно на розничных предприятиях. Кроме этого, огромную контролирующую роль органов системы Госприемки СССР, которые ныне уже стали весьма важным барьером против проскальзывания недоброкачественных товаров через эти барьеры.

Тем не менее и несмотря на все это, низкокачественные товары, все равно проникают в торговую сеть и скапливаются мертвым капиталом в огромных суммах на торговых прилавках.

Следовательно, в важнейшей народнохозяйственной битве за качество товаров народного потребления у нас в республике не все находится на должном уровне и соответствует современным требованиям нового этапа развития нашей страны. А это значит, что в этой благородной борьбе не все резервы уже исчерпаны и использованы до конца.

В числе этих резервов мы хотим остановиться лишь на одной проблеме, а именно на вопросах дальнейшего усиления воздействия партнерствующих сторон на качество товаров при осуществлении ими своих взаимных экономических связей.

В данном аспекте, на наш взгляд, наиболее важной проблемой является оптимизация процесса контроля над качеством товаров народного потребления на всем пути прохождения товаров от производства до потребителей. Здесь приобретает особое значение число проверяющих инстанций, их разноведомственная подчиненность, их дублирующая деятельность, эффективность и результативность их функций. Ведь после того, как товары «удачно» проскочили через барьеры органов госприемки и ОТК на производстве, дальше контроль над их качеством переходит, как уже отметили, через многочисленные другие проверяющие инстанции: Госторгинспекция по качеству, ГРУ Госстандарта, народный контроль, ОБХСС, Госкомцен, депутаты, работники гор(рай)исполкомов, комиссии общественного контроля, внештатная торгинспекция, Минфин, вышестоящие звенья управления торговли, советские и партийные органы, товароведческий контроль на оптовых базах и в розничных организациях, различные вневедомственные и внеторговые инстанции и многие другие. И все эти многочисленные инстанции проверяют качество, имеют разные критерии оценки, которые часто противоречат друг другу, нередко эти оценки делаются на дилетантском уровне. Поэтому сам процесс контроля становится весьма громоздким.

Для дальнейшей оптимизации процесса этого контроля в нашей экономической литературе выдвигаются различные концепции: одни авторы предлагают весь процесс проверки качества сосредоточить только лишь на производстве, усилить престиж и квалификацию ОТК на производственных предприятиях, повысить оплату их труда, объединить все ОТК и подчинить их неким Всесоюзным промышленным объединениям[1].

[1] А. М. Плешев. Экономические связи торговли с промышленностью, М., 1983, с. 25—28.

ეროვნული ბიბლიოთეკა



Вторая группа авторов предлагает вообще упразднить всякую проверку качества во всех звеньях торговли и ограничиться лишь инстанцией ОТК на предприятиях[2]. Третья группа — упразднить ОТК на предприятиях, но создать специализированные службы технико - технологического контроля при Госстандарте СССР или Госторгинспекции по качесву[3]. Четвертая группа авторов также считает, что нужно упразднить инстанцию ОТК, но взамен создать службы торгпредов на предприятиях, которые должны принять товары по всем их параметрам (качество, комплектность, сроки поставки и т. д.[4]. Пятая группа авторов предлагает весь этот процесс сконцетрировать лишь на оптовых базах, а у производителей организовать свои собственные товароведческие базы, которые там же на месте должны принять продукцию производителей по качеству.[5] Все эти авторские концепции были выдвинуты ими задолго до создания системы органов Госприемки. Функционирование Госприемки, хотя во многом и упорядочило этот расплывчатый процесс контроля, но до логического его конца все же не довело, ибо и после функционирования Госприемки многое в этом деле всё ещё осталось по - прежнему, в силу чего недоброкачественные товары по - прежнему проскальзывают и ныне через все контролирующие инстанции и затоваривают розничные прилавки.

И в настоящее время контролирующие качество инстанции свою работу меж собой всё ещё плохо координируют, каждая из них по - прежнему имеет свои собственные критерии оценки качества товаров, одни из них имеют большую компетентность в данной области, а другие — меньшую. Вследствие всего этого и после Госприемки эта проблема оказалась нерешенной.

Такое обилие концепций по упрощению и оптимизации системы контроля над качеством товаров уже само по себе говорит не только о важности той проблемы, но также и об неотложности её решения, поскольку это давно назревшая проблема.

Некоторые из вышеприведенных концепций в их непосредственной трактовке, безусловно, нельзя считать приемлемыми. Так например, ОТК на прериятиях вообще упразднить нельзя, ибо они и теперь играют весьма важную положительную роль первичного контроля. Нельзя весь контроль сконцетрировать только лишь на производстве, ибо это породит в определенной степени благодушие и семейственность в этом важном вопросе. Нельзя упразднить контроль и в торговле, ибо торговля — это главный продавец произведенных товаров.

Нам кажется, четвертая и пятая концепции все же ближе к реальности. Однако, воспользуясь идеями из обоих этих концепций, мы выдвигаем следующее предложение.

После Госприемки оптовые базы считать второй и самой последней инстанцией проверки качества товаров народного потребления; ОТК на предприятиях необходимо полностью вывести из подчинения производ-

---

[2] М. М. Дарбинян, Торговля — совершенствование планировния и хозяйствования, М., 1981, с. 128.

[3] И. М. Хрекин, Оптовая торговля в СССР, М., 1969, с. 11.

[4] В. А. Язов, Хозяйственные связи торговли с промышленностью, М., 1979, с. 41—43.

[5] П. П. Мицкунас, Оптовая торговля, производство, покупатель. М., 1984, с. 24—26; Сборник «Вопросы совершенствования оптовой торговли и потребкооперации», Москва, 1983, с. 29—35.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ственным предприятиям и сделать товароведческими базами или торговыми представителями (дело не в названии) оптовых баз. Работников этих ОТК предприятий (или товароведческих баз или торгпредов) нужно ввести в штаты оптовых баз в качестве инженеров-товароведов и считать их работниками самих баз. Поскольку оптовые базы ныне не имеют достаточных штатов товароведов, необходимо их штаты существенно увеличить.

Взамен существующей ныне многоступенчатой и громоздкой системы контроля над качеством продукции нужно установить лишь две ступени: Госприемка и оптовые базы со своими инженерно-товароведческими группами ОТК на производственных предприятиях. Это приведет к избавлению от несвойственных им функций контроля над качеством прежде всего розничные предприятия, у которых нет даже штата товароведа, — Госторгинспекцию торговли и качества, Госстандарт, народный контроль, все остальные вневедомственные, внеторговые, советские, партийные инстанции.

Сконцентрируя весь процесс контроля над качеством только лишь в двух инстанциях (Госприемка и Оптовые базы со своими инженерно-товароведческими группами на производственных предприятиях), тем самым создается возможность окончательно унифицировать этот процесс и разработать единые критерии оценки качества с учетом требований последних достижений научно-технического прогресса и современной технологии.

В этой связи возникает неотложная необходимость решить также и следующие сопутствующие этому процессу вопросы, а именно:

— разработать нормативы разбраковки товаров и критерии оценки работы инженеров-товароведов;

— существенно повысить оплату труда этих инженеров-товароведов и разработать новую методику их премирования с тем, чтобы полностью предотвратить их премирование при выпуске на производстве и при проскальзывании на оптовые базы недоброкачественной продукции;

— разработать новое положение об инженерах-товароведах;

— создать при Минторговле республики или самостоятельные НИИ товароведения и оценки качества продукции с присоединением к ним ныне существующих филиалов ВНИИКТа и ВНИИЭКТ-ов или же этим филиалам передать также и функции указанного НИИ;

— внедрить в торговых ВУЗах страны преподавание спецпредмета «Оценка качества и её критерии»;

— обязательную проверку качества товаров осуществлять как при складском, так и при транзитном оптовом товарооборотах;

— изъять функции контроля над качеством товаров у ныне функционирующей Госинспекции торговли и качества товаров, а саму эту Госинспекцию вывести из подчинения Минторговли республики и передать Госстандарту, присоединив ее к ГРУ Госстандарта;

— разработать новую номенклатуру наличия обязательного ассортимента товаров как на универсальных, так и на специализированных оптовых базах.

В этих целях необходимо повсеместно внедрить в практику единую ассортиментную политику для всего оптового звена, а именно:

— упростить и существенно ускорить процесс прохождения новинок от проектной разработки до их внедрения в масовое производство;

— в корне обновить методологические параметры таких важных систем как «Госаттестация качества продукции» (государственную, отраслевую и заводскую), «Единая система аттестации качества продук-

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ
ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ



ции» (ЕСАКП), а также «Комплексные системы управления качеством» как в промышленности (КСУПК), так и в торговле (КСУКТ). Все эти системы теперь уже устарели в своих методологических параметрах, плохо отражают требования современности, а поэтому нуждаются в существенном обновлении.

Комплексное решение всех вышеизложенных мероприятий, на наш взгляд, безусловно, приведет к существенной рационализации всего процесса контроля над качеством товаров на всем пути их прохождения от производства до потребителей. А это со своей стороны весьма реально отразится на укреплении позиций обоих партнерствующих сторон в деле коренной активизации этой трудной борьбы за качество произведенных товаров.

В самом деле, если как-либо «проскочили» недоброкачественные товары через прверку со стороны органов Госприемки, то уже через вторую инстанцию, а именно, через контрольные барьеры ОТК оптовых баз они никак не смогут безболезненно проскочить, ибо ОТК на предприятиях и оптовые базы не противостоят, как раньше, друг другу со своими противоположными интересами, а являются уже единым органом с едиными интересами. Поэтому борьба за качество товаров теперь уже поднимается на новую, более высокую ступень, она не только рационализируется, но ужесточается и становится уже совершенно надежным непреодолимым заслоном перед недоброкачественной продукцией.

В результате этого добросовестное выполнение договорных обязательств между партнерствующими сторонами становится вполне реальной нормой их взаимоотношений, а поэтому и существенно сократятся взаимные предъявления друг другу штрафных санкций или других договорных претензий. Таким образом, оптимизация процесса контроля над качеством товаров — это важнейшее направление усиления воздействия партнерствующих сторон в деле коренной активизации данного процесса. Поэтому такое усиление этого воздействия становится важнейшим резервом повышения эффективности экономических связей между партнерами.

Весма важным резервом усиления воздействия партнерствующих сторон на качество товаров, а следовательно, и резервом оптимизации их экономических связей является более тесная увязка процесса борьбы за качество с работами партнеров по углубленному изучению спроса потребителей, и в частности, с увязкой с Системой комплексного изучения и прогнозирования спроса (СКИПС) и с предлагаемыми нами балансами оптового спроса и предложения, составленными в оптовом звене.

Именно недостаточно четкая координация этих двух составных асделе, если весьма скрупулезно и активно бороться за качество товаров, народного потребления и создает ту нежелательную лазейку, через которую и проникают недоброкачественные товары в торговую сеть. В самом деле, если весьма скрупулезно и активно бороться за качество товаров пусть даже на всем пути их прохождения, но без учета их спроса потребителем, то такая борьба будет, безусловно, бесцельной и безрезультатной. Так, например, такие товары, как галоши, сюртуки, трамофоны, керосинки, примусы, чернильные ручки с перьями, зубочистки, печкибуржуйки, брюки-клеш, парусиновые кители и многие другие аналогичные товары, если они давно вышли из моды и не пользуются спросом, какой же будет иметь смысл при их производстве и на пути их движения вести борьбу за их качество? Или, наоборот, контроль за качеством таких товаров как видеомагнитофоны, копченные мясные изделия, сгущенное молоко, консервы с тушенным мясом, осетровые рыбы, кофе на-

ეროვნული ბიბლიოთეკა

туральные сыры, трюфельные шоколадные конфеты, модные джинсовые костюмы, дубленки и т. д. не будет иметь смысла, равно как и изучение их спроса, поскольку они находятся в дефиците. Следовательно, углубленное изучение спроса и борьба за качество товаров не могут и не должны существовать изолированно и действовать в практике без тесной их координации. Любой из этих двух аспектов, если окажется в изоляции или плохо функционирующим, обязательно станет недоброкачественным или пользующимся недостаточным спросом, товары будут перескочевывать из промышленности з торговлю и создадут громадное скопление залежалых ценностей, которые будут причинять большие материальные потери обеим же партнерствующим сторонам. Поэтому вся работа по изучению спроса потребителей в торговле системы СКИПС-а, балансы оптового спроса и предложения, вся работа контролирующих качество инстанций, функционирующие системы КСУКП-а, КСУКТ-а ЕСАКП-а должны меж собой строго стыковаться и скрупулезно координировать и взаимоувязывать их требования меж собой.

В этом случае все эти аспекты вольются в единую и монолитную совокупность.

Именно такое воссоединение указанных составных двух аспектов единого процесса бескомпромиссной борьбы за качество товаров народного потребления будет являться дополнительным резервом усиления воздействия партнерствующих сторон на качество товаров, а тем самым и весьма важным резервом для дальнейшей оптимизации их экономических связей.

Таковы вкратце наши предложения по усилению воздействия партнерствующих сторон на качество товаров как важнейшего условия оптимизации их экономических связей.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გია სტეფანიშვილი

# ლითონდამმუშავებელი მრეწველობის განვითარება საბჭოთამდელ საქართველოში

კაცობრიობამ თავისი არსებობის ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე, რამდენიმე საფეხური განვლო. ამ საფეხურების დასახასიათებლად მეცნიერები იყენებდნენ ძველ არქეოლოგიურ ძეგლებს, რომელთა ამეტყველება ხდებოდა უპირველეს ყოვლისა ნაპოვნი შრომის იარაღებისა და დამზადებული სხვადასხვა ნაკეთობების საშუალებით.

როგორც კ. მარქსი აღნიშნავდა: „რა მნიშვნელობაც ძეგლების აგებულებას აქვს გამქრალ ცხოველების გვარეობითი ორგანიზაციის შესასწავლად, ისეთივე მნიშვნელობა აქვს შრომის საშუალებათა ნაშთებს გამქრალ საზოგადოებრივ ეკონომიკურ ფორმაციათა შესასწავლად“[1].

შრომის იარაღების დასამზადებლად ადამიანები უძველესი დროიდან იყენებდნენ ქვას, რკინას, სპილენძს, ბრინჯაოს და სხვა მასალებს. სწორედ ამის მიხედვით გამოიყოფოდა არქეოლოგიური ეპოქები (ქვის ხანა, სპილენძის ხანა და ა. შ.).

ქვის ხანა იყოფა ორ ძირითად პერიოდად ძველი (პალეოლითი) და ახალ (ნეოლითი) ქვის ხანად. სწორედ ნეოლითის ხანის დასასრულს დაიწყეს ადამიანებმა შრომისა და საომარი იარაღების დამზადება ლითონისაგან.

ქართველთა მოდგმის ტომებს რკინის მადნის ხელობა „ჯერ კიდევ ძველი წელთაღრიცხვისაგან მეორე ათასწლეულში დაუწყიათ“[2]. ლითონიდან ნაკეთები სხვადასხვა საგნები, სამკაულები, საბრძოლო და სამეურნეო იარაღები „ქართული მეტალურგიის განვითარების დიდი წარსულისა და მაღალსაფეხურზე დგომის მაჩვენებელია. ხოლო ოქროს, ვერცხლის, ტყვიის, რკინის სპილენძისა და სხვათა მოპოვების და დამუშავების მაღალ დონეზე მიუთითებენ უძველესი ისტორიკოსებიც და სხვებიც, როდესაც ქართველი ხალხის ყოფა-ცხოვრებას ეცნობოდნენ“[3].

ჯერ კიდევ ვახტანგ VI-ის დროს ქართველებს მიუკვლევიათ ვერცხლისა და ტყვიის საბადოებისათვის ჩრდილოეთ ოსეთში (მდ. არდონის ხეობა) „XVIII ს. 60-იან წლებში ეს მადანი ერეკლე მეფის დაინტერესებისა და ზრუნვის ობიექტად იქცა. მას ამ მადნის რამდენიმე ფუთი ნიმუშად მიუღია კიდეც“[4].

---

1 კ. მარქსი, კაპიტალი, ტ. 1, თბ., 1954, გვ. 230.

2 გაზ. კომუნისტი“, 1989 29 მარტი.

3 მ. თუთბერიძე, ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანა, თბ., 1974, გვ. 33.

4 გ. თოგოშვილი, საქართველოს ურთიერთობა XVII—XVIII სს., თბ., 1969, გვ. 92.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამთომადნო წარმოების უფრო ფართოდ გასაშლელად საჭირო იყო ადგილობრივი სპეციალისტ-კადრების მომზადება. სწორედ ამიტომ მეფე ერეკლე მეორის განკარგულებით მადნის დამუშავების შესასწავლად ადგილობრივი მოსახლეობიდან აგროვებდნენ გამოსადეგ პირებს და ბერძენ ოსტატებთან შეგირდებად გზავნიდნენ[5]. ეს გამოწვეული იყო იმით, რომ ერეკლე მეფე მრავალრიცხოვან მტერთან საბრძოლველად ცდილობდა ადგილობრივი სამთომადნო სიმდიდრის გამოყენებას იარაღის დასამზადებლად. „არა აქვნდა (მეფე ერეკლეს საქართველოს მტრების წინააღმდეგ) პირდაპირი ძალი, არც ჯარითა და არც ხაზინითა... მაშინ ფრიადისა ღონისძიებითა და შრომითა ეძება მამულსა თვისსა მიწა ოქროსა და ვერცხლისა, რომელმანაც იპოვა... და მოიყვანა საბერძნეთით ბერძენნი მცირედნი გამომდნობელნი ოქროსა და ვერცხლისა მიწისანი“[6]. ბერძენთა ერთმა ჯგუფმა ახტალის (ქვ. ქართლი) და ალავერდის მიდამოებში მოჰკიდეს ხელი სპილენძის დამუშავებას.

„სამთამადნო წარმოების საქმეში მოპოვებულმა წარმატებებმა სამეფოს მესვეურთ ახალი საბადოების ძიების ხალისი გაუღვივა. სურამის მახლობლად მდებარე სოფელი ძალინა ძველიდანვე იყო ცნობილი ვერცხლის საბადოებით და ახლა ეფექტურად დაიწყეს მადნის დამუშავება[7].

ცნობილია, რომ ცარიზმი ატარებდა რა საქართველოში კოლონიურ პოლიტიკას არ იყო დაინტერესებული ადგილობრივი მსხვილი მრეწველობისა და კერძოდ მეტალურგიის განვითარებით. მიუხედავად ამისა, მაინც ხდებოდა ამ დარგის დიდი თუ პატარა მასშტაბით ჩასახვა-განვითარება. კერძოდ „რკინის გამოდნობის მსხვილი წარმოების დაარსების პირველი ცდა საქართველოში ეკუთვნის უცხოელ ერნსტ ლიბს, რომელმაც ადგილობრივი ხელისუფლების დახმარებით ჩათახში, ბოლნისის მახლობლად არსებული რკინის მადნის ბაზაზე, 60-იანი წლების დასაწყისში საფუძველი ჩაუყარა თუჯის ჩამომსხმელ ქარხანას“[8]. ეს წარმოება ტექნიკური აღჭურვილობის თვალსაზრისით იმ დროისათვის სათანადო დონეზე იდგა. 70-იანი წლების დასაწყისში გამართული იყო 2 ბრძმედი, 2 სალღობი ქურა, 2 საგუნდე ქურა, 10 ტონიანი საგუნდე ურო, სპილენძის სადნობი თვითმბერი ქურა, 6 სამჭედლო ქურა. „ქარხანამ თავისი არსებობის მანძილზე დაამზადა ყუმბარები სამხედრო უწყების დაკვეთით, მილები თბილისის საქალაქო საავადმყოფოსათვის, ქალაქის ბაღის რკინის გალავანი, ბოძები ინგლის-ინდოეთის სატელეგრაფო ხაზისათვის, რკინის ნაწილები ხიდებისათვის და სხვა“[9]. 15 წლის არსებობის მანძილზე ქარხანაში სულ გადადნობილი იქნა 346 ათასი ფუთი მადანი, რამაც მოგვცა 120 ათასი ფუთი თუჯი და 17 ათასი ფუთი საგუნდე რკინა... იმის გამო, რომ ქარხანა თავიდანვე არ იყო უზრუნველყოფილი მსხვილი შეკვეთებით და მან თავისი არსებობა ვერ გაამართლა, 1875 წელს დაინიშნა მისი საჯარო გაყიდვა“[10].

ფართო გასაქანი მიეცა და უფრო სწრაფი ტემპით დაიწყო განვითარება მსხვილმა მრეწველობამ რეფორმის შემდგომ პერიოდში. განსაკუთრებით

---

5 დ. გ ო გ ო ლ ა ძ ე, სამთამადნო სამთო საქარხნო მრეწველობა საქართველოში და კაპიტალიზმის გენეზისის ზოგიერთი საკითხი, თბ., 1966, გვ. 19.

6 ზ. ჭ ი ჭ ი ნ ა ძ ე, ცხოვრება საქართველოის, თბ., 1913, გვ. 269.

7 სცია, ფ. 1450, დავთ. 31, საქ. № 14.

8 საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ნაწ. V, თბ., 1970, გვ. 88.

9 იქვე.

10 იქვე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეს ითქმის მეტალურგიაზე, თუმცა იგი მაინც ჩამორჩენილი დარგი იყო, რადგან თუ არ მივიღებთ მხედველობაში ჩათახის ქარხანას, აგრეთვე თბილისსა და ბუთუმში გახსნილ თუჯის ჩამომსხმელ პატარა ქარხნებს, საქართველოში მეტალურგიული ქარხანა, ამის პირდაპირი გაგებით ამ დროს არ არსებობდა. 50-იან წლებში აღმოჩენილი იქნა ჭიათურაში მანგანუმის საბადო, რომლის დამუშავება მოგვიანებით — 1879 წელს დაიწყო. ამ საქმის თაოსანი იყო პოეტი აკ. წერეთელი, რომლის ხელშეწყობით გერმანიიდან ჩამოიყვანეს მეტალურგიის სპეციალისტები, რომლებმაც დაადასტურეს მანგანუმის ვარგისიანობა და უკვე ამ წელს გამოადნეს და საზღვარგარეთ გაგზავნეს 885 ტონა მადანი. თვით აკაკი წერეთელი იგონებდა, რომ „ამ ათი წლის წინათ, როდესაც ჩვენში ფიქრადაც არავის ჰქონია, თუ რა იყო გუნდა ქვა (მარგანეცი), მე შევნიშნე ჩვენში ეს მადნეული და განვიძრახე, რომ მისგან ერთი რამ სასარგებლო საქმე შემედგინა... ათი წლის განმავლობაში, ბევრი შრომა გავსწიე, დროც დავჰკარგე და ხარჯიც კარგი ძალი ვნახე და შემწე კი არავინა მყოლია არც ფულით, არც საქმით და არც სიტყვით, მაგრამ რას ვამბობ, რისი შემწეობა, რომ უმეტესობა კიცინას მაყრიდა, დამცინოდა და შეძლების დაგვარად ხელსაც კი მიშლიდა... ქვა — გუნდი, როგორც მადნეული თავისთავად არაფრად არ ღირს, ის სასარგებლოა მხოლოდ როგორც მომხმარე მადნეული, ანუ მასალა სხვა მადნეულისა. მაგალითად, მისი საშუალებით არბილებენ ფოლადს... არც ერთი ქვეყანა ისე მდიდარი არ არის მადნეულით, როგორც ჩვენი. აქ არა თუ ქვანახშირი, სპილენძი, რკინა, ქვა-გუნდი, ნავთი, ტყვია, მარმარილო და ამგვარი უფრო ძვირფასი მადნეულებიც დიდძალი არის. ჩვენ უნდა ამათზე თვალი გვეჭიროს და ვეცადოთ ხელიდან არ გავუშვათ. ეს ჩვენს ქვეყანას კეთილდღეობას მოჰმატებს, თუ ჩვენ გვექნა და თუ ხელიდან გავუშვით დაგვღუპავს“[11].

90-იან წლებში მნიშვნელოვნად გაიზარდა ჭიათურაში მანგანუმის წარმოება, მაგრამ იმის გამო, რომ მისი დიდი ნაწილი საექსპორტოდ იგზავნებოდა, მრეწველობის ამ დარგს ცალმხრივი ხასიათი ეძლეოდა. თუ 1890 წ. მოპოვებული 10468,1 ათასი ფუთი მარგანეციდან, საექსპორტოდ გაიგზავნა 8400,4 ათასი ფუთი, 1900 წელს მოპოვებული იქნა სულ 40363,4 ათასი ფუთი მანგანუმი და საექსპორტოდ გაიგზავნა 28698,3 ათასი ფუთი. მუშათა რაოდენობა შესაბამისად 2605-დან 3701-მდე გაიზარდა.

მანგანუმი ამ პერიოდში ძირითადად გადიოდა ინგლისში, ჰოლანდიაში, აშშ-ში, ბელგიაში, გერმანიაში, საფრანგეთში და სხვა. ხოლო უმნიშვნელო რაოდენობით რუსეთში. აღსანიშნავია, რომ 90-იან წლებში ჭიათურის მანგანუმის ხვედრი წონა მსოფლიო მასშტაბში 50%-ს აღწევდა[12].

ამავე პერიოდში თანდათან იზრდება სპილენძის მოპოვება-დამუშავების საქმეც, რაშიც თვით ხაზინა იყო დაინტერესებული. 1900 წელს საქართველოში მოპოვებული იქნა 7000 ათასი და გამოდნობილი იყო 127000 ფუთი სპილენძი. მუშათა რიცხვი 500 კაცს აღემატებოდა, უკვე 1906 წელს ალავერდის სპილენძის ქარხანაში ამუშავდა გამამდიდრებელი ფაბრიკა, რომელიც წლიურად 150-200 ტონა წვრილ მადანს ამუშავებდა. 1912 წელს ექსპლოატაციაში შევიდა ელექტროსადნობი საამქრო, რომლის წლიური წარმა-

---

11 აკ. წერეთელი, ქვა-გუნდის ამბავი, თხზ., ტ. 11, თბ., 1960, გვ. 471, 475.

12 საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ნაწ. V, გვ. 399-400.

ეროვნული ბიბლიოთეკა



დობა 600 ტონა ელექტროლიზულ სპილენძს უდრიდა. 1912-1913 წწ. ალავერდის სპილენძის სადნობ ქარხანაში დაიდგა ამერიკული ტიპის 23 ღუმელი და 8 კონვერტერი. აქ 1913 წ. უკვე მოპოვებული იქნა 4,5 მლნ ფუთი სპილენძის მადანი, მაგრამ 1917 წ. იგი შემცირდა 1880 ათას ფუთამდე[13].

ალავერდის სპილენძის წარმოებას სათავეში ედგა ფრანგული სააქციო გაერთიანება „კავკასიის სამრეწველო და მეტალურგიული საზოგადოების“ სახით, რომელიც „ერთ-ერთი უმსხვილესი სამრეწველო დაწესებულება იყო რევოლუციამდელ საქართველოში“[14].

აღმავლობა განიცადა ამ პერიოდში მანგანუმის წარმოებამაც. თუ 1906 წ. მოპოვებული იქნა 50 მლნ ფუთი მანგანუმი 1909 წ. მან 56,5 მლნ და 1913 წ, 59,1 მლნ ფუთს მიაღწია[15]. გერმანულმა ფირმებმა, რომლებიც ეპატრონებოდნენ ჭიათურის მანგანუმს, დიდძალი კაპიტალი დააბანდეს ჭიათურაში. „მათ ძლიერ შეავიწროვეს არა მარტო ადგილობრივი სამრეწველო კაპიტალის პოზიციები, არამედ ინგლისური და ფრანგული კაპიტალისაც. ორი გერმანული ფირმა აფართოებდა ოპერაციებს და წარმატებით იკაფავდა გზას მარგანეცის მრეწველობაში მონოპოლიური მდგომარეობის მოსაპოვებლად. მათ ხელში იგდეს ექსპლოატაციაში შესული საუკეთესო საბადო ზეგნების ფართობის თითქმის მესამედი, სესხების გაცემით დაიკაბალეს ადგილობრივ მეწარმეთა ერთი ნაწილი... დამახასიათებელია, რომ დასახელებულმა გერმანულმა ფირმებმა („კავკასიის საბადოთა ამხანაგობა“, რომლის ერთ-ერთი აქციონერი იყო გერმანიის უგვირგვინო მეფე კრუპი) 1909-1914 წლებში ჭიათურის აუზში საკუთრივ 15 მლნ ფუთი მადანი მოიპოვეს, სულ საქართველოდან გაზიდეს 90 მლნ ფუთი, რითაც გერმანიის მეტალურგიას სტრატეგიული ნედლეულის კოლოსალური მარაგი შეუქმნეს. „პირველი მსოფლიო ომის დაწყების შედეგად, გერმანული ფირმების საქმიანობა აღკვეთილი იქნა ჭიათურაში“[16].

საბჭოთამდელ საქართველოში მეტალურგიიდან მხოლოდ მანგანუმის წარმოებამ მიაღწია მაღალი დონეს და ისიც პირველი მსოფლიო ომის დაწყებამდე. 1913 წ. წარმოებული იქნა 519 188 ათასი ფუთი (ნაცვლად 22905 ათასი ფუთისა 1901 წ.) და მასში ჩაბმული მუშათა რიცხვი გაიზარდა 3477-მდე ნაცვლად 1917-ისა 1901 წელს.

ომის შემდგომ პერიოდში თანდათან მცირდება საზღვარგარეთ გატანილი მანგანუმის ოდენობა. თუ 1913 წ. გატანილი იქნა 65269766 ფუთი მადანი, უკვე 1914 წ. იგი შემცირდა 42716205 ფუთამდე. 1915-1917 წლებში კი თითქმის შეწყდა მისი გატანა. 1919 წ. გატანილი იქნა სულ 332 ათასი ფუთი[17].

1719 წ. 12 ნოემბერს მენშევიკური მთავრობის მიერ დაარსებული იყო მანგანუმის საექსპორტო საზოგადოება „ჩემო“, რომლის შემადგენლობაში შედიოდა როგორც ქართული, ისე სომხური და უცხოური ფირმები. საზოგადოებას ჰყავდა თავისი საბჭო, რომელიც 12 კაცისაგან შედგებოდა, ჰყავდა 2 დირექტორი და თავისი წარმომადგენლები, როგორც ფოთში, ბათუმსა და ჭი-

---

13 ლენინგრადის ცსია, ფ. 37, აღწ. 75, საქ. 691, ფურ. 201.

14 საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. VI, თბ., 1972, გვ. 88-89.

15 იქვე, გვ. 92.

16 იქვე გვ. 96.

17 საქ. ორსმცსა, ფ. 600, აღწ. 1, საქ. 44, ფურ. 7.

ათურაში, ისე ჰაავასა და კონსტანტინეპოლში[18]. „ჩემოს“ ერთადერთი მიზანი იყო მხოლოდ მანგანუმის მადნის ექსპორტი და მისი რეალიზაცია.

მაგრამ, როგორც მთლიანად სახალხო მეურნეობა ისე მანგანუმისა და ლითონის წარმოება მენშევიკური მთავრობის დროს მკვეთრად იყო დაცემული, რასაც არ უარყოფდა მენშევიკური მთავრობის მეთაური ნ. ჟორდანია. 1920 წელს იგი პირდაპირ აღნიშნავდა, რომ ქვეყანა აშკარა კატასტროფის წინაშე აღმოჩნდა[19]. საქართველოს მენშევიკური მთავრობის ვაჭრობის სამინისტროს 1920 წლის ანგარიშში ნათქვამი იყო, რომ: „საქართველოში ლითონის მრეწველობა, კოქსის, ნედლი ლითონის, საწარმოო იარაღების უქონლობის გამო სულს ლაფავს. გარდა ამისა მუშახელის სიმცირე ისეთ მდგომარეობაში აყენებს მრეწველობას, რომ დღეს თუ ხვალ იგი ჩაკვდება“[20].

Г. А. СТЕПАНИШВИЛИ

## РАЗВИТИЕ МЕТАЛЛООБРАБАТЫВАЮЩЕЙ ПРОМЫШЛЕННОСТИ В ДОСОВЕТСКОЙ ГРУЗИИ

Резюме

В труде, на основе архивных документов и опубликованных материалов, научно проанализировано состояние и развитие металлообрабатывающей промышленности в Грузии до установления Советской власти. Отмечено, что отрасль развивалась очень медленно и стихиной. Огромное количество руды вывозилось и обрабатывалось за границей, что, естественно, препятствовало развитию этой отрасли в крае.

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტის სოციალისტური ეკონომიკის გამოცდილების განზოგადებისა და ქართული ეკონომიკური აზრის ისტორიის განყოფილებამ.

18 „საისტორიო მოამბე“, 1956, № 9, გვ. 282.

19 გაზ. „კომუნისტი“, 1920, № 235.

20 საქართველოს ისტორია, 11, თბ., 1962, გვ. 390.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გიორგი ბრეგვაძე

# პურის ცხობის წარმოება რევოლუციამდელ საქართველოში

პურის საკვებ პროდუქტად გამოყენების მიგნება კაცობრიობის ცივილიზაციის საწყის პერიოდად არის მიჩნეული და ცხადია, იგი უშუალოდ დაკავშირებულია ხორბლის წარმოებასა და მის გამოყენებასთან.

დღეისათვის მეცნიერებას დადგენილად მიაჩნია, რომ კულტურული ხორბლეულის ერთ-ერთ მთავარ თავდაპირველ კერას წინა აზია წარმოადგენდა[1]. ამ წინააზიურ კერაში საქართველოს, როგორც უძველეს აგროკულტურის ქვეყანას, განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. მსოფლიოს არც ერთ ქვეყანაში არ მოიპოვება ისე მრავალრიცხოვანი სახეობები ხორბლისა, როგორც საქართველოში[2]. ამავე დროს საქართველო გამოირჩევა ხორბლის განსაკუთრებული ენდემური სახეობების სიმრავლით.

ვარაუდობენ, რომ ადამიანმა თავდაპირველად ჯერ კიდევ მეზოლითის ეპოქაში საკვებად გამოიყენა წყალში დალბობილი ხორბლის მარცვალი, შემდეგ მან დაიწყო მისი მოხალვა და დაბეგვა. საკვები პური შედგებოდა თხელი ფაფისა და სალაფავისაგან. ადრინდელ მეოლითის ეპოქაში ქვის იარაღებისა და მათ შორის ქვის ხელსაფქვავის გამოგონებასთან დაკავშირებით ჩნდება გამომცხვარი პური თხელი კვერების სახით, რომელსაც აცხობდნენ გახურებულ ბრტყელ ქვებზე ან თიხის კეცებზე.

საქართველოს ტერიტორიაზე არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოპოვებული მასალა საშუალებას იძლევა თვალი გავადევნოთ მცენარეთა კულტივირებისა და მასთან დაკავშირებული სამეურნეო ცხოვრების მრავალსაუკუნოვან განვლილ გზას[3]. ირკვევა, რომ ძვ. წ. მეორე ათასწლეულის პირველი ნახევრიდან საქართველოს მოსახლეობა უკვე ძირითადად მიწათმოქმედებას მისდევდა. მოჰყავდა სხვადასხვა პურეული — სთესდნენ ქერს, ფეტვს, ხორბალს და სხვ. აღსანიშნავია ისიც, რომ მათ გააჩნდათ მარცვლეულის შესანახი ორმოები და იმდროინდელი ხორბლის ნიმუშები ნაპოვნია ჩვენს ნიადაგშიც[4].

მარცვლეულის კულტურის განვითარება ცხადია შეუძლებელია მისი დამუშავებისა და გადამუშავების ხელსაწყო-იარაღების გარეშე, რომლებიც დიდი რაოდენობით მოპოვებულია არქეოლოგიური გათხრების დროს. მათ შორის აღსანიშნავია სანაყები, საბეგველები, ხელსაფქვავები. ყოველივე ეს კი

---

1 В. Л. Менабде, Пшеницы Грузии, Тб., 1948, с. 256.

2 Г. С. Читая, Земледельческие системы и пахотные орудия Грузии. «Вопросы этнографии Кавказа», Тб., 1952, с. 109.

3 ლ. ნებიერიძე, დასავლეთ ამიერკავკასიის ადრესამიწათმოქმედო კულტურის განვითარების ადრინდელი საფეხურები, თბ., 1985, გვ. 46-47,98.

4 მ. ჯიბლაძე, მემინდვრეობის კულტურა აღმოსავლეთ საქართველოში, თბ., 1986, გვ. 18; საქართველოს ისტორია, შემდგენელ-რედაქტორი გიორგი მელიქიშვილი, თბ., 1980, გვ. 8.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უთუოდ გენეტიკურ კავშირში იმყოფებიან წინა აზიაში აღმოჩენილი შესაბამისი ხასიათის ნიმუშებთან. ამგვარად საქართველოსი და დასავლეთ კავკასიის უძველესი კულტურების შესწავლა გვამცნობს, რომ აღნიშნულ რეგიონში არსებობდა მწარმოებლური მეურნეობის უძველესი კერა, რომელსაც განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა ამიერკავკასიის უძველესი მიწათმოქმედ-მესაქონლეთა კულტურის ჩამოყალიბებაში. ამავე დროს ეს რეგიონი წარმოადგენდა მსოფლიოში ერთ-ერთ თავდაპირველ კერასაც, სადაც ადამიანმა გამოიყენა ხორბლეული საკვებად და მაშასადამე, ისწავლა პურის ცხობაც.

უძველეს ხანაში ხორბლისა და მისი ფქვილისაგან დამზადებული საკვების სახელწოდება როგორც ივ. ჯავახიშვილი გვამცნობს „დიარა“ უნდა ყოფილიყო, ხოლო მოგვიანებით — ჩვ. წელთ აღრიცხვის დასაწყისიდან მას „პურს“ უწოდებდნენ[5]. ივ. ჯავახიშვილს დასაშვებად მიაჩნია, რომ იგი ნასესხებია ძველ ბერძნულ „პჳროსჲ“-დან, რომელსაც აგრეთვე იგივე მნიშვნელობა აქვს[6].

აგიოგრაფიულ ლიტერატურაში, კერძოდ დაბადებისა და სახარების ქართულ თარგმანში ტერმინი „პური“ ნახსენებია როგორც გამომცხვარი საჭმელი პური. „...სულ ერთია რისგანაც არ უნდა ყოფილიყო იგი გაკეთებული, იფქლი ან დიკა იქნებოდა მასალად ნახმარი თუ ქრთილი ან ქერი“[7].

ქართულ წყაროებში პურის შესახებ ცნობას პირველად ვხვდებით იაკობ ხუცესის „შუშანიკის წამება“-ში (V ს. 70-იანი წლები), სადაც ნახსენებია „...მივიღე მცირედ ღვინო და პური დავალბე“. „პური ვჭამოთ“, „პურის ჭამაი“, „ჟამი პურისაი“, „აჭამეს პური“[8], როგორც აქედან ჩანს იაკობ ხუცესი პურს იხსენიებს არა მხოლოდ როგორც ტერმინს, არამედ საერთოდ როგორც ჭამას, რაც დღესაც „ჭამა ჩვენს ხალხს პურის ჭამად აქვს მიჩნეული“[9].

ამრიგად ძველ წყაროებში „პური“ ეწოდებოდა როგორც ფვილისაგან გამომცხვარ საჭმელს, ისე საერთოდ ჭამასაც, მაგრამ დროთა მანძილზე „პურს“ ხორბლის მნიშვნელობაც მიენიჭა. პურისათვის ასეთი ცნებების მიკუთვნება უნდა ვიფიქროთ გამოწვეულია იმით, რომ უძველეს დროიდან მოყოლებული ქართველი ხალხის მნიშვნელოვან საარსებო საშუალებას პური წარმოადგენდა. ამიტომ მათ კარგად იცოდნენ ხორბლეულისა და ქრთილეულის მოყვანის აგრობიოლოგიური წესები, აუმჯობესებდნენ მიწათმოქმედებისა და ფქვილსაფქვავ ტექნიკას, დაეუფლენ პურეულისა და ფქვილის შენახვის საშუალებებს და სრულყოფდნენ პურის ცხობის ტექნოლოგიას.

ქართველი ხალხის ყოფაში დამკვიდრდა მეტად მრავალი სახისა და დანიშნულების პურის ცხობა, სადაც იყენებდნენ როგორც სხვადასხვა ზომაზე დაფქვილ ფქვილს, ისე მასში შერეულ მრავალ კომპონენტს (რძე, ერბო, ყველი, ხაჭო, კვერცხი, თაფლი, ხორცი, ნიგოზი, ფხალეული და სხვ.).

უძველესი დროიდან მოყოლებული აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს სამეურნეო მნიშვნელობა ორ ძირითად ნაწილად იყოფოდა: მთიანეთად და ბარად. ამავე დროს გეოგრაფიულ თავისებურებებთან დაკავშირებით საქართველო ორ ბოტანიკურ ზონად იყოფოდა. ამის შესაბამისად ყალიბდებო-

---

5 ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს ეკონომიკური ისტორია, თბ., 1930, გვ. 418.

6 იქვე, გვ. 419.

7 იქვე, გვ. 331.

8 იაკობ ხუცესი, „შუშანიკის წამება“, ქართული მწერლობა, I. თბ., 1987, გვ. 228, 229, 231,

9 ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 417.

ეროვნული ბიბლიოთეკა



და პურეულის საკვებად გამოყენების ისეთი ტრადიციები, რომლებიც დამოკიდებული იყო ადგილობრივ ბუნებრივ პირობებზე და მემინდვრეობის განვითარების დონეზე. ქართლში, კახეთში და მესხეთში უმეტეს წილად პური ცხვებოდა ხორბლეულის ფქვილისაგან, ხოლო მთიან ზონაში ქრთილეულისა და ნაწილობრივ ხორბლეულის ფქვილისაგან. პურის ცხობის საშუალებებიც მის შესაბამისად განსხვავდებოდა. იმ რეგიონებში, სადაც ხორბლის წარმოება წარმოადგენდა მეურნეობის ძირითად დარგს უფრო მეტი რაოდენობით და მრავალსახეობით ვხვდებით პურის ცხობის საშუალებებს. ამიტომ აქ უფრო ჩანს პურის ცხობის განვითარების თავისებურებათა ტენდენცია. მაგრამ ამის შესახებ შეუძლებელია ვიმსჯელოთ თუ მოკლედ მაინც არ გავეცნობით ხორბლეულის გადამუშავების, ანუ ფქვილსაფქვავი წარმოების განვითარებას.

ქართველი ხალხის მეურნეობით ყოფაში, თანდათანობით მცირდება ხელსაფქვავების მნიშვნელობა და მის ადგილს იკავებს წყლის ენერგიის გამოყენება წისქვილების სახით.

ცნობილია, რომ საქართველო მდიდარია დიდი თუ მცირე ზომის მდინარეებით, ტბებით და წყაროებით, მათი გეოგრაფიული განლაგება მოიცავს თითქმის მის მთელ ტერიტორიას. წყლის ენერგიის დიდი სიუხვე საუკეთესო პირობებს ჰქმნიდა წისქვილებისწარმოქმნა-განვითარებისთვის,ამას ისიც უწყობდა ხელს, რომ საქართველოში მრავლად მოიპოვებოდა ქვის ისეთი საუკეთესო ქანებით მდიდარი საბადოები საიდანაც ამზადებდნენ, როგორც ხელსაფქვავებს, ისე უფრო დიდი მოცულობისა და მოყვანილობის წისქვილების მუშაობისათვის საჭირო ქვებს.

ყველაზე ადრინდელ ცნობას ქართლში წყლის წისქვილის არსებობის შესახებ გვაწვდის ჰაბიბ იბნ მასლამი (VII ს. 50-იანი წლები)[10]. მას შემდეგ წისქვილების შესახებ მრავალ საბუთებს ვხვდებით ქართულ წყაროებში და უცხოელ მოგზაურთა ჩანაწერებში[11].

იმთავითვე საქართველოში უფრო გავრცელებული ყოფილა ჰორიზონტალური ბორბლიანი წისქვილი, თუმცა ყოფილა აგრეთვე სხვა სახის წისქვილებიც. მარცვლეულის დაფქვის შედეგად შესაძლებელი იყო რამდენიმე ხარისხის და დანიშნულების ფქვილის მიღება, რისგანაც პურს აცხობდნენ.

ძველთაგანვე საქართველოში პურის ცხობა უფრო მეტად გავრცელებული იყო თიხისა და ქვისაგან გაკეთებული კეცებისა და თონეების საშუალებებით. თონე გამომწვარი თიხისაგან მზადდებოდა, იყო მრგვალი მოყვანილობის და ორივე მხრიდან ღია. მას ჩასვამდნენ ნიადაგში მის ზედაპირამდე ან სანახევროდ ისე, რომ ნიადაგის ზედაპირიდან ყოფილიყო 50—60 სმ სიმაღლეზე. მას გარედან შელესავდნენ და გაუკეთებდნენ ხის სარქველს. ასეთი სახის თონეები უფრო მეტად იყო გავრცელებული და მისი სიმარტივის გამო მოსახერხებელი იყო თითქმის ყველა კომლისათვის.

პურის ცხობისას გამოიყენებდნენ ს ა მ ტ კ ი ც ო ს (სირმისა და ძუისაგან მტკიცედ მოქსოვილი). ცომი მზადდებოდა საფუარისა ან ხაშისაგან და იზილებოდა ვარცლში ან გობში (ვარცლი უმეტესად კეთდებოდა ცაცხვის ხისაგან, წყალი უნდა ყოფილიყო ნელთბილი მარილით შეზავებული, მოზელის დროს ცომის ასაფხეკად ხმარობდნენ ასტამს. თონეს ახურებდნენ ძეძვით, ფიჩ-

[10] Н. А. Караулов, Сведения арабских географов IX—X веков, СМОМПК, 38, с. 88—90.

[11] ს. ბ ე დ უ კ ა ძ ე, წყლით მბრუნავი წისქვილები არაგვის ხეობაში, თბ., 1960, გვ. 018.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხით და ხმელი შეშითაც. სანამ თონეში ჩააკრავდნენ პურს ან ლავაშს მას საგანგებოდ მოასუფთავებდნენ. ლავაშს თონეში აკრავდნენ ლ ა თ ა ფ ი თ (ფიცარს ცალ მხარეს ნამჯა ან ბზე აქვს, რომელსაც ტილო აქვს გადაკრული). ლავაშს ზედა ადებენ და ისე აკრავდნენ. გამომცხვარი პური და ლავაში თონიდან ამოჰქონდათ კ ი ნ ჩ ო ლ ი თ. პურის მცხობელს ცეცხლისაგან დაცვის მიზნით მკერდზე აფარებული ჰქონდა გულსაფარი, ხოლო ხელებზე მკლავპაჭიჭი[12].

პური ცხვებოდა აგრეთვე მრგვალი მოყვანილობის თიხის ან ქვის კეცებში, რომლებსაც ჩააწყობდნენ ბუხარში (ან „შუა ცეცხლში") ნაკვერჩხალსა და ნაცრის გამოყენებით. პურის გამოცხობის ასეთი წესი მთიან ზონებში იყო გავრცელებული. ანალოგიურად, ოღონდ კეცების გარეშე პურს — ხმიადს აცხობდნენ მოლაშქრეები და მწყემსები მათი საცხოვრებელი ადგილის დაშორების პირობებში[13].

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ პურმა მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა ქართველი ხალხის სარწმუნოებაში. რელიგიურ დღესასწაულებზე განსაკუთრებით აცხობდნენ ლავაშს, ნაზუქს, ქადას, ბასილას ადამიანის გამოსახულებით და სეფისკვერს. ხშირად პურზე გამოსახავდნენ ჯვარს, ცომის მოზელვისა და პურის ცხობის დროს ასრულებდნენ სხვადასხვა რელიგიურ რიტუალს.

დღემდე შემორჩა გამოცხობილი პურის ასორტიმენტი, მაგალითად, თონის პური (მრგვალი და მოგრძო ანუ შოთი) ლავაში, ნაზუქი, ქადა, ხაჭაპური, კვერი, ხმიადი, ბასილა და სხვ. ზოგიერთი მათგანი ცხვებოდა მრავალი სახისა და შემადგენლობის პურის ფქვილისაგან. ასეთი იყო ხაჭაპური, ქადა, ნაზუქი და სხვ.

საკმაოდ იყო გავრცელებული ფქვილისა და ყურძნის წვენის შერევით სხვადასხვა საკვები პროდუქტების დამზადება, მაგალითად თათარა, ჩურჩხელა, რომლებსაც მაღალი კვებითი თვისება გააჩნდათ, ინახებოდა დიდხანს და ადვილებდა ტრანსპორტირებას. პურის ცომთან ხორცის შერევით მზადდებოდა ხინკალი, ნიგვზით ხაბიზგინი, ხოლო ფქვილისაგან ბურღული, ფაფა და სხვა.

ქართველი ხალხი საკვებად ბრინჯსაც გამოიყენებდა. ბრინჯის გავრცელება საქართველოში ივ. ჯავახიშვილის აზრით IX საუკუნიდან უნდა დაწყებულიყო, თუმცა შესაძლებლად მიაჩნია მისი უფრო ადრე შემოსვლა საბერძნეთის, შემდეგ რომისა და ბიზანტიის „ჰეგემონიის ხანაში"[14].

ბრინჯის კულტურა უფრო ფართოდ განვითარდა დასავლეთ საქართველოში, სადაც უკეთესი ბუნებრივი პირობები არსებობდა ვიდრე აღმოსავლეთ საქართველოში, მაგრამ დასავლეთ საქართველოში საკვებად უფრო მეტად ღომს გამოიყენებდნენ, მისი გავრცელება საქართველოში XIII საუკუნიდან უნდა დაწყებულიყო, ვინაიდან ქართულ წყაროებში მასზე ადრე ცნობა არ მოიპოვება[15]. XV საუკუნის ვენეციელი მოგზაური ჯოსაფატ ბარბაროს დამოწმებით სამეგრელოში უმეტესად ღომით იკვებებოდნენ[16].იგივე დასტურ-

---

[12] მასალები საქართველოს შინამრეწველობისა და ხელოსნობის ისტორიისათვის, თბ., 1986, გვ. 9—12.

[13] იქვე, გვ. 11, 12.

[14] ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 360.

[15] იქვე, გვ. 369.

[16] XV საუკუნის იტალიელ მოგზაურთა ცნობები საქართველოს შესახებ, თბ., 1981, გვ. 85.

ეროვნული ბიბლიოთეკა



დება აგრეთვე XVII საუკუნის იტალიელი მისიონერის არქანჯელო ლამბერტის ცნობით „მეგრელები ჩვეულებრივ პურით კი არა, ღომით იკვებებიან და უცხოელები დარწმუნებულები არიან, პური რომ კიდევ მოიტანონ იქ ვერ გაყიდიან“-ო[17].

ქართველი ხალხის მეურნეობრივ ცხოვრებაში მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა მარცვლეულ კულტურათა შორის სიმინდმა, რომლის გავრცელება დასავლეთ საქართველოში XVII საუკუნიდან დაიწყო, შემდგომ იგი აღმოსავლეთ საქართველოშიც გავრცელდა, მაგრამ უფრო ნაკლებად. სიმინდის ფქვილისაგან თიხის კეცებში აცხობდნენ მჭადს, ხოლო ბრინჯსა და ღომს ამზადებდნენ წყალში მოდუღებით.

ხანგრძლივი დროის მანძილზე პურის ყველა სახეობასა და მჭადის ცხობის ტექნიკას რაიმე არსებითი ხასიათის გაუმჯობესება არ განუცდია.

ამ მხრივ არ უნდა იყოს ინტერესმოკლებული ცნობილი ფრანგი მოგზაურის ჟ. შარდენის (XVII ს. 70-იანი წლები) მიერ მესხეთში ნახული პურის ცხობის პროცესი „ყველაზე დიდი ქოხის შუაში აჩაღებენ დიდ ცეცხლს და ირგლივ შემოუსხდებიან. ქალები ფქვავენ მარცვალს იმ რაოდენობით, რაც საჭიროა პურის გამოსაცხობად. ცომი ცხვება მრგვალი ქვის კეცში, რომლის დიამეტრი დაახლოებით ერთი ფუტია, სიღრმე კი ორი-სამი თითი. კეცს ძალიან აცხელებენ, დებენ მასში ცომს და ზედ წააყრიან ცხელ ნაცარს და ნაღვერდალს. ზოგ ადგილას პურს პირდაპირ ღადარში აცხობენ; ამისათვის კერაში გამოასუფთავებენ ერთ კუთხეს, ჩადებენ იქ ცომს, დაფარავენ ჯერ ცხელი ნაცრით და ნაკვერჩხლით. ასე გამომცხვარი პურის ქერქი თუმცა ძალიან თეთრი არ არის, მაგრამ პური მეტად გემრიელია“[18]. ხოლო შუა ქართლში ყოფნისას ჟ. შარდენი მეტად კმაყოფილი აღნიშნავს „საქართველო ნაყოფიერი ქვეყანაა, ცხოვრება აქ კარგად და იაფად შეიძლება. მსოფლიოს არც ერთ კუთხეში არ არის ისეთი გემრიელი პური, როგორც აქ“[19].

თონის გახურება და საერთოდ პურის ცხობა ყველა ოჯახში საზეიმო განწყობილებას ჰქმნიდა, ხშირად დასახმარებლად მეზობლებიც მონაწილეობდნენ. ჩვეულების მიხედვით ახალგამომცხვარ პურს სთავაზობდნენ როგორც ახლო მეზობლებს ისე ბავშვებს, მოხუცებულებს და ავადმყოფებს.

ოჯახში გამომცხვარი თონის პური, შოთი და ლავაში, თუ პატრონს ამის საშუალება ჰქონდა, შეიძლება გაყიდულიყო ან გაცვლის საგანი ყოფილიყო, მაგრამ მათ არ შეეძლოთ კონკურენციის გაწევა ხაბაზებთან, რომლებსაც ქალაქებსა და დაბებში, მსგავსად სხვა ხელოსნებისა, ჰქონდათ საკუთარი დუქნები სათონეებით, სადაც პური ცხვებოდა არა მარტო მომხმარებლის დაკვეთით, არამედ უშუალოდ ბაზრისთვისაც.

ხაბაზები ისე როგორც ხელოსნების დიდი უმრავლესობა ყმურ დამოკიდებულებაში იმყოფებოდნენ. თავისი ხაბაზები ყავდათ სამეფო კარს, დიდმთავრებს, თავადებს, ეკლესია-მონასტრებს და დიდ ვაჭრებს. ხაბაზის პროფესია შეიძლება ყოფილიყო მემკვიდრეობითი და სარგებლობდნენ გარკვეული პრივილეგიური მდგომარეობით[20], „დასტურლამალში“ დასახელებულია რამდენი-

17 არქანჯელო ლამბერტი, სამეგრელოს აღწერა, გვ. 56.

18 შარდენის მოგზაურობა, თბ., 1975, გვ. 271.

19 იქვე, გვ. 296.

20 ქართული სამართლის ძეგლები, ტ. 11, გვ. 271.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მე პურის მცხობელი („სახაბაზო მოხელენი“), რომლებიც ვალდებული იყვნენ სამეფო კარზე „პურობისას“ გაეწიათ სათანადო მომსახურეობა.

მაგრამ ეს გარკვეულ სიძნელეებთან იყო დაკავშირებული, ვინაიდან პური გაუმჯობესებული ტექნოლოგიით უნდა გამომცხვარიყო. როგორც ქართლ-კახეთის უკანასკნელი მეფის გიორგი XII-ის ბიოგრაფი პლატონ იოსელიანი გადმოგვცემს, მეფისათვის პურს საგანგებოდ აცხობდნენ. „პური სადილისა მისთვის იყო განმტკიცებული — ხორბალი ბაიდარის იყო, მარცვალ-მარცვალ არჩევდნენ თითით და ღერღავდნენ. ქერქს მოაცილებდნენ და ისე ფქვავდნენ. ხუთნაირი ცხვებოდა პური მურასა, საგარეჯო, შოთი, პირ-გაჭრილი და კაკალა. ამას გარდა ცხვებოდა ნაზუქები და ლავაში. პური იყო გემრიელი ვით „ბლამანჟი“[21].

ხაბაზები მეფეს და მთავრებს თან ახლდნენ ლაშქრობებში, მოგზაურობისა და სტუმრობის დროს. სახელმწიფო და საბატონო ვალდებულებების მიხედვით (მაგ. სურსათი, სამასპინძლო, ძღვენი და სხვ.) გლეხებს ეკისრებოდათ გარკვეული რაოდენობის პურისა და ლავაშის მირთმევა.

XVIII საუკუნის მეორე ნახევრიდან შეიქმნა შედარებით უფრო ხელსაყრელი პირობები საქალაქო ცხოვრებასა და ვაჭარ-მრეწველობის განვითარებისათვის. ყველაზე უფრო მეტად ეს ჩანს თბილისის მაგალითზე, თუმცა ეკონომიკური აღორძინების პროცესი საქართველოს ძველ თუ ახლადწარმოქმნილ ქალაქებსაც დაეტყო.

იოვანე ბატონიშვილის გადმოცემით, „თბილისში ხელოსნური წარმოების მრავალ დარგს მისდევდნენ და მათ ჰქონდათ დუქნები, მათ შორის ხაბაზებს, რომლებიც აცხობდნენ და ყიდიან პურს“[22]. ხოლო რუსეთის საიმპერიო მეცნიერებათა აკადემიის ექსპედიციის ხელმძღვანელს აკად. ი. გიულდენშტედტს 1772 წელს თბილისში ყოფნისას შეუნიშნავს რომ მრავლად არიან სხვადასხვა დარგის ხელოსნები... იყიდებოდა: 1 ბათმანი, ე. ი. 1 გირვანქა პური რუსულ ფულზე — 8 კაპიკად[23]. იგი აგრეთვე საინტერესო მასალას გვაწვდის ქსნის ხეობასა და კახეთში ნანახი თონეში პურის ცხობისა და მდინარეებზე აგებულ დიდ თუ პატარა წისქვილების შესახებ[24], რაც მიგვანიშნებს მოსახლეობის არც თუ მჭიდროდ დასახლების პირობებში მარცვლეულის (უმთავრესად ხორბლის) დაფქვის მოთხოვნილების ზრდისა და მაშასადამე, პურის ცხობის გაფართოებაზე. ეს კი თავის მხრივ დაკავშირებული იყო იმაზედაც, რომ პური ცხვებოდა არა მარტო საკუთარი, არამედ სავალდებულო გადასახადთა და ბაზრის გაზრდილ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების შესაბამისად.

მაგრამ დაღესტნელი ლეკების ხშირი თავდასხმებისა და ირანის შახის აღა-მუხამედ-ხანის ლაშქრის შემოსევის გამო ქვეყნის შემდგომი ეკონომიკური აღმავლობა საგრძნობლად შეფერხდა[25]. შემცირდა ხვნა-თესვა, პურეულისა და სხვა მარცვლეულის მოყვანა. მოსახლეობას საკუთარი წარმოების პური არ ყოფნიდა. შიმშილი ზოგჯერ მოიცავდა ფართო რაიონებს. სახელმწიფო საწყობებში არსებულ პურის მარაგს უმთავრესად სამხედრო დანიშნულებისათ-

21 ქართული სამართლის ძეგლები, ტ. 11, გვ. 271, პლატონ იოსელიანი, ცხოვრება მეფისა გიორგი XII-სა, თბ., 1936, გვ. 11.

22 იოვანე ბატონიშვილი, კალმასობა, 1936, გვ. 193—195.

23 გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, 1, თბ., 1962, გვ. 93.

24 იქვე, გვ. 21, 27, 31, 51.

25 საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, თბ., 1973, გვ. 764.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვის იყენებდნენ და ისიც არ აღმოჩნდა საკმარისი რუსეთის 3 ათასი ჯარისკაცისათვის, რომლებიც ქართლ-კახეთის სამეფოს რუსეთთან შეერთების წლებში აქ დაბანაკდა.

რუსეთის მეფის ხელისუფლება იძულებული გახდა ხორბალი, ფქვილი და ბურღული რუსეთიდან შემოეზიდათ ასტრახან-ბაქოს ყულევის (რედუტკალე) და ფოთის გზით, ასევე ვლადიკავკაზიდან, რაც დიდ სიძნელეებთან იყო დაკავშირებული და აძვირებდა პურეულის ღირებულებას.

XIX საუკუნის პირველ მესამედში კავკასიის ომებთან დაკავშირებით საქართველოში რუსეთის ჯარის კორპუსი მნიშვნელოვნად გაიზარდა, ხოლო ხორბლის წარმოება ომიანობის პირობებში არ მატულობდა. ამიტომ გაიზარდა პურის საბეგარო გადასახადის მოცულობა და მოსახლეობისაგან რეკვიზიციის წესით პურის წართმევა, რაც მოსახლეობის დიდ უკმაყოფილებას იწვევდა[26].

შექმნილი ვითარება ზღუდავდა ბაზარზე ხორბლის გატანის შესაძლებლობებს და მასთან დაკავშირებით პურის ცხობის წარმოებასაც, თუმცა მასზე სასაქონლო მოთხოვნილება სულ უფრო მეტად იზრდებოდა. 30—40-იანი წლებიდან შეიქმნა სათანადო პირობები სამეურნეო-ეკონომიკური ცხოვრების სწრაფი აღმავლობისთვის. თბილისი და მისი მოსახლეობა მნიშვნელოვნად გაიზარდა, იგი კვლავ გახდა საქართველოს დედაქალაქი, ამასთან ამიერკავკასიის ადმინისტრაციული და კულტურული ცენტრი.

ქალაქის მცხოვრებთა რიცხვი 35 ათასზე მეტს აღწევდა. თბილისთან ერთად იზრდება გორი, თელავი, სიღნაღი, დუშეთი, ცხინვალი, ახალციხე, ყულევი, ფოთი, სოხუმი და სხვ. ქუთაისი იქცა ერთ-ერთ მნიშვნელოვან სავაჭრო პუნქტად, ხოლო 1846 წლიდან საგუბერნიო ქალაქად. როგორც თბილისში, ისე სხვა ქალაქებსა და დაბებში იზრდება სავაჭრო და სავახშო კაპიტალის როლი. უფრო მეტად ღრმავდება ხელოსან მრეწველთა დიფერენციაცია. ჩნდება ტენდენცია მარტივიდან შედარებით მსხვილ სარეწაოებზე გადასვლის. თბილისში გაჩნდა რამდენიმე კაპიტალისტური საწარმო, თუმცა მათი როლი ქვეყნის ეკონომიკურ-საზოგადოებრივ ცხოვრებაში უმნიშვნელო იყო.

სოფლის მეურნეობაში თანდათანობით იზრდება სასაქონლო ფულადი ურთიერთობა, რაც გამოიხატებოდა ყმა გლეხთა საბეგარო გადასახადში ფულადი ბეგარის შედარებით მატებაში. თვალსაჩინო ხდება ფეოდალურ-ნატურალური მეურნეობის რღვევის პროცესი.

სოფლად მწარმოებლური ძალების ზრდამ ხელი შეუწყო მარცვლეული კულტურებისა და უწინარეს ყოვლისა ხორბლის წარმოების გადიდებას, რომელზედაც მოთხოვნილება სულ უფრო მეტად მატულობდა. პურის მთავარი მომხმარებელი მაინც რუსეთის ჯარის ნაწილები და ქალაქის მცხოვრებლები იყო. პურს ფასი დაედო და გლეხებიც დაინტერესებული იყვნენ მეტი მოსავალი მიეღოთ. ამ მიზნით გლეხების მიწათმფლობელებისაგან იჯარით იღებდნენ და აფართოებდნენ სახნავ-სათეს მიწებს. მიუხედავად ჩამორჩენილი სამიწათმოქმედო ტექნიკისა პურეულის მოსავალი მატულობს. ხორბლისა და მარცვლეულის მნიშვნელოვანი ნაწილი ბაზარზე გადიოდა. თუ 1801—1805 წლებში თბილისის გუბერნიაში ძლივს შეგროვდა 16 ათასი ჩეტვერტი (ჩეტვერტი 7-მდე ფუთს უდრიდა) პური და ბურღული[27], 50-იანი წლებისათვის

---

26 საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, გვ. 906.

27 ი. ანთელავა, მასალები საქართველოს ეკონომიკური ისტორიისათვის, „საისტორიო მოამბე“, 1950, № 5, გვ. 289—291.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მხოლოდ თბილისში გაჰქონდათ გასაყიდათ 150 ათასი კოდი პური და 40 ათასი კოდი ქერი, აქედან საგრძნობი ნაწილი გამომცხვარი პურის სახით იყიდებოდა.

ხორბლის შესყიდვას საინტენდატო სამმართველოს გარდა დიდი ზომით ეწეოდნენ ვაჭრებიც (სოვდაგრები), რომლებიც გლეხობისაგან იაფად შეძენილ ხორბალს მის მოხმარების უმთავრეს ცენტრში — თბილისში და სხვა ქალაქებში ზედმეტ ფასებში ყიდნენ და აძვირებდნენ ბაზრებს. ასეთი გზით ვაჭრები ახერხებდნენ მნიშვნელოვანი კაპიტალის დაგროვებას[28].

საქართველოში პურსაცხობი წარმოების შესახებ შეიძლება წარმოდგენა ვიქონიოთ თბილისის მაგალითზე, ვინაიდან მასზე უფრო სარწმუნო სტატისტიკური ცნობები მოგვეპოვება. როგორც ირკვევა 1808 წელს თბილისში 32 ხაბაზი ყოფილა და ჰქონიათ 19 დუქანი. ხაბაზებს შორის მრავლდება თავისუფალი ხელოსნები თავისი ოჯახებით. ძველი ტრადიციის მიხედვით ისინი გაერთიანებული იყვნენ ამქარში და როგორც სხვა დარგის ამქრებს ხაბაზებსაც ყავდათ თავისი უზენაესი მფარველი — ქრისტე, რომელმაც ხუთი პურით 5 ათასი კაცი გააძღო[29].

ხაბაზებს თავისი დუქნები ჰქონდათ თბილისის გარდა სხვა ქალაქებსა და დაბებში. ზოგი ხაბაზი პურს აცხობდა თავისი ოჯახის წევრების დახმარებით, ზოგი კი ქარგლისა და შეგირდის დახმარებით. იყო ისეთი ხაბაზიც, რომელიც პურს თონეში აცხობდა ოჯახებში მიწვევით, ასეთი პურისმცხობელი სოფლებშიაც იყვნენ. ისე, რომ სასაქონლო პური თანდათანობით ფართო ბაზარს იძენდა.

აღსანიშნავია ისიც, რომ ამ დროისათვის პური ცხვებოდა არა მარტო ძველი ტრადიციული წესების მიხედვით, არამედ ბაზარზე გამოჩნდა ადგილობრივ მცხოვრებლებისათვის ჯერ კიდევ უცნობი გამომცხვარი პურფუნთუშეული. ეს დაკავშირებული იყო საქართველოში კოლონისტების ჩამოსახლებასთან, რომლებმაც მოიტანეს თავის დამახასიათებელი პურის ცხობის ტრადიციული წესები. როგორც გერმანელი მოგზაური კ. კოხი მოგვითხრობს, გერმანელი კოლონისტების „... შედარებით კულტურულმა ნაწილმა მიატოვა კოლონია (თბილსთან მიმდებარე — გ. ბ.) და ქალაქში გადასახლდნენ. იქ მათ სხვადასხვა ხელობას მიჰყვეს ხელი, განსაკუთრებით დურგლობას, ხაბაზობას, რითაც კარგ შემოსავალს შოულობდნენ“. იგი ამავე დროს შენიშნავს, რომ გერმანელების მიერ გამომცხვარი პური ადგილობრივთან შედარებით ორმაგად ფასობდა[30].

საქართველოში მცხოვრები კოლონისტები და სამხედრო უწყება თავიანთი საჭიროებისათვის ამჯობინებდნენ ფურნეებში და ე. წ. „რუსულ ღუმელებში“ გამომცხვარ პურს. ასეთი სახის პურს ზოგიერთი მეპურეც აცხობდა, მაგრამ ადგილობრივი მოსახლეობის უმრავლესობას მაინც ერჩია თონეში გამომცხვარი — ქართული პური, რომელიც სხვა ღირსებებთან ერთად იაფიც ჯდებოდა.

1835 წლის აღრიცხვით თბილისში იყო 58 ხაბაზი (მეთონე, მეფურნე,

---

28 პაატა გუგუშვილი, საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება XIX—XX სს., თბ., 1959, გვ. 229.

29 იქვე, თბ., 1962, გვ. 281.

30 კ. კოხისა და სპენსერის ცნობები. — საქართველოსა და ამიერკავკასიის შესახებ, თბ., 1981, გვ. 215.

ეროვნული ბიბლიოთეკა



მეფუნთუშე), ხოლო 1855 წლისათვის მათი რაოდენობა 150-მდე გაიზარდა[31]. თბილისის ხაბაზებს შორის იყვნენ ქართველები, გერმანელები, სპარსელები. თბილისის ამქართა შორის მეპურეთა ამქარს ერთ-ერთი მოწინავე ადგილი ეკავა. მათი კორპორაცია ახალი დუქნის მოწყობაზე აწესებდა გარკვეულ გადასახადებს, არეგულირებდა ხორბლეულის მომარაგება — განაწილებას და ვაჭრებთან ურთიერთობას. ამქრის გავლენისაგან თავის დაღწევა დიდ სიძნელეებთან იყო დაკავშირებული, მაგალითად, ყმა-გლეხმა გოგია ომიაძემ თბილისში პურის საცხობი დუქნის მოწყობაზე ამქრისათვის დაწესებული თანხა არ გადაიხადა, მან ასევე უარი განაცხადა მეორე პურის საცხობი დუქნის მოწყობაზეც. მაშინ ამხედრებულმა ამქრებმა დაანგრიეს ომიაძის პურსაცხობი და აუკრძალეს პურის ცხობის წარმოება. ამის ინიციატორები ხოსია სულაძე და რვა ხელოსანი დააპატიმრეს. ხელისუფლების ასეთ მოქმედებას პურისმცხობელთა ამქარმა გაფიცვით უპასუხა. დაიხურა ქალაქის ყველა პურსაცხობი დუქანი. მოსახლეობა უპუროდ დარჩა. პოლიცია იძულებული გახდა ყველა დაპატიმრებული გაეთავისუფლებინა, ოღონდ 31 ხელოსანი თითო თუმნით დაჯარიმდა. ასეთი შემთხვევა სხვა დროსაც ხდებოდა.

საქართველოში საგლეხო რეფორმების გატარების შემდეგ მკვეთრად იზრდება პურისმცხობელთა რაოდენობა, როგორც თბილისში, ისე გორში, თელავში, დუშეთში, ქუთაისში, ფოთში და სხვ.

1876 წლის დამდეგს თბილისში აღრიცხული იყო: პურის მცხობელი ოსტატი — 134, ქარგალი — 405, შეგირდი — 31, სულ პურისცხობის წარმოებაში დასაქმებულია 670 კაცი[32]. მეპურეთა კორპორაცია გაერთიანებული იყო 3 ამქარში და 1 მეთონეთა ამქარში. მეთონეთა ამქრები იყო აგრეთვე გორში და ქუთაისში.

მეპურე ხელოსნებს შორის ღრმავდება ქონებრივი დიფერენციაცია, ზოგი მათგანი უკვე ხდება მეპატრონე ორი, სამი და უფრო მეტი პურსაცხობი წარმოების, ან ამავე დროს ფლობდა სხვა წვრილ საწარმოსაც.

მართალია, პურისმცხობელთა ხელოსნობა უმეტეს წილად ქალაქური მეურნეობის სფეროს განეკუთვნება, მაგრამ ასეთი ხელოსნები დაბებში და ზოგიერთ სოფლებშიც გამოჩნდნენ.

პურისმცხობელ ხელოსანთა კორპორაციაში იზრდება დაქირავებულ მუშათა ექსპლოატაცია. ქარგალთა ნაწილი ცდილობს საკუთარი წარმოების შექმნას, ხოლო ვინც ამას ვერ ახერხებს ჩაითრია კაპიტალისტურმა მეწარმეობამ საქმიანობის სხვა სფეროში.

მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთ პურისმცხობელ ოსტატს, საწარმოს მეპატრონეს გააჩნდა სათანადო კაპიტალი, არ ახდენდნენ წარმოების კონცენტრაციას, არ ზრუნავდნენ წარმოების ტექნიკურ გაუმჯობესებაზე. პურსაცხობი წარმოება (განსაკუთრებით მეთონეთა) კვლავ დამყარებული იყო ხელით შრომაზე და არქაულ წესებზე. ეს ალბათ, იმითაც უნდა ყოფილიყო გამოწვეული, რომ პურსაცხობი წარმოება ისეთ დარგს ეკუთვნოდა, რომლის პროდუქცია არ განიცდიდა კონკურენციას რუსეთში წარმოებული პროდუქციის შემოტანის შეუძლებლობის გამო. შეიმჩნევა აგრეთვე ზოგიერთ პურსაცხობ საწარმოში შრომის დანაწილება და ოსტატ მეპურის შრომის

---

31 პაატა გუგუშვილი, საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება XIX—XX სს., ტ. V, გვ. 128.

32 იქვე, გვ. 293, 297.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



პროცესში მონაწილეობიდან განთავისუფლება, მაგრამ პურისმცხობელ ხელოსანთა გამსხვილება და მათი გადაზრდა კაპიტალისტურ საწარმოდ ვერ განხორციელდა. ამ მხრივ უფრო დაწინაურდა ფქვილსაფქვავი წარმოება, თბილისსა და სხვა რაიონებში ამოქმედდა რამდენიმე ორთქლის ძრავის წისქვილი. მაგრამ ნაკლებ როლს ასრულებდნენ საერთოდ ფქვილსაფქვავ წარმოებაში, ხოლო დანარჩენი წყლის წისქვილები წარმოადგენდნენ მეტად წვრილ საწარმოებს.

XX საუკუნის დამდეგს მოსახლეობის რაოდენობა საქართველოში 80-იან წლებთან შედარებით მნიშვნელოვნად გაიზარდა და მატულობს ქალაქების, სამრეწველო ცენტრებისა და საკურორტო ადგილებში (განსაკუთრებით ზაფხულის სეზონის დროს) მცხოვრებთა რაოდენობა, ცხადია ასეთ პირობებში გამომცხვარ პურზე გაიზრდებოდა მოთხოვნილება. პურცხობის ტექნოლოგია მოითხოვდა დიდ დანახარჯებს. ყველა სახის პურის ცხობა დამოკიდებული იყო არა მხოლოდ ფქვილის წარმოებაზე, არამედ მის ტრანსპორტირებასა და საწვავზე. ეს ფაქტორები უარყოფით გავლენას ახდენდნენ გამომცხვარი პურის ღირებულების სტაბილურობაზე. თბილისში შემოზიდული შეშა ძვირი ჯდებოდა — ერთი საჟენი 30-35 მანეთი, ხაბაზები კი ყოველდღიურად მოითხოვდნენ რამდენიმე ურემ შეშას. ვაჭარ-მრეწველები ამჩნევდნენ, რომ პურის ცხობის ძველი საშუალებებით არ შეძლებოდა პურზე გაზრდლი მოთხოვნილების დაკმაყოფილება, საჭიროდ მიიჩნიეს ქარხნული წესით პურის ცხობის დაწყება და ამ გზით გარკვეული სარგებლის მიღება. როგორც სტ. გულშამბაროვი გადმოგვცემს ამ მიმართულებით დაწყებულმა პირველმა ცდებმა არ გაამართლა. 1882 წელს კი თბილისში სტოცკიმ და მელკუმოვმა ააშენეს ფურნე, სადაც დაიდგა დიდი პურსაცხობი ღუმელი, მაგრამ ამ წარმოებამ იარსება მხოლოდ ერთი წელი.

1883 წლის მეორე ნახევარში საქართველოში ცნობილ ვაჭარ-მრეწველების ონიკაშვილის, ზუბალაშვილისა და ამხანაგობის ინიციატივით თბილისში დამთავრდა პურის ქარხნის მშენებლობა. მისი მოწყობილობა (პარკინსის სისტემის ორი განუწყვეტელი მოქმედების ღუმელი, ტექნიკურად გაუმჯობესებული ვისტმოსტისა და პაგის მიერ) მიღებული იქნა გერმანიიდან. წარმოებრივი სიმძლავრე დღე-ღამეში შეადგენდა 400 ფუთს, და იხარჯებოდა 20 ფუთამდე ნავთობი. მისი ღირებულება თბილისში მოტანით დაჯდა 15000 მანეთი. ამასთან ერთად გერმანიიდან მოიწვიეს პურის მცხობელი ოსტატები. სულ ქარხანაში მუშაობდა 1 მემანქანე და 5 მუშა. ქარხანაში გამომცხვარი პური, იწონიდა 9 გირვანქას და იყო კარგად გამომშრალი, მაგრამ იგი თავისი გემოვნური თვისებებით ჩამორჩებოდა თონეში გამომცხვარ პურს. ამიტომ ქარხნული პური იყიდებოდა შედარებით იაფად და მყიდველის მოთხოვნით ბინაზე მიტანითაც. ქარხნის პურმა ვერ ჰპოვა მომხმარებელთა დაინტერესება და მეპატრონეები ზარალს განიცდიდნენ. 1887 წელს ქარხანამ ერთი თვის მანძილზე გამოაცხო 1008 ფუთზე მეტი პური და მასზე დაიხარჯა 720 ფუთი ფქვილი. ამავე წლის დამლევს პურის ქარხანა მისმა მეპატრონეებმა იჯარით გადასცეს სხვა პირებზე[33].

თბილისში თამამშევის წისქვილის ბაზაზე შეიქმნა პურსაცხობი ფურნე. 1900 წელს წისქვილში და პურსაცხობში მუშაობდა 25 მუშა, წარმოებული

[33] Гулишамбаров С. Г., Обзор фабрик и заводов..., с. 129—132.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროდუქციის ღირებულება 1900-1908 წლების მანძილზე 36 ათას მანეთიდან 50 000 მანეთამდე გაზრდილა[34].

ოფიციალური სტატისტიკური ცნობით 1900 წელს თბილისში აღრიცხულია 149 პურსაცხობი (2-8 მუშით) თითოეული 1000-დან 25 ათას მანეთამდე ბრუნვის მოცულობით. ამ საწარმოთა პროდუქციის ღირებულება 764 ათას მანეთს შეადგენდა, ხოლო მუშათა რაოდენობა 519. ასევე წვრილი პურსაცხობები (2—4 მუშით) აღრიცხულია თბილისის გუბერნიის სხვა ქალაქებშიც, მაგალითად, გორში — 19, სიღნაღში — 1, ახალციხეში — 1, ბორჩალოში — 2 და სხვ., სადაც დასაქმებული იყო 919 მეპურე და 208 მეფუნთუშე[35]. 1903 წლისათვის მათი რაოდენობა შეადგენდა შესაბამისად 1258,173 კაცს, ხოლო ბრუნვის მოცულობა 1000-დან 4000 მანეთს და პროდუქციის ღირებულება 1000 მანეთს შეადგენდა[36].

გასათვალისწინებელია ისიც, რომ თბილისსა და სხვა პუნქტებში განლაგებული ჯარის ნაწილები თვითონ აცხობდნენ პურსა და ორცხობილას, რაც არ არის აღნიშნული სტატისტიკურ მონაცემებში.

გაზ. „ცნობის ფურცლის“ კორესპოდენტის შეტყობინებით 1898 წლის მაისს თელავში პურის ფქვილზე ფასების გაზრდის გამო გაიფიცნენ მეპურეები და ქალაქის მცხოვრებნი. ორ დღეს სრულიად უპუროდ დარჩენილან. როგორც ჩანს ქალაქში მკვეთრად იზრდება გამომცხვარ პურზე მოთხოვნილება[37].

საქართველოსა და ამიერკავკასიაში მარცვლეულის წარმოების შემცირებამ, რამაც თავი იჩინა ამ დროს, მწვავედ დასვა საკითხი, რუსეთიდან, განსაკუთრებით ჩრდილო კავკასიიდან, მარცვლეულის შემოზიდვის ორგანიზაციის შესახებ, და ეს სარფიანი საქმე მსხვილმა კომერსანტებმა იკისრეს (ქავთარაძე, შტრანკი და სხვ.), მაგრამ ამ საქმეს ისიც ართულებდა, რომ თვით რუსეთშიც დრო და დრო მწვავედ იგრძნობოდა პურეულის ნაკლებობა[38] და ეს საგრძნობ გავლენას ახდენდა საქართველოსა და ამიერკავკასიის მარცვლეულით უზრუნველყოფის სტაბილურობაზე.

როგორც აკად. პ. გუგუშვილი აღნიშნავს „ამიერკავკასია ამ დროს საშუალოწლიურად 24 მილიონამდე ფუთ შემოტანილ პურეულს მოიხმარდა და აქედან საქართველოზე მოდიოდა, არაპირდაპირი გაანგარიშებით, 10-11 მილიონი ფუთი[39]. თუ გავითვალისწინებთ, რომ საქართველოში პურეულის საშუალოწლიური მოსავალი დაახლოებით უდრიდა 51 მილიონ ფუთს, ხოლო შემოტანილი 10-11 მილიონ ფუთს, მაშინ მთელი მოხმარება აღწევდა 61-62 მილიონ ფუთს, აქედან 63,3 პროცენტი მოდიოდა შემოტანილ პურეულზე. იმდროინდელი სტატისტიკური გაანგარიშებით საქართველოში პურეულის

---

34 გ. მარგიანი, საქართველოს მრეწველობა და სამრეწველო პროლეტარიატი 1864—1917, თბ., გვ. 324.

35 Сборник статистических сведений по Закавказскому краю, т. I, Тифл., 1902, с. 237, 244.

36 პაატა გუგუშვილი, საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება XIX—XX სს. V, გვ. 266.

37 გაზ. „ცნობის ფურცელი“, 1898 წ. № 534.

38 ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 17, გვ. 632.

39 პაატა გუგუშვილი, დასახ. ნაშრომი, ტომი მესამე, გვ. 391.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოხმარება (მარცვლეულზე გადაყვანით) მოსახლეობის ერთ სულზე საშუალო წლიური იყო ქალაქის მოსახლეობისა — 12 ფუთი, სოფლისა — 15 ფუთი[40].

პურეული უმეტესად დაფქული სახით იყიდებოდა საქართველოს თითქმის ყველა ქალაქში, სპეციალურ მაღაზიებში, აგრეთვე ბაზრებზე. ამ პროდუქციის გამყიდველებს ალაპებს უწოდებდნენ.

1900 წელს თბილისში იყო 25 ფქვილის გასაყიდი მაღაზია, 15 000-300 000 მან. ბრუნვის მოცულობით, 1135 მან. პროდუქციის ღირებულების და 54 მუშით. ამასთან ერთად ვითარდება საკონდიტრო წარმოება. მათი პროდუქცია იყიდებოდა ზოგიერთ ქალაქში, მაგალითად, თბილისში, გორში, ბორჯომში, ახალციხეში, ქუთაისში, ბათუმში და სხვ. თბილისში მეკონდიტრეთა ბრუნვის მოცულობა 2000-დან 50000 მანეთს, პროდუქციის ღირებულება 295 მან. შეადგენდა, დასაქმებული იყო 144 მუშა[41].

1912 წლის მონაცემებით თბილისში მეთონეთა, მეფურნეთა, და მელავაშეთა რაოდენობა 1247 კაცს შეადგენდა, აქედან ოსტატი იყო 328, ქარგალი 786, შეგირდი 139 კაცი[42].

მეპურეებს, რომ მუდმივი სამუშაო ჰქონოდათ ეს ბევრად იყო დამოკიდებული ბაზარზე ფქვილის ხელმისაწვდომ ფასებში შეძენაზე. 1910 წლიდან მოყოლებული და განსაკუთრებით პირველი მსოფლიო ომის დაწყებასთან დაკავშირებით მეპურეები დიდი სიძნელეების წინაშე აღმოჩნდნენ. თბილისში, სადაც საწყობებში ყოველთვის იყო ფქვილის დიდი მარაგი თანდათანობით ილევა და მათი შევსება ტრანსპორტის ნაკლებობით გართულდა. ამით სარგებლობდნენ ადგილობრივი ვაჭრები და ფქვილზე ფასს უწევდნენ. ერთი ტომარა ფქვილი ღირდა 15-დან 17 მანეთამდე, წინააღმდეგ დადგენილი ფასისა — 13 მან. და 40 კაპ[43]. ფქვილზე ფასების შეუნელებელი ზრდა იწვევდა მეპურეთა უკმაყოფილებას. ისინი იძულებული ხდებიან თავის მხრივ მოემატათ პურის ფასიც. 1914 წ. 17 დეკემბრის თბილისის გუბერნატორის დამტკიცებული ნიხრის მიხედვით პირველი ხარისხის ფურნის პური (გირვანქობით) ღირდა — 5 კაპ., იმავე ხარისხის თონის პური — 5 1/2 კაპ., მეორე ხარისხის ფურნისა — 4 კაპ. თონისა — 4 1/2 კაპ., ჭვავის შავი — 3 კაპ., ლავაში პირველი ხარისხის 5 1/2 კაპ., მეორე ხარისხის — 5 კაპ., ფრანგული ფუნთუშა — 5 კაპ. (1/2 გირვანქა)[44].

1915 წლის 28 აპრილს პურის 350 მცხობელმა მოკლევადიანი გაფიცვა მოაწყო, რაც გამოწვეული იყო მძიმე ეკონომიკური მდგომარეობით და შრომის პირობების გაუარესებით. რამდენიმე დღის შემდეგ (4 მაისს) მეთონეები შეიკრიბენ ქალაქის გარეთ კუკიის სასაფლაოზე და, როგორც პოლიციის მასალებიდან ირკვევა „... ისინი შეიკრიფენ იქ მუშათა ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესების საკითხებზე სათათბიროდ[45]. მდგომარეობას ართულებდა ისიც,

40 იქვე, გვ. 385.

41 საქ. სსრ ცსია, ფონდი 414, ანაწ. 1, საქ. 13, ფ. 113. Сборник статистических сведений..., с. 139.

42 პაატა გუგუშვილი, დასახ. ნაშრ., ტომი მეხუთე, გვ. 269.

43 ა. ვაშაკიძე, მუშათა კლასი თბილისის გუბერნიაში პირველი მსოფლიო იმპერიალისტური ომის წლებში (1914-1917 წწ.), „საისტორიო მოამბე", თბ., 1975, გვ. 428.

44 საქ. სსრ ცსია, ფონდი 108, საქ. 4380, ფურც. 250.

45 საქ. ცსია, ფონდი 17, საქ. 8305, ფურც. 152.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ მთავრობის დაკვეთით თბილისის მეპურეებმა იკისრეს კავკასიის არმიისათვის ორი თვის მანძილზე (მაისი-ივლისი) 80 000 ფუთი ორცხობილას დამზადება[46]. ახლა ფქვილი ქალაქში საკმარისი აღმოჩნდა, მაგრამ მეპურეებს აღარ შეეძლოთ ზემოთაღნიშნული მიზეზების გამო ქალაქის მოსახლეობის მთლიანად დაკმაყოფილება. პურზე ფასები კიდევ უფრო მატულობს. შეწყდა მესამე ხარისხის პურის გამოცხობა, რომელსაც ყიდულობდა ღარიბი მოსახლეობა[47].

ანალოგიური მდგომარეობა შეიქმნა საქართველოსა და ამიერკავკასიის ქალაქებსა და დაბა-სოფლებში. შიმშილის საფრთხის ასაცილებლად შეიქმნა „კავკასიის სასურსათო კომიტეტი“, რომლის უპირველეს ამოცანას არმიისა და ზურგის სასურსათო პროდუქტებით მომარაგება შეადგენდა. მართალია ამ კომიტეტმა ნაწილობრივ შეამსუბუქა მხარის სურსათითა და პურეულით უზრუნველყოფა, მაგრამ წამოჭრილი პრობლემის გადაწყვეტა მას არ შეეძლო, ვინაიდან პირველ მსოფლიო და სამოქალაქო ომებით გამოწვეული სანელეების შედეგად მკვეთრად მცირდება ნათესი ფართობი და მარცვლეულის მოსავლიანობა, მდგომარეობა უფრო საშიში გახდა 1918 წლის მაისიდან, როდესაც საქართველოში შეიქმნა მენშევიკური მთავრობა. ღრმა ეკონომიკური კრიზისის პირობებში პურის საბაზრო ფასმა ასტრონომიულ ციფრს მიაღწია. 1920 წელს ერთი ფუთი ხორბალი — 90 000 მანეთი ღირდა, სიმინდი — 535 000, ხორბლის ფქვილი — 107 000 მანეთი, მესამე ხარისხის ფურნის პური გირვანქა — 16,7 კაპ., ხორბლის ფქვილის განსაკუთრებული მაღალი ფასის გამო და იმასთან დაკავშირებითაც, რომ ყოველთვის არ ხერხდებოდა ფქვილის შესყიდვა, მეპურეები, უმეტესად კი მეთონეები, ამჯობინებდნენ ქართული პურისა და ლავაშის წარმოების შეწყვეტას. ამ დროისათვის საქართველოში პურსაცხობი წარმოება თითქმის განადგურებამდე მივიდა.

---

46 ი ქ ვ ე, ფონდი 17, ანაწ. 2, საქ. 643, ფურც. 29.
47 ი ქ ვ ე, ფონდი 17, საქ. 9328, ფურც. 2-6.

ეროვნული ბიბლიოთეკა

Г. БРЕГВАДЗЕ

# ХЛЕБОПЕКАРНОЕ ПРОИЗВОДСТВО В ДОРЕВОЛЮЦИОННОЙ ГРУЗИИ

Резюме

В труде показано, что в Грузии и в западном Закавказье существовал древнейший очаг производственного хозяйства. В то же время этот регион представлял собой один из первоначальных очагов в мире, где человек использовал зерновые в питании и выучился выпекать хлеб. Раскрыта топонимика слова «пури» (хлеб) и указано, что упоминание о хлебе впервые встречаем в «Мученичестве Шушаник» Якова Хуцеси (70-е годы V века).

В работе освещены особенности развития хлебопекарного и мукомольного производства на важнейших этапах развигия общества.

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტის სოციალისტური ეკონომიკის გამოცდილების განზოგადების და ეკონომიკური აზრის განყოფილებამ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სამართალი

Г. К. СОСЕЛИЯ

## ИЛЬЯ ЧАВЧАВАДЗЕ ОБ ОРГАНИЗАЦИИ МЕСТНОГО УПРАВЛЕНИЯ

Вопрос о местном самоуправлении занимает одно из видных мест как в деятельности государственных людей, так и в изучениях юристов-государствоведов в эпоху буржуазных революций. Этот вопрос сыграл важную роль в борьбе между идущей к власти буржуазией и феодальным государством. Стремясь к завоеванию государственной власти, буржуазия окопалась в органах местного самоуправления, стараясь создать здесь плацдарм для дальнейшего наступления на государственную организацию, для отвоевания у феодального класса центральной власти. Децентрализованное государственное управление, самостоятельность органов местного управления или местное самоуправление стало формой дележа власти феодалами и буржуазией.

Попутно возникают соответствующие теории, отражающие на разных исторических этапах различные соотношения классовых сил. В XVIII веке получает широкое распространение теория «естественных прав общины» или теория «свободной общины», отстаивающая самостоятельность местного, общинного управления, исходя из того положения, что община представляет ествественную корпорацию, возникающую и существующую независимо от государства.

Под лозунгом естественных правах общин, буржуазия вела атаку на цитадель централизованной феодальной монархии, укрепляясь в органах самоуправления и используя их в целях завоевания демократических прав. Учение о свободной общине составляло, между прочим, основу и известного доклада Турэ на Национальном Собрании Франции по вопросу о коммунальном самоуправлении. Теория «свободной общины» сыграла, безусловно, большую революционную роль в деле борьбы против абсолютизма.

С конца первой половины XIX столетия, с усилением буржуазии, теория «свободной общины» вытесняется более мягкой, компромиссной «общественно-хозяйственной» теорией местного самоуправления, по которой органам местного самоуправления отводится строго определенный участок — разрешение лишь общественно - хозяйственных вопросов,

---

* Статья является частью неизданной, завершенной в 1959 г. монографии («Общественно - политические и правовые взгляды Ильи Чавчавадзе») покойного профессора Георгия Кутиевича Соселия (1897 — 1961). За последние десятилетия литература о затронутых в настоящей статье вопросах обогатилась целым рядом исследований (С. Джорбенадзе, В. Абашмадзе, В. Метревели, В. Жвания, Н. Кевлишвили, Г. Надарейшвили ...). Тем не менее, труд Г. К. Соселия и поныне сохраняет свою научную ценность, чем и обусловлена его публикация.

ეროვნული ბიბლიოთეკა



а общегосударственные вопросы на местах разрешаются органами государственной власти.

После того, как буржуазия взяла в свои руки государственную власть и отпала для нее необходимость делиться с другими властью, стала господствующей т. н. «государственная» теория местного самоуправления, отождествляющая местное самоуправление с государственным управлением («Selbstverwaltung ist Staatsverwaltung»), превращающая органы местного самоуправления в придаток государственной власти и, таким образом, ликвидирующая всякую их самостоятельность (Гнейст, Лоренц, Штейн, Лабанд, Елинек и др).

Революционный взгляд буржуазии на местное самоуправление, выраженный в теории «свободной общины», не нашел почвы в России. Лучшие представители юридической мысли — проф. Б. Чичерин, проф. В. Лешков и др. не пошли дальше «общественно-хозяйственной» теории местного самоуправления. Под влиянием этой теории было создано первое положение о земстве в России — «Положение о земских губернских и уездных учреждениях» 1864 года. Вскоре, однако, и это полулиберальное учение о местном самоуправлении уступило место «государственной» теории, которую отстаивали профессоры Н. Коркунов, А. Градовский и др.[1], а позже развивали Н. Лазаревский, Гессен и др. и проводил на практике С. Витте[2].

Положением о земстве 1890 года и отдельными законами были ликвидированы и те небольшие права, которые были предоставлены земским учреждениям по положению 1864 года. В Грузии же и вообще на периферии Российской империи, как известно, земская реформа вовсе не была проведена.

Вопросу о местном самоуправлении Илья Чавчавадзе в своих публикациях уделяет большое внимание. Ему посвящены две работы из серии статей «Жизнь и закон».[3] Этого вопроса касаются и две другие его полемические статьи из той же серии[4]. К этой теме возвращается он и в последующих своих работах.[5]

И. Чавчавадзе свой взгляд на местное самоуправление развивает тогда (в 1877 — 1881 г.г. и позже), когда в России и Западной Европе господствовала «государственная» теория местного самоуправления, когда в политической и юридической литературе усиленно пропагандировался взгляд на местное самоуправление как на учреждение государственной власти, обосновывалось отрицание всякой самостоятельности за органами местного самоуправления. Тем большего внимания заслуживает взгляд И. Чавчавадзе, тем больше интереса представляет его анализ местного самоуправления, стоящий целиком и полностью на революционной позиции представления широкой автономии органам местного самоуправления. Учение И. Чавчавадзе о местном самоуправлении, развитое им в 70 — 80-х годах прошлого столетия, представляет

[1] См. А. Градовский, История местного самоуправления в России, т. I, Спб, 1888, с. 1—СХУП; Н. М. Коркунов, Русское государственное право, т. II, Спб, с. 353—365.

[2] См. С. Ю. Витте, Самодержавие и земство, Спб, 1908.

[3] И. Чавчавадзе, Полное собрание сочинений, под ред. П. Ингороква и Ал. Абашели (на груз. яз.), т. VIII, Тбилиси, 1928, с. 35—46,47—76.

[4] Там же, с. 113—126.

[5] Соч., т. VII, стр. 59—61; т. X, с. 228—230 и др.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ценный вклад в научную мысль не только своего времени; оно сохраняет интерес и до наших дней.

Исследование вопроса о местном самоуправлении И. Чавчавадзе начинает с изложения двух систем государственного управления.

По одной системе в руках государственной власти сосредоточены государственные и общественные дела везде и во всех частях государства. В этом случае государственная власть является зачинщиком и руководителем всех дел, все с нее начинается и ею кончается. У государственной власти во всех частях государства имеются свои щупальцы — свои чиновники, которых она сама назначает и сама снимает, которые ответственны лишь только перед ней. Такая система государственного управления назывется централизацией.

По другой системе управления государственная власть «держит в своих руках лишь только дела нужд целого государства, все же остальное присвоено обществу, и потом так, что в неприкосновенном ведении каждой части государства находятся ее местные дела. Эти дела общественных нужд, распределенные на месте, подлежат ведению безусловно местных должностных лиц, выбираемых обществом самого местного населения и ответственных перед этим обществом. Эту систему управления называют самоуправлением (децентрализацией), так как в данном случае каждая часть одного и того же государства сама является хозяином своих собственных дел, сама ими ведает. Одним словом, основной смысл этой системы заключается в том, чтобы местными делами ведало само местное население».[6]

И. Чавчавадзе всецело на стороне второй системы государственного правления. Он отстаивает положение о том, чтобы местными делами ведало само местное население. Такая система правления, доказывает он, «весьма благоприятствует благоденствию страны: народ становится бдительным, развиваются его способности», поощряется в народе проявление заботы об общественном благе, народ получает навыки в общественной деятельности, страна продвигается вперед.[7]

Государство, разъясняет И. Чавчавадзе, если даже оно составлено лишь из одной национальности, все же не может быть однородно: в отдельных его частях все же будут различия, местные особенности. «Каждый край, каждая часть государства имеет свою собственную радость и горе, свою собственную заботу, каждая часть обеспокоена заботой о себе, свое собственное счастье ее радует. Чиновники на местах назначаемые высшей государственной властью и ответственные перед ней, не в состоянии понять эти местные особенности, местное горе и радость и пособить им. Только выбранные самим населением и ответственные перед ним местные органы могут понять все это и проявить настоящую заботу об интересах народа.»[8]

Изложенным здесь соображением руководствуется И. Чавчавадзе при распределении функций между государственной властью и органами самоуправления. Здесь он в корне расходится с представителями теории «свободной общины», считающими, что община, как «естественное» явление, располагает своими «собственными», присущими ей «естественными правами». Принцип, который И. Чавчавадзе кладет в основу разграничения функций государственной власти и органов самоуправления, это — целосообразность: создание такой системы управления,

---

[6] Соч., т. VIII, с. 36 — 37.

[7] Там же, с. 37.

[8] Соч., т. УШ, с. 40 — 41.

ეროვნული ბიბლიოთეკა

при которой народу будет обеспечено осуществление полной свободы, обеспечены условия для полного развития своих сил и способностей, условия для прогресса, для преуспевания.

С представителями теории «свободной общины» И. Чавчавадзе расходится и в другом важном пункте. Если представители этой теории считают, что органы самоуправления ведают своими «собственными» делами, а общегосударственными делами они могут заниматься лишь по «поручению», то И. Чавчавадзе выдвигает совершенно необычное для этого времени положение: органы самоуправления, выбранные местным населением и ответственные перед ним, ведая самостоятельно делами местного характра, должны быть в то же время органами государственной власти на местах. «Самоуправление, — доказывает он, — с одной стороны, ведает местными делами, а с другой стороны, является органом высшей государственной власти. Таким образом, оно в одно и то же время является органом местного общества перед государственной властью и органом государственной власти перед местным обществом».[9]

Исходя из этого принципа, И. Чавчавадзе относит к ведению высшей государственной власти общее законодательство, финансовые дела, военное дело и вообще такие дела, которые касаются одинаково всех частей государства и всех его подданных.[10]

К основным функциям самоуправления он относит:

«1. Право осуществления правосудия по делам местного характера. На этом зиждется настоящее покровительство и неприкосновенность чести, достоинства и имущества населения;

2. Распределение устанавливаемых высшей государственной властью расходов, налогов и повинностей между местным населением. Это является наилучшим мероприятием для того, чтобы каждый справедливо и правильно выполнил свою обязанность перед государством;

3. Установление для местных нужд налогов, их распределение и свободное ведение поступившими сюда деньгами;

4. Право установления различных обязательных правил и порядка для местного населения, но так, чтобы эти правила и порядок не противоречили общим законам;

5. Организацию для местного населения первоначального образования и свободного ведения им;

6. Попечение о местном населении и осуществление необходимых для этого мероприятий;

7. Попечение о продовольственном снабжении местного населения и изыскание для этого средств;

8. Проведение местных дорог, мостов, уход за ними и свободное заведывание ими;

9. Ходатайство перед высшей государственной властью обо всем том, что является необходимостью и потребностью местного общества».[11]

Основами самоуправления И. Чавчавадзе считает следующее:

«1. Право избирать и быть избранным должно быть предоставлено каждому местному жителю, раз он является совершеннолетним; следовательно, каждый житель должен участвовать во всех обязанностях;

---

9. Соч., т. VIII, с. 42 — 43.

Таковы и местные советы в СССР, но они, в отличие от всесословных органов самоуправления И. Чавчавадзе, являются органами трудящихся.

10 Там же, с. 41—42.

11 Соч., т. VIII, с. 44—45.

ეროვნული ბიბლიოთეკა

2. Местному управлению должны быть подвластны все, кто живет в пределах его территории; здесь, как и в первом случае, разъединять сословия, ставить между ними рогатку вредно и противоречит природе самоуправления;

3. Местные судьи, а также чиновники должны быть избираемы местным населением;

4. Каждое местное должностное лицо должно быть ответственно перед общим судом, а не перед своим начальником».[12]

Взгляды И. Чавчавадзе на местное самоуправление, таким образом, расходятся со всеми существовавшими до него теориями о самоуправлении. Резко расходится он, в частности, с «государственной» теорией местного управления, отрицающей самостоятельность органов местного управления, сводящей их к простым исполнителям воли центральной государственной власти.

Форму местного самоуправления, отстаиваемую И. Чавчавадзе, не находим нигде и на практике — ни в одной из известных тогда систем государственного строя.

Указав на главные функции органов самоуправления, определив основы, на которых зиждается подлинное самоуправление, И. Чавчавадзе приступает к разбору Положения о сельском управлении в Грузии и выяснению вопроса осуществления этого положения на практике.

Прежде всего, И. Чавчавадзе отмечает тот факт, что в своих статьях ему приходится считаться с существующим цензурным режимом и говорить «осторожно, с придержкой языка».[13] Это обстоятельство, безусловно, сковывает его, мешает ему дать развернутую критику существующего положения в России, в частности, в Грузии, высказать целиком и полностью свои взгляды. Но тем не менее, и в дозволенных цензурой рамках он дает немало ценных замечаний и существенных предложений.

В Грузии, как и во многих местах Российской империи, как выше было отмечено, не было введено и такое куцее самоуправление, каким являлось действовавшее в центральной России по Положению 1864 года земство. По положению 11 апреля 1865 года в Грузии (по подобному Положению 1861 года в России) было организовано сельское крестьянское сословное управление. Оно и является объектом детального исследования И. Чавчавадзе.

Первое и существенное в организации сельского управления как в Грузии, так и в России, указывает он, это отсутствие в ней характерных для самоуправления основ. «Здесь нет самоуправления». Сельское управление не есть самоуправление. Оно является «низшим полицейским органом».[14]

1. В организации сельского управления отсутствует первая существенная основа самоуправления — право каждого совершеннолетнего жителя выбирать и быть избранным. По ст. 7 Положения о сельском управлении в Грузии, указывает И. Чавчавадзе, избирательным правом пользуется лишь крестьянин-домохозяин, числящийся по камеральной описи отдельным дымом. Остальные же лишены этих прав. Лишены прав, следовательно, во-первых, крестьяне, выделившиеся в отдельный дым после камеральной описи, до следующей такой описи

12. Соч., т. VIII, с. 45.

13. Там же, с. 48.

14. Соч., т. VIII, с. 48, 70.

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

(т. е. на срок до десяти лет), а также батраки и вообще крестьяне, не оформленные по камеральной описи в отдельный дым, и, во - вторых, все, не принадлежащие к крестьянскому сословию, живущие в пределах территории села: князья, дворяне, торговцы, ремесленники, духовные лица.

2. Все перечисленные категории населения, лишенные избирательных прав, указывает дальше И. Чавчавадзе, по статьям 26, 36 и 39 Положения изъяты вовсе из ведения сельского правления. Они не подвластны сельскому управлению. Сельская власть на них не распространяется.

И. Чавчавадзе подробно останавливается на обосновании неправильности и вредности такого положения: «Село, — показывает он, — должно представлять одно, без различия сословий, общество. В управлении, ведении селом не должно быть различия между сословиями, права и обязанности одинаково равно должны быть распределены между всеми жителями деревни, невзирая на то, кто какого сословия».[15]

В конце 70-х годов прошлого столетия, когда И. Чавчавадзе развивал свой взгляд на самоуправление, вопрос об участии сословий в сельском управлении не был еще предметом широкого обсуждения. Лишь после, в 80-х годах проф. А. Градовским, Вл. Спасовичем и др. был поставлен на широкое обсуждение вопрос о всесословной волости. Но голос сторонников всесословной волости остался гласом вопиющего в пустыне только в 80-х годах. И после революции 1905 года в Государственной Думе один за другим проваливались всякие проекты о всесословной волости, о мелкой земской единице.

Неудивительно, что взгляд И. Чавчавадзе в конце 70-х в начале 80-х годов был встречен в Грузии враждебно. Им не были довольны не только представители старого, дворянско-помещичьего, общества, резко возражали и слева. Доказывали, что всесословное сельское управление, участие в делах села дворян и князей будет вредно для крестьян.[16]

Такое возражение имело место не только в Грузии. Еще в 1887 году русская либеральствующая газета «Неделя» писала о всесословном волостном управлении, что «если оно осуществится, то оно найдет твердую точку опоры в экономической силе буржуазии и приведет к такому состоянию населения, которое едва ли уступит положению народа до 1861 года».[17]

И. Чавчавадзе упорно отстаивал свое требование всесословного сельского управления. Исключение из ведения сельского управления всех, кроме крестьян, оформленных по камеральной описи в отдельный дым, лишение их прав и освобождение их от обязанностей является, доказывает он, явным нарушением принципа равенства перед законом, «равенства, которое является душой и сердцем всякого строя и тем более самоуправления», оно представляет собой вместе с тем явную несправедливость в том отношении, что тяжесть общественной

---

[15] Соч. VII, с. 49—50, 113.

[16] См. П. Хундатов, Необоснованное желание, Журн. «Иверия», 1881, № VII; См. также тот же журнал, 1887, № 51. Введение односословного крестьянского сельского управления таким же образом мотивировала, между прочим, и Редакционная Комиссия по подготовке проекта крестьянской реформы 1861 года.

[17] См. газ. «Неделя», 1887, № 6.

ეროვნული ბიბლიოთეკა

нагрузки ложится всецело на крестьянина, он несет все повинности, платит налоги, строит дороги, мосты, бережет добро всех, словом, он один делает общее для всех дело. «Поэтому, — указывает он, — крестьянин смотрит на участие в управлении не как на право, а как на тяжесть, повинность и всеми силами старается быть дальше и от села и от управления, которое добро делит всем, а тяжесть наваливает лишь на него одного». Мирная спокойная жизнь в деревне, охрана добра от воров и похитителей, охрана сельского хозяйства от повреждения, проведение дорог и мостов, доступное всем правосудие, попечение о школе, о бедных, изыскание мер помощи во время голода или в других несчастных случаях, равномерное распределение расходов и других повинностей перед государством, ходатайство об общих нуждах перед высшим правительством — словом, все вопросы благоустройства села и благоденствия населения одинаково относятся ко всем живущим в пределах территории села — и дворянам и крестьянам, одинаково они все в этом вопросе заинтересованы, почему одинаково должны быть распределены между ними и права и обязанности»[18].

В своем старании обосновать необходимость всесословного сельского управления И. Чавчавадзе зашел, к сожалению, очень далеко: попытался обосновать возможность мирного сотрудничества сословий, возможность классового мира. Однако отстаивание им в 70-х и 80-х годах принципа равенства перед законом, всеобщего избирательного права, всесословного сельского управления являлось, безусловно, большим прогрессивным явлением, имело большое значение в деле завоевания демократических прав в условиях существующего строя.

3. Организация сельского управления лишена, показывает И. Чавчавадзе, и третьей существенной основы самоуправления: должностные лица сельского управления не ответственны не только перед населением, но не отвечают и перед общим судом. Если кто-либо из должностных лиц сельского управления причинит вред жителю села, то пострадавший не может искать удовлетворения в общем порядке, в суде, а согласно статьям 72 и 74 Положения о сельском управлении, в таких случаях он должен обратиться к уездному начальнику, от которого зависит, отдать или нет преступника под суд. «Наше положение забывает, — указывает И. Чавчавадзе, — что и уездный начальник и сельское должностное лицо представляют однородные ступеньки одной и той же лестницы... часто сельское должностное лицо и уездный начальник друг другу руки моют», и в таких условиях пострадавший, как правило, не добьется правды[19]. Поэтому-то, объясняет он, крестьяне совершенно правильно считают сельское управление «палкой уездного начальника». Им дают основание думать, что должностные лица выдуманы законом лишь для того, чтобы их топтать.[20]

И. Чавчавадзе приводит факты, им самим виденные: сельский старшина и другие должностные лица сельского управления дрожат перед кнутом стражника уездного начальника или пристава, подвергаются избиению. Правители села, представители населения являются, заключает он, «слугами на побегушках уездного начальника и пристава, а не должностными лицами»[21].

[18]. И. Чавчавадзе, Соч., т. УШ, с. 54 — 55, 62 — 63.

[19]. И. Чавчавадзе, Соч., т. УШ, с. 68 — 69.

[20]. Там же, с. 66 — 67.

[21]. Там же, с. 71.

ეროვნული ბიბლიოთეკა

И. Чавчавадзе подвергает резкой критике и другие пункты Положения о сельском управлении: о разделе крестьянского дыма, о компентенции сельского суда и др.[22] Он обращает внимание, между прочим, на компетенцию сельского старшины: Положение не дает возможности разграничить компетенции сельского старшины и сельского суда — обоим дано право взыскивать за «маловажные проступки», но не ясно, какие из этих «маловажных проступков» подведомственны сельскому старшине и какие сельскому суду. Выходит, замечает И. Чавчавадзе, «если старшина захочет, то ни одного преступного дела не доведет до сельского суда, все дела останутся ему подведомственны»...[23]

წარმოდგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფოსა და სამართლის კვლევის ცენტრის ქართული სამართლის ისტორიის განყოფილებამ.

---

22. И. Чавчавадзе, Соч., т. УШ, 73 — 76.
23. Там же, с. 74 — 75.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„მაცნე“, ეკონომიკისა და სამართლის სერია, 1990, № 1

გურამ ნაჭყებია

# სისხლის სამართლის მეცნიერების საგნის პრობლემა როგორც მეტათეორიული პრობლემა

სადავო არ არის, რომ ყოველი მეცნიერება, თუ ის „მეცნიერების“ მაღალი სახელის ღირსია, მისი შესწავლის საგნის სპეციფიკითაა მოთხოვნილი. მეცნიერების საგანში პრაქტიკის მოთხოვნილება ვლინდება, ხოლო ეს მოთხოვნილება შემდგომ აპირობებს თეორიული შემეცნების საჭიროებას. თეორიულ შემეცნებას კი თავისი სპეციფიკა აქვს და მთელ რიგ პირობებთან ერთად სწორი მეთოდოლოგიური მიდგომა სჭირდება. მაგრამ ყოველგვარ მეცნიერულ შემეცნებაში აუცილებლად უნდა გაიმიჯნონ შემეცნების ობიექტი და შემეცნების საგანი რათა ჯერ ერთი, ყველა მეცნიერება თავისი საგნობრივი პრინციპით იქნეს დაფუძნებული და დადგინდეს მისი საზღვრები. წინააღმდეგ შემთხვევაში მეცნიერებანი ერთმანეთში პირდაპირი ლოგური გზით გადავიდოდნენ, ხოლო ამ ნიადაგზე ახალი ცოდნის წარმოშობა შეუძლებელი იქნებოდა. მეორეც, შემეცნების საგნის გარკვევა შემეცნების შესატყვისი მეთოდოლოგიის შესარჩევადაც ხდება აუცილებელი. შემეცნების საგნის სპეციფიკა აპირობებს მისდამი მეთოდოლოგიური მიდგომის სპეციფიკას.

ცხადია, მეცნიერების საგნის პრობლემის აქტუალობას საგანგებო დასაბუთება არ სჭირდება. მაგრამ ამასთან ერთად ამ პრობლემის განსაკუთრებული სირთულე და მრავალმხრივობა მასთან შებმის უნაყოფო რისკთანაც არის დაკავშირებული. იქნება ამიტომაც არის, რომ კერძო მეცნიერების რიგ დარგებში მეცნიერების საგნისა და მეთოდის პრობლემა მოკლედ და ისიც სახელმძღვანელოებში თუ განიხილება ხოლმე. ამის ერთ-ერთ მაგალითს სისხლის სამართლის საბჭოთა მეცნიერება წარმოადგენს. მეცნიერების ამ დარგში საგნისა და მეთოდის პრობლემა მონოგრაფიულად ჯერ არავის უკვლევია, თუმცა ამ ბოლო პერიოდში არის რამოდენიმე საყურადღებო მითითება ამ მიმართებით კვლევა-ძიების ძირითადი ასპექტების შესახებ. მაგრამ მეცნიერების საგნისა და მეთოდის პრობლემა იმდენად ფართო და მრავალმხრივია, რომ მას მთელი მეცნიერული კოლექტივი სჭირდება. ცალკეულ მკვლევარებს ამ პრობლემატიკიდან მხოლოდ ზოგიერთი ასპექტის გაშუქება თუ შეუძლიათ. და მაინც ეს ზოგიერთი ასპექტიც ფრიად აქტუალური იქნება, ვინაიდან ის ქმნის შემდგომი კვლევის ლოგიკურ-მეთოდოლოგიურ შესაძლებლობას.

მაგრამ მეცნიერების საგნისა და მეთოდის პრობლემატიკასთან პირველივე მიახლოება გვიჩვენებს, რომ აქ იმთავითვე თავს იჩენს მრავალი სიძნელე. უკვე ის საკითხი, თუ რა ბუნებისაა მეცნიერების საგნისა და მეთოდის პრობლემა, როგორც პრობლემა, და რომელი მეცნიერების პოზიციიდან უნდა დაიწყოს მისი დამუშავება, თავისთავად საკმაოდ აქტუალურ საკითხს წარმოად-

ეროვნული
ბიბლიოთეკა



გენს. სახელდობრ, არის თუ არა სისხლის სამართლის მეცნიერების საგნისა და მეთოდის პრობლემა საკუთრივ სისხლის სამართლის მეცნიერების პრობლემა? ეს კითხვა, ერთი შეხედვით, უცნაურად გამოიყურება, ვინაიდან თუ პრობლემა სისხლის სამართლის მეცნიერების საგნისა და მეთოდის არსებას ეხება, მაშინ რატომ უნდა იყოს საეჭვო ამ პრობლემის სისხლის სამართლის მეცნიერებისათვის მიკუთვნება? მაგრამ საქმე ასე მარტივი არ არის და ამიტომ ამ საკითხს სპეციალური ანალიზი სჭირდება. მით უმეტეს, რომ საბჭოთა იურიდიულ ლიტერატურაში ამ საკითხზე ნათელი პოზიცია ჯერ კიდევ შემუშავებული არ არის.

ამრიგად, წინამდებარე ნაშრომი სისხლის სამართლის მეცნიერების საგნის გარკვევას კი არ ეძღვნება, არამედ იმის გარკვევას, თუ რა ბუნებისაა თვითონ ეს პრობლემა და რა გზები შეიძლება მოინახოს მასთან მისასვლელად. ცხადია, ამ ნაშრომში არც მეთოდის პრობლემაზე გვექნება ლაპარაკი, ვინაიდან მეცნიერებასთან ცოტათი მაინც დაახლოებულმა პირმაც კი იცის, რომ შემეცნების მეთოდის პრობლემა კერძო მეცნიერების საზღვრებს სცილდება.

აქედანვე უნდა ითქვას, რომ სისხლის სამართლის მეცნიერებას, შეიძლება ითქვას, თავიდანვე დაჰყვა უცნაური ბედ-იღბალი. გავიხსენოთ თუნდაც სისხლის სამართლის ბურჟუაზიული სკოლების შეჯახებანი. რა არ თქმულა ამ შეჯახებებში სისხლის სამართლის შინაარსისა და მისი აგების ხერხების შესახებ, მაგრამ სისხლის სამართლის მეცნიერების საგნის შესახებ თითქმის პრინციპულად ახალი, რაც ამ მოდავე სკოლებს ერთმანეთისაგან განასხვავებდა, არაფერი თქმულა — ყველა სკოლის წარმომადგენელი ამტკიცებდა, რომ სისხლის სამართლის მეცნიერება არის მეცნიერება დანაშაულისა და სასჯელის შესახებ. კამათი ძირითადად ეხებოდა სისხლის სამართლის მეცნიერებაში იურიდიული, სოციოლოგიური თუ ბიოლოგიური ელემენტების თანაფარდობის პრობლემას და არა იმას, თუ რა უნდა ყოფილიყო სისხლის სამართლის მეცნიერების საგანი.

მითითება დანაშაულზე და სასჯელზე, როგორც სისხლის სამართლის მეცნიერების საგანზე, სავსებით ლოგიკური იყო სისხლის სამართლის კლასიკური სკოლისათვის, ვინაიდან ეს სკოლა, როგორც ცნობილია, რეალურ სოციალურ სინამდვილესთან ნაკლებად იყო დაკავშირებული და ამ ლოგიკით სისხლის სამართლის მეცნიერების საგანი სწორედ რომ დანაშაულისა და სასჯელის ცნებები უნდა ყოფილიყო. მაგრამ ეს ტრადიცია იმდენად გამძლე აღმოჩნდა, რომ ის, ასე გასინჯეთ, სისხლის სამართლის საბჭოთა მეცნიერებაშიც დამკვიდრდა, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ბოლო წლების რამოდენიმე ცდებს გავსცდეთ დანაშაულისა და სასჯელის შესახებ ტრაფარეტულ მითითებას და ამ მეცნიერების საგნად რაიმე ობიექტური კანონზომიერება მივიჩნიოთ.

სისხლის სამართლის მეცნიერების საგნად დანაშაულისა და სასჯელის დასახვამ თავისებური დაღი დაასვა თვითონ ამ მეცნიერების საგნის პრობლემას. სახელდობრ, დანაშაული და სასჯელი სისხლის სამართლის მეცნიერების ძირითადი ცნებებია. და თუ ეს ცნებები სისხლის სამართლის მეცნიერების საგანს შეადგენენ, მაშინ სისხლის სამართლის მეცნიერების საგნის პრობლემა ამავე მეცნიერების პრობლემად აღიქმება ხოლმე. შემთხვევითი არ არის, რომ სისხლის სამართლის საბჭოთა მეცნიერებაში საკითხი თითქმის ამგვარად არის გადაწყვეტილი. „სისხლის სამართლის საბჭოთა მეცნიერება,—ნათქვამია ერთ-

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ერთ სახელმძღვანელოში, — იძლევა თანმიმდევრულ, ერთადერთ სწორ და ნამდვილად მეცნიერულად დასაბუთებულ გადაწყვეტას საკითხისა ამ მეცნიერების საგნის, მეთოდის, სისტემის შესახებ, თანაბარი ზომით ყველა იმ საკითხებისა, რომელთაც სისხლის სამართლის მეცნიერება მოიცავს“[1].

ამრიგად, დასახელებულ სახელმძღვანელოებში სისხლის სამართლის მეცნიერების საგნის, მეთოდისა და სისტემის პრობლემები თავად სისხლის სამართლის მეცნიერების პრობლემებად არის მიჩნეული. მაგრამ რანაირად შეუძლია სისხლის სამართლის მეცნიერებას თვითონვე, თავისივე საზღვრებში, გადაწყვიტოს, მაგალითად შემეცნების მეთოდის პრობლემა? შემეცნების მეთოდის პრობლემა უპირველეს ყოვლისა ფილოსოფიის პრობლემაა და კერძო მეცნიერებას შეუძლია ისარგებლოს ამ პრობლემატიკის ფილოსოფიური გადაწყვეტით. კერძო მეცნიერებას რომ თავისივე ფარგლებში მეთოდოლოგიური პრობლემატიკის დამუშავება შეეძლოს, მაშინ ფილოსოფია, როგორც კერძო მეცნიერებათა მეთოდოლოგია, ზედმეტი იქნებოდა.

თუ შემეცნების მეთოდოლოგია კერძო მეცნიერების საზღვრებს სცილდება, მაშინ ხომ არ სცილდება ამ მეცნიერების საზღვრებს მისი საგნის პრობლემაც? სამწუხაროდ, ამ საკითხს სპეციალურად არც სხვა სახელმძღვანელოებში განიხილავენ ხოლმე და ამიტომ ისე ჩანს, რომ სისხლის სამართლის საგნის პრობლემა თავად ამ მეცნიერების პრობლემას წარმოადგენს. უფრო მეტიც, ამ საკითხს არ გამოყოფენ იმ გამოკვლევებშიც, რომლებიც იურიდიულ მეცნიერებათა საგნისა და მეთოდის პრობლემას ეძღვნება. მაგალითად, ა. პიონტკოვსკი სპეციალურ სტატიაში, რომელიც იურიდიული მეცნიერების ბუნების, საგნისა და მეთოდის საკითხებს ეძღვნება, აკრიტიკებს ბურჟუაზიულ ავტორებს იმისათვის, რომ ეს უკანასკნელნი იურიდიული მეცნიერების მეცნიერულობას უარყოფენ[2], მაგრამ არ ეხება საკითხს შესახებ იმისა, შეუძლია თუ არა იურიდიულ მეცნიერებას თავისი მეცნიერულობის საკითხი თავისივე ფარგლებში გადაწყვიტოს?

რაც შეეხება ბურჟუაზიულ იურიდიულ ლიტერატურას, აქ მართლაც შეიმჩნევა ხოლმე იურიდიული ცოდნის მეცნიერულობის შესახებ სერიოზული ეჭვი, მაგრამ ამ ეჭვის ასე ერთი ხელის მოსმით თავიდან მოშორება მეცნიერული არ იქნებოდა. საქმე ის არის, რომ იურიდიული ცოდნის მეცნიერულობაში ეჭვის შეტანის ერთ-ერთი საფუძველი ის გახდა, რომ წმინდა იურიდიულ მეცნიერებებს თავიანთი ლათინური ან ბერძნული სახელწოდება არ დაჰყოლიათ, მაშინ როდესაც მეცნიერებათა აბსოლუტურ უმრავლესობას (ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია და ა. შ.) საკუთარი სახელწოდება აქვს[3]. მართლაც, იმის მიუხედავად, უარყოფითად ლაპარაკობს თუ არა ეს ფაქტი იურიდიული ცოდნის მეცნიერულობის შესახებ, ფაქტი ის არის, რომ თეორიულ ცოდნას სახელმწიფო სამართლის, სამოქალაქო სამართლის, სისხლის სამართლის და ა. შ. შესახებ საკუთარი სახელწოდება არა აქვს. ამიტომ ჩვენ იძულებული ვართ ეს თეორიული ცოდნა იმთავითვე „მეცნიერების“ მაღალი სახელით აღვ-

---

[1] Уголовное право, Общая часть, М., 1948 с. 11.

[2] Пионтковский А. А. Юридическая наука, ее предметы и метод. „Советское государство и право“, 1965, № 7.

[3] Владимир Набоков, Содержание и метод науки уголовного права, 1896, с. 3.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ნიშნოთ და ვთქვათ: „სახელმწიფო სამართლის მეცნიერება“, „სამოქალაქო სამართლის მეცნიერება“, „სისხლის სამართლის მეცნიერება“ და ა. შ.

გასაგები უნდა იყოს, რომ საკმაოდ უხერხული ვითარება იქმნება: წინასწარვე „მეცნიერებად“ ვნათლავთ თეორიულ ცოდნას, რომლის მეცნიერულობაც ეჭვის ქვეშ დგებოდა და, რამდენადაც ეს ჩვენთვის ცნობილია, ეს ეჭვი ამ ცოდნის თეორიული დაფუძნებით ჯერ არავის გაუქარწყლებია. უფრო მეტიც, სისხლის სამართლის ბურჟუაზიულ სკოლებს შორის კამათში ისიც კი ითქვა, რომ სისხლის სამართლის შესახებ თეორიული ცოდნა მეცნიერული უფრო არ არის, ვიდრე კანონის გამოყენების ხელოვნება[4]. მართალია, ამ შემთხვევაში მხედველობაში ჰქონდათ სისხლის სამართლის კლასიკური სკოლის ნაკლი, სინამდვილისაგან მისი მოწყვეტის ტენდენციები, მაგრამ იურიდიულ ცოდნას თავისი სპეციფიკა აქვს და როგორც კი ეს სპეციფიკა ხელყოფილი იქნება, იურიდიული ცოდნა ხელიდან გვეცლება. ამიტომ ბურჟუაზიული იურისტების ცდები, იურიდული ცოდნის მეცნიერულობა სამართლის ფენომენის ფაქტებამდე დაყვანით დაემტკიცებინათ, ბადებდა მეორე უკიდურესობას, რომელიც სოციოლოგიზმის საფრთხეში გამოვლინდა.

მაინც რამ განაპირობა ის ფაქტი, რომ წმინდა იურიდიულ ცოდნას საკუთარი ლათინური თუ ბერძნული სახელწოდება არ დაჰყოლია? ამის ახსნას აქ არც შევეცდებით — ეს საკითხი ცალკე კვლევას მოითხოვს. ერთი კი მაინც უნდა ითქვას: ეს ვითარება არ შეიძლება მხოლოდ იმით აიხსნას, რომ სამართლებრივი ცოდნა არის ცოდნა სამართლებრივი ნორმების შესახებ. ნორმები ზნეობისა და პოლიტიკის სფეროშიც მოქმედებენ, მაგრამ არსებობს, მაგალითად, „ეთიკა“, როგორც ფილოსოფიური მეცნიერება ზნეობის შესახებ. მაგრამ არც იმის უარყოფა შეიძლება, რომ თვითონ სამართლის დარგებად დაყოფა და მათი „დატერმინება“ რაღაცნაირად ხსნის იმის საჭიროებას, რომ სისხლის სამართლის ან სამართლის სხვა რომელიმე დარგის შესახებ ცოდნას კიდევ რაიმე სხვა სახელი ეწოდოს. მაგალითად, „კრიმინოლოგია“ თავისი ბუნებით წმინდა იურიდიული ცოდნის დარგი არ არის და ამდენად მან, როგორც ჩანს, საკუთარი სახელწოდება მიიღო. იგივე შეიძლება ითქვას „კრიმინალისტიკის“ შესახებაც. ბოლოს, არის კიდევ „საბჭოთა აღმშენებლობა“, რომელიც უშუალოდ სამართლებრივ ნორმებს არ შეისწავლის.

როგორც ჩანს, კრიმინოლოგია, კრიმინალისტიკა და საბჭოთა აღმშენებლობა უფრო ფაქტის მეცნიერებანი არიან, ვიდრე ნორმისა და ამიტომ მათი საკუთარი სახელწოდებაც ამის წყალობა უნდა იყოს. ცხადია, „ფაქტის“ მეცნიერებად ყოფნა ბევნაირადაა მომგებიანი, თავი რომ დავანებოთ იმ სიძნელეს, რაც ნორმის მეცნიერებებს ხვდებათ ნორმისა და ფაქტის კავშირის პრობლემატიკაში. „ფაქტის „მეცნიერებებს, როგორც წესი, სინამდვილისაგან მოწყვეტის საფრთხე არ ემუქრებათ, მაშინ როდესაც ნორმის შესახებ ცოდნაში ეს საფრთხე რეალურია. ამ საფრთხის დაძლევის ცდა კი თუ განსაკუთრებული მეთოდოლოგიური სიფრთხილე არ გამოვიჩინეთ, მეორე უკიდურესობაში — ფაქტამდე ნორმის დაყვანის ტენდენციაში გვაგდებს, ხოლო ამ პოზიციიდან იურიდიული ცოდნის სპეციფიკის შენარჩუნება შეუძლებელია· ამიტომაც არის, რომ იურიდიულ მეცნიერებაში იშვიათი სულაც არ არის

---

[4] Белогрыц-Котляревский Л. Понятие уголовного права и основание наказания, Ярославль, 1883, с. 1.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფაქტის მეცნიერებაში უკანონო შეჭრის ტენდენციები, იურიდიულ საკითხებზე არაიურიდიული თეორიული კონსტრუქციები, რაც საკმაოდ რთულ პრაქტიკულ და თეორიულ ვითარებაში გვაყენებს.

ამრიგად, იურიდიული ცოდნის საგნის პრობლემა უკანონო პრობლემად გამოიყენება მის გამო, რომ ამ ცოდნის მეცნიერულობა ხდება საეჭვო. თუ იურიდიული ცოდნა მხოლოდ მოქმედი კანონმდებლობის კომენტარია და ამ აზრით სხვა არაფერია, თუ არა კანონის პრაქტიკული გამოყენების ხელოვნება, მაშინ რა აზრი აქვს ამ ცოდნის საგნის ძიებას, როდესაც ეს საგანი წინასწარვე მოცემულია მოქმედი კანონმდებლობის სახით? აი, საკითხი, რომელიც წინასწარი დასაბუთების გარეშე ვაკეთებთ ხოლმე. ის კი არა, იურიდიული ცოდნა „მეცნიერებაა“ და რომ ამ ცოდნის მეცნიერულობაში ეჭვის შეტანა „მორიგი ბურჟუაზიული მონაჩმახია“, საკითხისადმი გაიოლებული მიდგომის მაგალითია. ცხადია, ჩვენ იმას კი არ ვამტკიცებთ, რომ იურიდიული ცოდნა „მეცნიერების“ მაღალი სახელის ღირსი არ არის, მაგრამ არც ის არის მოსაწონი, როცა იურიდიულ ცოდნას „მეცნიერების“ სახელს ყოველგვარი წინასწარი დასაბუთების გარეშე ვაკერებთ ხოლმე. ის კი არა, იურიდიული ცოდნის სპეციფიკა არ გვაქვს ხეირიანად გამოკვლეული. ეს განსაკუთრებით ეხება სისხლის სამართლის შესახებ ცოდნას. სად, რომელ ნაშრომშია გაანალიზებული სისხლის სამართლის შესახებ თეორიული ცოდნის ბუნება?

ეტყობა, ჩვენ რამდენადმე შორს შევედით, სისხლის სამართლის მეცნიერების საგნის პრობლემა კი გვაინტერესებდა. მაგრამ აქ გაკეთებული მოკლე ექსკურსიც არ არის შემთხვევითი. პირიქით, ეს ექსკურსი მიანიშნებს, რომ სისხლის სამართლის საგნის პრობლემა ამ მეცნიერების პრობლემად ვერ ჩაითვლება. მართლაც, განა სისხლის სამართალს, როგორც მეცნიერებას, შეუძლია თავისი მეცნიერულობის საკითხი თვითონვე გაარკვიოს? თეორიული ცოდნის მეცნიერულობის საკითხი მეცნიერების ფილოსოფიისა და მეცნიერული კვლევის მეთოდოლოგიის საკითხია და სისხლის სამართლის მეცნიერების სუბიექტის ამოცანად ამ მონაცემებით სარგებლობაში მდგომარეობს.

სისხლის სამართლის შესახებ ცოდნის ბუნების გარკვევა სისხლის სამართლის მეცნიერების საქმე არ არის, ვინაიდან ეს მეცნიერება კერძო მეცნიერებაა და ამიტომ მისი საგნის პრობლემა მისთვის მეტათეორიულ პრობლემას წარმოადგენს. მაგრამ საბჭოთა იურიდიულ ლიტერატურაში ამგვარი დასკვნა არ კეთდება. მაგალითად, ი. დემიდოვი წერს: „მეცნიერების შინაარსს ეკუთვნიან აგრეთვე მისი „შინაგანი“ პრობლემები: მისი თეორიული აპარატის — ინსტრუმენტის განვითარება, ამ მეცნიერების საგნისა და მეთოდოლოგიის პრობლემა, პოლიტიკურ და სხვა მეცნიერებებთან მისი თანაფარდობა, მისი ისტორიის, განვითარების პერსპექტივების, დიფერენციაციისა და ინტეგრაციის პროცესების შესწავლა“[5].

როგორც ვხედავთ, სისხლის სამართლის მეცნიერების საგნისა და მეთოდის პრობლემა ამ მეცნიერების შინაგან პრობლემას წარმოადგენს. ამიტომ ამ პრობლემის დამუშავება სისხლის სამართლის მეცნიერების საზღვრებს გარეთ გასვლას არ მოითხოვს. მაგრამ ეს არ შეიძლება სწორად ჩაითვალოს. სისხლის სამართლის მეცნიერება არის კერძო, იურიდიული მეცნიერება და

---

[5] Д е м и д о в Ю. А. Предмет и методология науки уголовного права, „Личность пр:ступника и уголовная ответст:енность“, Саратов, 1981, с. 11.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამიტომ მისი „თვითშემეცნება“ თავისივე ფარგლებში შეუძლებელია. ეს შეიძლება დავადასტუროთ შემდეგი ვითარების აღნიშვნითაც კი: სისხლის სამართალი არის სამართლის სპეციფიკური დარგი. სისხლის სამართლის მეცნიერება, პირობითად რომ ვთქვათ, არის ცოდნა სისხლის სამართლის შესახებ, ხოლო ის, თუ რა ბუნებისაა სისხლის სამართლის მეცნიერება, არის კითხვა ცოდნაზე ცოდვის მოპოვების შესახებ. დებულება: „სისხლის სამართალი არის სამართლის სპეციფიკური დარგი“ სისხლის სამართლის შესახებ ცოდნაა და სისხლის სამართლის მეცნიერების შინაარს შეადგენს. მაგრამ დებულება: „სისხლის სამართლის მეცნიერება არის ცოდნა სისხლის სამართლის შესახებ“, არის ცოდნა ცოდნის შესახებ. ამიტომ ბუნებრივია, რომ სისხლის სამართლის მეცნიერების, როგორც ცოდნის სისტემის, შესახებ ცოდნა თავად სისხლის სამართლის მეცნიერება არ არის.

ამრიგად, სისხლის სამართლის მეცნიერება გარკვეული თეორიული ცოდნაა, ხოლო ამ ცოდნის შესახებ ცოდნა არ შეიძლება სისხლის სამართლის მეცნიერებად ჩაითვალოს. საკითხი თითქოს ნათელია და რაიმე დამატებით არგუმენტაცია ამ მხრივ საჭირო არ არის. მაგრამ, სამწუხაროდ, საბჭოთა იურიდიულ ლიტერატურაში არის შემთხვევა, როცა თვითონ მეცნიერება და მისი მეთოდოლოგია თვით ამ მეცნიერების საგნის ელემენტადაა მიჩნეული. მაგალითად, ი. ერემენკო წერს: „საბჭოთა სახელმწიფო სამართლის საგანი, შინაგანად შეთანხმებული და ერთიანი, თავის თავში მოიცავს თვითონ მეცნიერების თეორიულ-მეთოდოლოგიურ და ისტორიულ საკითხებს, პოზიტიური სახელმწიფო სამართლის თეორიას, მის სოციოლოგიას და ფსიქოლოგიას, ე. ი. არ იფარგლება მხოლოდ სამართლის დარგის ჩარჩოებით“[6].

გამოდის, რომ სახელმწიფო სამართლის თეორია შეისწავლის არა მარტო სახელმწიფო სამართალს, არამედ სახელმწიფო სამართლის თეორიას, მის მეთოდოლოგიას, ისტორიას, სოციოლოგიას და ა. შ. ასეთ პირობებში სახელმწიფო სამართლის მეცნიერებას არავითარი ფილოსოფია არ დასჭირდება — ის თვითონ იქნება თავისივე თავის ფილოსოფია, ვინაიდან თავის თავს თავისივე ფარგლებში აცნობიერებს, ხოლო მეცნიერება, რომელიც თავის თავს თავისივე საზღვრებში აცნობიერებს, არის სწორედ ფილოსოფია. ცხადია, ამგვარი წარმოდგენა სახელმწიფო სამართლის მეცნიერების შესახებ არა მარტო მცდარია, არამედ ფრიად საშიშია თვით ამ მეცნიერების განვითარებისათვის, ფილოსოფიასთან თუ სხვა მეცნიერებთან მისი კავშირის დასაბუთებისათვის.

ასეთივე მოსაზრებას გამოთქვამს გ. ავანესოვიც. მისი აზრით, „ყოველი მეცნიერება იკვლევს საკუთარ მეთოდებს, რამდენადაც მის საგანს წარმოადგენს არა მარტო მისი შემეცნების კანონზომიერებანი, არამედ მათი შემეცნების პროცესიც[7].

გამოდის, რომ ყოველი მეცნიერება არის არა მარტო თეორია ობიექტური საგნობრივი სინამდვილის შესახებ, არამედ საკუთარი საგნის შემეცნების თეორიაც, ე. ი. გნოსეოლოგიაც. თუ ყოველი მეცნიერება თავისივე თავის

---

[6] Еременко Ю. П. К разработке предмета советского государственного права, „Правоведение“, 1982, № 6.

[7] Аванесов Г. А. Предмет и методология криминологического прогнозирования, М., 1972, с. 27.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გნოსეოლოგიაა, მაშინ რა საჭიროა გნოსეოლოგია, როგორც ფილოსოფიური თეორია შემეცნების შესახებ? ცხადია, ამ გზით მეცნიერებისა და ფილოსოფიის ურთიერთობაზე ლაპარაკიც კი შეუძლებელია, ვინაიდან ამ ლოგიკით მეცნიერებათა საზღვრების დადგენა შეუძლებელია.

ერთი სიტყვით, დარგობრივ იურიდიულ მეცნიერებათა საკუთარ ფარგლებში გაცნობიერება შეუძლებელია და ამ მხრივ ლიტერატურის მიმოხილვას აზრი არა აქვს. ვინაიდან აქ გაკრიტიკებული თვალსაზრისი საკმაოდაა გავრცელებული. ამიტომ უმჯობესია დავსვათ კითხვა: თუ სისხლის სამართლის მეცნიერების საგნის პრობლემა თავად ამ მეცნიერების პრობლემა არ არის, მაშინ რომელი მეცნიერების პრობლემაა იგი? ცხადია, სისხლის სამართლის მეცნიერების საგნის პრობლემა ამ მეცნიერების შინაარსზე ორიენტაციის გარეშე შეუძლებელია. ამ აზრით, სისხლის სამართლის მეცნიერების საგნის პრობლემა ეხება სისხლის სამართლის მეცნიერების შინაარსს, მაგრამ ამავე დროს სცილდება მის ფარგლებს. ამიტომ უნდა გაირკვეს, თუ სად, რომელ მეცნიერებას უნდა მივადგეთ, რათა ამ პოზიციიდან უფრო გარკვევით გამოჩნდეს სისხლის სამართლის მეცნიერება და მისი საგანი. მაგრამ უნდა ითქვას, რომ ამ საკითხის გარკვევა კიდევ უფრო მეტ სირთულეს წარმოადგენს, ვინაიდან თანამედროვე პირობებში მეცნიერულ ცოდნას იკვლევენ არა მარტო მეცნიერების ფილოსოფიის პოზიციიდან, არამედ ე. წ. მეცნიერებათმცოდნეობის პოზიციიდანაც. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ჯერ ერთი, მეცნიერებათმცოდნეობის, როგორც მეცნიერების შესახებ მეცნიერების, სტატუსი არც თუ ისე ნათელია; მეორეც, იურიდიული ცოდნის შესწავლაზე პრეტენზიას, როგორც დავინახავთ, სახელმწიფოსა და სამართლის ზოგადი თეორიაც აცხადებს, მაშინ სისხლის სამართლის მეცნიერების საგნის პრობლემის ადგილის განსაზღვრა განსაკუთრებით რთულდება. ცოდნის სისტემაში სისხლის სამართლის მეცნიერების საგნის პრობლემის განსაზღვრის გარეშე ამ პრობლემის დამუშავება შეგნებულ, წინასწარ გაცნობიერებულ, გნოსეოლოგიურ აქტად ვერ ჩაითვლება და სტიქიურ ხასიათს მიიღებს.

დავიწყოთ სახელმწიფოსა და სამართლის ზოგადი თეორიის პრეტენზიით თვითონვე გაარკვიოს იურიდიული ცოდნის ბუნება და საგანი, იურიდიული მეცნიერების შემეცნებითი შესაძლებლობის საკითხები. ეს საკითხიც აქ მხოლოდ ერთი ასპექტით იქნება განხილული, ვინაიდან მიჩნეულია, რომ სახელმწიფოსა და სამართლის ზოგადი თეორია იურიდიულ მეცნიერებათა მეთოდოლოგიურ საფუძველს წარმოადგენს. ამასთან სიტყვიერად ფილოსოფიის მეთოდოლოგიურ ფუნქციასაც აღიარებენ. ასეთ პირობებში იურიდიულ მეცნიერებაში მეთოდოლოგიური მონიზმის პრობლემა აქტუალურ პრობლემას წარმოადგენს. ამიტომ სახელმწიფოსა და სამართლის მეთოდოლოგიური ფუნქციის პრობლემას აქ არ განვიხილავთ. მოკლედ მოვსინჯავთ მხოლოდ იმ საკითხს, ხომ არაა სისხლის სამართლის მეცნიერების საგნის პრობლემა სახელმწიფოსა და სამართლის ზოგადი თეორიის პრობლემა? თუ სახელმწიფოსა და სამართლის ზოგადი თეორიის სპეციალისტებს დავუჯერებთ, მაშინ სისხლის სამართლის მეცნიერების საგნის პრობლემა სახელმწიფოსა და სამართლის ზოგადი თეორიის პრობლემაა.

კოლექტიურ მონოგრაფიაში სახელმწიფოსა და სამართლის ზოგადი თეორიის შესახებ წერენ: „სახელმწიფოსა და სამართლის მარქსისტულ-ლენინური თეორია თავისი საგნის შესწავლისას არ იფარგლება მხოლოდ მისი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ონტოლოგიით, მისი როგორც ობიექტური რეალობის, არსებობით, არამედ შეისწავლის მის ასახვას პოლიტიკურ-სამართლებრივ ცნობიერებაში, მეცნიერებაში, დეფინიციებში. მისი ინტერესების წრეში შედის იმის გამოკვლევა, რამდენად სწორად აისახება სახელმწიფო-სამართლებრივი სინამდვილე მეცნიერულ ცნებებსა და განსაზღვრებებში...“[8] აქედან ერთხმად ასკვნიან, რომ „სახელმწიფოსა და სამართლის ზოგადი თეორია როგორც იურიდიულ ცოდნათა ზოგადთეორიული დარგი, დაკავებულია თვით იურიდიული მეცნიერების, უპირველეს ყოვლისა, მისი შემეცნებით შესაძლებლობათა გამოკვლევით. რა თქმა უნდა, სახელმწიფოსა და სამართლის თეორია მეცნიერებათა მეცნიერება როდია, რომელიც კრებს ყველა იურიდიულ მეცნიერებათა შინაარსს. ის შეისწავლის იურიდიული მეცნიერების თავისებურებას, მისი ცნებებისა და კატეგორიების სპეციფიკას, მის სისტემას, მის ზოგად ფუნქციას და დანიშნულებას, მის შემმეცნებელ და გარდამქმნელ შესაძლებლობებს“[9].

საკითხავია: თუ სახელმწიფოსა და სამართლის ზოგადი თეორია ყველა აქ ჩამოთვლილ პრობლემებს შეისწავლის, მაშინ რატომ არაა იგი მეცნიერებათა მეცნიერება თუნდაც იურიდიულ მეცნიერებათა ფარგლებში? განა იურიდიული მეცნიერების საგნის, მეთოდის, სისტემის, შემეცნებითი შესაძლებლობის და ა. შ. საკითხების ზოგადთეორიული შესწავლა დარგობრივ იურიდიულ მეცნიერებათა სპეციფიკის გათვალისწინებას არ მოითხოვს? განა სისხლის სამართლის მეცნიერების სპეციფიკის გათვალისწინების გარეშე შეიძლება აიგოს ზოგადთეორიული ცოდნა იურიდიული მეცნიერების შესახებ?

ამრიგად, თუ სახელმწიფოსა და სამართლის ზოგადი თეორია იურიდიულ მეცნიერებასაც შეისწავლის და არა მარტო თავისი საგნის ონტოლოგიურ რეალობას, მაშინ ის სისხლის სამართლის მეცნიერებასაც შეისწავლის და ამ მეცნიერების საგნის პრობლემაც სახელმწიფოსა და სამართლის ზოგადი თეორიის დონიდან უნდა დამუშავდეს. სხვანაირად რომ ვთქვათ, სისხლის სამართლის მეცნიერება, როგორც დარგობრივი იურიდიული მეცნიერება, უნდა გაცნობიერდეს სახელმწიფოსა და სამართლის ზოგად თეორიაში. ამ ლოგიკით, თუ სისხლის სამართლის მეცნიერების საგნის პრობლემა მეტათეორიულია, სახელმწიფოსა და სამართლის ზოგადი თეორიისათვის — პირიქით, არ არის მეტათეორიული, მისი ორგანული მომენტია. ამ დასკვნას პირდაპირ და არაორაზროვნად აკეთებენ კიდეც. მ. ორზიხი წერს: „თუ დარგობრივი სამართლებრივი მეცნიერებებისათვის მეთოდოლოგია — არსებითად მეტათეორიაა, ზოგადი თეორიისათვის — მისი ორგანული ნაწილი“[10]. თუ ეს ასეა, მაშინ, ვიმეორებთ, სისხლის სამართლის მეცნიერების საგნის პრობლემა სახელმწიფოსა და სამართლის ზოგადი თეორიის დონიდან უნდა დამუშავდეს.

ამ დასკვნას ლოგიკურად მხარს უჭერს დ. ქერიმოვის შეხედულება, რომლის თანახმად, სახელმწიფოსა და სამართლის ზოგადი თეორია ონტოლოგიური და გნოსეოლოგიური ნაწილების ერთიანობას წარმოადგენს. მისი აზრით, თუ ადრე სახელმწიფოსა და სამართლის ზოგადი თეორია უპირატესად

---

[8] Марксистко-ленинская общая теория государства и права, Основные институты и понятия, М., 1970, с. 61.

[9] იქვე, გვ. 62.

[10] О р з ы х М. Ф. Общетеоретическое правоведение. Методология и теория, „Проблемы теории социалистического государства и права“, М., 1977, с. 105.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ონტოლოგიური პრობლემატიკით იყო დაკავებული, უკანასკნელ წლებში მისმა გნოსეოლოგიურმა პრობლემატიკამ „მოქალაქეობის უფლება“ მოიპოვა. ამის გამო ხდება „სახელმწიფოსა და სამართლის ზოგადი თეორიის არა მარტო რაოდენობრივი, არამედ თვისებრივი ხასიათის ცვლილება: ერთი მხრივ, ის დიფერენცირდება შეფარდებით დამოუკიდებელ ონტოლოგიურ და გნოსეოლოგიურ ნაწილებად, ხოლო მეორე მხრივ — ინტეგრირდება უმაღლეს დონეზე ონტოლოგიურ და გნოსეოლოგიურ ერთიანობად“[11].

დავაკვირდეთ: ავტორი ამტკიცებს, რომ სახელმწიფოსა და სამართლის ზოგადი თეორია ადრინდელ ეტაპზე უფრო ონტოლოგიურ პრობლემებს შეისწავლიდა, ე. ი. სწავლობდა თავის საგანს მის ონტოლოგიურ მოცემულობაში, მაგრამ უკანასკნელ წლებში მის საგანში თვისებრივი ცვლილებები მოხდა, რაკი მასში ამ მეცნიერების გნოსეოლოგიური პრობლემატიკაც იქნა შეტანილი. მაშასადამე, სახელმწიფოსა და სამართლის ზოგადი თეორიის საგანი თვისებრივად სხვაა, ვიდრე ის აქამდე იყო. თუ ეს ასეა, მაშინ ლოგიკურია დასკვნა, რომ სახელმწიფოსა და სამართლის ზოგადი თეორია სახელმწიფოსა და სამართლის ზოგადი თეორია არ არის, ვინაიდან მეცნიერების საგნის *თვისებრივი შეცვლა* თვით მეცნიერების *თვისებრივ შეცვლას მოასწავებს*. ასეთია ლოგიკურად თანმიმდევრული დასკვნა, თუ ავტორის მსჯელობას ბოლომდე გავყვებით.

ამრიგად, თუ სახელმწიფოსა და სამართლის საგანი თვისებრივად შეიცვალა, მაშინ ეს მეცნიერებაც თვისებრივად შეიცვალა და რაღაც სხვა მეცნიერებაში გადაიზარდა. ამიტომ ლოგიკური არ არის, როცა მას კვლავ სახელმწიფოსა და სამართლის მეცნიერება ანუ ზოგადი თეორია ეწოდება. ეხლა ვნახოთ, როგორ განმარტავს დ. ქერიმოვი სახელმწიფოსა და სამართლის ზოგადი თეორიის ბუნებას და საგანს. მისი აზრით, ეს მეცნიერება არის იურიდიულ-პოლიტიკური მეცნიერება[12] და რომ მის მთავარ შინაარსს შეადგენს არა ცალკეული, არამედ სახელმწიფო-სამართლებრივი მოვლენების ზოგადი კანონზომიერებანი“[13].

ამრიგად, ირკვევა, რომ სახელმწიფოსა და სამართლის ზოგადი თეორია არის იურიდიულ-პოლიტიკური მეცნიერება, რომლის მთავარ შინაარსს სახელმწიფო-სამართლებრივი მოვლენების ზოგადი კანონზომიერებების შესწავლა შეადგენს. მაშასადამე, სახელმწიფოსა და სამართლის ზოგადი თეორია ონტოლოგიური ბუნების მეცნიერება ყოფილა. მაგრამ მაშინ ამ მეცნიერების შემადგენლობაში საკუთარი გნოსეოლოგია შეუძლებელია. ამ პოზიციიდან კი სისხლის სამართლის მეცნიერების საგნის პრობლემა სახელმწიფოსა და სამართლის ზოგადი თეორიის დონიდან ვერ დამუშავდება.

ს. ალექსეევი, რომელიც საკმაოდ დაწვრილებით განიხილავს სამართალმცოდნეობის ბუნებას, ამტკიცებს, რომ სახელმწიფოსა და სამართლის მარქსისტულ-ლენინური თეორიის თვისებრივი სიახლე მასში ფილოსოფიური, სოციოლოგიური და სპეციალურ-იურიდიული მიდგომების მონისტურად შერწ-

---

[11] Керимов Д. А. Философские проблемы права, М., 1972, с. 33-34.

[12] იქვე, გვ. 16

[13] იქვე, გვ. 20.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყმაში მდგომარეობს[14]. თუ აქ სამართლის ფენომენისადმი სხვადასხვა მიდგომა იგულისხმება, მაშინ სადავოც არაფერია, მაგრამ საქმე ის არის, რომ ავტორი სამართლის თეორიის სტრუქტურაში „სამართლის ფილოსოფიას“ გამოყოფს[15], ხოლო ამ პოზიციიდან სამართლის თეორია მონისტური კი არ იქნება, არამედ ფილოსოფიური, სოციოლოგიური და იურიდიული ცოდნის კომპლექსი. ამგვარი მეცნიერება კი ძნელად წარმოსადგენია. მაგრამ ამ კუთხით მსჯელობა შორს წაგვიყვანს. აბსურდული უფრო ის იქნებოდა, თუ სისხლის სამართლის მეცნიერების საგნის პრობლემას სახელმწიფოსა და სამართლის ზოგადი თეორიის დონიდან დავამუშავებდით, ვინაიდან ეს მეცნიერებაც მოკლებულია „თვითშემეცნების“ უნარს. ცოდნის ხსენებული დარგი არის ცოდნა სახელმწიფოსა და სამართლის შესახებ, ხოლო ამ ცოდნის შესახებ ცოდნა სახელმწიფოსა და სამართლის ზოგად თეორიაში ვერ აიგება. ამდენად სწორი არ არის მეცნიერების ამ დარგში საკუთარი გნოსეოლოგიის შეტანა და იმის მტკიცება, რომ სახელმწიფოსა და სამართლის ზოგადი თეორია თითქმის იურიდიულ მეცნიერებასაც შეისწავლის. ამგვარი წარმოდგენა დამღუპველ გავლენას ახდენს დარგობრივ იურიდიულ მეცნიერებათა წარმომადგენლებზე, ვინაიდან სახელმწიფოსა და სამართლის თეორიისათვის ფილოსოფიის თვისების მიწერა ფილოსოფიასთან მისვლის საჭიროებას აუქმებს. სასიკეთოდ არ იმოქმედებს ამგვარი წარმოდგენა თვით სახელმწიფოსა და სამართლის თეორიაზე, რომელიც არსებითად ფილოსოფიაზეა დამოკიდებული. მაგრამ ამ კუთხით მსჯელობა შორს წაგვიყვანს.

მოკლედ შევეხოთ შესაძლებლობას მეცნიერებათმცოდნეობის პოზიციიდან იქნეს დამუშავებული სისხლის სამართლის მეცნიერების საგნის პრობლემა. სამწუხაროდ, სპეციალურ ლიტერატურაში ეს საკითხიც არ არის სავსებით ნათელი. ამ მხრივ აქ კამათის გამართვას არ ვაპირებთ, რადგან მისი ადგილი არა გვაქვს. აღვნიშნავთ მხოლოდ იმას, რომ მეცნიერებათმცოდნეობა, როგორც დამოუკიდებელი მეცნიერება მეცნიერების შესახებ, დავას იწვევს, უპირველეს ყოვლისა იმიტომ, რომ მეცნიერების ფენომენი შეიძლება შესწავლილი იქნეს ფილოსოფიური თვალსაზრისით (მეცნიერების ფილოსოფია). სოციოლოგიური თვალსაზრისით (მეცნიერების სოციოლოგია), ეთიკური თვალსაზრისით (მეცნიერების ეთიკა) და ა.შ., მაგრამ შეიძლება თუ არა მეცნიერების ამ სხვადასხვა ასპექტების შესახებ ცოდნის ერთ მეცნიერებად გაერთიანება მეცნიერების შესახებ მეცნიერების სახით?

ზოგიერთი ავტორი ამ საკითხზე დადებითად პასუხობს. მაგალითად, ვ. დმიტრიენკო ფიქრობს, რომ მეცნიერების შესახებ მეცნიერება — ეს არის მეცნიერების ზოგადი თეორია. ამასთან ავტორი არ უარყოფს, რომ მეცნიერების ზოგად თეორიას ფილოსოფიური შინაარსიც აქვს, ვინაიდან, მისი აზრით ფილოსოფია მეცნიერების მიმართ წყვეტს ფილოსოფიის ძირითად საკითხს[16]. მაშასადამე, ფილოსოფია არის სპეციფიკური, მაგრამ მაინც მეცნიერება. ამიტომ მეცნიერების ზოგადი თეორია ფილოსოფიის, როგორც მეცნიერების, თეორიაც უნდა იყოს. მაგრამ მეცნიერების ზოგადი თეორია ფილოსოფიაზე უფრო ზოგადი და მდიდარია, ვინაიდან ის მეცნიერების შესა-

---

[14] А л е к с е е в С. С. Общая теория права, т. I. М., 1981, с. 18.

[15] იქვე, გვ. 18.

[16] Д м и т р и е н к о В. А. Вопросы общей теории науки, Томск, 1974, с. 45.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ხებ არაფილოსოფიურ ცოდნასაც შეიცავს. მაშასადამე, ფილოსოფია, როგორც ერთ-ერთი მეცნიერება, მეცნიერებათა სისტემაში ერთიანდება, ხოლო მეცნიერების ზოგადი თეორია ამ თვალსაზრისით უფრო ზოგადია, ვიდრე ფილოსოფია. მაგრამ მაშინ ფილოსოფია ერთ-ერთ კერძო მეცნიერებად იქცევა, რომელიც თავად ხდება მეცნიერების ზოგადი თეორიის საგანი. ამ ლოგიკით კი მეცნიერების ზოგადი თეორია ხდება ფილოსოფია, ვინაიდან ფილოსოფიურ ცოდნაზე უზოგადესი თეორიული ცოდნა არ არსებობს.

ამრიგად, მეცნიერების ზოგადი თეორია, რომელიც მეცნიერების ფილოსოფიასთან ერთად გააერთიანებდა მეცნიერების სოციოლოგიას, ეთიკას, ეკონომიკას და ა. შ. საეჭვოდ გამოიყურება, ვინაიდან ამ ლოგიკით მეცნიერების ზოგადი თეორია სრულიად სხვადასხვა თეორიების კონგლომერატი აღმოჩნდება, როგორც მართებულად მიუთითებს პ. კოპნინი, კომპლექსური მეცნიერებანი არ არსებობენ. არსებობს მხოლოდ მეცნიერების კომპლექსური შესწავლა[17].

ჩვენი აზრით, კომპლექსურად სისხლის სამართლის მეცნიერებაც შეიძლება შევისწავლოთ, მაგრამ არის მეცნიერების შესწავლის ერთი უმთავრესი ასპექტი, რომელსაც მხოლოდ ფილოსოფია შეისწავლის. აქ სიტყვას არ გავაგრძელებთ ფილოსოფიის, როგორც სპეციფიკური მეცნიერების სხვა თავისებურებაზე. აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ მთელ რიგ სწავლულ იურისტებს და ზოგჯერ ფილოსოფოსებსაც კი ავიწყდებათ ფილოსოფიის ერთ-ერთი უმთავრესი თავისებურება, რითაც ის ყველა კერძო მეცნიერებისაგან და მათ შორის, მეცნიერებათმცოდნეობისაგან, განსხვავდება, სახელდობრ, ის, რომ ფილოსოფია თვითონვე და თავისივე ფარგლებში აცნობიერებს თავის თავს. ამიტომ „მეტაფილოსოფია“ შეუძლებელია. თეორია ფილოსოფიის შესახებ ფილოსოფიაა, მაშინ როდესაც ყოველი კერძო მეცნიერების თეორია მეტათეორიაა. მაშასადამე არც ერთ კერძო მეცნიერებას, მათ შორის არც მეცნიერებათმცოდნეობას და არც სახელმწიფოსა და სამართლის ზოგად თეორიას, არ შესწევთ უნარი თავისივე საზღვრებში გაცნობიერდნენ. ზოგადზე მხოლოდ ზოგადს შეუძლია რეფლექსია, მაშინ როდესაც კერძო ყოველთვის სხვაზეა მიმართული[18].

ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, რეფლექსურობა, თავისივე საზღვრებში თავის თავის გაცნობიერება მხოლოდ ფილოსოფიას ახასიათებს. ამიტომ საკითხი იმის შესახებ, თუ რა არის ფილოსოფია, უნდა მიეკუთვნოს ძირითად ფილოსოფიურ საკითხთა წრეს[19]. ფილოსოფიის სპეციფიკა ის არის, რომ თავის „საგანზე რეფლექსია არის საკუთრივ ფილოსოფიური პრობლემა“[20].

მაშასადამე, ფილოსოფიის საგანი თვითონ ფილოსოფიური პრობლემაა, მაშინ როდესაც ყოველი კერძომეცნიერული ცოდნის საგნის პრობლემა მეტათეორიულია და გადის კერძო მეცნიერების საზღვრებიდან. ეს ეხება სახელმწიფოსა და სამართლის ზოგად თეორიასაც. ამდენად, სისხლის სამართლის მეცნიერების საგნის პრობლემა შეიძლება დამუშავდეს მხოლოდ ფილო-

---

[17] Копнин П. В. Гносеологические и логические основы науки, М., 1974, с. 45.

[18] ს. წერეთელი, დიალექტიკური ლოგიკა, თბ, 1965, გვ. 119.

[19] Ойзерман Т. И. Проблемы историко-философской науки, М., 1969, с. 56.

[20] Шевцов В. Ф. Предмет философии как философская проблема, „Предмет философии: аспекты, принципы, подходы, 1981, с. 15.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



სოფიის დონიდან, ვინაიდან მხოლოდ ამ დონიდან ხდება შესაძლებელი გაცნობიერდეს სისხლის სამართლის მეცნიერების ბუნება, მისი ცნებების სპეციფიკა. ამ ცნების ამსახველობითი უნარი და ბოლოს თავად სისხლის სამართლის მეცნიერების საგანიც, ვინაიდან თავად სისხლის სამართლის მეცნიერებაზე ცნობიერების მობრუნების გარეშე მისი საგნის ძიება უნაყოფოა. მეცნიერება და მისი საგანი ერთიანობაში უნდა იქნეს გააზრებული. ამ თვალსაზრისით კი სისხლის სამართლის მეცნიერების საგნის პრობლემა არა მარტო მეტათეორიულია, არამედ მეთოდოლოგიური პრობლემაც. ამდენად სავსებით ლოგიკური იქნებოდა სისხლის სამართლის მეცნიერების საგნის პრობლემის დასმა იქ, საიდანაც მისი დანახვა ყველაზე უკეთ არის შესაძლებელი. ამგვარი წინასწარი „სამუშაო" აუცილებელი ჩანს და ჩვენც ამის გარკვევა გვინდოდა.

ამრიგად, სისხლის სამართლის მეცნიერების საგნის პრობლემა სისხლის სამართლის მეცნიერების პრობლემა არ არის. ის ფილოსოფიის დონიდან დამუშავდება, მაგრამ ამავე დროს, რასაკვირველია, თვით სისხლის სამართლის მეცნიერების პრობლემატიკაში დეტალურ ორიენტაციასაც მოითხოვს.

Г. И. НАЧКЕБИЯ

## ПРОБЛЕМА ПРЕДМЕТА НАУКИ УГОЛОВНОГО ПРАВА

Резюме

В статье рассматривается не предмет науки уголовного права, а теоретическая природа самой проблемы предмета указанной науки. Подчеркивается, что разрешение проблемы предмета науки уголовного права с необходимостью предполагает уяснение природы указанной науки, а это, в свою очередь, приводит к проблеме «самосознания» наук. Однако наука уголовного права как частная, отраслевая юридическая наука, не может в своих пределах осознать себя. Поэтому проблема ее предмета должна ставиться на уровне другой, более общей науки, но ни общая теория государства и права и ни науковедение не могут в своих пределах разрешить проблему предмета науки уголовного права.

Лишь философия, как предельно общая наука, может в своих пределах осознавать себя и остаться философией. Поэтому «метафилософия» не имеет никаких оснований, когда как «метанаука» совершенно необходимое понятие в системе научного знания. Отсюда следует, что проблема предмета науки уголовного права для этой науки является метатеоретической проблемой. Она разрешима лишь с позиции философии и с этой точки зрения проблема предмета науки уголовного права представляет собой и методологическую проблему указанной науки.

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფოსა და სამართლის კვლევის ცენტრის სისხლის სამართლის სექტორმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

653/63

ფასი 85 კაპ. ინდექსი 76196

ISSN 0206-569X, Изв. АН ГССР, сер. экономики и права, т. I, № I-II2